საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

დავით ალანია

მგზავრთა პროფილირების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, აეროპორტებში პოტენციურად საშიში პირების იდენტიფიცირების მიზნით

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამის დასახელება და კლასიფიკატორის შიფრი

საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები 0716

სამეცნიერო ხელმძღვანელი: საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორი, ტ.მ.დ. პროფესორი სერგო ტეფნაძე

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ბაზაზე

წარდგენილია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოში

რეცენზენტები: ასოცირებული პროფესორი ნიკა თიკანაშვილი

პროფესორი ადრიან სიადკოვსკი

დისერტაციის დაცვის დრო და ადგილი:

2021 წლის ___ ივლისი, _____ საათი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზი

სწავლული მდივნის ხელმოწერა: _____

მადლობა

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით დასრულება შეუძლებელი იქნებოდა ჩემი აკადემიური ხელმძღვანელის, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ სერგო ტეფნაძის გარეშე. სწორედ მისი დახმარებით მომეცა საშუალება ჯერ განმევითარებინა დისერტაციის სხვადასხვა ნაწილები და შემდეგ უკვე დამესრულებინა კიდეც ნაშრომი. ბატონ სერგოს მადლობას ვუხდი ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის, სამუშაო გარემოს შექმნისთვისა და თანადგომისთვის.

ასევე მადლიერება მიდა გამოვხატო პროფესორ გივი ცირეკიძის და პროფესორ აკაკი დუმბაძის მიმართ, რომელთა მხარდაჭერამ დიდი როლი ითამაშა კვლევის ეტაპზე რიგი ამოცანების განხორციელებაში. აქვე მსურს მადლობა ვუთხრა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ყველა ლექტორს და ადმინისტრაციულ პერსონალ გაწეული თანადგომისათვის, განსაკუთრებით საინჟინრო ფაკულტეტს, დეკანის, ასოცირებული პროფესორის ნიკა თიკანაშვილის ხელმძღვანელობით.

მცდელობის მიუხედავად, რთულია ყველა იმ ადამიანის ჩამოთვლა, რომელმაც წვლილი შეიტანა ჩემს ნაშრომში. ამიტომ ერთობლივად მინდა გადავუხადო მადლობა ჩემს ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს მნიშვნელოვანი მხარდაჭერისათვის.

აბსტრაქტი

იმ პერიოდიდან, რაც მოხდა 2001 წლს 11 სექტემბრის ცნობილი ფაქტი აშშ-ში, აეროპორტების უსაფრთხოების სისტემები განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებებს.

მეცნიერები ეთანხმებიან იმას, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად განახლდეს უსაფრთხოების სისტემები ახალი გამოწვევების გათვალისწინებით. ზოგადად, საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხდება იმ ღონისძიებების კომპლექსით, რომელიც ითვალისწინებს საავიაციო უშიშროების სამსახურების(სუს) შექმნასა და ფუქნციონირებას, აეროპორტების, საჰაერო ხომალდებისა და სამოქალაქო ავიაციის ობიექტების დაცვას, ეკიპაჟის წევრების, მომსახურე პერსონალის, მგზავრების, ხელბარგის, ბარგის, ფოსტის, ტვირთებისა და საბორტო მარაგის შემოწმებას, საჰაერო ხომალდების დაკავებისა და გატაცების მცდელობის თავიდან აცილებასა და აღკვეთას. საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ჩართულია არა მხოლოდ საავიაციო უსაფრთხოების სამსახურები, არამედ სამართალდამცავი სტრუქტურების სხვადასხვა წარმომადგენლებიც.

„საავიაციო უშიშროების სამსახურის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო აეროპორტებში საჰაერო ხომალდების, მგზავრების, მათი თანმქონი ნივთების, ხელბარგის, მგზავრის სტატუსის არმქონე პირების, საჰაერო ხომალდის საბორტო მარაგის, აეროპორტის მარაგის ბორტკვებისა და თანმდევი საშუალებების, ტვირთის/ფოსტის, ავიაგადამზიდველის მასალების, ავიაგადამზიდველის ფოსტის შემოწმება.

საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში საავიაციო უშიშროების სამსახური უზრუნველყოფს შემოწმებებს, რომელიც ხორციელდება საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის, მგზავრების, მგზავრის სტატუსის არმქონე პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე საჰაერო ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების, დაუფლების მცდელობის და/ან სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების სხვა აქტების აღკვეთის, იარაღის, საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების, მომწამლავი, სწრაფაალებადი, რადიოაქტიური და საჰაერო ხომალდით გადასატანად

აკრძალული სხვა სახიფათო საგნებისა და ნივთიერებების უკანონოდ გატანის აღკვეთის მიზნით .

ამდენად, სუს-ის ძირითად ამოცანას წარმოადგენს პოტენციურად საშიში პირების გამოვლენა უჩა-ს თავიდან ასაცილებლად და ასევე იმ საგნებისა და ნივთიერებების აღმოჩენა, რომელთა გადაზიდვაც აკრძალულია და რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ საშიშროებას მგზავრებისთვის (სტუმრებისთვის), პერსონალისათვის, სამოქალაქო ავიაციის ობიექტისა და საჰაერო ხომალდისთვის.

ამავე დროს პოტენციურად საშიშ პირებს განეკუთვნება მგზავრები და სტუმრები და ასევე სამოქალაქო ავიაციის ობიექტის პერსონალი, რომელთაც აქვთ განზრახვა განახორციელონ უკანონო ჩარევის აქტი სა-ს ობიექტზე (საჰაერო ხომალდზე) ან რაიმე სახით წარმოადგენენ ჩართულს უკანონო ჩარევის აქტის მომზადებასა და ჩატარებაში.

აეროპორტებში და ბორტზე ადამიანის ქცევამ და ვიზუალმა შესაძლებელია შეშფოთების შეგრძნება გამოიწვიოს, რომელიც დაკავშირებული უსაფრთხოებასთან. როგორც წესი სპეციალისტები, საერთაშორისოდ აღიარებული მცნებების (რელიგია, რასა, კანის ფერი და ა.შ.) გათვალისწინებით ურჩევენ არ შეაფასონ მგზავრი. გამომდინარე აქედან მგზავრის უსაფრთხოების დონის ძირითად ინსტრუმენტად მოდის მგზავრის პროფილირება.

ექსპერტები იძლევიან რჩევას, შეზღუდული ტექნიკური საშუალებების არსებობობის პირობებში აკრძალური (საშიში) ნივთების აღმოჩენის მიმართულებით გამოიყენებულ იქნეს პროფილირების ტექნოლოგია. ეს იძლევა შესაძლებლობას უშიშროების სამსახურებმა მეტი ყურადღება გაამახვილონ იმ მგზავრებზე რომლებიც დიდი ალბათობით წარმოადგენენ საფრთხეს.

პროფილირება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტექნიკა, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების და ქცევის ძირითადი მახასიათებლების იდენტიფიცირებას, დანაშაულის ელემენტების საფუძველზე, რომელიც მან ჩაიდინა ან/და გეგმაში აქვს ჩაიდინოს.

გაურკვეველი დამნაშავეების პროფილების შექმნა, ინციდენტის ადგილის ანალიზი, ინციდენტის ადგილის რეკონსტრუქცია, პიროვნების არაპირდაპირი

შეფასება, რჩევა მოკვლევის ან გამოკითხვის შესახებ, შემოწმების შესრულებაში დახმარება, ჩვენებების ანალიზი, რისკების (საფრთხის) შეფასება; ეს ის მცირე ნაწილია რომლის რეალიზების საშუალებასაც იძლება მგზავრების პროფილირება.

მგზავრების პროფილირებას შეუძლია სარგებელი მოუტანოს ავიგადამზიდებს, აეროპორტებს და ქვეყნის ეკონომიკას სხვადასხვა გზით;

- ნაკლები შეფერხებები ავიაგადაზიდვებისას;
- შესაბამისი ტვირთის ხომალდზე განთავსების მაღალი გარანტი;
- ნაკლები ფინანსური დანახარჯები რომელიც შემდგომ ისახება ავიაბილეთების ფასებზე;
- რიგების მაქსიმალური კონტროლი და რეგისტრაციის დროის შემცირება;
- ინციდენტის ადრეულ (სანამ შედგება) დრომდე იდენტიფიცირების შესაძლებლობა;
- ტერორიზმის და სხვა საფრთხეების მიმართ დაცულობის დონის ამაღლება;
- მგზავრების და პოტენციური კლიენტების ნდობის ხარისხის ამაღლება.

ნაშრომში განხილულია პროფილირების სისტემის ინტეგრაცია და ინტეგრირების ეტაპები საავიაციო უსაფრთხოების არსებულ სისტემებთან საავიაციო უშიშროების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით.

Abstract

Since the well-known fact of September 11, 2001 in the United States, Airport Security Systems have undergone significant changes in the field of security systems.

Scientists agree that Security Systems need to be significantly upgraded to meet new challenges. In general, aviation security is ensured by set of measures that provide for: creation and operation of the Aviation Security Service (ASS), protection of airports, aircrafts and civil aviation facilities, crew members, service personnel, passengers, hand luggages, baggages, postal parcels, cargos and inspection onboard supplies. Also, prevention and suppression of attempts to delay, seize and hijack aircrafts. Not only Aviation Security Services are involved in providing aviation security, but also various representatives of Law Enforcement Agencies.

"The main goal of the Aviation Security Service is to check aircraft, passengers, their belongings, carry-on luggage, persons without passenger status, aircraft on-board supplies, airport supplies, food products for passengers and related accessories, cargo / postal parcels at airports, materials and mail of air carriers in civil airports.

As part of aviation security measures, the Aviation Security Service provides inspections for the purpose of: ensuring aviation security, protecting the life and health of passengers, people without passenger status, as well as protecting from illegal seizure, attempted seizure of an aircraft, and / or to suppress other illegal containment or other acts in the functioning of civil aviation, prevention of illegal transportation of weapons, ammunitions, explosives, poisonous, flammable, radioactive and other dangerous substances, as well as other dangerous stuffs and substances prohibited for being transported by aircraft.

Thus, the main task of the Aviation Security Service is to identify potentially dangerous individuals to prevent an act of unlawful interference, as well as to identify stuff and substances that are prohibited from being transported and that may pose a danger to passengers (guests), personnel, civil aircraft and aircraft.

At the same time, potentially dangerous person include passengers, visitors and also the personnel of the civil aviation facility who intend to carry out an act of unlawful

interference at the civil aviation facility (aircraft) or are in any way involved in the preparation and implementation of an act of unlawful interference.

Human behavior and visuals at airports and on a board of aircraft can cause a sense of concern related to safety. As a rule, experts advise against evaluating passengers according to internationally recognized criteria, such as belonging to a particular religion, race, skin color, etc. Therefore, passenger profiling is recognized as a key tool for passenger safety.

Experts advise to use profiling technology to detect prohibited (dangerous) stuff in the presence of limited technical means. This allows Security Servicies to pay more attention to passengers who are most likely to be dangerous.

Profiling can be defined as a technique that helps to identify key characteristics of a person and his/her behavior based on elements of the crime he/she has committed and/or plans to commit.

Creation of profiles of undetected criminals, analysis of the scene of incidents, reconstruction of the scene of incidents, indirect assessment of a person, advice on search or interrogation, assistance in conducting inspections, analysis of testimony, risk (hazard) assessment; This is a small part of what can be accomplished by passenger profiling.

Air carriers, airports and the country's economy can benefit from passenger profiling in a variety of ways:

- Less delays in air transportation;
- High guarantee of placement of appropriate cargo on the aircraft;
- Lower financial costs, which are further reflected in air ticket prices;
- Maximum control of queues and reduction of registration time;
- The ability to identify incidents at an early stage (before it happens);
- Raising the level of protection against terrorism and other threats;
- Improving the level of trust from passengers and potential customers.

The paper discusses the integration of the profiling system and the stages of integration to ensure a high level of aviation security with existing Aviation Security Systems, taking into account modern challenges.

სარჩევი

აბსტრაქტი 4

სარჩევი 9

აბრევიატურების ნუსხა 11

ნაშრომის სტრუქტურა და შემადგენლობა 12

ნაშრომის აპრობაცია 12

შესავალი 14

თავი 1. პოტენციურად საშიში პირების პროფილირების თავისებურებები 16

1.1. საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის პრობლემის მდგომარეობის ანალიზი 16

1.2. პოტენციურად საშიში პირების ნიშნების სისტემის შემუშავების თეორიული საფუძვლები 26

1.3. პოტენციურად საშიში პირების პროფილები 46

1.4. პიროვნული თვისებების საფუძველზე საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილების გამოვლენის თეორიული მოდელი; 66

1.5 მათემატიკური მოდელირების ინტეგრირება 74

I თავის დასკვნითი ნაწილი 76

თავი 2. პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილების იდენტიფიცირების და ინდიკატორების ემპირიული კვლევა 81

2.1. პროფესიული საქმიანობის ეფექტურობაზე პოტენციურად საშიში პირების იდენტიფიცირების თავისებურებების შესახებ საავიაციო უშიშროების სამსახურის თანამშრომლების წარმოდგენის დონის გავლენის კვლევა; 81

2.2. უკანონო ჩარევის აქტების სხვადასხვა ხასიათის საშიშროებებთან პოტენციურად საშიში პირების პროფილების კავშირის კვლევა, როგორც საფუძვლები პრიორიტეტების რეალიზაციისთვის საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების საქმიანობაში; 90

2.3. პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილების დამახასიათებელი თვისებების კვლევა 98

2.4. პოტენციურად საშიში პირების პროფილების იდენტიფიცირების, ზოგადი თვისებების ინფორმატიულობისა და მნიშვნელობის კვლევა. 108

2.5. სუიციდალური ტერორისტების, როგორც პოტენციურად საშიში პირების ყველაზე საშიში პროფილის, გამოვლენის თვისებების კვლევა 118

II თავის დასკვნითი ნაწილი 134

თავი 3. საავიაციო უსაფრთხოების(უშიშროების) სამსახურის თანამშრომლების მიერ კომპლექსური მეთოდების საფუძველზე პოტენციურად საშიში პირების იდენტიფიცირების ეფექტურობის ამაღლება 136

3.1. საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების იდენტიფიცირების კომპლექსური ტექნოლოგია..... 136

3.2. სუს-ის თანამშრომელთა პროფესიულ საქმიანობაში პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის კომპლექსური ტექნოლოგიის გამოყენების ეფექტურობის კვლევა 154

3.3. საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა კომპეტენტურობის პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებები და ელემენტები, განპირობებული პოტენციურად საშიში პირების გამოვლენაზე ორიენტირებული ტექნოლოგიების სპეციფიკით. 164

3.4 რეკომენდაციები საავიაციო უსაფრთხოების სისტემაში დასაქმებულ პირთა კომპეტენციის ასამაღლებლად; 175

3.5 მეთოდური რეკომენდაციები, ადამიანური ფაქტორების გათვალისწინებით უსაფრთხოების მართვის სისტემის საიმედოობის, ეფექტურობის და ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის წინააღმდეგ დროული რეაგირებისათვის; 177

III თავის დასკვნითი ნაწილი 179

ს ა ბ ო ლ ო ო დ ა ს კ ვ ნ ა 181

რეკომენდაციები სადისერტაციო კვლევის შედეგების გამოყენების თაობაზე: 187

დანართები 189

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა: 189

აბრევიატურების ნუსხა

პსპ	პოტენციურად საშიში პირები
სა	სამოქალაქო ავიაცია
უჩა	უკანონო ჩარევის აქტი
სუს	საავიაციო უშიშროების სამსახური
სუო	საავიაციო უსაფრთხოების ორგანიზაცია
ამ	ასაფეთქებელი მოწყობილობა
სხ	საჰაერო ხომალდი
უშფ	უკანონო შეიარაღებული ფორმირებები

ნაშრომის სტრუქტურა და შემადგენლობა

სადოქტორო დისერტაცია შედგება შესავალისაგან, 3 თავისაგან და შეიცავს 8 სურათს, 16 ცხრილს, გვერდების ჯამური რაოდენობაა 189, გამოყენებული ლიტერატურული წყარო 56, დანართი 72 ფურცელი.

ნაშრომის აპრობაცია

კვლევის შედეგები წარმოდგენილ იქნა ფართო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე 5 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე, სამუშაო შეხვედრაზე, სიმპოზიუმსა და ფორუმზე: თბილისში, ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, კანადა. კერძოდ:

- 2020 კონფერენცია (თბილისი, საქართველო) სტუდენტთა მე-14 ღია საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ონლაინ კონფერენცია. ორგანიზებული საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ.
- 2020 ვებინარი. (ვესტერჰემი, დიდი ბრიტანეთი) საპასპორტო-სამიგრაციო კონტროლის გავლენა აეროპორტებში მგზავთნაკადებზე. ორგანიზებული “International Airport Review"-ს მიერ.
- 2020 ფორუმი (ტორონტო, კანადა) Ports and Borders in a Pandemic, global forum. ორგანიზებული BORDERPOL_ის მიერ.
- 2020 ვებინარი. (ვენა, ავსტრია) ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენება 21-ე საუკუნის პრობლემების გადასაწყვეტად ეუთოს აზიის საპარტნიორო ხელშეკრულების ჩარჩოებში. ორგანიზებული OSCE BSMU.
- 2019 კონფერენცია-მრგვალი მაგიდა (ბერლინი, გერმანია) ევროპული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში და უკრაინაში, ორგანიზებული PfP Consortium of Defense Academies and Security Studies Institutes მიერ.

კვლევის პროცესში რეალური მონაცემების დამუშავებისა და გათვალისწინების მიზნით, 4 კვირის განმავლობაში განხორციელდა ინტენსიური ვიზიტები ადგილობრივ დონეზე, თელავის და ნატახტარის აეროპორტებში ასევე თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ბაზაზე ოპონირებად ავიასაწარმოებში.

კვლევის შედეგები პუბლიკაციების სახით გამოქვეყნებულია სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში, ჯამში 5 სამეცნიერო სტატია, მათ შორის მაღალრეიტინგულ, ციტირებად და რეფერირებად ჟურნალებში (გამოქვეყნებული მასალები ნაშრომს თან ერთვის დანართის სახით);

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საერთაშორისო საავიაციო ტრენინგ ცენტრის ბაზაზე ჩატარდა საცდელი ტრენინგები სუს-ის სპეციალისტების გადასამზადებლად, პროფილირების სისტემის შემდგომში პრაქტიკაში დასანერგად.

კვლევამ მხარდაჭერა მიიღო სამოქალაქო სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უშიშროების დეპარტამენტისაგან, როგორც აქტუალური მიმართულება, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სისტემაში უახლოეს პერიოდში რეალიზაციისათვის.

შესავალი

(საავიაციო უშიშროების მოკლე მიმოხილვა, საფრთხისშემცველი საავიაციო შემთხვევების, ინციდენტებისა და კატასტროფების გამომწვევი მიზეზების ანალიზი)

კვლევის აქტუალობა. მსოფლიოში კრიმინალურ-ტერორისტული აქტიურობის მაღალი დონე განაპირობებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მაღალი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ძალით საჰაერო ტრანსპორტი წარმოადგენს შესაძლო ტერორისტული შეტევების დასაშვებ ობიექტს და შესაბამისად, განიხილება, როგორც პოტენციურად საშიში ტერორისტული საფრთხის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით, საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანების პრიორიტეტულობა ხაზგასმულია ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა; საქართველოს საჰაერო კოდექსი, საქართველოს კანონი ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნატვირთ ვალდებულებებში და სხვა კანონქვემდებარე აქტებში.

პირები, რომელთაც აქვთ განზრახვა განახორციელონ ტერორისტული აქტები საჰაერო სატრანსპორტო ობიექტებზე ან ჩართულნი არიან მოცემულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში და ასევე რომელთაც აქვთ გაზნრახვა გამოიყენონ საჰაერო ტრანსპორტი კრიმინალური მიზნით, განიხილება, როგორც პოტენციურად საშიში. პოტენციურად საშიში პირების გამოვლენა საჰაერო სატრანსპორტო ობიექტებზე წარმოადგენს საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას.

სამოქალაქო ავიაცია (სა) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად სატრანსპორტო ობიექტს კრიმინალურ-ტერორისტული საფრთხეების თვალსაზრისით. ტერორისტული აქტები სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე იწვევს მრავალრიცხოვან მსხვერპლს. აყენებს არსებით ზაინს ქვეყნის პრესტიჟს, უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე და იწვევს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დესტაბილიზაციას. ამასთან დაკავშირებით, საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის

შემადგენელ ნაწილს. სამოქალაქო ავიაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, უკანონო ჩარევის აქტების (უჩა) თავიდან აცილების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს პოტენციურად საშიში პირების (პსპ) დროული გამოვლენის ორგანიზება.

ამჟამად, საქართველოში პოტენციურად საშიში პირების გამოვლენა სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე ხორციელდება ძირითადად იმ საგნების აღმოჩენის ბაზაზე, რომელიც აკრძალულია გადასაზიდად, რიგ აეროპორტში ასევე გამოიყენება ტექნიკური საშუალებები, ორიენტირებული პოტენციურად საშიში პირების ნიშნების გამოვლენაზე, არ გამოიყენება ტექნოლოგია „პროფაილინგი“ (Profiling). მთლიანობაში, უნდა აღინიშნოს საქართველოში იმ მეთოდებისა და ტექნოლოგიების არასაკმარისი გავრცელება, რომელიც ეფუძნება პოტენციურად საშიში პირების პროფილებით იდენტიფიცირებას.

ამრიგად საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრაქტიკის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს წინააღმდეგობა:

- საჰაერო ტრანსპორტის ობიექტების მოწყვლადობას მასზე თავდასხმის მიმართ, უკანონო ჩარევის აქტის საფრთხის გაზრდილ ხარისხსა და ასევე უკანონო ჩარევის აქტის მომზადების დონესა და საავიაციო უშიშროების სამსახურის (სუს) მიერ სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე უკანონო ჩარევის აქტებისგან დაცვის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების არასაკმარისობას შორის;
- უკანონო ჩარევის აქტების განხორციელების ხერხებისა და სუბიექტების მზარდ მრავალფეროვნებასა და საავიაციო უშიშროების თანამშრომლებში პოტენციურად საშიში პირების პროფილების თავისებურებების შესახებ შეზღუდული სტერეოტიპული წარმოდგენების არსებობას შორის;
- არსებით როლს, რომელსაც თამაშობენ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის თავისებურებები უკანონო ჩარევის აქტის თავიდან აცილებასა და მოცემული სიტუაციის არასაკმარის რეალიზაციას შორის საავიაციო უსაფრთხოების თანამშრომლების პროფესიულ მომზადებას, გადამზადებასა და საქმიანობაში .

თავი 1. პოტენციურად საშიში პირების პროფილირების თავისებურებები

1.1.საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის პრობლემის მდგომარეობის ანალიზი

„საქართველოს საჰაერო კოდექსის“ და მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის თანახმად, საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიმართულია სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტების თავიდან აცილებაზე. უკანონო ჩარევის აქტი (უჩა) განიხილება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება (უმოქმედობა[1]), მათ შორის, ტერორისტული აქტი, რომელიც ემუქრება სატრანსპორტო კომპლექსის უსაფრთხო საქმიანობას, რამაც გამოიწვია ზიანის მიყენება ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, მატერიალური ზიანი ან ასეთი შედეგების დადგომის საფრთხე“. ამასთან დაკავშირებით, საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად ამოცანად შეგვიძლია მივიჩნიოთ უკანონო ჩარევის აქტის თავიდან აცილება სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე.

საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხდება იმ ღონისძიებების კომპლექსით, რომელიც ითვალისწინებს საავიაციო უშიშროების სამსახურების(სუს) შექმნასა და ფუქნციონირებას, აეროპორტების, საჰაერო ხომალდებისა და სამოქალაქო ავიაციის ობიექტების დაცვას, ეკიპაჟის წევრების, მომსახურე პერსონალის, მგზავრების, ხელბარგის, ბარგის, ფოსტის, ტვირთებისა და საბორტო მარაგის შემოწმებას, საჰაერო ხომალდების დაკავებისა და გატაცების მცდელობის თავიდან აცილებასა და აღკვეთას.

საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში საავიაციო უშიშროების სამსახური უზრუნველყოფს შემოწმებებს, რომელიც ხორციელდება საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის, მგზავრების, მგზავრის სტატუსის არმქონე პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე საჰაერო ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების, დაუფლების მცდელობის და/ან სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების სხვა აქტების აღკვეთის, იარაღის, საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების, მომწამლავი, სწრაფაალებადი, რადიოაქტიური და საჰაერო ხომალდით გადასატანად

აკრძალული სხვა სახიფათო საგნებისა და ნივთიერებების უკანონოდ გატანის აღკვეთის მიზნით[1].

ამდენად, სუს-ის ძირითად ამოცანას წარმოადგენს პოტენციურად საშიში პირების გამოვლენა უჩა-ს თავიდან ასაცილებლად და ასევე იმ საგნებისა და ნივთიერებების აღმოჩენა, რომელთა გადაზიდვაც აკრძალულია და რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ საშიშროებას მგზავრებისთვის (სტუმრებისთვის), პერსონალისათვის, სამოქალაქო ავიაციის ობიექტისა და საჰაერო ხომალდისთვის.

ამავე დროს პოტენციურად საშიშ პირებს განეკუთვნება მგზავრები და სტუმრები და ასევე სამოქალაქო ავიაციის ობიექტის პერსონალი, რომელთაც აქვთ განზრახვა განახორციელონ უკანონო ჩარევის აქტი სა-ს ობიექტზე (საჰაერო ხომალდზე) ან რაიმე სახით წარმოადგენენ ჩართულს უკანონო ჩარევის აქტის მომზადებასა და ჩატარებაში[2].

მიზნებისა და პროფესიული საქმიანობის შესაბამისად სუს-ის თანამშრომელთა ამოცანები შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

- სამოქალაქო ავიაციის ობიექტზე უკანონო ჩარევის აქტის განხორციელების თავიდან აცილება, როგორც ძირითადი ამოცანა;
- სამოქალაქო ავიაციის ობიექტზე პოტენციურად საშიში პირების გამოვლენა;
- მგზავრთა (სტუმართა) ბარგში, ნივთებში გადასატანად აკრძალული საგნებისა და ნივთების აღმოჩენა;
- მგზავრების (სტუმრების) ბარგში, ნივთებში იმ საგნებისა და ნივთების აღმოჩენა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სა-ს ობიექტზე უკანონო ჩარევის აქტის განსახორციელებლად.
- სა-ს ობიექტზე პოტენციურად საშიში საგნების (ნივთების) აღმოჩენა.

[1] სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №109 საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით შემოწმების, მათ შორის გაფრენისწინა შემოწმების წესი. 2017 წ.
[2] ICAO. Doc 8973. Security Manual for Safeguarding Civil Aviation Against Acts of Unlawful Interference

საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სუს-ის აღნიშნული ამოცანების თვალსაზრისით პოტენციურად საშიში პირების გამოვლენა წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას[3].

ამჟამად, სამოქალაქო ავიაციის ობიექტბზე პოტენციურად საშიში პირების გამოვლენა ძირითადად ხდება საკონტროლო-შემოწმების ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, რომელიც წარმოებს სუს-ის თანამშრომლების მიერ. ამასთან, აქტიურად გამოიყენება პოტენციურად საშიში, გასატანად აკრძალული საგნების, ნივთიერებების, ყალბი დოკუმენტების და ა.შ. გამოვლენის სეციალიზებული ტექნოლოგიები და სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობა[4]. ამიტომაც მგზავრების (სტუმრების) პოტენციური საშიშროების იდენტიფიცირება მიმართულია მათ ნივთებში, ბარგში საშიში საგნების (ნივთიერებების) აღმოჩენის შემთხვევებზე და ასევე ყალბი დოკუმენტების არსებობის იდენტიფიცირებაზე.

მიდგომა უსაფრთხოების უზრუნველყოფის და კერძოდ, პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის მიმართ, რომელიც აქცენტს აკეთებს სახიფათო საგნებისა და ნივთიერებების აღმოჩენაზე ტექნიკური საშუალებების დახმარებით, უდაოდ, წარმოადგენს მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ კომპონენტს, მაგრამ ამასთან, ის არ წარმოადგენს ყოველმხრივსა და ამომწურავს პოტენციურად საშიში პირების დროული გამოვლენისა და უკანონო ჩარევის აქტის თავიდან აცილების პრობლემის გადაჭრისას. აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რომელიც ერწყმის საგნების/ნივთების გამოვლენას პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის, პროფაილინგის რეალიზაციასთან ერთად.

ასევე აუცილებელია აღინიშნოს მიდგომის ზოგადი არასაიმედოობა, რომელიც ეფუძნება საგნის (მოვლენის) ანალიზის ცალკეული,ერთეული მეთოდების გამოყენებას, მოცემულ შემთხვევაში უკანონო ჩარევის აქტებთან მგზავრის (სტუმრის) კავშირის დადგენას საშიში საგნების (ნივთიერებების) გამოსავლენი ტექნიკური მოწყობილობების გამოყენების მეშვეობით. ასე, მაგალითად, მგზავრის ნივთებსა და ბარგში საშიში და გადასატანად აკრძალული საგნების აღმოსაჩენი ტექნიკური მოწყობილობა (რენტგენო-სატელევიზიო ინტროსკოპი), შესაძლოა, იყოს

[3] IATA aviation security manual
[4] ICAO aviation security manual

გაუმართავი, სუს-ის თანამშრომელი შეიძლება იყოს არასაკმარისად კომპეტენტური მის გამოსაყენებლად, გადაღლილი მონიტორთან მუშაბისგან და ა.შ.

ამის შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენა სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე წარმოადგენს რთულ და მრავალწახნაგოვან ტექნოლოგიას, რაც განაპირობებს დამატებითი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენების აუცილებლობას, მათ შორის, ისეთების, რომლებიც ეფუძნებიან პოტენციურად საშიში პირების პროფილების კვლევის შედეგებს.

სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე განხორციელებული უკანონო ჩარევის აქტებმა და მათი მცდელობის ანალიზმა გვიჩვენა პსპ-ების გამოსავლენად სპეციალიზებული ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობა, რომელიც ძირითადად ორიენტირებული იყო სახასიათო ცვლილებების აღმოჩენაზე მგზავრებისა და სტუმრების ქცევაში უკანონო ჩარევის აქტების განხორციელების განზრახვის დროს. ასე, მაგალითად, 2004 წლის 24 აგვისტოს[5] დომოდედოვოს აეროპორტიდან აფრენილ ორ სამგზავრო თვითმფრივანთან მიმართებაში ჩადენილი ტერორისტული აქტების დეტალურმა განხილვამ გამოავლინა რიგი საეჭვო ნიშანი თვითმკვლელი ტერორისტების გარეგნობასა და ქცევაში, რომელიც უშუალოდ ახასიათებდა ტერაქტების მომზადებას და ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდა მიზეზს მათი სრული შემოწმებისა ან/და გადაყვანაზე უარის თქმისთვის. ამ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, სპეციალისტებმა ყურადღება მიაქციეს პროფაილინგის გამოყენების აუცილებლობას სუს-ის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების გამოსავლენად.

მგზავრების პროფილირების სისტემებმა მეტი აქტუალურობა საჰაერო ტრანსპორტში შეიძინა 2001 წლის 9 სექტემბრის შემდეგ[6]. საერთაშორისო დოკუმენტებში გამოჩდნა რეკომენდაციები პროფილირების სისტემების შემუშავების შესახებ. ქვეყნები იწყებენ საკანონმდებლო დონეზე აღნიშნულის რეალიზებას. მეცნიერებმა დაიწყეს აღნიშნული საკითხის ღრმა შესწავლა[7]. საქართველოში პირველად პროფილირების აუცილებლობაზე საუბარი ჩნდება 2008 წლით

[5] https://www.icao.int/Meetings/AMC/MA/Assembly%2035th%20Session/wp241_ru.pdf
[6] Timothy M. Ravich, Esquire. AIRLINE PASSENGER PROFILING SYSTEMS AFTER 9/11: PERSONAL PRIVACY VERSUS NATIONAL SECURITY. 2005
[7] Huseyin Cavusoglu, Young Kwark, Bin Mai, Srinivasan Raghunathan. Passenger Profiling and Screening for Aviation Security in the Presence of Strategic Attackers. 2012

დათარიღებული საზღვრის მართვის სტრატეგიაში, რომელიც ამჟამად ძალაში არ არის. იგი შეცვალა 2014 წლის დოკუმენტმა.

„პროფაილინგი“ განისაზღვრება, როგორც პოტენციურად საშიში პირებისა და სიტუაციების გამოვლენის მეშვეობით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების ტექნოლოგია. უფრო ვიწრო გაგებით, პროფაილინგი წარმოადგენს დაგეგმილ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასთან გარკვეული სუბიექტის შესაძლო კავშირის დადგენის სისტემას. სპეციალურ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი ფორმულირება, რომელიც ხსნის ცნებას „პროფაილინგი“. ინგლისურ ტერმინოლოგიაში პროფაილინგს (პროფილირება) აქვს დეფინიცია: “Profiling - The use of profiling to recognize airplane passengers who may threaten the safety of the flight, based on appearance, behavior, and personal information” [8].

პროფაილინგი მეთოდოლოგიურად ეყრდნობა უკანონო ჩარევის აქტების (მათი მცდელობის) ანალიზს. ამის საფუძველზე გამოიყო დადებითი და ნეგატიური (საეჭვო) ინდიკატორთა სისტემა, რომელიც ახასიათებს პიროვნების (მგზავრის და სხვა) პოტენციურ კავშირს სამოქალაქო ავიაციის ობიექტზე უკანონო ჩარევის აქტის განხორციელების საფრთხესთან. დადებითი ნიშნები მიუთითებენ პიროვნების (მგზავრის და სხვა) უკანონო ჩარევის აქტის მომზადების (განხორციელების) საფრთხესთან კავშირის დაბალ ალბათობაზე.

პროფაილინგში ინდიკატორთა აღწერა წარმოადგენს საფუძველს მგზავრების შემდგომი კლასიფიკაციისთვის, მათი პროფილების დაყოფისთვის. პროფილი ხასიათდება, როგორც მნიშვნელოვანი ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც მიუთითებენ სუბიექტის (მგზავრის, სტუმრის და სხვ.) განსახილველ საფრთხესთან პოტენციური კავშირის არსებობასა ან არარსებობაზე[9].

საფრთხის თვალსაზრისით ყველა პიროვნება (მგზავრი და სხვა) პირობითად იყოფა ორ ჯგუფად: უსაფრთხო და პოტენციურად საშიში. პოტენციურად საშიში პიროვნება (მგზავრი და სხვა) დავყოთ ორ ქვეჯგუფად, უკანონო ჩარევის აქტის მომზადებაში (განხორციელება-ჩანაფიქრი) მათი ჩართულობის ხასიათზე,

[8] The Passenger and Customer Profile (Chapter 4). Resource Manual for Airport In-Terminal Concessions. 258 pp. ISSN 1935-9802 Washington D.C. 2011

[9] Эриашвили Н.Д., Аминов И.И., Волынский-Басманов Ю.М., Волынский В.Ю., Каменева М.Е. Профайлинг. Технологии предотвращения противоправных действий. 2-е изд. М., 2012.

პრინციპით „ინფორმირებულობა“ ან „არაინფორმირებულობა“ - ინფორმირებული და არაინფორმირებული საშიში პირები.

პროფაილინგის ტექნოლოგიური პროცედურების მიზანია პიროვნების (მგზავრის და სხვა) შედარება გარკვეულ პროფილთან, რომელიც ხორციელდება ინდიკატორთა სისტემის მიხედვით. პროფაილინგის პრაქტიკულ ფასეულ შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რეისზე რეგისტრაციამდე მგზავრთა ნაკადი შეიძლება დაიყოს უსაფრთხო და პოტენციურად საშიშ მგზავრებად.

ამდენად, პროფაილინგი არის პოტენციურად საშიში პირებისა და სიტუაციების იდენტიფიკაციის ტექნოლოგია ისეთი ფაქტორების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, როგორიცაა პიროვნების (მგზავრი და სხვა) გარეგნობა და ქცევა, მისი სამგზავრო დოკუმენტები, ბარგი და ნივთები.

შესაბამისად, პროფაილინგის ძირითად მეთოდებს წარმოადგენს დაკვირვება მგზავრებზე, თანმხლებ პირებზე და სხვა, გამოკითხვა გამოვლენილი საეჭვო ნიშნებისა და ბარგის მიხედვით, შემოწმება მონაცემთა სხვადასხვა ბაზის მიხედვით, დოკუმენტების კონტროლი, ბარგისა და იმ ნივთების შემოწმება, რომელიც თან აქვს პიროვნებას (მგზავრი და სხვა).

ამასთან დაკავშირებით, ცხადია, რომ „პროფაილინგი“ არ პოზიციონირებს, როგორც პიროვნების (მგზავრი და სხვა) ფსიქიკური მდგომარეობის განსაზღვრის მეთოდი, კერძოდ არა როგორც „ფსიქოლოგიური ტესტირება“ ან „ფსიქოლოგიური გამოკითხვა“, არამედ მოიცავს მეთოდებს ტექნოლოგიური ელემენტების სახით.

ამდენად, მოცემული მომენტისთვის სამოქალაქო ავიაციაში პოტენციურად საშიში პირების გამოსავლენად პროფაილინგის მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა აღნიშნულია სხვადასხვა საერთაშორისო ნორმატიულ აქტებში და რეკომენდაციებში[10] სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე პოტენციურად საშიში პირების გამოსავლენად[11].

შესაბამისად, საჭიროა ტექნოლოგია, რომელიც აქცენტს გააკეთებს პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის კომპლექსურ მიდგომაზე, რომელიც

[10] https://www.iata.org/en/programs/security/
[11] https://ec.europa.eu/transport/modes/air/security/aviation-security-policy_en

იყენებს ისეთ ტექნიკურ საშუალებებს, როგორიცაა ადამიანის შესაძლებლობები განსაზღვროს გადახრები ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაში გარედან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია შესაბამისი სამსახური(სუს) თანამშრომელში უნარებისა და ჩვევების არსებობა დააფიქსიროს საეჭვო ნიშნები პიროვნებაში (მგზავრი და სხვა) და არსებული ფაქტების ბაზაზე მიიღოს შესაბამისი ოპერატიული გადაწყვეტილება.

24 იანვარი 2014 წელი და 28 ივნისი 2016 წელი ტერაქტები დომოდედოვის და სტამბულის აეროპორტებში. ორივე შემთხვევაში თვითმკვლელმა ტერორისტებმა შეაღწიეს ტერმინალში. მათ გზაზე მდებარეობდა სხვადსხვა ბარიერი და ასევე პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც არ შეაჩერეს მზერა საკმაოდ საშიშ სტუმრებზე. სუს-ის თანამშრომლებს საეჭვო გარეგნული ნიშნების მიხედვით უნდა გამოევლინათ პოტენციური თვითმკვლელი და მიეღოთ საგანგებო ზომები მის დასაკავებლად (გასანეიტრალებლად) რაც არ მომხდარა[12].

საავიაციო უსაფრთხოების მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ რიგ შემთვევაში სპეციალურად შერჩეული და მომზადებული თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობა შეიძლება მნიშვნელოვნად აღემატებოდეს ტექნიკურ მოწყობილობას. გარკვეული სუბიექტურობა კი, რომელიც ახასიათებს ადამიანის აღქმას, შესაძლოა დაძლეულ იქნეს სპეციალური მეთოდიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე, რომელიც მიმართულია საშიში პირების შედეგიან გამოვლენაზე. ძირითადი აქცენტი უსაფრთხოების უზრუნველყოფის დროს კეთდება ობიექტზე, მაგალითად, აეროპორტის ტერიტორიაზე დაკვირვების ორგანიზებაზე.[13] ასე, მაგალითად, ისრაელის საავიაციო უსაფრთხოების სისტემის მიერ მაღალი შეფასება აქვს საეჭვო ქცევის ანალიზს. აშშ-ში სატრანსპორტო უსაფრთხოების ადმინისტრაციის (TSA, Transoprtation Security Administration) თანამშრომლები იყენებენ აღმოჩენის ქცევით პროგრამას, რომლის მიზანიცაა საეჭვო პირების გამოვლენა მგზავრებისა და სტუმრების ქცევის ანალიზის მეშვეობით.[14] ასევე ლონდონის ჰითროუს აეროპორტში

[12] https://www.icao.int/Security/Pages/default.aspx
[13] Lee, S., Huang, C., Nevatia, R.: Definition, Detection, and Evaluation of Meeting Events in Airport Surveillance Videos. USC at TRECVID (2008)
[14] Robert W. Poole, Jr. Airport Security: Time for a New Model. Reason Foundation 2006

აქტიურად ინერგება „ქცევითი“ პროფაილინგი იმ პირთა განსაზღვრისთვის, რომლებიც შესაძლოა კავშირში იყვნენ სხვადასხვა საფრთხეებთან[15].

ზ/აღნიშნული პრობლემის შესახებ ბევრი საერთაშორისო ნაშრომია, მათ შორის Anna espozito-ს თავის ნაშრომში Fundamentals of Verbal and Nonverbal Communication and the Biometric Issue[16] შესწავლილი აქვს საეჭვო პირების ქცევითი რეაქციების თავისებურებები, სადაც წარმოდგენილია ძირითადი არავერბალური სიგნალები ადამიანის ქცევაში, განხილულია ძირითადი ჟესტების მნიშვნელობა. ნაშრომში მოყვანილია ადამიანის სტრესული მდგომარეობის ვერბალური სიგნალები მოტყუების მცდელობის დროსაც, მოყვანილია იყო გამოკითხვის ზოგიერთი მეთოდი. მოცემული გამოკითხვა ეყრდნობა საეჭვო ნიშნების გამოვლენას პროფაილინგის, ყალბი დოკუმენტებისა და სიცრუის ვერბალური ნიშნების მეშვეობით. ამ ნაშრომში ასევე კეთდება აქცენტი ადამიანში თავდაცვის მექანიზმების გარე გამოვლინებებზე მათ მიერ გაცნობიერებული საშიშროების შემთხვევაში, კერძოდ, კანონსაწინააღმდეგო საქმიანობასთან მისი კავშირის განსაზღვრისას. ავტორის მიერ მოცემულია რეკომენდაციები პირებთან ურთიერთობისას მათი პოტენციური საფრთხის განსაზღვრის დროს.

მოცემული თემის მნიშვნელობაზე საუბრობს Timothy M. Ravich (2005) ნაშრომში პოტენციურად საშიში მგზავრების გამოვლენის თაობაზე, სადაც წარმოდგენილი იყო მგზავრების შერჩევითი კონტროლის ტექნოლოგია (profiling). ტექნოლოგია ეყრდნობოდა მგზავრების (პროფილის) კლასიფიკაციას და შემოთავაზებული იყო მისი შერჩევითად გამოყენება ეჭვის არსებობისას, რომ მგზავრი წარმოადგენს პოტენციურად საშიშს. მეთოდიკაში აქცენტი გაკეთდა მგზავრების ქცევაში საეჭვო მომენტებზე, ამასთან საეჭვო მგზავრის ქცევის თავისებურებებზე დამალოს რამე შემოწმების დროს. საეჭვი ნიშნები მგზავრის ქცევაში განიხილებოდა საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების თვალსაზრისით ნორმიდან გადახრის მხრივ. „საეჭვო“ მგზავრის თავისებურებების გამოვლენის კუთხით

[15] ARCO NPIA. Guidance on policing at airports. pp 40. 2011

[16] Anna Esposito. Fundamentals of Verbal and Nonverbal Communication and the Biometric Issue. 357pp IOS Press, 2007

გამოიყო „ნევროზულობის“ ნიშანი, რომლის არსებობა მოწმობს მგზავრის უფრო საგულდაგულო შემოწმების აუცილებლობას[17].

საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენაზე გამოკვლეული ნაშრომების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ჯერ კიდევ არაა საკმარისად შესწავლილი პოტენციურად საშიში პირების ქცევითი თავისებურებების და მათი გამოვლენის კვლევის კუთხით. განხილული სპეციალური ლიტერატურული წყაროების მნიშვნელოვან ნაწილში აქცენტი კეთდება პროფაილინგზე, როგორც სამოქალაქო ავიაციის ობიექტებსა და სხვა სატრანსპორტო ობიექტებზე უჩა-ის თავიდან აცილების ტექნოლოგიაზე. მოცემულია ზოგადი მიდგომები სამოქალაქო ავიაციაში უჩა-ს თავიდან აცილების უზრუნველყოფის პრომლების მიმართ პსპ-ების გამოვლენის პროცესის თავისებურებების კონკრეტიზაციის გარეშე.

ტერორისტულ საქმიანობაში ჩართული პირების სოციალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში არ განიხილება (ან ზედაპირულად) საშიში პირების ქცევისა და ფსიქოემოციური მდგომარეობის შესაძლო თავისებურებები უჩა-ს მცდელობის (განხორციელების) დროს, რომელთა გარე გამოვლინებები შეიძლება შეფასდეს, როგროც საეჭვო ნიშნები სუს-ს თანამშრომლების მიერ.

ამასთან პრაქტიკულად ფასეულს წარმოადგენს მითითებები ზოგიერთი ავტორის ნაშრომში, რომლის მიხედვით მართლსაწინააღმდეგო საქმიანობას ადამიანში რეფლექსურად თან ახლავს ზოგიერთი ქცევითი (მათ შორის ვიზუალური) რეაქციები. ამის მიუხედავად, განხილულ ნაშრომებში არ განიხილება პსპ-ების თავისებურებების წარმოქმნის მიზეზობრიობა ობიექტზე უჩა-ს მცდელობის (განხორციელების) დროს, რაც წარმოადგენს პსპ-ების გამოვლენისადმი სისტემური მიდგომის გამოყენების პირობას მათი ქცევისა და ვიზუალური მდგომარეობის საფუძველზე.

ამდენად, სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების გამოვლენის პრობლემის ანალიზის შედეგად შეიძლება გამოიყოს შემდეგი დასკვნები:

---

[17] Timothy M. Ravich, AIRLINE PASSENGER PROFILING SYSTEMS AFTER 9/11: PERSONAL PRIVACY VERSUS NATIONAL SECURITY. Washington, D.C., March 6-8, 2005

1. პსპ-ების გამოვლენა წარმოადგენს სუს-ის თანამშრომლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. პსპ-ებს განეკუთვნებიან მგზავრები და სტუმრები და ასევე სა-ს ობიექტის პერსონალი, რომელთაც აქვთ სა-ს ობიექტის ტერიტორიაზე უჩა-ს განხორციელების მცდელობა ან რაიმე სახით არიან ჩართულნი უჩა-ს მომზადებასა და ჩატარებაში.
2. სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე პოტენციურად საშიში პირების გამოვლენა ძირითადად ხდება კონტროლ-შემოწმების მიმდინარეობის დროს, რომელიც ხორციელდება სუს-ის თნამშრომლებიც მიერ საშიში საგნებისა და ნივთიერებების გამოვლენის საფუძველზე ტექნიკური საშუალებების დახმარებით. რიგ შემთხვევაში გამოიყენება სპეციალური ტექნოლოგიები პოტენციურად საშიში პირების გამოსავლენად, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია სახასიათო ცვლილებების აღმოჩენაზე პიროვნების (მგზავრის და სხვა) ქცევაში ტექნიკური საშუალებების მეშვეობით. ამჟამად, სუს-ის საქმიანობაში ასევე თანდათან გამოიყენება პროფაილინგი - სპეციალური ტექნოლოგია, რომელიც ორიენტირებულია პოტენციურად საშიში პირების გამოვლენაზე მათი შესაძლო ქცევისა და გარეგნული იერის განსაკუთრებული გათვალისწინების დროს უჩა-ს განხორციელების მცდელობისას.

მოცემულობა და პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის არასაკმარისი სამეცნიერო დამუშავებულობა და ასევე სუს-ის საქმიანობაში სამეცნიეროდ დასაბუთებული პროფაილინგის მეთოდების ფართო დანერგვის აუცილებლობა განსაზღვრავს პსპ-ების გამოვლენის ქცევითი (მათ შორის ვიზუალური და სხვა) თავისებურებების კვლევისა და ტექნოლოგიების შემუშავების მნიშვნელობას.

1.2. პოტენციურად საშიში პირების ნიშნების სისტემის შემუშავების თეორიული საფუძვლები

პოტენციურად საშიში პირების იდენტიფიცირება ხორციელდება მათი ნიშნების გამოვლენის საფუძველზე, რომელთა შორისაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ქცევით (ვიზუალურ და სხვა) ნიშნებს. არსებითად, ასეთი ნიშნები წარმოადგენს პსპ-ების ემოციური მდგომარეობისა და ქცევის თავისებურებების სიმბიოზს. სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების გამოვლენის ეფექტურობის თვალსაზრისით არასაკმარისია ცოდნა ცალკეული ნიშნებისა და მათი შეზღუდული ნაკრების შესახებ, ასევე აუცილებელია პსპ-ების სხვადასხვა პროფილის ინდიკატორტა სისტემა. წინამორბედ პარაგრაფში წარმოდგენილი პრობლემის მდგომარეობის ანალიზის შედეგები მოწმობს იმას, რომ ამჟამად არ არსებობს პსპ-ების ინდიკატორთა მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ასეთი სისტემა უნდა ეფუძნებოდეს უჩა-სთან კავშირის მქონე პირების აქტიურობის კანონზომიერებებსა და ნიშნების ანუ მათი ფორმირებისა და განვითარების მიზეზებისა და თავისებურებების გენეზისის განხილვას. ამიტომაც ნიშნების გამოვლენის მიზეზების ანალიზი წარმოადგენს პსპ-ების ინდიკატორთა ზოგადი სისტემის ფორმირების მეთოდოლოგიურ საფუძველს.

პირველ რიგში, ინდიკატორთა სისტემის აღწერის დროს უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ პსპ-ების გარეგნულად დაკვირვებადი ქცევისა და ემოციური მდგომარეობების თავისებურებები წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკური მოქმედების კანონზომიერებების გამოვლენას, რომელიც კავშირშია სამოქალაქო ავიაციის ობიექტზე უჩა-ს მომზადებასა და განხორციელებასთან. ძირითადი კანონზომიერებები სხვადასხვა პოზიციიდან აიხსნება ზოგადი არავერბალური თეორიებით, რომელიც აღწერს მთლიანად პიროვნების ფუნქციონირებას.

საქმიანობის ანალიზის ძირითად ერთეულს წარმოადგენს მოქმედება, რომელიც არის მიზნის რეალიზაციაზე მიმართული პროცესი. მოქმედებების ერთობლიობა, რომელსაც ერთი მოტივი იწვევს არის საქმიანობა, კონკრეტულად კი საქმიანობის განსათრებული სახე[18].

[18] ერიაშვილი; კამენევა; ვოლინსკი-ბასმანოვ; ვოლინსკი-ცვეტკოვ; ამინოვ. პროფაილინგი. ISBN: 9789941955327. სამართლიანი საქართველო 2018

მიზანი - სასურველი შედეგის ცნობიერი სახე ანუ იმ შედეგის სახე, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული მოქმედების შესრულების დროს. მიზანი იწვევს მოქმედებას, ამიტომაც მოქმედების ხასიათი პასუხობს მიზანს. მიზანი, მოცემული საქმიანობის თეორიის გარკვეულ პირობებში, არის ამოცანა. ნებისმიერი საკმაოდ დიდი მოქმედება წარმოადგენს თანამიმდევრობას, უფრო დაბალი რიგის მოქმედებას.

საქმიანობის თეორიაში ემოციები განისაზღვრება, როგორც საქმიანობის შედეგის თანაფარდობის ასახვა მის მოტივთან. თუ ადამიანს რაღაც აღელვებს, ეს ნიშნავს იმას, რომ ის მის მოტივებს ეხება. თუ მოტივის თვალსაზრისით საქმიანობა წარმატებით მიმდინარეობს, წარმოიქმნება დადებითი ემოციები, თუ წარუმატებლად - უარყოფითი ემოციები.

Stanton Samenow[19]-ის თეორიიდან გამომდინარე, ქმედებების ძირითადი კანონზომიერებები განისაზღვრება მოტივით - საქმიანობის საგნითა და მისი მიზნით. შესაბამისად, პს პირების ქცევისა და ემოციური მდგომარეობების თავისებურებები, პირველ რიგში, იქნება დეტერმინირებული განხორციელებული უჩა-ს ხასიათით, რომელიც გამოდის უჩა-თან კავშირის მქონე კონკრეტული პირის საქმიანობის საგნად და მიზნის სპეციფიკად. რამდენადაც მიზნები, განსაზღვრის მიხედვით, წარმოადგენს სასურველი შედეგის ცნობიერ სახეს, მოცემულ შემთხვევაში, შეგვიძლია ვისაუბროთ უჩა-თან კავშირის მქონე ან მასთან რამენაირად დაკავშირებული პირის დამოკიდებულების ხასიათის ან ჩართულობის ხასიათის გავლენის შესახებ.

კვლევისას, საქმიანობის თეორიის საფუძველზე გაკვეთებული დასკვნები ორგანულად ივსება კონცეფციის „ დამრღვევის მოდელი“-ს დებულებებით, რომელიც განოსაზღვრება ობიექტების მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებისგან დაცვისთვის, მოთხოვნების შემუშავებისას ფიზიკური დაცვის სისტემისა და მისი ეფექტურობის შეფასებისთვის. დამრღვევთა მოდელის ქვეშ იგულისხმება ცნობების ერთობლიობა დამრღვევთა რაოდენობის, აღჭრუვის, მომზადების, გათვითცნობიერებისა და მოქმედებების ტაქტიკის, მათი მოტივაციისა და მათ მიერ დასახული მიზნების თაობაზე. დამრღვევის მოდელი ასევე განსაზღვრავს

[19] Stanton Samenow. Inside the Criminal Mind. 368pp. 2014

დამრღვევთა კატეგორიებს (ტიპებს), რომლებიც შეიძლება ზეგავლენას ახდენდნენ თითოეული კატეგორიის დამრღვევთა მოქმედებების ობიექტსა და მოტივებზე[20].

დამრღვევთა თითოეულ კატეგორიას აქვს მისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების განხორციელების მიზანი, მოტივი, ცოდნა, უნარებისა და ჩვევების (ხერხების) ერთობლიობა. ასევე უნდა აღინიშოს ის, რომ დამრღვევის მოდელში შედის დამრღვევთა შესაძლო მოქმედებების ტიპური სცენარები, რომლებიც აღწერენ ჯგუფებისა და ცალკეული დამრღვევების მოქმედებების თანამიმდევრობას (ალგორითმს), მათი მოქმედებების ხერხებს თითოეულ ეტაპზე.

განსახილველი პრობლემის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ დამრღვევის მოდელი მუშავდება ობიექტისთვის საფრთხის ანალიზის საფუძველზე და ერთ-ერთი მეთოდოლოგიური საფუძვლის სახით გამოიყენება ცნება „საბაზო საპროექტო საფრთხე“, რომლის ქვეშაც იგულისხმება სოციალური დამრღვევის თვისებები და მახასიათებლები, რომელთაც შეეძლოთ ეცადათ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებები. შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო მოქმედების საფრთხის დახასიათება განაპირობებს დამრღვევთა კატეგორიებსაც (ტიპებს), ამიტომაც პოტენციური დამრღვევის დახასიათება შეესაბამება მართლსაწინააღმდეგო მოქმედების საფრთხის აღწერას.[21]

ამ დებულებების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დამრღვევთა თითოეული კატეგორიას მათი მიზნების, მოტივაციისა და ა.შ. ხასიათის შესაბამისად ექნება ქცევისა და გამოხატული მდგომარეობის გარკვეული ფორმები მართლსაწინააღმდეგო მოქმედების მცდელობის (განხორციელების) დროს. პრაქტიკულად ფასეულს წარმოადგენს ისიც, რომ დამრღვევის მოდელში განიხილება მოქმედებების სცენარები (მოქმედებების ალგორითმი და ხერხი), რომელთა ანალიზიც საშუალებას იძლევა გამოიყოს დამრღვევის ქცევისა და ემოციური მდგომარეობის შესაძლო ფორმების დეტალები, რაც უკავშირდება მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თითოეულ ეტაპს.

მოცემული მიდგომა პსპ-ების ნიშნების გამოყოფის მიმართ დამრღვევის მოდელის კონცეფციაში ფლობს მკაფიო ლოგიკასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას, ის

[20] Ray Bull, Claire Cooke, Ruth Hatcher. Criminal Psychology. 232pp. 2009
[21] John H. Campbell, Don DeNevi. Profilers. 377pp 2010

ასევე კარგად ერწყმის ემოციური მოქმედების ზოგად კანონზომიერებებს, რაც აღწერილია საქმიანობის თეორიით, ეს კი საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნენ ისინი სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე პსპ-ების ქცევისა და ემოციური მდგომარეობის სახასიათო ფორმების გამოყენებისთვის მეთოდოლოგიური საფუძვლების სახით.

მოცემული თვალსაზრისიდან გამომდინარე, აუცილებელია განვიხილოთ სამოქალაქო ავიაციი ობიექტებზე უკანონო ჩარევის აქტების ძირითადი საფრთხეები დამრღვევთა სხვადასხვა კატეგორიის გამოყოფის მიზნით, რომელთაც შეუძლიათ ჩაიდინონ მოცემული სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. დამრღვევების კატეგორიებისა და მათი მოქმედებების შესაძლო ეტაპობრივი სცენარების ანალიზის საფუძველზე უჩა-ს მცდელობისა და განხორციელების დროს შესაძლებელი ხდება პოტენციურად საშიში პირების ნიშნების აღწერა.

მოცემული ნაშრომის ჩარჩოებში განხილულია უკანონო ჩარევის აქტების ის სახეები, რომელთა თავიდან აცილებაზეც არის მიმართული სუს-ის თანამშრომლების საქმიანობა სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე კონტროლ-შემოწმების ღონისძიებების ტექნოლოგიურ მონაკვეთებში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საჰაერო ხომალდის გატაცება, დაკავება და აფეთქება წარმოადგენს ყველაზე მეტ საშიშროება სა-ს ობიექტებისთვის. ზ/ა ინციდენტებისას სტამბულისა და დომოდედოვოს აეროპორტებში მომხდარი უკანონო ჩარევის აქტი, როცა თვითმკვლელმა-ტერორისტმა (ტერორისტებმა) თავი აიფეთქა აეროპორტის საზოგადოებრივ ზონაში, გამოაშკარავდა ისეთი საფრთხე, როგორიც სუიციდური ტერაქტი აეროპორტის ტერიტორიაზე.

განვიხილოთ შემდეგი უკანონო ჩარევის აქტები, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების ზოგადი სტრუქტურისა და მოქმედებების შესაძლო ეტაპების კუთხით პოტენციურად საშიში პირების ნიშნების გამოსაყოფად:

- საჰაერო ხომალდის დაკავება და გატაცება
- საჰაერო ხომალდის აფეთქება
- აფეთქება აეროპორტის ტერიტორიაზე.

საჰაერო ხომალდის დაკავება და გატაცება არის უჩა-ს სახე, რომელიც მიმართულია თვითმფრინავის დაკავებასა ან/და შემდგომ გატაცებაზე. ამასთან ჰიპოთეზა რომ წარმოვიდგინოთ საჰაერო ხომადლის დაკავება შეიძლება მოხდეს მიწაზე შემდგომი გატაცების გარეშეც.

უკანონო ჩარევის აქტის განსახილველი სახე, როგორც წესი, სრულდება პოლიტიკური, მატერიალური, რელიგიური მოტივაციის საფუძველზე. მოცემული სახის უჩა-ს ჩამდენი პირები ხშირად მოქმედებენ დამოუკიდებლად ან რომელიმე პოლიტიკური ან რელიგიური ხასიათის ორგანიზაციის, გაერთიანების სახელით. ადრე (გასული საუკუნის 70-80-იან წლებში) მოცემული სახის უჩა, ძირითადად, ხორციელდებოდა მარტოხელა ტერორისტების მიერ მატერიალური მოტივაციის (ან პოლიტიკური და მატერიალური მოტივაციის შერწყმის) საფუძველზე. ხშირად ესენი იყვნენ რელიგიური ფანატიკოსები, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ან ავადმყოფი ადამიანები, რომლებიც „განაწყენებული“ იყვნენ ხელისუფლებაზე და ა.შ. ამჟამად მოცემული სახის ტერაქტი სრულდება მოქმედი ტერორისტული (კრიმინალური) სტრუქტურების წევრი-ტერორისტების მიერ.[22]

საჰაერო ხომალდის დაგეგმილი დაკავება და გატაცება უნდა დაიგეგმოს ჯეროვნად. მოცემული უჩა-ს საფუძველში დევს შემსრულებლის ხისტი მიზანმიმართული მოქმედებები. საჰაერო ხომალდის დაკავებისა და გატაცების დროს პრაქტიკულად ყოველთვის გამოიყენება იარაღი. ტერორისტების აქტიური მოქმედებები მოდის იმ პერიოდზე, როცა თვითმფრინავი იღებს საშტატო ფრენის სიმაღლეს. დამნაშავეების მიერ მოცემული უჩა-ს განსახორციელებლად აუცილებელია თვითმფრინავის ბორტზე საგნების ან/და ნივთიერებების ატანა, რომელთა გამოყენებაც მოხდება სხ-ს გასატაცებლად.

მოცემული სახის უჩა-ს დახასიათებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანს სუს-ის სამსახურებისთვის ამ სახის უჩა-ს თავიდან აცილების მიზნით წარმოადგენს ფრენისწინა შემოწმების პერიოდი, რომელიც ასევე განიხილება, როგორც მართლსაწინააღმდეგო მოქმედების მნიშვნელოვანი სტრუქტურული კომპონენტი. მოცემულ მომენტში პოტენციურმა ტერორისტებმა უნდა განახორციელონ საშიში

[22] UNITED NATIONS OFFICE ON DRUGS AND CRIME. Transport-related (civil aviation and maritime) Terrorism Offences. 151pp Viena 2014

საგნების გატანა გაფრენისწინა შემოწმების ზონიდან. ამ მოქმედებების განხორციელების დროს ეს დამრღვევები ინსტიქტურად განიცდიან ძლიერ ღელვას, რაც განპირობებული დაგეგმილი უჩა-ს ხასიათით. ამ პირებს შეუძლიათ გარკვეული ემოციური ზეწოლის განხორციელება სუს-ის თანამშრომლებზე, რამდენადაც დამნაშავეები, რომლებიც მოცემულ უჩა-ს ახორციელებენ, საკმაოდ ძლიერი ნებისყოფის ადამიანები არიან. ეს ფაქტი ასევე განპირობებულია ძალიან ძლიერი მოტივაციის არსებობით ამ უჩა-ს განსახორციელებლად.

საჰაერო ხომალდის დაგეგმილი დაკავება და გატაცება არსებითად ძალიან ძლიერ აგრესიულ ქმედებას წარმოადგენს, ამიტომაც ტერორისტის პოტენციური მდგომარეობის დომინირებადი ემოცია იქნება აგრესია, როგორც ყველაზე შესაბამისი მოცემულ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასთან. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ აგრესიის მაქსიმალური გამოვლენა (აქტივიზაციის პიკი) თეორიულად მოდის სხ-ის გატაცების მომენტზე. შესაბამისად, მომზადება, მათ შორის ემოციურიც ასეთი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების მიმართ, მიმართული იქნება აგრესიული განწყობის (მდგომარეობის) ჩამოყალიბებაზე.

ასევე უნდა აღინიშნოს უჩა-ს ამ სახეებში ემოციურად არასრულფასოვანი და ავადმყოფი პირების მონაწილეობის მნიშვნელოვანი პროცენტი, რაც ასევე განაპირობებს აგრესიის მდგომარეობის გამოვლინების შესაძლებლობას შემოწმების გავლის დროს. ამავე დროს სტრესი შეიძლება არ იყოს გამოხატული პირების ემოციური საბაზო მდგომარეობების ცვლილებებით.

ამდენად, შეიძლება გამოიყოს მოცემული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ისეთი ძირითადი სტრუქტურული კომპონენტები, როგორიცაა გატაცების ძალისმიერი მოქმედებები და საშიში საგნების (ნივთიერებების) თვითმფრინავის ბორტზე გატანის აუცილებლობა. ამის შესაბამისად გამოვყოფთ განრისხების (აგრესიის) ემოციას და აგრესიულ ქცევას და ასევე პოტენციური დამრღვევის სტრესულ მდგომარეობას, როგორც მოცემული უჩა-ს განხორციელების სქემის შესაბამისს. რამდენადაც მოცემული უჩა საკმაოდ ხშირად ხორციელდება ალკოჰოლური (ნარკოტიკული) თრობის მდგომარეობაში, აუცილებელია გავითვალისწინოთ ეს მდგომარეობები, როგორც ერთ-ერთი დამახასიათებელი ამ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების განხორციელების დროს.

პრაქტიკა ასევე გვიჩვენებს, რომ ისეთი უჩა, როგორიცაა სხ-ს დაკავება და გატაცება, რჩება რა აქტუალური, იგი მაინც უთმობს ადგილს ტერორისტული ხასიათის მიზანმიმართულ მოქმედებებს - სხ-ის ჰაერში აფეთქებას. ასეთი ინციდენტები სამწუხაროდ ბევრია, როგორიცაა; 21.12.1988 წელი ავიაკომპანია Pan American რეისი PA103, უფრო ახლო ისტორია, დომოდედოვოს აეროპორტიდან 24.08.2004 წ. აფრენილი თვითმფრინავის ბორტზე მომხდარი აფეთქება ტერორისტი-თვითმკვლელების მიერ და ა.შ.

როგორც წესი, ამ სახის „უჩა“ წარმოადგენს ტერორისტული სტრუქტურების მიერ განსახორციელებელის ხანგრძლივი მომზადების შედეგს. ამიტომაც შემსრულებლებს გააჩნიათ საკმაოდ კარგი მომზადება ამ უჩა-ს დარღვევის ძირითადი მოდელის შესაბამისად. ჰაერში (მიწაზე) სხ-ის აფეთქება შეიძლება მოხდეს ტერორისტ-თვითმკვლელების დახმარებით, ასაფეთქებელი მოწყობილობის თვითმფრინავში, მაგალითად, მგზავრთა ბარგში ჩადების მეშვეობით. ამასთან, მგზავრები (შემსრულებელი) შეიძლება ინფორმირებულნი იყვნენ, რომ მათ გადააქვთ საშიში საგანი (ნივთიერება), მაგრამ არ იცოდნენ მისი ჭეშმარიტი საფრთხის შესახებ რეისისა და მგზავრებისთვის ან აბსოლუტურად არ იყვნენ საქმის კურსში იმის თაობაზე, თუ რა საფრთხეს წარმოადგენენ ისინი.

პოტენციურად საშიში პირების ამ კატეგორიას ექნება სრულიად განსხვავებული ქცევა და ემოციური მდგომარეობა, რამდენადაც ამ უჩა-ში მათი მონაწილეობის როლი და სქემა იქნება განსხვავებული. ასე, მაგალითად, ტერორისტი-თვითმკვლელები, რომლებმაც იციან თვითმფრინავის ბორტზე ტერაქტის განხორციელებაში თავიანთი როლის შესახებ, გამოავლენენ სახასიათო გარეგნულ ნიშნებს ქცევებსა და ემოციურ მდგომარეობაში, რაც დამახასიათებელის სპეციალურად მომზადებული თვითმკვლელებისთვის.

ბარგში პოტენციურად საშიში საგნებისა და ნივთიერებების გატანა, რომელთა პირდაპირი დანიშნულებაც ცნობილია მათი გადამტანი პირებისთვის, კონტროლსა და შემოწმების დროს გამოხატული იქნება დაძაბული ქცევა სტრესის, შფოთვის ელემენტებით. ამასთან, შესაძლოა ყალბი ქცევა და მანიპულაცია.

პოტენციურად საშიში პირები, რომლებიც არ არიან ინფორმირებული თავიანთ ბარგში საშიში საგნების არსებობის შესახებ, მოიქცევიან აბსოლუტურად ბუნებრივად აფრენისწინა შემოწმების ღონისძიების დროს.

ამდენად, სხ-ის აფეთქების საფრთხე მოცემული მართლსაწინააღმდეგო მოქმედების განხილული სტრუქტურის შესაბამისად გამოიხატება ქცევისა და ფსიქოემოციური მდგომარეობის თავისებურებების ფორმებში, რომელიც დამახასიათებელია ტერორისტი-თვითმკვლელის მოქმედებების სქემისთვის და ასევე იმ პირთა ემოციებსა და ქცევის თავისებურებებში, რომლებიც არ არიან ინფორმირებული უჩა-ში მათი მონაწილეობის შესახებ.

ისეთი უჩა-ს საფრთხეს, როგორიცაა აფეთქება აეროპორტის კომპლექსის ტერიტორიაზე, ექნება თავისი განმასხვავებელი თავისებურებებიც. მოცემული სახის უჩა შეიძლება განხორციელდეს ტერორისტი-თვითმკვლელის მონაწილეობის მეშვეობით და ასევე ასაფეთქებელი მოწყობილობის აეროპორტის ტერიტორიაზე ჩადების გზით. ტერორისტმა-თვითმკვლელმა შეიძლება იცოდეს აფეთქების შესახებ ან აფეთქება შესაძლოა განხორციელდეს იმ პირის გამოყენების დროს, რომელიც არაა ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ ის თვითმკვლელია.

ამიტომაც მოცემული საფრთხისთვის ჩვენ განვიხილავთ ქცევისა და ემოციური მდგომარეობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა სუიციდური ტერორისტის შესაბამისი, პირის, რომელიც არაა ინფორმირებული სუიციდურ ტერაქტში მისი მონაწილეობის შესახებ და ასევე პირის რომელიც ახდენს ასაფეთქებელი მოწყობილობის შეტანას აეროპორტის ტერიტორიაზე (ინფორმირებულია და არაა ინფორმირებული ამის შესახებ). უნდა აღინიშნოს სამოქალაქო ავიაციის ობიექტზე დამკვირვებელ-კოორდინატორის ყოფნის შესაძლებლობა სუიციდური ტერაქტების განხორციელების დროს და ასევე პირების, რომლებიც ახორციელებენ დაზვერვის ქმედებებს. აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების რეალიზაციის პროცესს თან ახლავს სხვადასხვა სახის ქცევა და ემოციური მდგომარეობა.

ამდენად, ჩვენ განვიხილეთ პსპ-ების (დამრღვევების) შესაძლო ნიშნები უჩა-ს, როგორც მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების საფრთხის ანალიზის შესაბამისად, რასაც გააჩნია თავისი სახასიათო თავისებურებები. მოცემული თავისებურებები, კერძოდ კი, დაგეგმილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ზოგადი სტრუქტურა

განსაზღვრავს რა ემოციური აქტიურობის კანონზომიერებებს, ახდენს დეტერმინირებად გავლენას რიგი ნიშნის წარმოქმნაზე.

აუცილებელია ხაზი გაესვას პსპ-ების ნიშნების, როგორც არა მხოლოდ ქცევის გარეგნულად გამოვლენადი კანონზომიერი თავისებურებების, არამედ როგორც დანაშაულის მაიდენტიფიცერებელი პირის ემოციური მდგომარეობების კანონზომიერი თავისებურებების გაგების მნიშვნელობასაც. რამდენადაც მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების ჩამდენ პირთა ემოციურ მდგომარეობას ძალაუნებურად თან ახლავს მართლსაწინააღმდეგო განზრახვის რეალიზაციის ყველა შესაძლო ეტაპი. დანაშაული ეს არაა მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედებების ერთობლიობა, არამედ ეს არის პირთა ემოციური მდგომარეობების ერთობლიობაც.[23]

ზ/ა ადასტურებს პოტენციური სამართალდამრღვევების ქცევითი მდგომარეობის ანალიზს, როგორც დანაშაულის (მართსალწინააღმდეგო ქმედების) იდენტიფიკაციის საშუალებას და კიდევ ერთხელ ადასტურებს პსპ-ების (დამრღვევის) ნიშნების კავშირს მართსალწინააღმდეგო მოქმედების ხასიათთან. ამის შესაბამისად, რომელიმე პირის დაფიქსირებული ემოციური მდგომარეობის (მდგომარეობათა კომპლექსის) მიხედვით შეგვიძლია გამოვავლინოთ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების (უჩა) პოტენციური საფრთხე, ხოლო მართლსაწინააღმდეგო მოქმედების საფრთხის ანალიზის დროს შესაძლებელია აღწერილ იქნეს დამრღვევის ემციური მდგომარეობის და ქცევის შესაძლო პროფილები.

ინდიკატორთა სისტემის შემუშავების მიზნით, რომლის მეშვეობითაც მოხდება პოტენციურად საშიში პირების გამოვლენა, ასევე აუცილებელია განხილულ იქნეს მათი შესაძლო კატეგორიები სამოქალაქო ავიაციის ობიექტებისთვის უკანონო ჩარევის აქტის საფრთხის შესაბამისად.

როგორც უნდა აღინიშნოს, პოტენციურად საშიში პირების ყველა კატეგორია არაა ინფორმირებული უკანონო ჩარევის აქტის განხორციელებაში მისი უშუალო მონაწილეობის შესახებ. ამასთან, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფაქტორი „ინფორმირებულობა“ და „არაინფორმირებულობა“ არსებითად ახდენს გავლენას

[23] Megan Moore. Psychological Theories of Crime and Delinquency. Journal of Human Behavior in the Social Environment, 226–239pp. USA University of California at Berkeley 2011

პოტენციურად საშიში პირების ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაზე.[24] პოტენციურად საშიში პირების კატეგორიების განხილვა მათი ინფორმირებულობის ან არაინფორმირებულობის საფუძველზე საშუალებას იძლევა მივიღოთ უფრო ფართო წარმოდგენა მათი ნიშნების შესახებ.

მოცემული ნიშნების გამოსაყოფად მივმართოთ კლასიფიკაციას, რომელიც ყოფს სამოქალაქო ავიაციის ობიექტების მგზავრებსა და სტუმრებს (და სხვა) პროფილებად ტექნოლოგია „პროფაილინგის“ მეშვეობით, რომლის მოკლე დახასიათებაც მოყვანილია პარაგრაფში 1.1.

მოცემული კლასიფიკაცია შემუშავებულ იქნა სამოქალაქო ავიაციის ობიექტების მუშაობაში უკანონო ჩარევის აქტის განხორციელების მხრივ ტერორისტული სტრუქტურების შესაძლო მოქმედებების ანალიზის საფუძველზე. ამჟამად ამ კლასიფიკაციის პრაქტიკული ფასეულობა დასტურდება სუს-ის საქმიანობით პოტენციურად საშიში პირების გამოსავლენად. სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე გამოვლენილი პოტენციურად საშიში პიროვნები (მგზავრი და სხვა) უმეტესწილად განეკუთვნებიან აღნიშნულ პროფილებს.

ასე, მაგალითად, რეისის საფრთხის თვალსაზრისით და ასევე პროფაილინგის ტექნოლოგიების შესაბამისად ყველა მგზავრი და სტუმარი პირობითად იყოფა ორ ჯგუფად (ან პროფილად): უსაფრთხო და პოტენციურად საშიში (ნახ.1).

უსაფრთხო მგზავრი (სტუმარი) - პირი, რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს რეისისთვის გარეგნობაში, ქცევაში, ბარგსა და სამგზავრო დოკუმენტებში ნეგატიური ნიშნების გამოვლენის კუთხით.

პოტენციურად საშიშ მგზავრში (სტუმარში) დაფიქსირებულ იქნა საეჭვო ნიშნები, რომლებმაც კონტროლ-შემოწმების პროცედურების დროს მიიღეს ნეგატიური დასტური.

პოტენციურად საშიში მგზავრები (სტუმრები) დავყოთ ინფორმირებულებად და არაინფორმირებულებად. პროფაილინგის ტექნოლოგიის მიხედვით განსხვავება მოცემულ ორ ჯგუფს შორის მდგომარეობს პიროვნების (მგზავრის და სხვა) მიერ საფრთხის გაცნობიერებაში, რომელიც შეიძლება მან მიაყენოს მოცემულ სიტუაციას

[24] Joe Navarro, Toni Sciarra Poynter. Dangerous Personalities. 256pp USA 2018

ანუ მის ინფორმირებულობაში მისივე მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების ხარისხის შესახებ.



ნახ.1 ძირითადი პროფილები

აღნიშნული პროფილების წარმომადგენლების თავისებურებების გამოსავლენად აუცილებელია თითოეული ჯგუფისა და პოტენციურად საშიში პირების შესაძლო მოქმედებების მოკლე დახასიათების წარმოდგენა. პროფილის აღწერაში ჩადებულია არა მხოლოდ ინფორმირებულობის პრინციპი, არამედ წარმოდგენილია დასაგეგმი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ზოგადი ხასიათიც;

1. არაინფორმირებული ტერორისტები იყოფიან სამ ჯგუფად: „გულუბრყვილო“, „ნაწილობრივ გულუბრყვილო“, გაჩალიჩებული. „გულუბრყვილო ტერორისტის“ პროფილი ხასიათდება შემდეგი სახით. „გულუბრყვილო ტერორისტები“ არ წარმოადგენენ ტერორისტული ორგანიზაციების წევრებს და ფორმალურად

არანაირად არ არიან მათთან კავშირში. პირთა ამ ჯგუფმა არ იცის, რომ ჩართულია დანაშაულებრივ საქმიანობაში და ასევე არაა ინფორმირებული მის ბარგში (ნივთებში) პოტენციურად საშიში საგნების ან ნივთიერებების არსებობა, რომელიც საფრთხეს უქმნის რეისსა მგზავრებს ან/და სხვას. „გულუბრყვილო“ ტერორისტებს შეიძლება გადაჰქონდეთ სხვისი ბარგი (ნივთი), რომელშიც ასევე არის აკრძალული საგნები (ნივთები).

„გულუბრყვილო ტერორისტის“ პროფილი ძალიან მნიშვნელოვანია უჩა-ს თავიდან ასაცილებლად, რამდენადაც პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პირთა ამ ჯგუფს საკმაოდ ხშირად ეკისრება ტერორისტული და კრიმინალური დაჯგუფებების მიერ საშიში ნივთიერებებისა და საგნების გადატანა.

2. „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტები“ არ წარმოადგენენ ტერორისტული ორგანიზაციის წევრებს. ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა იციან (ან ეჭვობენ), რომ არღვევენ კანონს, მაგრამ არ არიან ინფორმირებული იმის შესახებ, რომ თავიდანვე მათ ქმედებებს მართავენ ტერორისტული ორგანიზაციები. როგორც წესი, მათ გადააქვთ აკრძალული საშიში საგნები (იარაღი, ნარკოტიკები) გასამრჯელოს სანაცვლოდ. ამ პირებს ბარგში (ნივთებში) შეიძლება ჰქონდეთ ასაფეთქებელი მოწყობილობები. არ არიან რა ინფორემირებული ამის შესახებ. „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტებს“ ხშირად გადააქვთ თავიანთი ბარგით მათთვის უცნობი პირების გზავნილები და ამანათი. ეჭვობენ რა, რომ მათი ქმედებები წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგოს, „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტები“, რომელთაც ამოძრავებთ ანგარების მოტივაცია მაქსიმუმ ძალისხმევას იყენებენ, რომ განახორციელონ ჩანაფიქრი.
3. პროფილი „გაჩალიჩებული ტერორისტი“ შემდეგ სახასიათო შტრიხებს მოიცავს: მოცემული ჯგუფის პირები, შესაძლოა, იყვნენ ტერორისტული ორგანიზაციების წევრები (ან აქტიურად თანამშრომლობდნენ მათთან). ასევე მათ, ანაზღაურების სანაცვლოდ ან სოლიდარობის გრძნობიდან გამომდინარე, გადააქვთ აკრძალული საგნები და ნივთიერებები. ასეთი ტერორისტები ხშირად გამოიყენებიან ტერორისტული და კრიმინალური სტრუქტურების მიერ იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობების და ა.შ. გადასატანად, მაგრა მათ ამოცანაში არ შედის მათი გამოყენება. როგორც წესი, ეს პირები არ არიან ინფორმირებული მათ მიერ გადასატანი საშიში საგნებისა და ნივთიერებების საფრთხის თაობაზე. მათ

ბარგში (ნივთებში) შეიძლება ჰქონდეთ ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელსაც აქვს ფრენისას ამოქმედების შესაძლებლობა. მოცემული პირები კარგად ხვდებიან, რომ ახორციელებენ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებს, მაგრამ ამასთან ერთად, ისინი არ არიან ინფორმირებული რეისისა და მგზავრებისთვის მისი რეალური საფრთხის ანუ უჩა-ში მისი მონაწილეობის შესახებ.

ინფორმირებული ტერორისტები ანუ ისინი, რომლებმაც იციან მათი საფრთხის შესახებ რეისისთვის, იყოფა „არასუიციდურ (ტერორისტი)“ და „სუიციდურ ტერორისტებად (თვითმკვლელი-ტერორისტები)“. ძირითადი განსხვავება არასუიციდურ და სუიციდურ ტერორისტებს შორის მდგომარეობს ტერაქტის განხორციელების შემდეგ უკან დახევის სქემის არსებობასა ან არარსებობაში. სუიციდური ტერორისტებისთვის (თვითმკვლელი-ტერორისტი) უკან დახევის სქემა ტერაქტის განხორციელების შემდეგ არაა გათვალისწინებული.

„არასუიციდური ტერორისტები“ ხშირად წარმოადგენენ მოქმედ ტერორისტული ორგანიზაციების წევრებს, მაგრამ ასევე გვხვდება „მარტოხელა ტერორირსტებიც“, რომლებიც გამოდიან საკუთარი სახელით რაიმე მოთხოვნით. ამა თუ იმ პირთა მოტივაციის საფუძველს შეადგენს პოლიტიკური, რელიგიური და ანგარების ინტერესები.

„ტერორისტთა“ ტაქტიკა გამოირჩევა კარგად დაგეგმილი და ჯგუფური მოქმედებების ხასიათით. დამნაშავეთა მოცემული ჯგუფი ორიენტირებულია სხ-ის დაკავებაზე, გატაცებასა და მძევლების აყვანზე იარაღისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებით. როგორც წესი, თვითმფრინავის გატაცებისა და მძევლებად მგზავრების, ეკიპაჟის აყვანის შემდეგ ხდება რიგი მოთხოვნის წამოყენება მძევლების სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ. „ტერორისტთა“ მოქმედებები ხშირად ატარებს სქემატურ და პრიმიტიულ ხასიათს, მაგრამ გამოირჩევა მაღალი აგრესიულობითა და სიხისტით მძევლებთან მიმართებაში.

ტერორისტები წარმოადგენენ განსაკუთრებულ საფრთხეს სამოქალაქო ავიაციის ობიექტებისთვის. როგორც წესი, ისინი სათანადოდ არიან მომზადებულები და კარგად გაწვრთნილები. პირთა მოცემული ჯგუფი გამოირჩევა მკაფიოდ გამოხატული მოტივაციით და საკუთარი ქმედებების და ასევე მათი შედეგების

გაცნობიერებით. ტერორისტებს ახასიათებთ დამაჯერებელი ქცევა და ძლიერი ნებელობითი კონტროლი.

„სუიციდური ტერორისტები“ ხშირად გამოდიან ტერორისტული ორგანიზაციების სახელით ან ირიბად უკავშირდებიან მათ. ტერაქტის ჩადენისთვის ისინი გადიან სპეციალურ მომზადებას (რელიგიურ და ფსიქოლოგიურ დამუშავებას). „სუიციდური ტერორისტების“ ტაქტიკა შედგება ჰაერის თვითმფრინავის ბორტზე ან სამოქალაქო ავიაციის ობიექტის ხალხმრავალ ადგილას აფეთქების განხორციელებაში.

ამდენად, ზემოთ განხილული იყო პოტენციურად საშიში პირების ნიშნების წარმოქმნის საკითხები უჩა-ს ძირითადი საფრთხეების, დამრღვევის მოდელის კონცეფციაში თეორიული მიდგომის ანალიზის საფუძველზე და ასევე პროფაილინგის ტექნოლოგიაში პსპ-ების პროფილის შესწვალის გზით.

პოტენციურად საშიში პირების ნიშნების წარმოქმნის კანონზომიერება წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1.

პსპ-ების ნიშნების წარმოქმნა უჩა-ს ხასიათისა და სტრუქტურის განხილვის საფუძველზე

უკანონო ჩარევის აქტი	**პსპ/დამრღვევები (პროფილი)**	**მოქმედების სტრუქტურული კომპონენტები**	**პსპ-ების ნიშნები**

სხ-ს დაკავება/გატაცება	ტერორისტი- თვითმკვლელები (პროფილი „ტერორისტი“). ტერორისტები - ტერორისტული ორგანიზაციების წევრები(პროფილი „ტერორისტი“)	მომზადება სხ-ის ძალისმიერად გასატაცებლად. სხ-ზე იარაღისა და სხვა საშიში, აკრძალული საგნების ატანა. მოქმედებების კოორდინაცია შესაძლო თანამზრახველებთან. ალკოჰოლური/ნარკოტიკული პრეპარატების გამოყენება	აგრესია სტრესი ალკოჰოლური/ ნარკოტიკული თრობა
სხ-ის აფეთქება	ტერორისტი- თვითმკვლელი (პროფილი“სუიციდუ- რი პროფილი“) პირები, რომლებიც არ არიან ინფორმირებული ტერაქტში მონაწილეობის თაობაზე („გულუბრყვილო ტერორისტი“). პირები,რომლებიც არ არიან ინფორმირებული ბარგში ამ-ს არსებობის შესახებ („ყალბი“, „ნაწილობრივ გულუბრყვილო“)	სავარაუდო ტერაქტის ადგილას (სხ) მოხვედრის სურვილი/აუცილებლობა. კოორდინაცია უფროსობასთან (თანამზრახველებთან). წარმოადგენენ ტერორისტული/ კრიმინალური სტრუქტურების ობიექტებს (მოქმედებები დასახულია ტერაქტის ორგანიზატორის მიზნებით). აკრძალული საგნების/ ნივთიერებების ატანა სხ-ის ბორტზე. სუს-ის თანამშრომლების მოტყუების, შეცდომაში შეყვანის მცდელობა	განდგომილობა, შიშის უქონლობა, კონცენტრაცია მიზანზე და ა.შ. ქცევაში სახასიათო ნიშნების გარეშე. სტრესი, შიში, შფოთვა
	ტერორისტი- თვითმკვლელები („სუიციდური ტერორისტი“)	სუს-ის, პოლიციის პოსტების გავლა. ტერაქტის ადგილას (მოსაცდელი დარბაზი)	განდგომილობა და ა.შ.

		მოხვედრის აუცილებლობა.	
აფეთქება აეროპორტის ტერიტორიაზე	პირები, რომლებიც ახორციელებენ დაზვერვას. კოორდინატორი-დამკვირვებლები. პირები, რომლებიც არ არიან ინფორმირებული ტერაქტში მათი მონაწილეობის შესახებ („გულუბრყვილო ტერორისტი“)	შესაძლო კოორდინაცია თანამზრახველებთან ობიექტის დათვალიერება. ინტერესის გამოჩენა კონტროლის ღონისძიებების მიმართ. ფარული დაკვირვება ობიექტზე. პოტენციური თვითმკვლელის კონტროლი, შესაძლოა მისი აფეთქება. მოქმედებები ტერაქტის ორგანიზატორისგან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად.	შფოთვა, სიფრთხილე, ცრუ ქცევა და ა.შ. შიში, დაძაბულობა, ფარული ქცევა, ფარული კონტაქტი, სუს-ისთვის, პოლიციისთვის თავის არიდება და ა.შ. ქცევის მოცემული სქემა, გაწეული მანიპულაციის გარე ნიშნები

ზ/ა ცხრილის ანალიზის შედეგად შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ცხრილში შეჯერებულია უჩა-ს პსპ-ების (დამრღვევების) საფრთხე და პროფილები ნიშნების გამოყოფის მიზნით (პროფაილინგში პსპ-ების კლასიფიკაცია ხდება უჩა-ში მათი ჩართულობის საფუძველზე და არა უჩა-ს საფრთხის მიხედვით).
2. ცხრილის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ ურთიერთკავშირი უჩა-ს ანალიზიდან ნიშნის მიმართ (დაფიქსირებული ნიშნის მიხედვით შესაძლებელია ობიექტზე უჩა-ს მომზადება/განხორციელების საფრთხის გამოვლენა).

3. პსპ-ების ნიშნების გამოყოფა პოტენციურად საშიში მგზავრებისა და სტუმრების გამოსავლენად კონტროლის ღონისძიებების დროს მიზანშეწონილია განხორციელდეს ნიშნების, უჩა-ს მომზადებისა და განხორციელების სტრუქტურულ ელემენტებთან სისტემური კავშირის საფუძველზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უჩა-ს, როგორც საფრთხის ანალიზი, თეორიული კუთხით ემთხვევა მიდგომას დამრღვევის მოდელში. საფუძველში დევს საქმიანობის, მისი ზოგადი კანონზომიერებების და შესაბამისად, მსგავსი სახის საქმიანობის განხორციელებაზე პოტენციურად მიმართული პირების თავისებურებების განპირობებულობა. დამრღვევის მოდელში აქცენტი კეთდება იმაზე, რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიყოს პოტენციური შემსრულებელი, მისი მოტივები, მიზნები და ქცევა, ანუ მოქმედება განსაზღვრავს ქცევის ძირითად ხასიათს.

პროფაილინგის ტექნოლოგია ასევე ბევრად ემთხვევა მიდგომას დამრღვევის მოდელში. პროფაილინგი ეყრდნობა მომხდარი აქტების კვლევასა და მათ მცდელობას პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის მეთოდის შემუშავების მიზნით ანუ ასევე გამოკვლეულია მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა ობიექტის დაცვის ღონისძიებების შემუშავების მიზნით. ამავე დროს პროფაილინგი ეყრდნობა პირთა დახასიათების პრობლემის ანალიტიკურ კვლევას, რომლებიც პოტენციურად აწარმოებენ უჩა-ს ან იყვნენ რაიმე სახით ჩართულები სა-ს ობიექტზე უჩა-ს განხორციელებაში და ასევე უჩა-ს განხორცელების ხერხის აღწერას ანუ ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს „ვის“? და „როგორ“? შეუძლია უჩა-ს განხორციელება.

პსპ-ების პროფილების დახასიათება პროფაილინგის საფუძველზე განიხილება, როგორც დამრღვევთა კატეგორია დამრღვევის მოდელთან მიდგომის ჩარჩოებში. ამ დასკვნისთვის საფუძველს წარმოადგენს პროფილებში პოტენციურად საშიში პირების დახასიათების, უჩა-ს განხორციელების შესაძლო მეთოდების, ძირითადი მოტივების, უჩა-ს განხორციელებაში ჩართულობის ხერხების არსებობა. ამიტომაც ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ პსპ-ების, როგორც დამრღვევთა პროფილი და გამოვყოთ ნიშნები მათი უჩა-ს (მართლსაწინააღმდეგო მოქმედების) საფრთხესთან პოტენციური კავშირის საფუძველზე. პსპ-ების მართლსაწინააღმდეგო საქმიანობა

პროფილების შესაბამისად ასევე დეტერმინირებულია ქცევითი მოქმედების ზოგადი კანონებით.

ამიტომაც უჩა-ს, როგორც მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ანალიზი საქმიანობის თეორიის, დამრღვევის მოდელისა და პროფაილინგის თვალსაზრისით, პსპ-ების ნიშნების სისტემის დასაბუთების მიზნით, წარმოადგენს ერთიან შეკრულ მიდგომას, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეთოდოლოგიური საფუძველი ნიშნების აღსაწერად.

ამასთან, ჩვენ გამოვყოფთ უჩა-ს, როგორც მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების საფრთხის ანალიზს საქმიანობის თეორიის მიდგომის საფუძველზე, როგორც პსპ-ების ნიშნების გენეზისის საბაზო მეთოდოლოგიური დასაბუთებას. საფრთხეების (მართლსაწინააღმდეგო მოქმედების) შესაძლო სახეცვლილების შესაბამისად მოხდება ნიშნების ცვლილებაც, ამიტომაც ანალიზის საფუძველში ყოველთვის უნდა იყოს საქმიანობის ზოგადი დახასიათება. პსპ-ების დაყოფა პროფილებად პროფაილინგის შესაბამისად ფასდება, როგორც უჩა-ს მომზადებასა და განხორციელებაში ჩართულობის პრინციპის კლასიფიკაციის კერძო შემთხვევა და არა როგორც ფუძემდებლური მიდგომა ნიშნების გამოყოფის მიმართ. პროფაილინგის კლასიფიკაციის საფუძველზე ასევე ხდებოდა პსპ-ების ნიშნების წარმოქმნის პრობელმა უჩა-ს, როგორც მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ანალიზი „ინფორმირებულობა“ და „არაინფორმირებულობის“ ფაქტორის გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანის იმის ხაზგასმა, რომ ასეთი მიდგომა ასაბუთებს ნიშნების გენეზისის ანალიზის მიმართულებას. ნიშნები შეიძლება მერყეობდეს, მაგრამ მათი წარმოქმნის პროცესის ზოგადი გაგება საშუალებას იძლება გამოიყოს ჯგუფები და ნიშნების დინამიკა უჩა-ს საფრთხის თითოეული სახისთვის. პსპ-ების ნიშნების გენეზისის ანალიზისი პროცესი განხილული მიდგომის საფუძველზე წარმოდგენილია ნახ.2.

მოყვანილი აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომის დასაბუთებულობის გათვალისწინებისას პსპ-ების გამოყოფილი ნიშნები მათი გენეზისის კანონზომიერებების საფუძველზე შეიძლება შეფასდეს, როგორც სუს-ის თანამშრომლების საქმიანობისთვის პროფესიულად მნიშვნელოვანი. სუს-ის თანამშრომლებისთვის პრაქტიკულად ფასეულს წარმოადგენს სწორედ წარმოდგენა

უჩა-ს ნიშნების წარმოქმნის ხერხის, უჩა-ს საფრთხესთან მათი კავშირის შესახებ და არა უბრალოდ პსპ-ების ქცევისა და ემოციური მდგომარეობების ზოგიერთი ფორმის სახასიათო თავისებურებების ცოდნა, რომლებიც ახდენდნენ ალბათობის პრინციპით მათი კავშირის იდენტიფიცირებას უჩა-ს მომზადებასა და განხორციელებასთან (მაგალითად, სტრესის, შიში, ყალბი ქცევის გარეგნული ნიშნები).

პსპ-ების გამოვლენის პროცესში მთავარია იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება იყოს დაკავშირებული პიროვნება (მგზავრი და სხვა) შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან და შესაბამისად უჩა-ს საფრთხესთან.

ნახ.2. პსპ-ების ნიშნების წარმოქმნის გენეზისი

ამდენად. პოტენციურად საშიში პირების ქცევითი ნიშნების სისტემის განხილული თეორიული საფუძვლები საშუალებას იძლევა გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. პსპ-ების გამოვლენა ხორციელდება მათი ნიშნების გამოვლენის საფუძველზე, რომელთა შორისაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნია არავერბალურ ნიშნებს, რომლებიც წარმოადგენენ პსპ-ების ქცევისა და ემოციური მდგომარეობების თავისებურებების შედეგს. პსპ-ების გამოვლენის ეფექტურობის ასამაღლებად აუცილებლია ნიშნების დასაბუთებული სისტემა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს უჩა-თან კავშირის მქონე პირების ემოციური აქტიურობის კანონზომიერებებს და

ნიშნების ანუ მათი წარმოქმნისა და განვითარების მიზეზებისა და თავისებურებების გენეზისის ანალიზს.

2. მოცემული ამოცანის გადაწყვეტის მეთოდოლოგიური საფუძვლის სახით მიზანშეწონილია გამოვიყენოთ „საქმიანობის თეორია“[25], რომლის მიხედვით ცნებითი აპარატი და აღწერილი კანონზომიერებები შეესაბამება გადასაწყვეტ პრობლემას. თეორიულად დასაბუთებული დასკვნები პსპ-ების ნიშნების შესახებ, რომელიც გაკეთდა საქმიანობის თეორიის საფუძველზე, ორგანულად ივსება დამრღვევის მოდელსა და პროფაილინგში გამოყენებული მიდგომების დებულებებით, რაც ერთის მხრივ საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ისინი კვლევის საფუძვლის სახით, ხოლო მეორეს მხრივ - ადასტურებს დასკვნების დასაბუთებულობას, რომლებიც წარმოადგენენ პსპ-ების გამოვლენისადმი არსებული მიდგომების მნიშვნელოვან დამატებას.
3. გარკვეული სახის უჩა-თან კავშირის მქონე დამრღვევების თითოეულ კატეგორიას, მათი მიზნების, მოტივაციისა და ა.შ. ხასიათის შესაბამისად ახასიათებს ქცევისა და ემოციური მდგომარეობის გარკვეული ფორმები. დამრღვევთა სხვადასხვა კატეგორიის გამოყოფა, რომლებიც შეიძლება ახორციელებდნენ კონკრეტული სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, შესაძლებელია სამოქალაქო ავიაციის ობიექტებისთვის უჩა-ს საბაზო საფრთხეების განხილვის მეშვეობით. ტექნოლოგია „პროფაილინგში“ გამოყოფილი დამრღვევთა კატეგორიების ანალიზის საფუძველზე ინფორმირებულობისა ხარისხისა და მათი მოქმედებების შესაძლო ეტაპობრივი სცენარების ანალიზის მიხედვით უჩა-ს მცდელობისა და განხორციელების დროს, შესაძლებელი ხდება პსპ-ების ნიშნების გენეზისის აღწერა. მართლსაწინააღმდეგო საქმიანობასთან კავშირის მქონე ადამიანის აქტიურობის კანონზომიერებებიდან გამომდინარე, მოცემული ნიშნები მთლიანობაში დეტერმინირებულია უჩა-ს, როგორც მართლსაწინააღმდეგო მოქმედების და უჩა-ს მომზადებასა და განხორციელებაში ჩართულობის ხასიათით.

[25] Helen Hasan, Alanah Kazlauskas. Activity Theory: who is doing what, why and how. University of Wollongong, Australia 2014

1.3. პოტენციურად საშიში პირების პროფილები

პსპ-ების ნიშნების წარმოქმნის განხილული კანონზომიერებები უჩა-ს, როგორც მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის ხასიათის ანალიზის საფუძველზე იძლევა შესაძლებლობას უფრო დეტალურად იქნეს აღწერილი მგზავრებისა და სტუმრების სხვადასხვა პროფილი პროფაილინგში, საფუძვლის „ინფორმირებულობა-არაინფორმირებულობის“ მიხედვით ანუ ჩნდება შესაძლებლობა გამოიყოს და აღწერილ იქნეს პსპ-ების თითოეული პროფილის თავისებურებები, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „პსპ-ების არავერბალური პროფილი“. პსპ-ების არავერბალური პროფილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანის ქცევისა და ემოციური მდგომარეობის დასაშვები მოდელი, რომელიც გარკვეულწილად ჩართულია უჩა-ს მომზადებასა თუ განხორციელებაში, რაც მოიცავს შესაბამისი ურთიერთდაკავშირებული ნიშნების კომპლექსს.

არავერბალური პროფილი შედგება შემდეგი სტრუქტურული კომპონენეტებისგან:

1. მნიშვნელოვანი ფაქტორების: “ინფორმირებულობა“, „მოტივაცია“, „ბრალეულობა“, „მიზნები“ და ასევე ობიექტზე უჩა-ს მომზადებისა და განხორციელების სიტუაციის გავლენისა და ტერორისტული და კრიმინალური სტრუქტურების შესაძლო მანიპულაციური ზემოქმედების ზეგავლენის ხასიათი.
2. უჩა-ს მომზადების (განხორციელების) დროს პსპ-ების შესაძლო ემოციური მდგომარეობისა და ქცევის თავისებურებების აღწერა.
3. ქცევის ფორმებისა და მოცემული ემოციური მდგომარეობების გარე გამოვლინებები.

არავერბალური პროფილის ძირითადი მახასიათებელი იქნება პოტენციურად საშიში პირის, როგორც ადამიანის რეაქციის (თანხმლები რეაქციის) მნიშვნელოვანი მაჩვენებლის შესაძლო ემოციური მდგომარეობა განხორციელებად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაზე. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პსპ-ების ნიშნების დინამიკა სა-ს ობიექტზე კონტროლ-შემოწმების პროცედურების გავლის მომენტში.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის პროფილირების მეთოდი საკმაოდ აქტიურად გამოიყენება აშშ-ში სასამართლო ექსპერტიზის მიერ დამნაშავის ანალიტიკური პროფილის შედგენის მიზნით[26]. მოცემული მიდგომა ეყრდნობა დამნაშავის პროფილის აღწერას ჩადენილი დანაშაულის ხასიათის საფუძველზე. არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ექსპერტი წარმოადგენს პირთა შტრიხებს, რომლებიც პოტენციურად უნარის მქონენი არიან მსგავსი დანაშაულების განსახორციელებლად. ესაა, მაგალითად, სოციალური მახასიათებლები, ასაკი, მატერიალური მდგომარეობა, სექსუალური მიდრეკილებები, IQ დონე და ა.შ.

მთლიანად მოცემულ მეთოდში ასევე ჩანს წინა პარაგრაფში განხილული მიდგომა პსპ-ების (დამრღვევების) თავისებურებების გამოყოფის მიმართ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების სტრუქტურის დახასიათების საფუძველზე. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ჩვენს მიერ არავერბალური პროფილების აღწერა პროფაილინგის კლასიფიკაციის საფუძველზე დაეყრდნობა სწორედ პსპ-ების ქცევისა და ემოციური მდგომარეობის შესაძლო ფორმებს და არა ზოგად სოციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. ამასთან, პსპ-ების სხვა მახასიათებლები გამოიყენებული იქნება ისეთი პროფილის ნიშნების აღწერის საფუძველი, როგორიცაა „სუიციდური ტერორისტი“.

ნამუშევარში წარმოდგენილ არავერბალური პროფილების შემუშავების პრინციპს გააჩნია არსებითი განსხვავება ზოგადი პროფილირების მეთოდისგან და ეყრდნობა აქტიურობის ზოგად კანონზომიერებებს მართლსაწინააღმდეგო მოქმედების განხორციელების დროს. აქედან გამომდინარე, ჩვენ განვიხილავთ პსპ-ების პროფილებს არა მხოლოდ ინფორმირებულობის საფუძველზე, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა მოტივაცია, ბრალეულობა, ძირითადი მიზნები და ასევე ობიექტზე უჩა-ს მომზადებისა და განხორციელების სიტუაციისა და ტერორისტული და კრიმინალური სტრუქტურების შესაძლო მანიპულაციის გათვალისწინებით. პროფილების შედგენის დროს ასევე გათვალისწინებული იყო უჩა-ს მცდელობისა და შემდგარი უჩა-ს ანალიზის შედეგები.

[26] Roy Hazelwood, Stephen G. Michaud. Dark Dreams. 288 pp. ISBN-10: 0312980116 Illustrated edition October 2002. US

პოტენციურად საშიში პირები, როგორც ინფორმირებულები უჩა-ს განხორციელებასთან მათი უშუალო კავშირის შესახებ, ასევე ისინი, რომლებმაც იციან, რომ რაიმე სახით არღვევენ უსაფრთხოებას და წესრიგს, გააცნობიერებენ თავიანთ ბრალეულობას ანუ მიხვდებიან საკუთარი ქმედებების მართლსაწინააღმდეგობას, როგორც საშიშს. ბრალეულობის გაცნობიერებისას, ადამიანმა იცის, რომ მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე. ამიტომაც ბრალეულობის შეგრძნება ასევე ახდენს გავლენას პირის ემოციურ მდგომარეობაზე, რომელიც ანხორციელებს ქმედებას და პოტენციურად განაპირობებს შიშის, დაძაბულობის, ძლიერი ღელვის გრძნობის წარმოქმნას.

მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს განსხვავებული მოტივაცია ზ/აღნიშნული პროფილების წარმომადგენლებში. ზოგიერთ პოტენციურად საშიშ პირთან მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების მოტივაცია ძალიან იქნება გამოხატული, ეს, მაგალითად, ეხება პროფილს „არასუიციდური ტერორისტები“. მართლსაწინააღმდეგო მოქმედების განხორციელების მიმართ ძლიერი მოტივაცია იწვევს ემოციური მდგომარეობის ცვლილებას და ამან შეიძლება განაპირობოს ისეთი რეაქციების წარმოქმნა, როგორიცაა ძლიერი დაძაბულობა, მღელვარება, შესაძლო აგრესია.

მოტივაციური სფერო განსაზღვრავს მიზნის წარმოქმნის პროცესს. განსახილველი პროფილების პოტენციურად საშიშ პირებს ექნებათ განსხვავებული მიზნები, რომელთა მიღწევისა და რეალიზაციის ხარისხი მოახდენს სპეციფიკურ გავლენას მათ ემოციურ მდგომარეობასა და ქცევაზე. John Douglas და Mark Olshaker თავის წიგნში „მოტივაციის ანატომია“[27] აღნიშნავენ, რომ მიზნის ემოციური დამუშავება უკავშირდება ემოციურ აქტივაციას. რეალიზებული მიზნის მიხედვით ემოციები სხვადასხვა პროფილის წარმომადგენლებში იქნება სახასიათო თავისებურებების მქონედ. ასე მაგალითად, მიზანი - საჰაერო ხომალდის გატაცება ან მიზანი - გადაცემული ამანათის გადატანა რაიმეს სანაცვლოდ განსაზღვრავს ადამიანში სრულიად განსხვავებული ემოციებისა და ქცევის ფორმების წარმოქმნას საკუთარი განზრახვის რეალიზაციის დროს.

[27] John Douglas, Mark Olshaker. The Anatomy of Motive. 432 pp. ISBN-10: 0671023934 Reissue edition July, 2000 US

მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების მცდელობისას პოტენციურად საშიში პირების ემოციური მდგომარეობის თავისებურებების პრობლემის განხილვის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ კონტროლის ღონისძიებები, რომელსაც ატარებს სუს-ი და პოლიცია აეროპორტის კომპლექსში. ამ შემთხვევაში ყველა რეაქცია, განსაკუთრებით კი ისეთი ემოციები, როგორიცაა შიში, სტრესი, შფოთვა გაძლიერდება და მას ექნება უფრო მკაფიო გარე გამოვლინებები.

ამდენად, უჩა-ს მცდელობისას (განხორციელებისას) პოტენციურად საშიში პირების ემოციური მდგომარეობისა და ქცევის თავისებურებების პრობლემის კვლევის დროს მნიშვნელოვანის სახით უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი ფაქტორები:

- პოტენციურად საშიში პირის ინფორმირებულობა უჩა-ს მომზადებასა და განხორციელებაში მისი მონაწილეობის შესახებ;
- პოტენციურად საშიში პირის ცოდნა მართლსაწინააღმდეგო საქმიანობაში ჩართულობაზე (ბრალეულობის გაცნობიერება);
- პოტენციურად საშიში პირის მოტივაციის სახე და დონე;
- დაგეგმილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების მიზნის დახასიათება;
- მანიპულაციის შესაძლო არსებობა;
- სუს-ისა, პოლიციის და სხვა წარმომადგენლების მიერ განხორციელებული კონტროლის ღონისძიებები.

განვიხილოთ აღნიშნულის ფაქტორების ურთიერთკავშირი და პოტენციურად საშიში პირების საპროფილო მახასიათებლები თითოეული პროფილის ძირითადი თავისებურებებისა და შესაბამისად, პსპ-ების ნიშნების განსაზღვრის მიზნით.

ამისათვის განვიხილოთ არაინფორმირებული ტერორისტების ჯგუფის პროფილები („გულუბრყვილო“, „ნაწილობრივ გულუბრყვილო“ და „ყალბი“ ტერორისტები). „გულუბრყვილო ტერორისტის“ პროფილის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს არაინფორმირებულობა რაიმე სახის მართლსაწინააღმდეგო საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ. ამ პროფილის პოტენციურად საშიში პირები არ გრძნობენ თავს დამნაშავედ და შესაბამისად, მათ არ ექნებათ სახასიათო განმასხვავებელი თავისებურებები (გადახრა) ქცევაში. „გულუბრყვილო“ ტერორირისტებში რაიმე მართლსაწინააღმდეგო მოქმედების

განხორციელების მოტივები არა არსებობს და შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ გვაქვს დანაშაულებრივი მიზანი. მოცემული ჯგუფის ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაზე შემოწმებისა და კონტროლის სიტუაცია გავლენას არ ახდენს. ყალბი ქცევა, მანიპულაციური ზემოქმედება სუს-ის თანამშრომლებზე არ იქნება დამახასიათებელი პსპ-ების ამ კატეგორიისთვის.

„გულუბრყვილო ტერორისტების“ ჯგუფი წარმოადგენს მანიპულაციის ობიექტს ტერორისტული და კრიმინალური სტრუქტურების მხრიდან. „გულუბრყვილო ტერორისტების“ მომზადება პროფილის მახასიათებელებიდან გამომდინარე, ძირითადად მოითხოვს საკმაოდ ახლო და სანდო ურთიერთობების არსებობას მათსა და ტერაქტის მომამზადებელ პირებს შორის. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სასიყვარულო ან მეგობრული ურთიერთობა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა გოგონები და ქალები ხშირად გამოიყენება „გულუბრყვილო ტერორისტების“ ჯგუფის მომზადების დროს. შეყვარებული ქალი არის ძალიან მყიფე ობიექტი სხვადასხვაგვარი, მათ შორის, მართლსაწინააღმდეგო მიზნებით მანიპულაციისთვის. ასეთი ქალების ქცევაში შეგვიძლია დავინახოთ გულუბრყვილობა, გარკვეული დაბრკოლება, მსუბუქი ეიფორია. ამიტომაც მგზავრებსა და სტუმრებზე დაკვირვების დროს სუს-ის თანამშრომლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც მოგზაურობენ დამოუკიდებლად აღნიშნული გარეგნული ქცევითი ნიშნებით. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მხოლოდ შესაძლო ტენდენციაა და მოცემული ნიშნები შეიძლება გამოხატული იქნეს ძალიან სუსტად.

„ნაწილობრივი გულუბრყვილო ტერორისტებმა“ იციან ან ვარაუდობენ, რომ რაღაც სახით არიან კავშირში მართლსაწინააღმდეგო საქმიანობასთან. ეს ფაქტი აისახება მათ ემოციურ მდგომარეობაზე. შეიძლება ისინი თავს დამნაშავეებად თვლიდნენ. მოცემული ჯგუფის პირების ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაზე ასევე აისახება ანგარების მოტივაციის არსებობა.

ეს პირები ასევე შეიძლება განიცდიდნენ პასუხისმგებლობას დანაშაულებრივი სტრუქტურის (ქსელის) წინაშე, რომელმაც ისინი გაგზავნა მოცემული მართლსაწინააღმდეგო მოქმდების განსახორციელებლად. მოცემული პროფილის წარმომადგენლების მთავარი მიზანია იმ ქმედებების შესრულება, რომლისკენაც მათ უბიძგებენ ტერორისტული (კრიმინალური) სტრუქტურები. მთლიანობაში, ქცევა

განსხვავდება ჩაკეტილობით, დაძაბულობით, გულჩათხრობილობით. მოცემული პირები შესაძლოა გრძნობდნენ შიშს მხილების წინაშე, შფოთვასა და არადამაჯერებლობას საკუთარ ქმედებებში. ამიტომაც, გარეგნულად შესაძლოა შეინიშნებოდეს შიშის, შფოთვის, სტრესის ზოგადი ნიშნები.

იმისათვის, რომ „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტების“ გეგმები არ იყოს გამჟღავნებული, ისინი, სავარაუდოდ, სუს-ის თანამშრომლებთან კონტაქტის დროს ეცდებიან შეცდომაში შეყვანას, მოტყუებას, მანიპულირებას და ა.შ. შესაბამისად, პროფილი ძირითადად დახასიათებული იქნება ყალბი ქცევით, საკმაოდ ძლიერი დაძაბულობითა და შფოთვით. კონტროლისა და შემოწმების სიტუაცია საკმაოდ ძლიერ გავლენას მოახდენს მოცემული პროფილის პირთა ემოციურ მდგომარეობაზე.

სუს-ის თანამშრომლების მიერ მოცემული პროფილის გამოვლენის დროს ყურადღება უნდა მიექცეს შფოთვის, დაძაბულობისა და ქცევაში არადამაჯერებლობის გარეგნულ ნიშნებს. პროფილის მახასიათებლის გათვალისწინებისას, მთავარი აქცენტი „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტების“ აღმოჩენისას უნდა გაკეთდეს სიცრუისა და სიყალბის გარეგნულ ნიშნებზე. ამასთან დაკავშირებით, სუს-ს თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ სიცრუისა და ყალბი ქცევის შემდეგი სახასიათო ნიშნები.

ზოგადი სახასიათო ცვლილებები ქცევაში მოტყუებისას:

- ნავარჯიშევი და დაგეგმილი ქცევა, რომელიც მოკლებულია მოქნილობას;
- თეატრაულურობისა და გათამაშების ელფერის არსებობა;
- იმპულსურობის უქონლობა;
- ქცევის მექანიკურობა;
- ქცევის არაბუნებრიობა;
- მცირერიცხოვანი მოძრაობა;
- ქვემოდან მზერა, მზერის გადატანა;
- ღიმილი ქვედა ქუთუთქოს აწევის გარეშე და ა.შ.

მოტყებისას სახასიათო ჟესტებია:

- ✓ მხრების აჩეჩვა;

- ✓ პირზე ხელის მიფარება (შეიძლება უბრალოდ ჩაიქროლოს ჟესტმა, რომელიც უკავშირდება ხელის სახესთან მიტანას);
- ✓ ცხვირის მოწმენდა, ცხვირთან შეხება, მისი უბრალოდ მოფხანა;
- ✓ ქუთუთოზე შეხება, ქუთუთოს თითების მოფშვნეტა;
- ✓ კისრის ფხანა;
- ✓ პირის ხელებით დაფარვის მცდელობა და ა.შ.

სახასიათო ცვლილებები საუბარში მოტყუებისას:

- ○ ყალბი თხრობის სიმშრალე და არაემოციურობა (არაა აღნიშნული მთხრობელის პირადი განცდებით);
- ○ ქრონოლოგიური მანერა ინფორმაციის მიწოდების დრო, დეტალების სიმცირე;
- ○ ცრუ ინფორმაციის სქემატურობა, ინდივიდუალობისა და განუმეორებლობის არარსებობა;
- ○ ერთმარცვლიანობა, გამონათქვამების მიკიბ-მოკიბულობა, მათში აშკარა წინააღმდეგობის არსებობა;
- ○ საჩვენებლი გულწრფელობისა და სიტყვიერი სიმართლის არსებობა ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე;
- ○ გარემობების უცოდინრობა, რომლებიც უნდა შესულიყო უნებური აღქმისა და დამახსოვრების ველში;
- ○ პირდაპირი პასუხებისთვის თავის არიდება, თემიდან გადახვევა, სიტყვების ზედმეტად საგულდაგულოდ და ნელი შერჩევა, კონტროლირებადი თავშეკავებულობა;
- ○ ტენდენცია ნეგატიური გამონათქვამების მიმართ (ჩემი დოკუმენტები არაა ყალბი; მე მატყუარა არა ვარ) და ა.შ..

„ყალბი ტერორისტები“ არ არიან ინფორმირებული რეისისა და მგზავრებისთვის მათი საფრთხის შესახებ, მაგრამ მათ იციან, რომ არღვევენ კანონს (წესს). ამ პროფილის წარმომადგენლების მოტივაცია საკმაოდ ძლიერაა გამოხატული. „ყალბ ტერორისტებში“ შეიძლება ძლიერ იყოს განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა ტერორისტული დაჯგუფების წინაშე დაგეგმილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების განხორციელების კუთხით, რამდენადაც ისინი ხშირად ძლიერ არიან დამოკიდებულნი მის ლიდერებზე. თავიანთ მიზნებს „ყალბი ტერორისტები“

აცნობიერებენ საკმაოდ მკაფიოდ და ისინი მზად არიან მიყვნენ მას ბოლომდე. მოცემული პირები ასევე შეიძლება იყვნენ ძებნაში და იყვნენ რამოდენიმეჯერ ნასამართლევი. მოცემული პროფილის წარმომადგენლები ბევრს მალავენ და მიდრეკილნი არიან მოტყუებისკენ და სუს-ისა და სხვა თანამშრომლებზე ზეწოლის განხორციელებისკენ. ამ მახასიათებლების გამო „ყალბი ტერორისტების“ პროფილი იქნება რიგი სპეციფიკური შტრიხის მქონე.

ასე, მაგალითად, „ყალბი ტერორისტების“ ქცევა გამოირჩევა ჩაკეტილობითა და გულჩათხრობილობით გარშემომყოფებისგან. ინდივიდუალური თავისებურებებისა და გარე გარემოებების მიხედვით მოცემული ჯგუფის პირებში შესაძლებელია განვითარდეს სტრესული მდგომარეობა, შეინიშნებოდეს შიში, საკუთარ თავში დაურწმუნებლობისა და ძლიერი შფოთვის ნიშნები. სუს-ისა და პოლიციის თანამშრომლებთან კონტაქტის დროს შტატგარეშე ტერორისტები შეიძლება ღიად იტყუებოდნენ, ახდენდნენ ზეწოლას, ცდილობდნენ მანიპულაციას.

პირთა მოცემული ჯგუფი, აცნობიერებს რა, რომ ისინი ცდილობენ გადაიტანონ საშიში საგნები და ნივთიერებები და ამასთან, აქტიურად მალავენ ამ ფაქტს, იქნება ძლიერი ემოციური დაძაბულობის ქვეშ. მხილებისა და შემდგომი შესაძლო დასჯის შიში განაპირობებს ძალიან ძლიერ დაძაბულობას კონტროლის ღონისძიებების გავლის მომენტში.

შესაბამისად, „ყალბი ტერორისტების“ პროფილის საფუძველს წარმოადგენს ისეთი მდგომარეობები, როგორიცაა შიში, სტრესი, შფოთვა. მოტყებისას (მოტყუების მცდელობისას) მოცემული პირები შეიძლება განიცდიდნენ შიშის, ძლიერი ღელვის გრძნობას სტრესული მდგომარეობის განვითარებამდეც კი.

პოტენციურად საშიში პირების ამ ჯგუფის პროფილისთვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს მანიპულირებადი გავლენა უსაფრთხოების თანამშრომელზე ყურადღების გადატანისა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედების დაუბრკოლებელი განხორციელების მიზნით. მოცემულ პროფილში, როგორც თანმხლები დახასიათება ასევე შეიძლება არსებობდეს ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობები. ამ პროფილში შესაძლებელია ნიშნები, რომლებიც ადასტურებენ კრიმინალურ წარსულს (აწმყოს), მაგალითად, ჟარგონული სიტყვები მეტყველებაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული პროფილის სახეები აცნობიერებენ საკუთარი ქმედებების მართლსაწინააღმდეგობას და ამავე დროს მიზნად ისახავენ აკრძალული ნივთის გადატანას, მათ შეიძლება ახასიათებდეთ ემოციების დათრგუნვა[28] კონტროლ-შემოწმების პროცედურების გავლისას.

ამდენად, მოცემული პროფილის ჩარჩოებში აუცილებელია განვიხილოთ სტრესის, შფოთვის, შიშის გარეგნული ნიშნები და ასევე შესაძლო მანიპულაციის, ემოციების დათრგუნვის ნიშნები, როგორც დამახასიათებელი „ყალბი ტერორისტის“ პროფილისთვის.

სტრესის ზოგადი გარეგნული სახასიათო ნიშნებია:

- კანის ფერის ცვლილება (გაფერმკრთალება/გაწითლება);
- გაძლიერებული ოფლდენა, სახეზე ოფლის დასხმა;
- დაშვებული ან აწეული მხრები;
- ნეკნებზე იდაყვის მჭიდროდ მიკვრა, შესაძლოა სახესთან მიტანა, მათ შორის, დაცვის პოზაში;
- კიდურებში კანკალი;
- სწრაფი და ზედაპირული სუნთქვა/ნელი ღრმა ამოსუნთქვა;
- ხმაურიანი სუნთქვა, გაფართოებული ნესტოები;
- ხმის მოულოდნელი სპაზმი;
- მეხსიერების აშლილობა სხვადასხვა კუთხით;
- გაფანტულობა და ყურადღების ადვილად გადატანა;
- აზროვნების სირთულე, გულმავიწყობა;
- კონცენტრირების უნარის დაქვეითება;
- აქტიურობის სირთულე და ა.შ.

შიშის გარეგნული სახასიათო ნიშნებია:

- ✓ ფერის დაკარგვა, ოფლიანობა, ნერწყვის ყლაპვა;
- ✓ სუნთქვის გაძნელება, გახშირებული სუნთქვა;
- ✓ გუგების გაფართოება;
- ✓ მტევნების ტრემორი, სხეულის ყველა კუნთის ცახცახი;

[28] Robert Plutchik. Theories of Emotion. 2013 US

- ✓ წარბების აწევა და შეკვრა;
- ✓ თვალების გაფართოება და დამრგვალება და სხვ.

შფოთვის გარეგნული სახასიათო ნიშნებია:

- ○ ოფლიანობა;
- ○ კანის ფერის ცვლილება;
- ○ სწრაფი ან ზედაპირული სუნთქვა;
- ○ სიძნელეები სუნთქვაში (ჰაერის უკმარისობის გრძნობა), ნესტოების გაფართოება;
- ○ აკანკალებული ხმა; ჩახველება, ყლაპვის ხმა;
- ○ მოძრაობების ნორმალური კოორდინაციის დარღვევა (არადამაჯერებელი მოძრაობები, აკანკალებული მოძრაობები, მოუხერხებლობა);
- ○ დაძაბული ხისტი მოძრაობები, ზოგადი მოუსვენრობა, პოზების ხშირი ცვლა;
- ○ ხელების მოკუმვა და გაშლა; ფეხების ბაკუნი, ფეხის მონაცვლეობა;
- ○ ხშირი ან გადაჭარბებული ყლაპვითი მოძრაობები; ტუჩების მოკვნეტა ან ღეჭვა და ა.შ.

მანიპულაციის ზოგადი სახასიათო არავერბალური ნიშნები:

- ▪ ადამიანის ქცევის უჩვეულობა, რომელიც გამოყოგს მას სხვებს შორის - ძლიერი აგზნება, მოჩვენებითი გულგრილობა, დაძაბულობა;
- ▪ მანიპულატორის მიერ უნდობლობის ჟესტების, ჩაკეტილობის (შუბლის, საფეთქლის მოწმენდა, სახეზე ხელების მიფარება და ა.შ.) და მოტყუების სხვა სახასიათო ვერბალური და არავერბალური ნიშნების დემონსტრაცია.
- ▪ მჭირდო პირდაპირი მხედველობითი კონტაქტი და ა.შ.

მანიპულაციის ვერბალური ნიშნები:

- ➢ მეტყველებაში იძულების ელემენტები - „მიდი!“, „გადაწყვიტე!“ და ა.შ.
- ➢ მოცემულ შემთხვევაში ძალიან სახასიათოა მეტყველებაში დროის დეფიციტის ხაზგასმა, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისთვისაა განკუთვნილი. („სწრაფად! „მაგვიანდება!“);
- ➢ მოსამზადებელი პრეამბულა კითხვის გადმოცემისას („კბილებიდან ცრის“);

- პასუხისმგებლობა შეთავაზებულ მოქმედებაზე, როგორც წესი, გადადის ადამიანზე, რომელიც ზემოქმდებეის ქვეშ ექცევა („ნუ, იქ უკვე თქვენი გადასაწყვეტია!“ „იქ თავად უნდა მიხედოთ თქვენს თავს!“);
- მანიპულირება პირადი მიმართვით, მაგალითად, მოულოდნელი გადასვლა „შენობით“ ფორმაზე, როგორც ჩამოყალიბებული არაფორმალური კონტაქტის ნიშანი (ნეგატიური მანიპულირების ჩარჩოებში - გვარის, სახელისა და მამის სახელის განზრახ დამახინჯება);
- შეტყობინებების განმეორება, მათი შთამაგონებელი ფორმა და ა.შ.

ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ შესაძლო ფარულ ემოციებს:

- აწეული ხმა;
- დაძაბული სახე;
- დაძაბული პოზა;
- მკვეთრი მოძრაობები;
- მოუსვენრობა;
- გახშირებული ან არაღრმა სუნთქვა;
- ოფლიანობა (მტევნების ოფლიანობა) და ა.შ.

„ყალბი ტერორისტების“ პროფილის გამოვლენის საფუძველი არის აქცენტი ძლიერი შფოთვის გარეგნულ ნიშნებზე, მოტყუებასა და მანიპულაციაზე.

პროფილების -„ყალბი ტერორისტები“ და „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტები“ - გამოსავლენად პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს ემოციურად დაძაბული მეტყველების ნიშნები, რომელიც წარმოიქმნება სტრესის, შიშის, ღევლის, მოტყუების დროს. მოცემული ნიშნები წარმოდგენილია ცხრილში 2.

ცხრილი 2.

ემოციურად დაძაბული მეტყველების ნიშნები

სახასიათო ცვლილებები მეტყველებაში (ნიშანი)	**ემოციური მდგომარეობა/ქცევის ფორმა**
ხმის სიმაღლის დაცემა (ლუღლუღამდეც კი)	შიში, სტრესი

მეტყველების ტემპის დაჩქარება	შფოთვა, ღელვა
ენაბლუობა	მოტყუება, ღელვა
ერთმარცვლიანი დასწავლილი გამონათქვამები	მოტყუება
პირდაპირ პასუხზე თავის არიდება და საუბრის გადატანა სხვა თემაზე	მოტყუება, სიტუაციის კონტროლი
ისეთი სიტყვებისა და გამონათქვამების ხშირი განმეორება, როგორიცაა „პატიოსანი“, „აბსოლუტურად გულღია თუ ვიქნები“ და ა.შ.	მოტყუება, შეცდომაში შეყვანა, ღელვა, „გულღიაობის“ დემონსტრაცია
წარმოთქმულ სიტყვებში კნინობით-მოფერებითი სუფიქსების ჩართვა	ღელვა, სიტუაციაში არადამაჯერებლობა
შინაგანი საუბრის გარეგანში გადასვლა („ფიქრები ხმამაღლა“)	ძლიერი ღელვა
გამონათქვამების ლოგიკურობისა და თანამიმდევრობის დარღვევა, ძირითადი აზრისგან გადახვევა, დეტალებში გადასვლა	ღელვა, არადამაჯერებლობა
გრამატიკული დაუსრულებლობა, ფრაზების გაუფორმებლობა	სტრესი, ღელვა

სქემატურად განხილული ჯგუფის არაინფორმირებული პოტენციურად საშიში პირების პროფილი წარმოდგენილია ნახ.3-ზე.

ნახ.3. არაინფორმირებულ ტერორისტთა ჯგუფების პროფილების ძირითადი მახასიათებლები .

შემდეგ განვიხილოთ ინფორმირებული, პოტენციურად საშიში პირების პროფილები;

პროფილის „არასუიციდური ტერორისტები“ წარმომადგენლები ინფორმირებული არიან უჩა-ს განხორციელებასთან მათი უშუალო კავშირის შესახებ, ამიტომაც ისინი სრულად აცნობიერებენ თავიანთ ბრალეულობას. მოცემული პირები შეგნებულად მიდიან ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა საჰაერო ხომალდის დაკავება და გატაცება და სხვა. დასახული და მკაფიოდ გაცნობიერებული მიზნის მისაღწევად ხდება მოქმედებების ხისტი და აგრესიული ხერხების არჩევა, რამდენადაც თავად დაგეგმილი უჩა-ს ხასიათი (სხ-ს დაკავება და გატაცება) გულისხმობს ქცევის აგრესიულ, ხისტ ტიპს. შესაბამისად, ამ პროფილში დომინრებადი იქნება აგრესიის

ემოცია. მოცემული პროფილის წარმომადგენელთა ქცევის მაგალითებს წარმოადგენს ბოლო წლების ინციდენტები, ისეთები როგორიცაა;

- 2011 წლის 24 აპრილი: თვითმფრინავის გატაცების მცდელობა[29], რეისი Alitalia Flight 329.[30]
- 2014 წლის 17 თებერვალი: ეთიოპიის ავიახაზების რეისი 702, რეგულარული რეისი ადის აბაბადან რომში იძულებული გახდა ჟენევის აეროპორტისკენ დაშვებულიყო. [31]
- 2016 წლის 29 მარტი: რეისი MS181, Egyptair Airbus A320, რომელსაც ალექსანდრიიდან კაიროში 81 მგზავრს გადაჰყავდა, მგზავრმა განაცხადა, რომ მას ასაფეთქებელი ქამარი ეცვა და იგი ლარნაკას საერთაშორისო აეროპორტში დაეშვა. გამტაცებელი ჩაბარდა დიდი ხნის მოლაპარაკებების შემდეგ, მსხვერპლი არ ყოფილა.[32]
- 2016 წლის 23 დეკემბერი: რეისი 209, Afriqiyah Airways– ის Airbus A320, რომელიც 118 მგზავრით ახორციელებდა ფრენას სებადან, ტრიპოლისში, გადაყვანილ იქნა მალტის საერთაშორისო აეროპორტში, სადაც ორი აცხადებდა რომ მათ ხელყუმბარა ჰქონდათ. გამტაცებლებმა თვითმფრინავის აფეთქება სცადეს, მაგრამ საბოლოოდ ისინი ჩაბარდნენ.[33]
- 2018 წლის 15 აპრილი: საჰაერო ჩინეთის თვითმფრინავი, რეისი CA1350, გატაცებულ და გადაყვანილ იქნა Zhengzhou Xinzheng International Airpor– ში.[34]
- 2019 წლის 24 თებერვალი: Biman Bangladesh Airlines რეისი147 გატაცებულ იქნა 26 წლის მამაკაცის მიერ. გამტაცებელი მოკლულ იქნა ბანგლადეშის არმიის სპეციალური ბრიგადის მიერ.[35]
- და სხვა.

[29] https://aviation-safety.net/wikibase/wiki.php?id=121937
[30] http://avherald.com/h?article=43b7e3ef&opt=1
[31] web.archive.org/web/20140221220737/http://www.ethiopianairlines.com/en/news/prarchive.aspx?id=502
[32] https://edition.cnn.com/2016/03/29/europe/hijacked-egypt-air-jet/
[33] https://www.airlive.net/breaking-hijacked-libyan-plane-lands-in-malta-hijackers-claiming-to-be-in-possession-of-hand-grenade/
[34] http://www.globaltimes.cn/content/1097975.shtml
[35] https://aviation-safety.net/database/record.php?id=20190224-0

ტერორისტების მოტივი ძალიან მაღალია, რაც მთლიანად განსაზღვრავს ძლიერი ემოციური დაძაბულობის მდგომარეობას. პირთა ამ ჯგუფს შეიძლება ახასიათებდეს ისეთი შტრიხები, როგორიცაა მიდრეკილება დომინირებისკენ, სიჯიუტე, სირთულეების დაძლევის სურვილი და ასევე დაბალი მგრძნობელობა პიროვნებათშორის კონტაქტებში, თვითანალიზისადმი მიდრეკილება და საკუთარი თავის სხვის ადგილას დაყენების უნარი. ქცევა შეიძლება გამოირჩეოდეს ისტერიულობით, ძლიერი იმპულსურობითა და გაღიზიანებულობით. შეინიშნება დასჯის შიში, დაკავებისას ვლინდება პიროვნების მდაბიო თვისებები.

შემოწმების პროცედურების გავლა შეიძლება აღმოჩნდეს ძლიერი ზემოქმედება ზ/მოცემულ პირთა ჯგუფზე, ახდენენ რა დაძაბულობის რეაქციების ა/და აგრესიის გაძლიერების პროვოცირებას. ეს ზეგავლენა განპირობებულია უჩა-თან კავშირის თაობაზე ინფორმირებულობით, ძლიერი მოტივაციითა და მხილების შიშით. ამიტომაც ტერორისტებში შემოწმების პროცედურების გავლისას შესაძლებელია შეინიშნებოდეს ძლიერი ემოციური დაძაბულობის მდგომარეობა და სიტუაციური კონტროლის არსებობა.

საჰაერო ხომალდის დაკავებისა და გატაცების მცდელობის ან/და განმხორციელებელი პირების შესწავლა ცხადყოფს გარკვეული სახის ემოციური გადახრების არსებობას, როგორიცაა: შიზოფრენია, პარანოია, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციური პროცესების სახასიათო აშლილოებით, რასაც თან ახლავს გარკვეული დარღვევები ქცევაში.

„ტერორისტის“ პროფილი შეიძლება შეიცავდეს ეპილეფტოიდური ტიპის შტრიხებს[36], რომელიც ქცევაში ხასიათდება უკიდურესი გაღიზიანებადობით, რომელიც რიგ შემთხვევაში შეუკავებელი სიშმაგის შეტევამდე მიდის.

უჩა-ს ქმედების, (განხორციელების, მცდელობის) დროს არასაკმარისი მომზადების ან/და მოტივაციის შემთხვევაში „ტერორისტებში“ შეიძლება სახეზე იყოს „საქმიანობაზე უარის თქმის“ მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ძლიერი არდამაჯერებლობით საკუთარ ქმედებებში და შფოთვით. ძლიერმა დაძაბულობამ,

[36] https://scholarlycommons.law.case.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3070&context=caselrev

უჩა-ს მომზადების ან განხორციელების დროს, ამ პროფილის პირში შესაძლოა გამოიწვიოს სტრესული მდგომარეობის განვითარება.

დაგეგმილი უჩა-ს გარე გარემოებების ცვლილების შემთხვევაში დასახულ გეგმაში კორექტირების შეტანის აუცილებლობის დროს, შესაძლებელია შიშის, ძლიერი შფოთვის გრძნობის და პანიკის წარმოქმნაც კი. საჰაერო ხომალდის დაკავებისა და გატაცების მომზადების (განხორციელების) მომენტში „ტერორსიტები“ შეიძლება იყვნენ ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში.

პროფილის- „ტერორისტები“ განსახილველი სახასიათო თავისებურებები განაპირობებენ საკმაოდ ძლიერ ქცევით რეაქციებს. ქვემოთ მოყვანილია აგრესიის და ზოგიერთი გადახრის, ასევე ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის ძირითადი გარეგნული ნიშნები.

მოცემულ პირთა ჯგუფს, ისევე როგორც პროფილს „ყალბი ტერორისტი“, შესაძლოა, ახასიათებდეს ემოციების დათრგუნვა, კერძოდ, მრისხანების ემოციის დათრგუნვა, რომელიც გამოიხატება დაუსაბუთებელი გაღიზიანებისა და შეუწყანრებლობის შეტევებში[37];

აგრესიის გარეგნული სახასიათო ნიშნები:

- მხრის ზედა ნაწილის დაძაბულობა;
- ხელების ან თითების მუშტად შეკვრა (გათეთრებული თითები);
- გუგების მკვეთრი შემცირება;
- მჭიდრო მხედველობითი კონტაქტი;
- ხანგრძლივი გამჭოლი ან დაჟინებული მზერა;
- ალმაცერი მზერა;
- პირქუში მზერა;
- ხელების გადაჭდობა;
- ვერტიკალური ნაოჭები შუბლზე ცხვირის ფუძესთან;
- სხეულის უკან, თავის წინ გადახრა;
- კბილების მოულოდნელი დაკრეჭა
- და ა.შ.

[37] Louis B. Schlesinger. Psychiatric Aspects of Criminal Behavior: Collected Papers of Eugene Revitch. 280 pp. 2016 US

შიზოფრენიის ნიშნები:

- ბოდვა;
- ჰალუცინაციები;
- მეტყველებისა და ქცევის დარღვევა;
- მეტყველების მონოტონურობა;
- ნიღბისებრი არაგამომხატველი სახე;
- აზრებსა და გამონათქვამებს შორის კავშირის არქონა;
- ფერმკრთალი, „მიწისფერის“ დადება სახეზე;
- ფეთხუმობა (დაუდევრობა) სამოსში;
- შესაძლო უმიზეზო აგრესია;
- არაადეკვატური რეაქციები.

პარანოიდული შოზიფრენიის ნიშნები:

- მღელვარება;
- ზეგავლენის, დევნის, დამოკიდებულების ბოდვა;
- განრისხება;
- გაუცხოება;
- თანამოსაუბრესთან დათანხმების უუნარობა;
- სმენითი ჰალუცინაციები (განსაკუთრებით „ხმები“, რაც რაიმეს გაკეთების ბრძანებას იძლევა);
- საკუთარ თავზე აღმატებული წარმოდგენა, უზომო მართებულობის გრძნობა.

მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის ნიშნები:

- დაუოკებელი აქტიურობა (ადამიანს არ შეუძლია ერთ ადგილას ჯდომა);
- კონცენტრირების უუნარობა;
- აზრებისა და გამონათქვამების დაუკავშირებლობა;
- ფიქრებსა და გამონათქვამებში რელიგიურ სიუჟეტებზე ჩაციკლვა;

- იმპულსურობა;
- მკაფიოდ გამოხატული ბოდვა;
- ძალადობის მიდრეკილება (მაგალითად, შეიძლება მოკლას მძევალი);
- სუს-ის, ძალოვანების მხრიდან მუქარაზე რეაქციის უქონლობა;

დეპრესიული ფაზა:

- აქტიურობის მკვეთრი დაქვეითება;
- ყველაფრის მიმართ ინტერესის დაკარგვა და უქონლობა;
- შეკავება პასუხების დროს, ერთმარცვლიანი სიტყვები პასუხების/გამონათქვამების დროს;
- ჩუმი ხმა;
- მოძრაობითი შეკავებულობა, ერთგვაროვანი პოზები, მოძრაობები;
- სუიციდური მიდრეკილებების გამოვლენა;
- უარის თქმა ძალოვან სტრუქტურებთან, ოფიციალურ წარმომადგენლებთან ურთიერთობაზე და ა.შ.

ეპილეპტოიდური ტიპის ფსიქოპათიის ნიშნები:

- მომატებული აგზნებადობა აფეთქებასთან, მრისხანებასთან, შურისძიების უნართან, აგრესიულობასთან ერთად უმნიშვნელო გარე გამღიზიანებლებზე;
- უკიდურესი გაღიზიანებადობა, რომელიც ზოგჯერ შეუკავებელი სიშმაგის შეტევამდეც კი მიდის;
- მიდრეკილება კანონის დარღვევის მიმართ;
- გარშემომყოფებისადმი ჩაცივება ჩხუბის ატეხვის მიზნით;
- ალკოჰოლიზმისადი მიდრეკილება;
- შესაძლო სახასიათო გარეგნული ნიშნები: ძლიერი ჯმუხი ფიგურა, მასიური ტორსი შედარებით მოკლე ხელებისა და ფეხების დროს, მოკლე კისერი, მძიმე ქვედა ყბა;

ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის სახასიათო გარეგნული ნიშნები:

- ეიფორიის დადგომა, რომელიც გამოიხატება აწეულ მხიარულ განწყობილებაში, გულთბილობისა და უდარდელობის მდგომარეობაში, რომელიც არ შეესაბამება ობიექტურ სიტუაციას (ჰეროინის მიღების შემდეგ);
- მიმიკური გამოცოცხლება და ფსიქომოტორული აგზნება, დაბალი მგრძნობელობა ტკივილის მიმართ, შიშისა და შფოთვის უქონლობა;
- გუგების შევიწროება, კუნთის ტონუსის ამაღლება, სუნთქვის ფუნქციის შეფერხება;
- წითელი შევიწროებული თვალები ანთების ნიშნების გარეშე;
- მოძრაობითი შფოთვა, აგრესიულობა, არაადექვატურობა, შემცივნება და დაცხომა, მთქნარება, შესაძლებელია გამონადენი ცხვირიდან, ცრემლდენა, სუნთქვისა და გულისცემის გახშირება (ნარკოტიკული საშუალების უარყოფის სინდრომი).

შესაძლებელია ხაზი გავუსვათ პროფილის „ტერორისტები“ მაღალი გამოვლინებადობას. მოცემული პროფილის გამოვლენის საფუძველია ქცევაში აგრესიისა და ძლიერი დაძაბულობის გარე ნიშნების ფიქსაცია. „ტერორისტის“პროფილის ძირითადი მახასიათებლები წარმოდგენილია ნახ.4-ში.

პროფილი „სუიციდური ტერორისტები“ მრავალი სახასიათო თავისებურებით გამოირჩევა. ეს პირები ინფორმირებულნი არიან სა-ს ობიექტისთვის მათი საფრთხის შესახებ, მაგრამ ისინი მთლიანობაში ცუდად აცნობიერებენ საკუთარი ქმედებების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. ტერაქტში მონაწილეობისთვის ტერორისტ-თვითმკვლელები გადიან სპეციალურ მომზადებას, რომლის მიზანს წარმოადგენს ცნობიერების ცვლილება ტერაქტისადმი სპეციფიკური მზაობის ჩამოსაყალიბებლად.



ნახ.4 „ტერორისტის“ პროფილის ძირითადი მახასიათებლები

კლასიკური გაგებით ბრალეულობის გრძნობა თვითმკვლელში არ არსებობს. მომზადებულ თვითმკვლელ-ტერორისტს არ ეშინია სამართლებრივი დევნის და არ აცნობიერებს საკუთარი ქმედებების მართლსაწინააღმდეგობას[38].

ტერაქტისადმი მომზადების შედეგად სუიციდური ტერორისტის მოტივაციის სფერო ასევე ძალიან დეფორმირებულია. თვითმკვლელის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში დომინირებს ხელოვნურად ჩამოყალიბებული მოტივი სიკვდილის მიმართ სუიციდური ტერაქტის განხორციელების გზით. ამასთან, დაგეგმილი ტერაქტის მიზნები თვითმკვლელ-ტერორისტს საკმაოდ მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი, რაც დევს მისი მომზადების საფუძველში. თვითმკვლელმა კარგად უნდა იცოდეს, თუ რა უნდა გააკეთოს მან და აუცილებლად უნდა მიიყვანოს საქმე ბოლომდე, ამიტომაც მის ქცევაში ნათლად ჩანს მოქმედებების მიზანმიმართულობა. შესაბამისად, ტერორისტ-თვითმკვლელის ძირითადი თავისებურება იქნება აბსოლუტურად მშვიდი მდგომარეობა, საკუთარ მიზანზე ძლიერი კონცენტრაციის დროს.

[38] Louis B. Schlesinger. Explorations in Criminal Psychopathology. 375pp. 2007 US

სამოქალაქო ავიაციის ობიექტის ტერიტორიაზე კონტროლის სიტუაციამ შეიძლება გარკვეული გავლენა იქონიოს სუიციდური ტერორისტის ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაზე, მაგრამ კარდინალური ცვლილებები არ უნდა მოხდეს. თვითმკვლელი ისეა მომზადებული, რომ მისი გარემომცველი გარემო უკვე ძალიან არ უნდა ღელავდეს და დავალებისგან არ უნდა გადაატანინოს ყურადღება, მაგრამ, ამასთან ის, რასაკვირველია, ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ აუცილებელია შეძლებისდაგვარად არ მიიპყროს ავიაკომპანიის(ეკიპაჟის და სხვა), პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურების ყურადღება. ამიტომაც, კონტროლის ზონაში ყოფნისას თვითმკვლელ-ტერორისტს შეუძლია გარკვეულად შეცვალოს თავისი ქცევა.

სუიციდური ტერორისტების განსაკუთრებული საფრთხისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, მოცემული პროფილის მახასიათებლები და მისი გამოვლენის თავისებურებები დეტალურად იქნება განხილული მოცემული ნაშრომის მე-2 თავში.

1.4.პიროვნული თვისებების საფუძველზე საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილების გამოვლენის თეორიული მოდელი;

სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტების საფრთხისა და პოტენციურად საშიში პირების გამოვლების პრობლემის ანალიზისა და ასევე პროფილების შემოთავაზებული დახასიათების საფუძველზე შემუშავებულ იქნა საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის მოდელი ინდიკატორთა საფუძველზე (ნახ.6).

მოდელი შედგება სამი ძირითადი ქვესისტემისგან:

I ქვესისტემა - „პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილის ინდიკატორების წარმოქმნის კანონზომიერებები“. მოცემული ქვესისტემა მოიცავს უჩა-ს საფრთხეს, პოტენციურად საშიში პირების ქცევისა და ქცევის ზოგად კანონზომიერებებს, რაც განპირობებულია უჩა-ს დაგეგმვასა და განხორციელებასთან კავშირით, პოტენციურად საშიში პირების პროფილებს, გარე ქცევით და ემოციურ

გამოვლინებებს, რომლებიც საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თვალსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს უჩა-ს შესაძლო კავშირის ნიშნებთან;

II ქვესისტემა „პოტენციურად საშიში პირების პროფილების ინდიკატორების გამოვლენა საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ“. მოცემული ქვესისტემა მოიცავს ნიშნების გამოვლენის მეთოდებსა და ანალიზის ხერხებს;

III ქვესისტემა - „საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის ეფექტურობის პირობები“. მოცემული ქვესისტემა მოიცავს მოთხოვნებს პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებებისა და ცოდნის, უნარებისა და ჩვევების მიმართ, რაც განპირობებულია პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილის გამოვლენის სპეციფიკით.

მოდელის ზოგადი ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ პსპ-ების სხვადასხვა პროფილის გამოვლენა ხორციელდება იმ ინდიკატორთა გამოვლენის პროცესისა და ანალიზის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილის ნიშნების კავშირს და წარმოქმნის შესაბამის კანონზომიერებებს.

პსპ-ების სხვადასხვა პროფილის გამოვლენის მეთოდებმა უნდა უზრუნველყოს პსპ-ების ქცევის ფორმებისა და ემოციური მდგომარეობების ყველაზე ზუსტი, საიმედო და უტყუარი გამოვლენა და წარმოადგენდეს სიტუაციურად გამოყენებად სამოქალაქო ავიაციის ობიექტის ფუნქციონირების სპეციფიკის მიმართ. ინდიკატორთა გამოვლენა ხორციელდება სუს-ის თანამშრომლის მიერ შინაგანი მდგომარეობის დაკვირვების, გამოკითხვის, საუბრისა და თვითმონიტორინგის მეშვეობით.

პსპ-ების ნიშნების გამოვლენის დროს დაკვირვება წარმოადგენს ძირითად მეთოდს, რომელიც საშუალებას იძლევა მიიღო პირველადი ინფორმაცია. გამოკითხვა(ინტერვიურება) და საუბარი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა დაკვირვების პროცესში მიღებული ინფორმაცია მგზავრის (სტუმრის) შესახებ წარმოადგენს საკმაოდ ამომწურავს, მაგრამ საჭიროა შესაბამისი დაზუსტებები და კონკრეტიზაცია.

<table>
<tr><td rowspan="8">ინდიკატორთა წარმოქმნა</td><td colspan="4">უჩა-ის სახეები სამოქალაქო ავიაციისთვის</td><td rowspan="2">უჩა-ს თავიდან</td></tr>
<tr><td colspan="4"></td></tr>
<tr><td colspan="4">უჩა-ს შემსრულებლები, პსპ-ები</td><td rowspan="16">პსპ-ების გამოვლენა</td></tr>
<tr><td colspan="4">პსპ-ების ქცევისა და ქმედების ზოგადი კანონზომიერებები</td></tr>
<tr><td colspan="4"></td></tr>
<tr><td colspan="4">პსპ-ების პროფილი
(პროფილირება)</td></tr>
<tr><td colspan="4"></td></tr>
<tr><td colspan="4">პსპ-ების პროფილის დახასიათება
(პსპ-ების სხვადასხვა პროფილის ქცევის ფორმისა
და ემოციური მდგომარეობების თავისებურებები)</td></tr>
<tr><td colspan="4">პსპ-ების სხვადასხვა პროფილის გარე ქცევითი
და ემოციური გამოვლინებები
(უჩა-თან კავშირის ნიშნები)</td></tr>
<tr><td rowspan="8">ინდიკატორთა წარმოქმნა</td><td colspan="4">შემოწმების ეტაპები, მონაკვეთი, სიტუაცია</td></tr>
<tr><td colspan="4">ნიშნების გამოვლენის მეთოდები</td></tr>
<tr><td>დაკვირვება</td><td colspan="2">გამოკითხვა/საუბარი</td><td>შინაგანი მდგომარე-ობის თვით-მონიტორინგი</td></tr>
<tr><td colspan="4">სუს-ის მოქმედების სისტემა</td></tr>
<tr><td>ნიშნის მიკუთვნება ფაქტორებთან და სხვა ინდიკატორებთან</td><td>მთავარი და მეორეხარისხოვანი ინდიკატორების გამოყოფა</td><td>ინდიკატორთა სიმყარისა და გამოხატულე-ბის შეფასება</td><td>კავშ. დადგენა ინდიკატორებ ის დინამიკასა და შემოწმების პროცედურის სიტუაცი-ებს შორის</td></tr>
<tr><td colspan="4">ინდიკატორთა ანალიზის ხერხები</td></tr>
<tr><td colspan="4"></td></tr>
<tr><td colspan="4">პიროვნების, პსპ-თან მიკუთვენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება</td></tr>
<tr><td rowspan="2">პ ი რ ო ვ ნ ა</td><td colspan="3"></td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">სუს-ის თანამშრომლების პროფე-
სიულ-მნიშვნელოვანი თვისებები</td><td>ცოდნა, უნარი, ჩვევები</td><td></td></tr>
</table>

ნახ.6. საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის თეორიული მოდელი

საუბრის(ინტერვიურების) მეთოდი ასევე გამოიყენება მგზავრში (სტუმარში) საეჭვო ნიშნების დაფიქსირების ან/და მგზავრებისა და სტუმრების შერჩევითი კონტროლის (პროფაილინგის) შემთხვევაში.

სუს-ის თანამშრომლის მიერ საკუთარი ემოციების მონიტორინგი წარმოადგენს დამატებით საინფორმაციო არხს მგზავრის პოტენციური მიკუთვნებისთვის უჩა-ს მომზადებასა და ჩატარებასთან, არაცნობიერი ინტუიციური რეაქციების საფუძველზე.

ინდიკატორთა ანალიზი ხორციელდება მთავარი და მეორეხარისხოვანი ნიშნების გამოყოფის, საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა ნიშნებთან და ფაქტორებთან თანაფარდობის, ნიშნების დინამიკასა და შემოწმების პროცედურის სიტუაციებს შორის კავშირის დამყარების საფუძველზე.

სუს-ის თანამშრომლები პსპ-ების გამოვლენის პროფესიული საქმიანობის პროცესში შემოწმების ტექნოლოგიური პროცესების ჩარჩოებში ახდენენ ინდიკატორთა გამოვლენისა და ანალიზის ურთიერთდაკავშირებული გარე და შიდა (კოგნიტური) მოქმედებების სისტემის რეალიზებას.

რამდენადაც პოტენციურად საშიში პირების აღმოჩენის საფუძველში დევს ინდიკატორთა დაფიქსირება და ანალიზი, საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის თავისებურებები ერთის მხრივ განისაზღვრება სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტებთან კავშირის მქონე პირების ვერბალური და არავერბალური (ემოციური) აქტიურობის კანონზომიერებებით, რომლებიც განსაზღვრავენ პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა ტიპის გარეგნულად დაკვირვებადი რეაქციების სპეციფიკას და მეორეს მხრივ იმ სიტუაციის სპეციფიკით, რომელშიც ხორციელდება ნიშნების გამოვლენა.

შესაბამისად, პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა ტიპის გამოვლენის თავისებურებები შეიძლება შეფასდეს, როგორც საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების კოგნიტური მოქმედებების სპეციფიკა სამოქალაქო ავიაციის ობიექტების სტუმრებსა და მგზავრებში ქცევითი და ემოციური რეაქციების ელემენტების გამოვლენისა და ანალიზის თაობაზე პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილის განმასხვავებელი ნიშნების იდენტიფიკაციის მიზნით, მათი თავისებურებებისა და შემოწმების პროცედურის სიტუაციის გათვალისწინებით.

მთლიანად პსპ-ების გამოვლენის საქმიანობის ეფექტურობა მოდელიდან გამომდინარე, დამოკიდებული იქნება შემოწმების პროცედურის სხვადასხვა სიტუაციაში პსპ-ების სხვადასხვა ტიპის ქცევის ფორმისა და ემოციური მდგომარეობების თავისებურებების ნიშნების გამოვლენის გამოყენებული მეთოდებისა და ანალიზის შესაბამისობის ხარისხზე. თავისებურებების თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ პსპ-ების გამოვლენის საქმიანობის ეფექტურობა დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად შეესაბამება სუს-ის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის თავისებურებები პსპ-ის სხვადასხვა ტიპის პროფილის თავისებურებებსა და სიტუაციებს, რომელშიც ის ვლინდება. ამის პირობას წარმოადგენს სუს-ის თანამშრომლების შესაბამისობა მოთხოვნებთან, რომელიც პასუხობს პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის საქმიანობის სპეციფიკას.

სუს-ის თანამშრომლების საქმიანობის ეფექტურობის კონკრეტული კრიტერიუმები ეფუძნება მათი საქმიანობის შესაბამისობას თანამდებობრივ ინტრუქციასთან, რომელიც უნდა პასუხობდეს სუს-ის საქმიანობის მთავარ მიზნებსა და ამოცანებს სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე უჩა-ს თავიდან ასაცილებლად. მგზავრების (სტუმრების), მათი ბარგისა და ნივთების შემოწმებისა და კონტროლის ძირითადი ფუნქციებში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ფუნქციები:

- საჰაერო ხომალდების ეკიპაჟის წევრების, მგზავრების, მომსახურე პერსონალის, ხელბარგის, ბარგის, ტვირთის, ფოსტის, საბორტო მარაგებისა და საჰაერო ხომალდების შემოწმება;
- დადგენილი წესით გადასაზიდად აკრძალული საშიში საგნებისა და ნივთიერებების ამოღება და გაფორმება;
- ფრენის პერიოდში მგზავრისგან ამოღებული იარაღის გადატანის დადგენილი პროცედურების შესრულება;
- ტექნიკური საშუალებებისა და შემოწმების დამტკიცებული ტექნოლოგიის გამოყენება საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; შემოწმების პროცესში ასაფეთქებელი მოწყობილობების (მათ შორის, თვითნაკეთის), იარაღის, საბრძოლო მასალებისა და სხვა, გადასაზიდად აკრძალული საშიში

ნივთიერებებისა და საგნების ამოცნობა და განსაზღვრა სამოქალაქო საჰაერო ხომალდებზე.

სუს-ის შემოწმების ინსპექტორის საქმიანობის ფუნქციების შესაბამისად ეფექტურობის შესაფასებლად შეიძლება შემდეგი კრიტერიუმების გამოყოფა:

- დრო, რომელიც იხარჯება ერთ მგზავრზე (სტუმარზე);
- წარმოებული ოპერაციების სისწრაფე შემოწმების ტექნოლოგიის შესაბამისად;
- ფიქსირებული დროის შემთხვევაში შემოწმების ხარისხის (სისავსის) უზრუნველყოფა;
- უკონფლიქტობა მგზავრის (სტუმრის) მომსახურების დროს;
- პრობლემური (კრიტიკული) სიტუაციების გადაწყვეტის სისწრაფე მგზავრების (სტუმრების) მომსახურების დროს.
- სუ-ის წესების გამოყენების სიზუსტე (ინსტრუქციების დაცვა) მგზავრების (სტუმრების) მომსახურების დროს.
- საშიში საგნების (ნივთიერებების) იდენტიფიკაციის სიჩქარე ხელით შემოწმების დროს.
- დროის რაოდენობა გადაწყვეტილების მიღებაზე მგზავრის (სტუმრის) პოტენციურ საშიშროებასთან მიმართებაში.
- დროის ერთეულში მონიტორის ეკრანზე გასაანალიზებელი საგნების რაოდენობა.
- ბარგში (ნივთებში) შემოწმების დროს (ინტროსკოპი, ხელით შემოწმება) არსებულის მდებარეობის ანალიზის სიჩქარე.
- რენტგენოტელე ინტროსკოპზე საშიში საგნების (ნივთების) იდენტიფიკაციის სიჩქარე.
- სიზუსტე საშიში საგნების (ნივთიერებების) ამოცნობისას შემოწმების დროს (ინტროსკოპი, ხელით შემოწმება).
- სისწრაფე გადაწყვეტილების მიღებისას შემოწმების პროცესში ასაფეთქებელი მოწყობილობის, იარაღის, საბრძოლო მასალების და ა.შ. ამოცნობისას.
- უშეცდომობა გადასაზიდად აკრძალული საგნების (საავიაციო უსაფრთხოების წესების თვალსაზრისით) ამოღების ოქმების გაფორმების დროს.

- გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე მგზავრის (სტუმრის) პოტენციურ საშიშროებასთან დაკავშირებით გამოვლენილი ფაქტორების ერთობლიობის მიხედვით.
- გამოვლენილი გარე ნიშნების რაოდენობა (მგზავრის/სტუმრის გარეგნობა, ბარგი, ნივთები, დოკუმენტები) დროის ერთეულში.
- პსპ-ების გამოვლენის სიზუსტე გამოვლენილი გარე ნიშნების მიხედვით შემოწმების წარმოებისას.
- სუს-ის თანამშრომლის ყველა ტექნოლოგიური მოქმედების გაშუალებულობა სუ-ს პრევენციული ამოცანების მიხედვით (განწყობის/მოტივაციის არსებობა უჩა-ს თავიდან აცილების განსახორციელებელი საქმიანობის დროს). მოცემული კრიტერიუმი შეიძლება გამოიყოს სუს-ის თანამშრომლის შემოწმების დროს, საკუთარი საქმიანობის თვითანალიზის, საკუთარ თავთან ანგარიშის ჩაბარების შედეგად.

პსპ-ების სხვადასხვა პროფილის გამოვლენის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის შეფასებისთვის, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება გამოყოფილ იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

1. დრო, რომელიც იხარჯება ერთ მგზავრში (სტუმარში) ნიშნების გამოვლენასა და ანალიზზე.
2. ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისწრაფე.
3. გადაწყვეტილების მიღების დრო მგზავრის პოტენციურ საშიშროებასთან დაკავშირებით (გადაწყვეტილების მიღება კონკრეტული პირის გარკვეული ტიპის პსპ-თან მიკუთვნების თაობაზე.
4. ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისრულის ხარისხი ხელთ არსებული დროისა და სიტუაციის თავისებურებების გათვალისწინებით.
5. უკონფლიქტობა მგზავრებთან (სტუმრებთან) მუშაობის დროს.
6. პრობლემური (კრიტიკული) სიტუაციების გადაწყვეტის დრო მგზავრებთან (სტუმრებთან) მუშაობის დროს.
7. ნიშნების იდენტიფიკაციის სიზუსტე.
8. დროის ერთეულში გამოვლენილი ნიშნების რაოდენობა.

პსპ-ების საქმიანობის ეფექტურობის თვალსაზრისით, ოპტიმალური ნიშნების გამოვლენის მეთოდებისა და ანალიზის ხერხების შერწყმა შეიძლება რეალიზებულ იქნეს პსპ-ების იდენტიფიცირების ტექნოლოგიის ჩარჩოებში. პსპ-ების სუს-ის სპეციალისტების მიერ გამოვლენის პროცესის თავისებურებების გათვალისწინებით, ტექნოლოგია აღწერს სახასიათო თავისებურებებს, ხერხებს, საქმიანობის მეთოდებს ანუ პასუხობს კითხვაზე „როგორ გამოვლინდეს“? პასუხი მოცემულ კითხვაზე მჭიდროდ უკავშირდება კითხვას „რა უნდა გამოვლინდეს?“ ანუ სუს-ის სპეციალისტების საქმიანობის საგანს, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს პსპ-ების სხვადასხვა პროფილის ნიშნების გამოვლენა, რაც განპირობებულია უჩა-თან კავშირის არსებობით. ერთი სიტყვით, ეფექტური ტექნოლოგია ეფუძნება საქმიანობის საგნის სპეციფიკას.

არსებითი მნიშვნელობა გააჩნია იმ გარემოებას, თუ რომ მოდელში ჩადებული ლოგიკა იძლევა საშუალებას მოხდეს მისი მეშვეობით პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის პროცესის აღწერა ნებისმიერი სახის უჩა-თვის. ამასთან, მოდელის შესაბამისად, თავიდან ხდება უჩა-ს სახეების სპეციფიკის გაანალიზება, შემდეგ აღიწერება პსპ-ების მოქმედების კანონზომიერებები, რაც განპირობებულია მოცემული სახის უჩა-ს ხასიათით და ასევე შესაძლო პროფილები და მათი ნიშნები, რის საფუძველზეც აღიწერება ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის მოქმედებებების თავისებურებები.

ამდენად, სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების გამოვლენის მოდელის სტრუქტურა ახდენს ნიშნების წარმოქმნის პროცესის ინტეგრირებას მათი გამოვლენის პროცესთან და ასევე ეფექტურობის პირობებთან. მოდელის ზოგადი ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ პსპ-ების გამოვლენა ხორციელდება ინდიკატორთა იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა პროფილის პსპ-ში ნიშნების წარმოქმნის კანონზომიერებებს. ეს საშუალებას იძლევა აღიწეროს მისი მეშვეობით პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის პროცესი და თავისებურებები ნებისმიერი სახის უჩა-თვის.

სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების იდენტიფიცირების თავისებურებები, ერთის მხრივ, განისაზღვრება უჩა-თან კავშირის მქონე პირების არავერბალური აქტიურობის კანონზომიერებებით, რომლებიც ახდენენ სხვადასხვა პროფილის პსპ-

ების გარედან დაკვირვებადი ემოციური და ქცევითი რეაქციების სპეციფიკის დეტერმინაციას, მეორეს მხრივ კი, იმ სიტუაციის სპეციფიკით, რომელშიც ხორციელდება ნიშნების გამოვლენა. პსპ-ების გამოვლენის საქმიანობის ეფექტურობა დამოკიდებული იქნება ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის გამოყენებული მეთოდების სხვდასხვა ტიპის პსპ-ების ემოციური მდგომარეობებისა და ქცევის ფორმების თავისებურებებთან შესაბამისობის ხარისხზე, შემოწმების პროცედურების განსხვავებულ სიტუაციაში. საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემოთავაზებული კრიტერიუმები[39].

1.5 მათემატიკური მოდელირების ინტეგრირება

მოცემულ ეტაპზე კვლევა ორიენტირებულია საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემაზე პსპ-ს იდენტიფიკაციის რეალიზების გზით, ანუ კვლევის საგანს წარმოადგენს უზრუნველყოფის საშუალებები (ტექნიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, რესურსი და სხვა). შესაბამისად საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები უნდა განვიხილოთ მისი დონის ოპტიმალური მართვის თვალსაზრისით, მიღებული დავალებების იდენტიფიცირების თანამიმდევრული გადაწყვეტით და გაზომვით. ამ მიმართულებით მიღებული შედეგების ანალიზი ცხადყოფს ფორმალიზაციის პრობლემაზე[40] გადასვლის აუცილებლობას, რომელსაც უზრუნველყოფს მათემატიკური მოდელირება საავიაციო უსაფრთხოების მართვის პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით.

ამ ეტაპზე დგება საკითხი - მათემატიკური მოდელირებით, შესაძლებლობების შეფასების გათვალისწინებით გამოყენებულ იქნეს იგი ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევების საწინააღმდეგო პარამეტრების ფორმულირებისათვის.

[39] Jeffrey Price, Jeffrey Forrest. Practical Aviation Security: Predicting and Preventing Future Threats. ISBN:978-0-12-391485-9 MA, US. December 2012.
[40] http://www.orenipk.ru/kp/distant_vk/docs/2_1_1/inf/inf_form.html

შემოთავაზებული მოდელი განეკუთვნება სასაზღვრო ამოცანების კლასს, რომელიც აღიწერება დიფერენციალური განტოლებებით კერძო წარმოებულებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანის შემოთავაზებული ლინგვისტური დაყენება და მითუმეტეს, მოწყვლადობის სტრუქტურულ-ლოგიკური მოდელი, საკმაოდ არასრულყოფილია და არ ასახავს რეალურად არსებული ფიზიკური პროცესების გარკვეულ ნიუანსებს საავიაციო უსაფრთხოების დარგში. ამასთან, ზოგადად, რაიმე მოდელის არარსებობის გარდა, ამოცანის ასე დაყენება შეიძლება მივიღოთ ფორმალიზაციის ეტაპის დასრულების მოდელის დაზუსტების პირობის დროს. გამომდინარე აქედან ამ ეტაპზე დგება სასაზღვრო ამოცანების თეორიის მათემატიკური ანალიზი.

შერეული (კიდურა) ამოცანა ჰიპერბოლური ტიპის განტოლებისთვის არის u(x, t) ∈ C2 ($Q\infty$) ∩ C1 ($Q\infty$), ფუნქციის პოვნა, რომელიც აკმაყოფილებს განტოლებას[41];

$\rho \frac{\partial^2 \cup}{\partial^{t2}}$ = div (p grad u) – qu + F (x, t), (x,t) ∈ $Q\infty$,

საწყის პირობებთან

$u|t$=0 =u0(x), $\frac{du}{\frac{dt}{t}=o}$ = uu1(x), x ∈ Ḡ

და მოსაზღვრე პირობისადმი

αu + β$\frac{du}{dn}$ | s=0.

შერეული (კიდურა) ამოცანა პარაბოლური ტიპის განტოლებისთვის მდგომარეობს ფუნქციების u(x, t) ∈ C2 ($Q\infty$) ∩ C1 (Ǫ ∞), grad x და ∈ C (Ǫ ∞), რომელიც აკმაყოფილებს განტოლებას

$\rho \frac{du}{dt}$ = div (p grad u) – qu+ F (x,t,), (x,t) ∈ Ǫ ∞,

საწყის პირობასთან

ut=0 = u0(x), x ∈ Ḡ

[41] https://core.ac.uk/download/pdf/268227746.pdf

და მოსაზღვრე პირობასთან

$\alpha u0 + \beta\frac{du}{dn} = v\ (x,t),\ (x,t) \in S\ X\ [o, \infty).$

საკითხი განტოლების არჩევის შესახებ, რომელიც ადეკვატურად აღწერს საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის ობიექტის დაცვის ჰიპოთეზურ ველს, რჩება ღია. კერძო წარმოებულებიანი განტოლებების წარმოდგენილი კლასიფიკაცია გვიჩვენებს მათ ფართო შესაძლებლობებს ასეთი პროცესების აღსაწერად, თუმცა სერიოზული გაურკვევლობის გათვალისწინებით ობიექტის დაცვის ველის ფიზიკური აზრის გაგებასა და მის ინტერპრეტაციაში გარკვეული ფიზიკურად რეალიზებადი პარამეტრების მეშვეობით ფორმალიზაციის ამოცანას აყენებს არაზუსტი ამოცანების კლასში. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ევრისტიკული მიდგომა[42]. აქედან გამომდინარეობს საკითხი ამოხსნის მეთოდების შესახებ.

უმეტეს შემთხვევებში კიდურა ამოცანების ამოხსნის ანალიტიკურ მეთოდებს გააჩნია შეზღუდული გამოყენება. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება რიცხობრივი მეთოდები. ჩვენს ამოცანასთან მიმართებაში, როცა ამოხსნის საფუძველში დევს მათ შორის ევრისტული პროცედურები, შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ ამოხსნის რაღაც კომბინირებულ მეთოდზე. შესაბამისად ვხედავთ სამოქალაქო ავიაციის ობიექტების უკანონო ჩარევისგან დაცვისა და საფრთხის ჰიპოთეზური ველების ფორმალიზაციისა და მოდელირების პრინციპულ შესაძლებლობას კერძო წარმოებულებში კიდურა ამოცანების თეორიის მათემატიკური აპარატის გამოყენებით.

I თავის დასკვნითი ნაწილი

[42] Obrad Babic , Milica Kalic, Goran Pavkovic, Slavica Dozic & Mirjana Cangalovic. Heuristic approach to the airline schedule disturbances problem. Transportation Planning and Technology. 257-280 pp. 2010

ამდენად, იმ მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც განაპირობებენ სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე შესაძლო ნიშნებს უჩა-ს მცდელობის (განხორციელების) დროს, ჩვენ განვიხილეთ პოტენციურად საშიში პირების პროფილები, პროფაილინგში გამოყოფილი პროფილების „ინფორმირებულობა- არაინფორმირებულობის“ საფუძველზე.

პოტენციურად საშიში პირების პროფილების განხილვის დროს, მათი თავისებურებების კუთხით, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პროფილების ზოგიერთი წარმომადგენელი წარმოადგენს მანიპულაციის ობიექტს ტერორისტული და კრიმინალური ორგანიზაციების მხრიდან. მანიპულაცია, განსაზღვრული, როგორც ადამიანების ფარული მართვა, ასევე შეიძლება იყოს გაშუალებული გავლენის მქონე იმ პირთა ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაზე, რომლებზეც ხდება მანიპულაციური ზეგავლენა. ადამიანების ქცევაში, რომლებიც ექცევიან ფარული ზეგავლენის ქვეშ, შესაძლებელი იქნება ემოციური რეაქციების გარკვეული შეფერხების, სქემატურობის, სპექტრის შეზღუდულობის დანახვა.

პროფილების წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე, მათი თავისებურებების თვალსაზრისით, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ინფორმირებულობის ფაქტორი, რომელიც თავიდან იყო ჩადებული პოტენციურად საშიში პირების ტიპოლოგიზაციაში, წარმოადგენს მნიშვნელოვანს, მაგრამ არა ერთადერთს ქცევის თავისებურებების გამოვლენის კუთხით. პოტენციურად საშიში პირების ქცევის ფორმებისა და შესაძლო ემოციური მდგომარეობების განსასაზღვრავად უჩა-ს მცდელობის (განხორციელების) დროს უნდა განვიხილოთ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც, როგორიცაა მოტივაცია, მიზნები, ბრალეულობა და სიტუაცია.

მოცემული ფაქტორების გამოხატულება პროფილებში განსაზღვრავს არა მხოლოდ ნიშნების ნაკრებს, არამედ მათ შორის, სისტემურ კავშირსაც. თავის მხრივ, პოტენციურად საშიში პირების პროფილის შიგნით ნიშნების შეთანხმების ვარიანტები და გამოხატულება იქნება მერყევი მათი ინდივიდუალური თავისებურებების, გარე ვითარების და ასევე სუს-ისა და პოლიციის მოქმედებების მიხედვით.

პროფილების განხორციელებული თეორიული კვლევა შეიძლება აღვნიშნოთ, როგორც პსპ-ების პროფილების ქმედითი ანალიზი პსპ-ების ნიშნების შესაბამისი სისტემის გამოყოფის მიზნით.

პსპ-ების ქმედითი ანალიზი არის პოტენციურად საშიში პირების პროფილების განხილვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოხატულების თვალსაზრისით, რომლებიც განაპირობებენ კანონზომიერებებს და ნიშნების წარმოქმნას უჩა-ს მცდელობის ან განხორციელების დროს.

პსპ-ს იდენტიფიკაციის შესაძლებლობების მათემატიკური მოდელირებისას ჩნდება მათემატიკური და მეთოდოლოგიური პრობლემები, რაც უკავშირდება აღნიშნული ველების პარამეტრების ზუსტი იდენტიფიკაციის დაუძლეველ სირთულეს.

პსპ-ების ანალიზის თეორიული და გამოყენებითი მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში:

1. პოტენციურად საშიში პირების პროფილში ემოციური შემადგენლის არსებობის (გამოხატულების) პრობლემის დაყენება და მისი გადაწყვეტის ხერხის განსაზღვრა, რომელიც იქნება პრაქტიკული ამოცანის - პსპ-ებს გამოვლენის ადეკვატური.
2. „ინფორმირებულობა“ –„არაინფორმირებულობის“ ფაქტორის გავლენის განხილვა, რომელიც დევს პსპ-ების „პროფაილინგის“ ტექნოლოგიაში პროფილებად და ასევე სხვა, მნიშვნელოვანი ფაქტორების (მოტივაცია, მიზნები, სიტუაცია და ა.შ.) ქცევისა და ემოციური მდგომარეობების კანონზომიერებებად დაყოფის საფუძველზე, რომლებიც განაპირობებენ შესაძლო ნიშნების წარმოქმნას უჩა-ს მცდელობის ან განხორციელების დროს. ამის შედეგად აღნიშნული ნიშნები პროფილებში შეიძლება განვიხილოთ, როგორც საფუძველი პსპ-ების გამოვლენისთვის.

აუცილებელია აღინიშნოს განხილული ემოციური მდგომარეობების გამოვლენის არაცნობიერი საფუძველი[43]. ორგანიზმის არავერბალური რეაქციები პსპ-ების

[43] Andrew R. Thomas. Aviation Security Management. 801pp. London 2008

აღნიშნული ნიშნების წარმოქმნის დროს წარმოადგენს თვითნებურს და ცუდად ექვემდებარება ცნობიერების მხრიდან კონტროლს.

პსპ-ების პროფილები ახასიათებენ უჩა-ს შესაძლო შემსრულებლებს. ნიშნები, როგორც აღნიშნული იყო პარაგრაფში 1.2. განპირობებული იყო არავერბალური მოქმედების ზოგადი კანონებით უჩა-ს მომზადებისა და განხორციელების დროს. შესაბამისად, ნიშნის გამოხატული გარე გამოვლინება შეიძლება შეფასდეს, როგორც ობიექტზე უჩა-ს მომზადებისა და განხორციელების იდენტიფიკატორი (იხ. ნახ.5).



ნახ.5 უჩა-ს საფრთხის გამოვლენა ნიშნის გარე გამოვლინებების მიხედვით

პირველ თავში წარმოდგენილი თეორიული კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. პსპ-ების გამოვლენა წარმოადგენს სუს-ის თანამშრომლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. ამჟამად, ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოყენებულ მეთოდებსა და ტექნოლოგიურ მიდგომებს გააჩნია რიგი შეზღუდვა, მათ შორის, განპირობებული პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების არასაკმარისი გათვალისწინებით, რაც განსაზღვრავს მოცემული თავისებურებებისა და შემუშავების მონაცემების კვლევის აუცილებლობას, რომელიც ითვალისწინებს მათ ტექნოლოგიურ პროცესს.
2. პსპ-ების იდენტიფიცირების ეფექტურობის ასამაღლებად, პირველ რიგში, აუცილებელია ინდიკატორთა დასაბუთებული სისტემა, რომელიც ეფუძნება მათი წარმოქმნისა და განვითარების მიზეზებისა და თავისებურებების ანალიზს.

მართლსაწინააღმდეგო საქმიანობასთან დაკავშირებული ადამიანის ემოციური აქტიურობის კანონზომიერებებიდან გაომდინარე, მოცემული ნიშნები მთლიანად დეტერმინირებულია უჩა-ს ხასიათით, როგორც მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით და უჩა-ს მომზადებასა და განხორციელებაში ჩართული ადამიანის ხასიათით. სხვადასხვა პროფილის პსპ-ების ნიშნების სისტემა მიზანშეწონილია განვიხილოთ ინტეგრალური მახასიათებლის -„პოტენციურად საშიში პირის პროფილი“- საფუძველზე.

3. სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების სხვადასხვა პროფილის ინდიკატორთა საფუძველზე იდენტიფიცირების თეორიული მოდელი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ ქვესისტემას, რომელიც ახდენს ნიშნების წარმოქმნის პროცესის და მათი გამოვლენის პროცესის და ასევე ეფექტურობის პირობების ინტეგრაციას. მოდელის ზოგადი ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ პსპ-ების გამოვლენა ხდება ინდიკატორთა იდენტიფიცირების და ანალიზის პროცესის საფუძველზე, რომლის საფუძველშიც დევს პსპ-ის სხვადასხვა პროფილში მათი წარმოქმნის კანონზომიერებები.
4. პროფილი ეყრდნობა ადამიანის ემოციური მოქმედების ზოგად კანონზომიერებებს ადამიანის მიერ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის დროს და ასევე ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების ანალიზს, რომლებიც განაპირობებენ პსპ-ების ქცევისა და ემოციური მდგომარეობის ძირითად თავისებურებებს, როგორიცაა ინფორმირებულობა, მოტივაცია, ბრალეულობა, მიზნები და სიტუაციის გავლენა. ის წარმოადგენს ადამიანის ქცევისა და ემოციური მდგომარეობის შესაძლო მოდელს, რომელიც გარკვეულწილად ჩართულია უჩა-ს მომზადებასა თუ განხორციელებაში, რაც მოიცავს შესაბამისი ურთიერთდაკავშირებული ნიშნების კომპლექსს. პროფილის კომპონენტებს წარმოადგენს პსპ-ების შესაძლო ემოციური მდგომარეობისა და ქცევის აღწერა უჩა-ს მომზადების (განხორციელების) დროს მოცემული ემოციური მდგომარეობებისა და ქცევის ფორმირების გარე გამოვლინებები.
5. პროფილები „ინფორმირებულობა“ და „არაინფორმირებულობის“ პრინციპის მიხედვით, კლასიფიკაციის ბაზაზე, წარმოადგენენ მნიშვნელოვან დანამატს „პროფაილინგის“ ტექნოლოგიის მიმართ, რამდენადაც არსებითად აფართოებენ და სისტემატიზირებას უწევენ წარმოდგენებს პსპ-ების თავისებურებების,

კონტროლისა და შემოწმების სიტუციაზე მათი შესაძლო რეაქციების თაობაზე და ასევე დეტალურად აღწერენ შესაძლო ნიშნების სისტემას. ამის შედეგად პროფილებს გააჩნია პრატიკული მნიშვნელობა, როგორც სუს-ის თანამშრომლების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების საშუალებას, პსპ-ების გამოვლენის დროს.

თავი 2. პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილების იდენტიფიცირების და ინდიკატორების ემპირიული კვლევა

2.1. პროფესიული საქმიანობის ეფექტურობაზე პოტენციურად საშიში პირების იდენტიფიცირების თავისებურებების შესახებ საავიაციო უშიშროების სამსახურის თანამშრომლების წარმოდგენის დონის გავლენის კვლევა;

საავიაციო უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის შემუშავებული მოდელის საფუძველზე კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საკვლევი ჰიპოთეზების შესამოწმებლად შემუშავებულ იქნა ემპირიული კვლევის პროგრამა.

კვლევის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ უჩა-ს საფრთხის სახეებს, პსპ-ების პროფილებსა და ინდიკატორებს შორის კავშირების საფუძველზე მოხდეს სუს-ის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილის გამოვლენის თავისებურებების შესწავლა, რაც საშუალებას მოგვცემდა გაგვეთვალისწინებინა ისინი იმ ტექნოლოგიის შემუშავების დროს, რომელიც მიმართულია პროფესიული საქმიანობის ოპტიმიზაციაზე.

ექსპერიმენტულ არჩევანს შეადგენდა სუს-ის 39 თანამშრომელი. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო გამოკითხვის, საუბრის, ანკეტირების, ექსპერტთა

შეფასებების, ბიოგრაფიული მეთოდი და ასევე მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები, რომლებიც მოიცავენ აღწერით სტატისტიკასა და კორელაციურ ანალიზს.

ემპირიული კვლევა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. სუს-ის თანამშრომლებში პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ არსებული წარმოდგენების და მათ პროფესიული საქმიანობის ეფექტურობას შორის კავშირის ხასიათის კვლევა.
2. პსპ-ების პროფილების სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტების საფრთხის სხვადასხვა სახესთან კავშირების კვლევა.
3. პსპ-ების სხვადასხვა პროფილის ინდიკატორთა კვლევა.
4. პოტენციურად საშიში პირების პროფილის იდენტიფიკაციის კვლევა.
5. პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილის ინდიკატორთა ინფორმატულობისა და მნიშვნელობის კვლევა.
6. სუიციდური ტერორისტების, როგორც პოტენციურად საშიში პირების ყველაზე საშიში პროფილის გამოვლენის თავისებურებების კვლევა.

პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ სუს-ის თანამშრომელთა არსებული წარმოდგენების კვლევა ხორციელდება სუს-ის თანამშრომელთა გამოკითხვის მეშვეობით. გამოკითხვის ჩასატარებლად შემუშავდა ანკეტა, რომელიც მოიცავს, როგორც პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ სუს-ის თანამშრომლების წარმოდგენების გამოვლენას, ასევე სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების მნიშვნელობის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს უკანონო ჩარევის აქტების თავიდან აცილების ეფექტურობისთვის. (დანართი 1)

სულ გამოიკითხა 25-დან 46 წლამდე სუს-ის 39 თანამშრომელი. პასუხების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხვაში მონაწილეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 84% მაღალ შეფასებას აძლევს პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების მნიშვენლობას მისი პროფესიული საქმიანობის ეფექტურობისთვის ანუ ანკეტის 1 კითხვაზე პასუხის გაცემისას მათ მიერ არჩეულ იქნა ვარიანტი 3 - აქვს არსებითი მნიშვნელობა და 4 - გააჩნია ძალიან დიდი მნიშვნელობა. გამოკითხულთა დაახლოებით 12% თვლის, რომ მოცემულ მონაცემებს

გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა და მხოლოდ 4% მიიჩნევს, რომ მათ არ გააჩნია მნიშვენლობა.

მოცემული შედეგები ადასტურებს იმას, რომ სუს-ის თანამშრომლების უდიდესი უმრავლესობა მაღალ შეფასებას აძლევს პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების მნიშვნელობას მათი პროფესიული საქმიანობის ეფექტურობისთვის.

პსპ-ების გამოვლენის დროს გამოკითხულთა უმრავლესობა ძირითადი სირთულის სახით აღნიშნავს დროის შეზღუდულობას შემოწმების დროს და მგზავრთა დიდ ნაკადს.

ყველაზე ხშირი პასუხები კითხვებზე, რომელიც უკავშირდება სუს-ის თანამშრომლების წარმოდგენებს პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ მოყვანილია ცხრილში 3.

ცხრილი 3.

ყველაზე ხშირი პასუხები კითხვებზე, რომელიც უკავშირდება სუს-ის თანამშრომლების წარმოდგენებს პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ

კითხვა	**ყველაზე ხშირი კითხვები**
თქვენი აზრით, მგზავრის (სტუმრის) ქცევისა ან/და ემოციური მდგომარეობის რა თავისებურებები მიუთითებს მის შესაძლო ჩართულობას სა-ს ობიექტზე უჩა-ს მომზადებაში (განხორციელებაში)?	- ატყუებს სუს-ის თანამშრომელს; - მზერა გადააქვს; - ხელები უკანკალებს; - რაღაცას მალავს; - არ გიყურებს თვალებში; - ტრიალდება და გვერდზე იყურება; - არადამაჯერებლად საუბრობს; - რაღაც უცნაურად იქცევა (არა როგორც სხვები); - ნერვიულობს შემოწმების დროს; - ენა ებმება, საუბრობს არადამაჯერებლად და არეულად.
როგორ აღიქვამთ მგზავრში (სტუმარში) აშკარა სტრესული მდგოამრეობის ნიშნების არსებობას სამოაქალაქო ავიაციის ობიექტისთვის მისი	- სტრესი მიუთითებს ტერაქტის განხორციელების შესაძლო განზრახვას; - მგზავრს გადააქვს აკრძალული საგანი

პოტენციური საფრთხის თვალსაზრისით?	(ნივთიერება); - წესრიგში არაა სამგზავრო დოკუმენტები; - ნერვიულობს გარე მიზეზებზე.
აღნიშნული ემოციური მდგომარეობებიდან (სტრესი, შიში, შფოთვა) რომელი მიუთითებს მაღალი ალბათობით მგზავრის კავშირს უჩა-ს მომზადებასა და განხორციელებასთან?	- ყველა სახე მიუთითებს; - სტრესი; - შიში; - სტრესი, შიში; - შფოთვა.
თქვენი აზრით, როგორ მოიქცევა მგზავრი (სტუმარი), რომელიც გამოიყენება ტერორისტული სტრუქტურების მიერ უჩა-ს განსახორციელებლად და რომელმაც არ იცის მისი მონაწილეობის თაობაზე მომზადებად ტერაქტში?	- მოიტყუებს; - ძალიან ინერვიულებს; - შეეშინდება სუს-ისა და პოლიციის თანამშრომლების; - განიცდის სტრესს შემოწმების დროს; - თავს არიდებს სათვალთვალო კამერებს.
ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაში რა გარეგნული ნიშნებით გამოავლენდით თვითმკვლელ-ტერორისტს?	- ცრუობს; - უცნაურად იქცევა; - ძლიერი სტრესი; - ნერვიულობს.
როგორ აღწერდით პირის შესაძლო ქცევასა და ემოციურ მდგომარეობას, რომელიც ამზადებს სხ-ს გატაცებას მისი აეროპორტის ტერიტორიაზე ყოფნისას?	- თავს არიდებს პოლიციისა და სუს-ის თანამშრომლებს; - თავს არიდებს სათვალთვალო კამერებს; - ნერვიულობს შემოწმების დროს; - სწრაფად სურს შემოწმების გავლა; - ცრუობს
რას უკავშირდება პსპ-ებში ამა თუ იმ ნიშნების გამოვლენა?	- პსპ-ების განსაკუთრებული ემოციური მდგომარეობით; - პსპ-ების შიშით; - პსპ-ების სტრესით; - პსპ-ების შესაძლო ემოციური გადახრებით (დარღვევებით)
არსებობს თუ არა პსპ-ების ერთმანეთთან დაკავშირებული ნიშნები, თუ კი, მაშინ როგორაა ისინი ერთმანეთთან კავშირში?	- შფოთვის, სტრესისა და შიშის ნიშნები იმის ხარჯზე, რომ პსპ-ებში შეიძლება ერთდროულად არსებობდეს ეს მდგომარეობები შემოწმების დროს; - სიცრუისა და შფოთვის ნიშნები იმის

	ხარჯზე, რომ პსპ-ებს ეშინიათ მხილების.

პასუხების ანალიზი საშუალებას იძლევა აღინიშნოს ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ სუს-ის თანამშრომლების ნაწილს გააჩნია წარმოდგენების საკმაოდ კარგი დონე პსპ-ების თავისებურებების შესახებ, მთლიანობაში დომინირებს რამდენადმე გამარტივებული და სტერეოტიპული წარმოდგენები. კერძოდ, წარმოდგენები იმის შესახებ, რომ პსპ-ები შემოწმების დროს აუცილებლად მოიტყუებენ და იქნებიან შიში, სტრესის ან შფოთვის გავლენის ქვეშ. ასევე ყურადღებას იქცევს საკმაოდ სუსტი ცოდნა ნიშნებისა და მათ შორის კავშირების წარმოქმნის კანონზომიერებების შესახე, რაც მოწმობს ნიშნების წარმოქმნის არავერბალური კანონზომიერებების არცოდნასა და სისტემური წარმოდგენების უქონლობას.

პსპ-ების გამოსავლენად თავიანთ უშუალო საქმიანობაში პროფაილინგის ცოდნის აუცილებლობის შესახებ კითხვაზე გამოკითხულთა დაახლოებით 97%-მა გასცა დადებითი პასუხი. სუს-ის თანამშრომლების მიერ აუცილებელი ცოდნის სახით გამოიყო:

- ✓ ტყუილის ფსიქოლოგია;
- ✓ ტყუილის გარეგნული ნიშნები;
- ✓ ნიშნები ქცევაში, რაც მიუთითებს იმას, რომ ადამიანს სურს დანაშაულის ჩადენა;
- ✓ ტყუილის გამოვლენა (ხერხები);
- ✓ სხეულის ენა;
- ✓ ტერორისტების (თვითმკვლელი-ტერორისტების) ფსიქოლოგია;
- ✓ მგზავრებთან (სტუმრებთან) ურთიერთობის ტექნიკა;
- ✓ კონფლიქტების დაძლევის ტექნიკა;
- ✓ როგორ უნა დააკვირდე სწორად მგზავრებს;
- ✓ თვითრეგულაციის მეთოდები.

უნდა აღინიშნოს სუს-ის თანამშრომელთა გამოხატული მოთხოვნა გამოყენებითი ცოდნის მიღებაზე და, პირველ რიგში, ტყუილის გამოვლენის მეთოდების ცოდნა. ეს

ლოგიკურად გამომდინარეობს პსპ-ების მოდელის წარმოდგენის შესახებ უპირატესი ხასიათისა და პროფესიული საქმიანობის სპეციფიკიდან.

გამოკითხვის შედეგების ანალიზის შედეგად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სუს-ის თანამშრომლები მაღალ შეფასებას აძლევენ პსპ-ების იდენტიფიკაციის თავისებურებების მნიშვნელობას სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტის თავიდან აცილების ეფექტურობისთვის. ამავე დროს მათი წარმოდგენები ამ თავისებურებების შესახებ მთლიანად ატარებს გამარტივებულ, არასისტემურ და ხშირად, სტერეოტიპულ ხასიათს.

სუს-ის თანამშრომლებში პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ არსებულ წარმოდგენებსა და პროფესიული საქმიანობის ეფექტურობას შორის კავშირის ხასიათის კვლევები ხორციელდებოდა კორელაციური ანალიზის[44] მეშვეობით. ამისათვის თავიდან ხორციელდებოდა პსპ-ების იდენტიფიცირების თავისებურებების შესახებ სუს-ის თანამშრომელთა წარმოდგენების დონის და მათი პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის საექსპერტო შეფასება.

პირველ შემთხვევაში, ექსპერტების სახით გამოდიოდნენ სპეციალისტები 10 წელი და მეტი შრომითი სტაჟით, მათ შორის, სუს-ში დასაქმებულები და რომლებიც კარგად იცნობენ პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიას.

გამოკითხვაში მონაწილე სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის საექსპერტო შეფასება ხორციელდებოდა სუს-ის ხელმძღვანელი შემადგენლობის წარმომადგენლების, გამოკითხვაში მონაწილე სუს-ის თანამშრომლების უშუალო ხელმძღვანელების მიერ საკვლევ მოდელში გამოყოფილი კრიტერიუმების მიხედვით. ექსპერტებს შესთავაზეს პსპ-ების გამოვლენის თაობაზე საკუთარი თანამშრომლების საქმიანობის ეფექტურობის თითოეული კრიტერიუმის გამოხატულების შეფასება. საექსპერტო გამოკითხვის ჩასატარებლად შემუშავდა პსპ-ების გამოვლენის თაობაზე სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის შეფასების ანკეტა (დანართი 2). შეფასება ხორციელდებოდა ხუთქულიანი შკალით, რომელსაც შემდეგი მნიშვნელობები გააჩნია:

1- კრიტერიუმი პრაქტიკულად არაა გამოხატული,

[44] Lee Baker. Beginner's Guide to Correlation Analysis. 45pp 2018 US

2- კრიტერიუმი გამოხატულია უმნიშვნელოდ,

3- კრიტერიუმის საშუალო გამოხატულება,

4- კრიტერიუმი გამოხატულია მნიშვნელოვნად,

5- კრიტერიუმი გამოხატულია ძლიერ.

პსპ-ების იდენტიფიცირების თავისებურებების შესახებ წარმოდგენების დონესა და პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის კრიტერიუმების გამოხატულებას შორის კავშირის ხასიათის ანალიზისთვის გამოიყენებოდა კორელაციური ანალიზი **r** -სპირმენის კორელაციის რანგული კოეფეიციენტის გამოანგარიშებით. მიღებული შედეგები მოყვანილია ცხრილში 4.

მიღებული მნიშვნელობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პსპ-ების იდენტიფიცირების თავისებურებების შესახებ სუს-ის თანამშრომლების წარმოდგენების დონესთან სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დადებითადაა დაკავშირებული საქმიანობის ეფექტურობის კრიტერიუმების უმრავლესობა, კერძოდ:

- ერთ-ერთ მგზავრში/სტუმარში ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისწრაფე ($p \leq 0,01$).
- გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე მგზავრის/სტუმრის პოტენციურ საფრთხესთან დაკავშირებით ($p \leq 0,05$).
- ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისრულე (არსებული დროისა და სიტუაციის თავისებურებების გათვალისწინებით). ($p \leq 0,05$).
- ნიშნების იდენტიფიკაციის სიზუსტე შემოწმების წარმოების დროს($p \leq 0,05$).
- პსპ-ების იდენტიფიკაციის სიზუსტე გამოვლენილი გარე ნიშნების მიხედვით ($p \leq 0,05$).

ცხრილი 4

კორელაციის მნიშვნელოვანი კოეფიციენტები პსპ-ების იდენტიფიცირების თავისებურებებსა და პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის კრიტერიუმებს შორის

	1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**
a	1,00	0,37	0,29	0,31	-	-	0,35	0,36

b		1,00	0,33	-	-	-	-	-
c			1,00	-	-	-	-	0,35
d				1,00	-	-	-	0,36
e					1,00	-	-	-
f						1,00	-	-
g							1,00	-

ცვლადების აღწერა;

1- პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ წარმოდგენების დონე;
2- ერთ მგზავრში/სტუმარში პსპ-ების ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისწრაფე;
3- გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე მგზავრის/სტუმრის პოტენციურ საფრთხესთან დაკავშირებით;
4- ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისრულე;
5- უკონფლიქტობის დონე მგზავრებთან/სტუმრებთან მუშაობის დროს;
6- რთული სიტუაციების გადაწყვეტის სისწრაფე მგზავრებთან/სტუმრებთან მუშაობის დროს;
7- ნიშნების იდენტიფიკაციის სიზუსტე შემოწმების წარმოების დროს;
8- პსპ-ების იდენტიფიკაციის სიზუსტე გამოვლენილ გარე ნიშნებთან დაკავშირებით.

შესაფასებლად პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის გამოყენებული შვიდი (a,b,c…g) კრიტერიუმიდან ხუთს შორის დადებითი მნიშვნელოვანი კავშირის არსებობა მოწმობს პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ წარმოდგენების დონის მნიშვნელობას სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობისთვის.

მიღებული მონაცემების ანალიზი ასევე იძლევა საშუალებას აღინიშნოს მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია რიგ კრიტერიუმს, კერძოდ, ისეთ კრიტერიუმებს შორის, როგორიცაა „ერთ მგზავრში/სტუმარში პსპ-ის ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისწრაფე“ და „გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე მგზავრის/სტუმრის პოტენციურ საფრთხესთან დაკავშირებით“ **($p \leq 0,05$)**,

„გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე მგზავრის/სტუმრის პოტენციურ საფრთხესთან დაკავშირებით“ და „პსპ-ების იდენტიფიკაციის სიზუსტე აღმოჩენილი გარე ნიშნების მიხედვით“ **(p≤0,05)**, „ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისრულე“ და „პსპ-ების იდენტიფიკაციის სიზუსტე აღმოჩენილი გარე ნიშნების მიხედვით“**(p≤0,05)**.

მოცემული ურთიერთკავშირები შეიძლება განპირობებულ იქნეს ტექნოლოგიური მოქმედებების სიახლოვით, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული კრიტერიუმების გამოხატულებას. ერთი სიტყვით, გარკვეული წარმოდგენების არსებობა პსპ-ების თავისებურებების შესახებ პოზიტიურად აისახება პროფესიული საქმიანობის რამოდენიმე, ტექნოლოგიურად ახლო შემადგენელზე, რომელიც დევს კრიტერიუმის საფუძველში. მაგალითად, პსპ-ების იდენტიფიკაცია მჭიდროდ უკავშირდება ნიშნების გამოვლენასა და ანალიზს, რამდენადაც ხორციელდება მათ საფუძველზე, ამიტომაც კავშირი კრიტერიუმებს „ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისრულე“ და „პსპ-ების იდენტიფიკაციის სიზუსტე გამოვლენილი გარე ნიშნების მიხედვით“ შორის სრულიად კანონზომიერია.

კორელაციური ანალიზის შედეგები საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ წარმოდგენების დონე პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის თავისებურებების შესახებ მნიშვნელოვნად დადებითად არის დაკავშირებული სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის კრიტერიუმებთან. წარმოდგენებსა და საქმიანობას შორის კავშირის საერთო ლოგიკის გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ სწორედ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის თავისებურებების შესახებ სუს-ის თანამშრომლების წარმოდგენების დონე დადებითად ახდენს გავლენას მათი პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის რიგ კრიტერიუმზე.

ამდენად, მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა:

1. პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ სუს-ის თანამშრომლების წარმოდგენების დონე დადებითად ახდენს გავლენას მათი პროფესიული საქმიანობის ეფექტურობაზე. რაც უფრო მაღალია წარმოდგენების დონე, მით უფრო მაღალია ისეთი კრიტერიუმების მნიშვნელობა, როგორიცაა: „ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისწრაფე ერთ მგზავრში/სტუმარში“,

„გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე მგზავრის/სტუმრის პოტენციურ საფრთხესთან დაკავშირებით“, „ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისრულე“, „ნიშნების იდენტიფიკაციის სიზუსტე შემოწმების წარმოების დროს“, „პსპ-ების იდენტიფიკაციის სიზუსტე გამოვლენილი გარე ნიშნების მიხედვით“.

2. თავად სუს-ის თანამშრომლები მაღალ შეფასებას აძლევენ პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების მნიშვნელობას მათი პროფესიული საქმიანობის ეფექტურობისა და სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უჩა-ს თავიდან აცილებისთვის. ამავე დროს, უმეტეს შემთხვევაში, მათი წარმოდგენები ამ თავისებურებების შესახებ მთლიანად ატარებს გამარტივებულ, არასისტემურ და სტერეოტიპულ ხასიათს. მოცემული პრობლემის გადასაჭრელად სუს-ის თანამშრომლებს სჭირდებათ გამოყენებითი ცოდნა პსპ-ების თავისებურებების შესახებ, რაც მოიცავს წარმოდგენებს პსპ-ების ინდიკატორთა გენეზისა და სისტემის შესახებ და ასევე მასზე დაფუძნებული მისაწვდომი ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პსპ-ების გამოვლენის თავისებურებებსა და სუს-ის საქმიანობის სპეციფიკას.

2.2. უკანონო ჩარევის აქტების სხვადასხვა ხასიათის საშიშროებებთან პოტენციურად საშიში პირების პროფილების კავშირის კვლევა, როგორც საფუძვლები პრიორიტეტების რეალიზაციისთვის საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების საქმიანობაში;

როგორც აღინიშნა მოცემული ნაშრომის პარაგრაფში 1.1. საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიმართულია სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტების თავიდან აცილებაზე. შესაბამისად, პოტენციურად საშიში პირების გამოვლენა სუს-ის თანამშრომლების მიერ, პირველ რიგში, ხორციელდება უკანონო ჩარევის აქტების თავიდან აცილების მიზნით. უკანონო ჩარევის აქტები

შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან მათი საფრთხის ხარისხით ანუ შედეგების სიმძიმით. საავიაციო უსაფრთხოების თვალსაზრისით, აუცილებელია ამის გათვალისწინება, ყველაზე საშიში სახის უჩა-ს თავიდან აცილების პრიორიტეტულობის უზრუნველყოფისას, მათ შორის, პსპ-ების სუს-ის თანამშრომლების მიერ გამოვლენის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, საინტერესოს წარმოადგენს პსპ-ების პროფილების კავშირების და შესაბამისად, მათი საკვანძო ნიშნების კვლევა სხვადასხვა ხარისხის საფრთხის შემცველი უჩა-ს საფრთხესთან ერთად.

სხვადასხვა სახის უჩა-ს საფრთხის ხარისხის შეფასება ხორციელდებოდა საქართველოში განხორციელებული უჩა-ს ანალიზისა და ექსპერტთა აზრის საფუძველზე, რომელთა სახითაც გამოდიოდნენ სუს-ის თანამშრომლები, საშუალო ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენლები სუს-ის მუშაობის გამოცდილებით 5 წლიდან, სულ 9 ადამიანი. ექსპერტებს შესთავაზეს უჩა-ს ძირითადი სახეების რანჟირება სამოქალაქო ავიაციის ობიექტებისთვის ზიანის მიყენების საფრთხის ხარისხის მიხედვით, რაც მოიცავდა საფრთხეს მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის და მატერიალური ზიანის საფრთხეს. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ (1 რანგი შეესაბამება მაქსიმალურ საფრთხეს).

1. სუიციდური ტერაქტი სამოქალაქო ავიაციის ობიექტის ტერიტორიაზე.
2. სუიციდური ტერაქტი საჰაერო ხომადლის ბორტზე.
3. საჰაერო ხომალდის აფეთქება ასაფეთქებელი მოწყობილობის მგზავრის ბარგში (ნივთში) მოთავსების გზით.
4. საჰაერო ხომალდის გატაცება.
5. აფეთქება ასაფეთქებელი მოწყობილობის სამოქალაქო ავიაციის ტერიტორიაზე დადების (შეტანის) გზით.

პსპ-ების პროფილების კავშირი უჩა-ს საფრთხესთან შესწავლილი იყო სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე განხორციელებული უჩა-ს შესაბამისი სახეებისა და მოცემული ნაშრომის 1.2 პარაგრაფში წარმოდგენილი თეორიული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე. მონაცემები უჩა-ს შესახებ, რომელიც განხორციელდა ბოლო ხანებში სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე წარმოდგენილია ცხრილში 5.

ცხრილი 5

მონაცემები უჩა-ს შესახებ, რომლებიც განხორციელდა სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე

უჩა-ს თარი-ღი და სახე	**სა-ს ობიექტი**	**მსხვერპლის რაოდენობა/მატერიალური ზარალი**	**უჩა-ს შემსრულებლების რაოდენობა**	**პსპ-ების პროფილი**	**შემსრულებ-ლის თავისებურებე-ბი**
2001 წლის 11 სექტემბ გატაცება	ისლამისტმა ტერორისტებმა გაიტაცეს ოთხი კომერციული სამგზავრო თვითმფრინავი აშშ-ს ტერიტორიაზე	დაიღუპა ყველა მგზავრი. ასევე ადამიანები მიწაზე. სულ 2996 ადამიანი ს/ხ სრული განადგურება	19	სუიციდური ტერო-რისტი	ჯგუფური. გამტაცებლებლ მა გამიზნულად დააჯახეს ორი თვითმფრინავი ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორ ცათამბჯენს. მესამე თვითმფრინავი პენტაგონის შენობას. მეოთხე თვითმფრინავი სომერსეტ-ქაუნთის, ველზე ჩამოვარდა.
სხ-ის დაკავება	რეისი“სტამბულ ი-მოსკოვი“	დაიღუპა 2 ადამიანი (ბორტგამცილებელი და	3	ტერორისტი	ჯგუფური დაკავება ცივი

და გატაცება	ტუ-154	მგზავრი)			იარაღის გამოყენებით
24.08.04წ. სუიციდური ტერაქტი სხ-ის ბორტზე	ავიაკომპანია „ციმბირის“ სამგზავრო თვითმფრინავი ტუ-154 მოსკოვი, დომოდედოვო, რეისი „მოსკოვი-სოჭი“	დაიღუპა 46 ადამიანი/სხ-ის სრული განადგურება	1	სუიციდური ტერო-რისტი	სხ-ის ჰაერ-ში აფეთ-ქება
2019 წლის 24 თებერვალი გატაცება.	Biman Bangladesh Airlines რეისი147 დაკა-დუბაი	შტურმისას დაიღუპა 1 ტერორისტი.	1	ტერორისტი	ს/ხ-ის შტურმით აღება.
1988 წლის 21 დეკემბერი აფეთქება ბორტზე ფრენისას	ავიაკომპანიები Pan Am (აშშ). რეისი 103 ფრანკფურტი - ლონდონი - ნიუ იორკი - დეტროიტი	აფეთქება ჰაერში ლოკერბიის (შოტლანდია) თავზე. ბორტზე საბარგო განყოფილებაში აფეთქდა ბომბი. დაიღუპა ბორტზე მყოფი 243 მგზავრი და ეკიპაჟის 16 წევრი, ასევე 11 ადამიანი მიწაზე.	2	ტერორისტი	საჰაერო ხომალდზე ასაფეთქებელი მოწყობილობის შეტანა

მონაცემების ანალიზი ადასტურებს სუიციდური ტერაქტის (სა-ის ობიექტის ტერიტორიაზე და სხ-ის ბორტზე), როგორც უჩა-ს საექსპერტო შეფასების სამართლიანობას, რომელსაც გააჩნია ყველაზე მაღალი ხარისხის შეფასება სა-ს ობიექტებისთვის საფრთხის კუთხით. ასევე შეიძლება აღინიშნოს ის, რომ მოყვანილ შემთხვევებში ჩანს გარკვეული სახის უჩა-ს განხორციელების კანონზომიერება პსპ-ების განსაზღვრული სახეების მიერ. ასე მაგალითად, ისეთი სახის უჩა, როგორიცაა „სხ-ის გატაცება“ ხროციელდებოდა პროფილის“ ტერორისტი“ მიერ, ხოლო სუიციდური ტერაქტები, შესაბამისად, პროფილის „სუიციდური ტერორისტი“ წარმომადგენლების მიერ. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე

ეხება არა კავშირებს პსპ-ების პროფილების სახელწოდებებსა და მათ მიერ განხორციელებულ უჩა-ს შორის, არამედ იმას, როგორც ამას გვიჩვენებს პრაქტიკა და რასაც ხაზს უსვამს ჩვენი თეორიული ანალიზის შედეგები, გარკვეული სახის უჩა ხორციელდება გარკვეული პროფილის პსპ-ების მიერ, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ქცევითი თავისებურებები.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ სხ-ის დაკავება (გატაცება), სუიციდური ტერაქტისგან განსხვავებით, ხორციელდება ტერორისტთა ჯგუფის მიერ. ეს თავისებურება სრულიად ლოგიკურია მისი ჩადენის „ტექნოლოგიის“ თვალსაზრისით, ერთ ადამიანს ძალიან უჭირს თვითმფრინავის კონტროლის ქვეშ აყვანა, განსაკუთრებით, თუ ეს დიდი თვითმფრინავია და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოცემული სახის უჩა-ს მომზადების ნიშნის სახით. ამასთან დაკავშირებით, სუს-ის ამ თანამშრომლებმა შემოწმების დროს უნდა გააანალიზონ არა მხოლოდ ცალკეული მგზავრების ქცევა და ემოციური მდგომარეობა, არამედ გააანალიზონ მგზავრთა ჯგუფებიც, ყურადღება უნდა მიაქციონ რა ჯგუფის შემადგენლობასა და ხასიათს და ასევე მგზავრებს/სტუმრებს შორის ფარული კონტაქტისა და პროფილის „ტერორისტი“ ნიშნების არსებობას ჯგუფის რომელიმე წევრში.

პსპ-ების პროფილების უჩა-ს საფრთხესთან კავშირების ვარიანტის მთელი სპექტრის შესწავლისთვის, ამ ინციდენტების გარდა, ხორციელდებოდა მისაწვდომი ინფორმაციის ანალიზი უცხოეთის სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე განხორციელებული უჩა-ს შესახებ და გამოიყენებოდა მოცემული ნაშრომის პარაგრაფში 1.2 აღწერილი თეორიული კვლევის შედეგები.

პსპ-ების სხვადასხვა პროფილის განსხვავებული ხარისხის საშიშროების უჩა-ს საფრთხესთან კავშირის ვარიანტები წარმოდგენილია ცხრილში 6.

ცხრილი 6

პსპ-ების პროფილების კავშირი სხვადასხვა ხარისხის უჩა-ს საფრთხეებთან

უჩა-ს საფრთხის საშიშროების რანგი	უჩა-ს სახეები	პსპ-ების პროფილი-უჩა-ს სავარაუდო შემსრულებლები

1	სუიციდური ტერაქტი სა-ს ობიექტის ტერიტორიაზე	„სუიციდური ტერორისტი“
2	სუიციდური ტერაქტი სხ-ზე	„სუიციდური ტერორისტი“
3	სხ-ის აფეთქება ამ-ს მგზავრების ბარგში (ნივთებში) ჩადების გზით	„გულუბრყვილო ტერორისტი“ „ნაწილობრივ გულუბრყვილო“ „ყალბი ტერორისტები“
4	სხ-ს დაკავება (გატაცება)	„ტერორისტი“
5	აფეთქება სა-ს ობიექტზე სა-ს ტერიტორიაზე ამ-ის ჩადების მეშვეობით	„გულუბრყვილო ტერორისტი“ „ნაწილობრივ გულუბრყვილო“ „ყალბი ტერორისტები“

სამოქალაქო ავიაციის ობიექტის ტერიტორიაზე აფეთქება სუიციდური ტერაქტის წარმოების მეშვეობით, სუს-ის თვალსაზრისით, წარმოადგენს განსაკუთრებულ საფრთხეს მგზავრებისთვის (სტუმრებისთვის, პერსონალისთვის). სა-ს ობიექტზე შეღწეული თვითმკვლელი - ტერორისტი განიხილება, როგორც საგანგებო სიტუაცია. საშიშროების მაღალი დონე ასევე დამახასიათებელია სუიციდური ტერაქტისთვისაც სხ-ის ბორტზე. ამიტომაც, პსპ-ების პროფილის „ტერორისტი-თვითმკვლელი“ ნიშნები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ყველაზე საშიში (სახიფათო) ობიექტზე უსაფრთხოებისთვის.

მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ სუს-ის ტექნოლოგიური პროცესებისთვის პსპ-ების ნიშნების განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 1,2 საფრთხეებს ანუ კონტროლის და შემოწმების ღონისძიებების განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს პსპ-ების მოცემული ნიშნების გარე გამოვლინებებზე, რომლებიც შეესაბამებიან უჩა-ს განსახილველ საფრთხეებს. ამასთან, გასათვალისწინებელია პსპ-ების გამოვლენისა და სხვა ნიშნების და შესაბამისად, პსპ-ების პროფილის მნიშვნელობა.

მოცემულ ცხრილზე ასევე უნდა მოხდეს ორიენტირება პრიორიტეტების განლაგებისას კონტროლის, შემოწმებისა და დაკვირვების დროს სუს-ის ყველაზე მონაკვეთზე (პოსტზე). მაგალითად, აეროპორტის კომპლექსში შესვლისას - მთავარი საფრთხეებია 1,5 და და ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პსპ-ების შესაბამისი პროფილების მთავარ ნიშნებს.

სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე ბოლო ხანებში განხორციელებული უჩა-ს შემთხვევების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს რიგი ნაკლოვანება სუს-ს საქმიანობაში. ასე, მაგალითად, 24.08.2004 წ. ავიაკომპანია „ციმბირის“ ტუ-154-ის ბორტზე განხორციელებული სუიციდური ტერაქტის მომზადების დროს თვითმკვლელმა მოახერხა ასაფეთქებელი მოწყობილობის ატანა საჰაერო ხომალდის ბორტზე თავისი სხეულით, რაც არ იქნა გამოვლენილი სუს-ის თანამშრომლების მიერ. თვითმკვლელის ქცევასა და მდგომარეობაში შესამჩნევი იყო რიგი სახასიათი თავისებურება, რამაც, ამის მიუხედავად, ვერ მიიპყრო სუს-ის თანამშრომლების ყურადღება, უფრო მეტიც, ამ რეისზე ბილეთის შეძენისას გამოიყენებოდა კორუფციული სქემა ავიაკომპანია „ციმბირისა“ და სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლების მონაწილეობით.

21.12.1988 ავიაკომპანიები Pan Am (აშშ). რეისი 103 ფრანკფურტი - ლონდონი - ნიუ იორკი - დეტროიტი. აფეთქება ჰაერში . ტერორისტმა მოახერხა ბარგი ასაფეთქებელი მოწყობილობით მოხვედრილიყო ბორტზე. ბარგის შემოწმება იყო სუსტი ან/და საერთოდ არ იყო შესაბამისი კონტროლი. შესაძლებელია თანამშრომელთა გულგრილობაც.

2001 წლის 11 სექტემბერი. ყველაზე მაშტაბური და კარგად ორგანიზებული თავდასმა სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე. მანამდე ვერავის წარმოედგინა თუ საჰაერო ხომალდი იქნებოდა თვითონ გამოყენებული იარაღად. არ იყო შესაბამისი პროფილირების სისტემები. ექსპერტები ტერაქტის შემდეგ აღიარებდნენ ბევრ შეცდომას, მათ შორის ერთ-ერთი საინტერესო, ინციდენტამდე ძალიან ადრე დროში, როდესაც პილოტირების სპეციალურ სამოქალაქო სასწავლებლებში მომავალი თავდამსხმელები გადიოდნენ სამოქალაქო სწავლებას - კომერციული პილოტის კურსებს, ისინი მეტ ყურადღებას უთმობდნენ აფრენას და საჰაერო ხომალდის ჰაერში კონტროლის ელემენტებს. და ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებდნენ ხომალდის დაშვების ელემენტების შესასწავლად. ანუ თავიდანვე ისინი ემზადებოდნენ გამიზნულად. შესაბამისად ეს უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი ინდიკატორი მათი შემდგომი შემოწმებისათვის, რაც არ გახორცილებულა.

უმეტეს შემთხვევაში დამნაშავეებში გამოკვეთილი იყო უჩა-სთან კავშირის ნიშნების გამოხატულების განსხვავებული ხარისხი, მათ შორის, საკმაოდ

სახასიათოც, ამის მიუხედავად, არ მოხდა მათი გამოვლენა სუს-ის თანამშრომლების მიერ. ეს ადასტურებს არა მხოლოდ პსპ-ების თავისებურებების შესახებ ცოდნისა და მათი ინდიკატორების საფუძველზე იდენტიფიკაციის უნარის არასაკმარის დონეს, არამედ სუს-ის რიგი თანამშრომლების მხრიდან საქმისადმი პროფესიონალური მოტივაციის დაბალ დონეს და არაპროფესიონალურ დამოკიდებულებას, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას განხილულ შემთხვევებში.

რასაკვირველია, სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე უჩა-ს თავიდან აცილება წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაშიც ჩართულია არა მხოლოდ სუს-ი, არამედ სხვა ძალოვანი უწყებებიც, ავიაგადამზიდები, რომლებიც ახროციელებენ სხვადასხვა ღონისძიებებს, ამიტომაც, უჩა-ს თავიდან აცილება და მგზავრებისა და სტუმრების უსაფრთხოება გარკვეულწილად დამოკიდებულია ასევე მათ პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაზე.

ამდენად, მოცემულ პარაგრაფში წარმოდგენილი კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

1. უჩა-ს პროფილები გამოირჩევიან მათი საფრთხის ხარისხის მიხედვით. ყველაზე მაღალი ხარისხის საფრთხე გააჩნია სუიციდურ ტერაქტებს სამოქალაქო ავიაციის ობიექტის ტერიტორიაზე და საჰაერო ხომალდის ბორტზე. მოცემულ განსხვავებებთან დაკავშირებით სუს-ის თანამშრომლებმა, უზრუნველყოფენ რა ყველა სახის უჩა-ს თავიდან აცილებას, უნდა უზრუნველყონ მათი ყველაზე საშიში სახეების თავიდან აცილების პრიორიტეტულობა. ასეთი პრიორიტეტების რეალიზაცია შეიძლება ეფუძნებოდეს პსპ-ების სხვადასხვა პროფილის არსებულ კავშირს უჩა-ს საფრთხის სხვადასხვა სახესთან.
2. ბოლო ხანებში განხორციელებული უჩა-ს შემთხვევები, ახდენს სუს-ის რიგი თანამშრომლების საქმიანობასა და მომზადებაში არსებული ნაკლოვანებების დემონსტრირებას, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას განხილულ შემთხვევებში. ასეთ ნაკლოვანებებს შეიძლება განეკუთვნებოდეს პსპ-ების თავისებურებების ცოდნისა და ინდიკატორების საფუძველზე მათი გამოვლენის დაბალი დონე და ასევე სამუშაოსადმი პროფესიონალური დამოკიდებულებისა და პროფესიული მოტივაციის არასაკმარისი დონე.

2.3. პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილების დამახასიათებელი თვისებების კვლევა

პირველ თავში წარმოდგენილი თეორიული კვლევის ჩარჩოებში გამოიყო ქცევისა და ემოციური მდგომარეობის ზოგიერთი ფორმა, რომელიც განიხილება, როგორც პსპ-ების ინდიკატორები. კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, კვლევის ფარგლებში ჩატარდა პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა პროფილის ნიშნების კვლევა.

მოცემული ნიშნების ემპირიული კვლევის ორგანიზების დროს ობიექტური სირთულეების არსებობასთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება სა-ს ობიექტებზე უშუალოდ პსპ-ების კვლევის შეუძლებლობას უჩა-ს განხორციელების დროს, უჩა-ს და სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების ჩადენის მცდელობის (მომზადების) დროს ადამიანის ქცევის შესაძლო ფორმებისა და ემოციური მდგომარეობების შესასწავლად, ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა მოდელირების მეთოდი. კერძოდ, ხდებოდა პსპ-ის სხვადასხვა პროფილის გამოყენება უჩა-ს მომზადების/განხორციელების მცდელობის სიტუაციის მოდელირება და ე.წ. „სასწავლო გატანის“ - სპეციალიზებული სასწავლო ღონისძიებები, რომელიც გამოიყენება სუს-ის მიერ მოცემული სამსახურების საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად - შედეგების შესწავლა.

მოცემულ კვლევაში მონაწილეობას იღებდა სუს-ის 25 თანამშრომელი. ჩატარდა 3 მოდელირებული სიტუაცია. სიტუაციების მოდელირება ხორციელდებოდა ჯგუფში „პროფაილინგის“ სავარჯიშოების შესრულებისას, რომელიც შევსებულ და დამუშავებულ იქნა პსპ-ების პროფილებით. ორგანიზებულ იქნა პრაქტიკული მეცადინეობები. ამ მეცადინეობებზე მსმენელებისათვის შეტავაზებულ იქნა პსპ-ების პროფილის განსაზღვრას, მგზავრებისა და სტუმრების ქცევის ფორმებისა და ემოციური მდგომარეობის თავისებურებების გამოვლენას მართლსაწინააღმდეგო მოქმედების განხორციელების მცდელობისას. მოცემული

ჩვევების დამუშავებისას ხორციელდებოდა იმ სიტუაციების მოდელირება, რომელიც განხორციელდა პსპ-ების პროფილისთვის „გულუბრყვილო ტერორისტი“, „ნაწილობრი გულუბრყვილო ტერორისტი“, „ყალბი ტერორისტი“ და „ტერორისტი“. ნიშნების შესწავლა ხდებოდა დაკვირვებისა და თვითანგარიშის მეშვეობით.

პროფილის „ნაწილობრი გულუბრყვილო ტერორისტი“ გამოვლენის სიტუაციის მოდელირება შემდეგი სახით მიმდინარეობდა. ერთ-ერთ მონაწილეს სთავაზობდნენ პროფილის „ნაწილობრი გულუბრყვილო ტერორისტი“ პსპ-ის როლს. ასე, მაგალითად, მოცემული იყო განწყობა, რომ ის წარმოადგენს მგზავრს, რომელმაც თვითმფრინავის ბორტზე უნდა აიტანოს მისთვის უცნობი პირისგან გზავნილი გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. ასევე წარმოდგენილი ოყო გადაფრენის „ლეგენდა“ - მარშუტი, ჩასვლის მიზანი, სამგზავრო დოკუმენტები და ა.შ. და „მგზავრის“ აქცენტი კეთდებოდა იმ ემოციებსა და ქცევის ფორმებზე, რომელიც შეიძლება მოცემულ ადამიანს განეცადა. მოცემული „მგზავრის“ მიზანი იყო სუს-ის კონტროლის წარმატებით გავლა, ამასთან ეჭვის გაჩენის გარეშე. მისი როლის თანახმად, მას უნდა დაემალა საკუთარი შფოთვის, შიშის შინაგანი მდგომარეობა და შესაძლოა, მოეტყუებინა სუს-ის თანამშრომელი გამოკითხვის დროს. მეორე მონაწილე ასრულებდა სუს-ის თანამშრომლის როს, რომელსაც უნდა დაედგინა მგზავრის სტატუსი (უსაფრთხო ან პოტენციურად საშიში) და მისი პოტენციური საშიშროების შემთხვევაში განესაზღვრა საეჭვო ნიშნების ერთობლიობით მისი პროფილი, ამასთან, აცენტი კეთდებოდა ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაზე. მუშაობის პროცესში ჯგუფი აწარმოებდა აქტიურ დაკვირვებას და ასევე ცდილობდა დაედგინა მგზავრის პოტენციური საფრთხე და გამოევლინა მისი პროფილი, გარდა ამისა, ახორციელებდა „სუს-ის თანამშრომლის“ მოქმედებების ანალიზს.

სიტუაციის მოდელირების შედეგად „სუს-ის თანამშრომლებმა“ წარმატებით გამოავლინეს პოტენციურად საშიში მგზავრი და განსაზღვრეს მისი პროფილი (‘ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“). პროფილის განსაზღვრა ხდებოდა არსებული „საეჭვო ნიშნებისა“ და „ მგზავრის“ ქცევისა დაფიქსირებული თავისებურებებისა და ემოციური მგდომარეობის ანალიზის საფუძველზე. ასე, მაგალითად, გამოვლინდა შფოთვისა და ძლიერი ღელვის გარე გამოვლინებები (კანის შეწითლება, მამოძრავებელი აქტიურობის ზრდა, გუგების გაფართოება,

მეტყველების ტემპის ცვლილება, ზოგადი აღგზნება და სხვ.), რაც შესამჩნევად მატულობდა „სუს-ის თანამშრომლების“ მიერ მგზავრის გამოკითხვის დროს, ასევე შეინიშნებოდა მოტყუების მცდელობა, გამოხატული ტყუილის გარე, არავერბალურ ნიშნებში.

პსპ-ების როლის შემსრულებელთა თვითანაგარიშში აღინიშნება:

- შფოთვის შეგრძნება;
- „შემოწმების ვერ გავლის“ შიშის პერიოდული გამოვლენა;
- გახშირებული გულისცემა, ოფლიანობა, მამოძრავებელი აქტიურობის თვითნებური ცვლილება, შეფერხება მეტყველებაში;
- დისკომფორტის ძლიერი შეგრძნება, მისგან სწრაფად თავის დაღწევის სურვილი;
- „საკუთარი თავის ხელში აყვანის“, წარმოქნილი ემოციებისა და დისკომფორტის დათრგუნვის მცდელობის დროს ხდებოდა დაძაბულობის გაძლიერება.

ჯგუფის დაკვირვების შედეგად აღინიშნა:

- ✓ „მგზავრის“ ქცევის არსებითი ცვლილება „სუს-ის თანამშრომელთან“ ურთიერთქმედების დაწყების დროს;
- ✓ აგზნების სიმპტომების მატება „მგზავრში“ გამოკითხვის დროს;
- ✓ „მგზავრის“ ქცევის დინამიკა „სუს-ის თანამშრომლის“ ტაქტიკის ცვლილებისას (მაგალითად, „სუს-ის თანამშრომლის ფრაზის დროს „გისვამთ ბოლო კითხვას“ რეაქცია „მგზავრში“ - მოდუნება);
- ✓ კანის ფერის ცვლილება (გაწითლება);
- ✓ მეტყველების ტემპის ცვლილება (მეტყველებაში შეფერხებისა და ტემპის სისწრაფის მონაცვლეობა „მოტყუების“ მცდელობისას);
- ✓ პულსის გაზომვამ ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ აჩვენა „მგზავრში“ მაჩვენებლების საშუალოდ 15-20 ერთეულით მატება;
- ✓ „მოდუნების“ გამოხატული რეაქცია „გამოკითხვის“ დასრულების შემდეგ.

„გულუბრყვილო ტერორისტის“ პროფილის გამოვლენის სიტუაციის მოდელირების დროს „მგზავრი“ იღებდა ფრენის „ლეგენდის“ აღწერას და ასევე „ბილეთსა“ და „ბარგს“. ის ამოწმებდა „ბილეთს“ და „ბარგს“ - ჩანთას ნივთებით, ყურადღებას ამახვილებდა რა საგნებზე, რომელიც მოცემულ ჩანთაში იყო მოთავსებული. რის შემდეგაც, ჩანთაში იდებოდა უცხო საგანი „მგზავრის“ საქმის კურსში ჩაყენების გარეშე. „სუს-ის თანამშრომლები“ ახორციელებდნენ ჩვეულებრივ პროცედურებს „პროფაილინგის“ ტექნოლოგიის შესაბამისად, კერძოდ, იყენებდნენ „გამოკითხვას ბარგზე“. როგორც წესი, „მგზავრები“ კითხვებზე დამაკმაყოფილებელ პასუხებს იძლეოდნენ, არ იწვევდნენ რა ეჭვს „სუს-ის თანამშრომელში“. სიტუაცია იცვლებოდა „ბარგის“ ხელით შემოწმების წარმოებისა და უცხო საგნის აღმოჩენის შემთხვევაში, რომლის პოვნასაც და დანიშნულებასაც ისინი ვერ ხსნიდნენ. ამის საფუძველზე „მგზავრებს“ ცნობდნენ პოტენციურად საშიშებად და რეკომენდირებული იყო სუს-თვის შემდგომი გაღრმავებული შემოწმებისთვის. ამდენად, „მგზავრის“ პოტენციური საშიშროების განსაზღვრა ხდებოდა საეჭვო ნიშნის გამოვლენის საფუძველზე, რაც უკავშირდებოდა უცხო საგნის აღმოჩენას.

მთლიანობაში „მგზავრების“ ქცევა გამოირჩეოდა სიმშვიდით, დამაჯერებლობით, შფოთვის, შიშის, ღელვის ნიშნების არარსებობით. მცირე ემოციური დაძაბულობა ჩნდებოდა დასაბრუნებელი ბილეთის შესახებ საკითხის განხილვის დროს. როგორც წესი, „მგზავრებს“ არ შეეძლოთ აშკარა პასუხის გაცემა და შეინიშნებოდა არადამაჯერებლობის ვერბალური ნიშნები (პაუზა, უმნიშვნელო სირთულე მეტყველებაში, ისეთი სიტყვებისა და გამოთქმების გამოხატვა, როგორიცაა „იცი“, „ზუსტად არ ვიცი“, „როგორ გითხრა“... და ა.შ.). „მგზავრების“ ქცევა იცვლებოდა მხოლოდ მის „ბარგში“ უცხო საგნის აღმოჩენის დროს. შეინიშნებოდა გაკვირვების ნიშნები (თვალების დამრგვალება, ოდნავ ღია პირი, დაძაბულობის რეაქცია, ხანმოკლე სტუპორი), რის შემდეგაც შეინიშნებოდა მეტყველების ცვლილება - ტემპის დაჩქარება და ხმამაღლობის მატება.

„მგზავრების“ თვითანგარიშმა აჩვენა შიდა დაძაბულობის არარსებობა „სუს-ის თანამშრომელთან“ კონტაქტების დროს, უკან დასაბრუნებელი ბილეთის შესახებ საკითხის განხილვის დროსაც კი. „მგზავრები“ თავს გრძნობდნენ კომფორტულად და დარწმუნებულად. სახასიათო ცვლილებები შინაგან მდგომარეობაში მათ მიერ

დაფიქსირდა „ბარგში“ უცხო საგნის აღმოჩენის დროს. ამასთან, „მგზავრები“ არ განიცდიდნენ შიშსა და ღელვას, არამედ მხოლოდ ზოგად გაუგებრობასა და გაკვირვებას. თვითნებურად ჩნდებოდა სურვილი, რამენაირად აეხსნა „სუს-ის თანამშრომლისთვის“ მოცემული საგნის მის ჩანთაში პოვნის მიზეზი, ეპოვა „ლეგალურად“ გასაგები საფუძველი წარმოქნილი სიტუაციის გადასაჭრელად.

ჯგუფის დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა:

- ქცევა და ემოციური მდგომარეობა მთლიანობაში არის თანაბარი და მშვიდი, უმნიშვნელო ცვლილებები მათში ჩნდებოდა უკან დასაბრუნებელი ბილეთის საკითხის განხილვის დროს;
- გაკვირვების საკმაოდ გამოხატული ნიშნები „ბარგში“ უცხო საგნის აღმოჩენისას და ასევე შფოთვისა და ღელვის გარკვეული ნიშნები მეტყველებაში უცხო საგნის აღმოჩენის თაობაზრ „განმარტების“ მიცემის მცდელობისას.

„ყალბი ტერორისტის“ პროფილის გამოვლენის სიტუაციის მოდელირებისას „მგზავრი“ ინფორმირებული იყო, რომ ის უშუალოდ დაკავშირებულია მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფებასთან და ბარგში აქვს საგანი, რომელიც მისთვის დახასიათებულია, როგორც ფასეული ტვირთი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს ჩატანილი გარკვეულ ქალაქში იმავე დაჯგუფების პირებისთვის. მოგზაურობის „ლეგენდის“ შესაბამისად „მგზავრს“ ჰქონდა რიგი საეჭვო ნიშანი, კერძოდ „გადაფრენა, რომლის ერთ პუნქტსაც წარმოადგენს რეგიონი არამდგრადი პოლიტიკური სიტუაციით“.

მოდელირებული კონტროლის (შემოწმების) განხორციელებისას „სუს-ის თანამშრომლებმა“ გამოავლინეს არსებული საეჭვო ნიშნები და მათზე გამოკითხვა ჩაატარეს. გამოკითხვის დროს „მგზავრის“ ქცევაში, როგორც წესი, აღინიშნებოდა ძლიერი დაძაბულობის ნიშნები ისეთ თემებთან მიახლოებისას, როგორიცაა „ფრენის მიზანი“, „ბარგის შემადგენლობა“, „ფრენის მარშრუტი“.

გამოკითხვის პროცესში გამოვლინდა მოტყუების, ყურადღების გადატანის (მანიპულაციის) და ზეწოლის მცდელობები. კერძოდ, საუბარში ეს გამოიხატა

შემდეგი ფრაზების გამოყენებაში: „გარწმუნებთ“, „პატიოსნად ვამბობ“, „დამიჯერეთ“, „რატომ მეძიებით ასე?“, „თქვენს გამო თვითმფრინავზე დავაგვიანებ“ და ა.შ.

„სუს-ის თანამშრომლის“ მიერ საეჭვო ნიშნების დაფიქსირებისა და ამის შესახებ „მგზავრისთვის“ შეტყობინების დროს შეინიშნებოდა ძლიერი დაძაბულობის რეაქციები. შედეგად „მგზავრის“ პოტენციური საფრთხე დგინდებოდა გამოვლენილი საეჭვო ნიშნების საფუძველზე „მგზავრის“ ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაში სახასიათო ცვლილებების გათვალისწინებით. აღინიშნა ნიშნების ერთმნიშვნელოვანი დადებითი დინამიკა „მგზავრისთვის“ ყველაზე მნიშვნელოვანი თემების განხილვის დროს. „სუს-ის თანამშრომელმა“ ასევე აღნიშნა განხორციელებული მანიპულაციის სუბიექტური ნიშნები და ასევე „მგზავრთან“ კონტაქტებისგან ემოციური დაღლილობის შეგრძნება.

„მგზავრების“ თვითანგარიშში აღინიშნა, რომ ინსტრუქციის მიღების და ფრენის „ლეგენდის“ გაცნობის შემდეგ წარმოიქმნა მცირე ემოციური დაძაბულობა და შფოთვა. თვითნებურად აიგო „სუს-ის თანამშრომლის“ მოტყუების შესაძლო სქემა და ნაცადი იყო მისი სიფხიზლის მოდუნება. გამოკითხვის დროს ძლიერდებოდა დაძაბულობა, დისკომფორტისა და შიშის გრძნობა. აღინიშნა ისეთი ფიზიოლოგიური ნიშნები, როგორიცაა ოფლიანობა და სისუსტე გამოკითხვის დასრულებისას. იგრძნობოდა ზოგადი დაღლილობა „სუს-ის თანამშრომელთან“ ურთიერთობისგან.

ჯგუფის მიერ დაფიქსირდა:

- დაძაბულობის გამოვლენა „შემოწმების“ განხორციელების დაწყებისთანავე, კერძოდ, დაფიქსირდა კუნთების დაძაბულობა, ოდნავ გახშირებული სუნთქვა, მეტყველების ტემპის ცვლილება და ა.შ.;
- შეინიშნებოდა „ჩაკეტილი ქცევის“ ნიშნები (სოციალური დისტანციის შენარჩუნება სუს-ის თანამშრომელთან კონტაქტის დროს);
- გამოკითხვას საეჭვო ნიშნების თაობაზე თან ახლდა ნიშნების გამოხატული დადებითი დინამიკა;
- აღნიშნულია სიცრუის ვერბალური და არავერბალური ნიშნები (სიტყვების სათანადო შერჩევა, ცხვირის მოწმენდა, პასუხის დაყოვნება) და ასევე მანიპულაციის ნიშნები („თვითმფრინავზე დამაგვიანდება“).

„ტერორისტის“ პროფილის გამოვლენის სიტუაციის მოდელირების დროს „მგზავრმა“ მიიღო ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც მას ჰქონდა საჰაერო ხომალდის გატაცების განზრახვა. ამისთვის მას თან აქვს იარაღი (იარაღის მაკეტი) და სხვა საშიში საგნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვითმფრინავის ძალისმიერად დაკავების დროს. ფრენის „ლეგენდის“ მიხედვით მგზავრს ჰქონდა რიგი საეჭვო ნიშანი „ტერორისტის“ პროფილის შესაბამისად. კერძოდ, მას ყავს „თანამზრახველები“ „მგზავრებს“ შორის (რამოდენიმე ადამიანი ჯგუფიდან).

„სუს-ის თნამშრომლის“ თვალსაზრისით, რომელიც ახორციელებდა კონტროლ-შემოწმების ღონისძიებებს, ყურადღებას იქცევდა ის, რომ „მგზავრი“ არის ძალიან ჩაკეტილ და ფრთხილ მდგომარეობაში. აღინიშნებოდა სხეულის დაძაბულობა, კონცენტრირებულობა, ერთმარცვლიანი პასუხები და ასევე ბუნდოვნად გამოხატული მხედველობითი კონტაქტი ერთ-ერთ „მგზავრთან“. სუს-ის თანამშრომელთან კონტაქტის დროს რიგ შემთხვევაში გამოვლინდა აგრესიული ქცევის გარკვეული ნიშნები (მტკიცე მხედველობითი კონტაქტი, სხეულის ზედა ნაწილის დაძაბულობა, თავდაცვითი დგომი), მეტყველებაში დაფიქსირდა წამქეზებლური წინადადებები, ზეწოლის განხორციელების მცდელობები. გამოვლენილი საეჭვო ნიშნების თაობაზე „მგზავრის“ გამოკითხვის დროს შეინიშნებოდა დაძაბულობის რეაქციები, რომელთაც არ ჰქონდათ გამოხატული დინამიკა და ასევე ფიქსირდებოდა ემოციების დათრგუნვის ნიშნები, როგორიცაა სუნთქვისა და მეტყველების კონტროლი. მოცემული ნიშნების საფუძველზე ვლინდებოდა კიდეც მოცემული პროფილი.

„მგზავრების“ თვითანგარიშში აღინიშნება, რომ საკუთარი როლის, როგორც თვითმფრინავის პოტენციური გამტაცებლის გაცნობიერებამ განაპირობა ძლიერი დაძაბულობისა და სურვილის წარმოქმნა კონცენტრირება მოეხდინა განხორციელების ძირითად მიზნებსა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ეტაპებზე. „სუს-ის თანამშრომელთან“ კონტაქტების დროს იქმნებოდა ემოციური და ფიზიოლოგიური დაძაბულობა, რომლის დათრგუნვასაც „მგზავრი“ ცდილობდა ნებისყოფის ძალისხმევით. რიგ შემთხვევაში თვითნებურად იქმნებოდა საკმაოდ ძლიერი დაძაბულობა მხრის ზედა ნაწილში და რაიმე სახით ზეწოლის სურვილი

„სუს-ის თანამშრომელზე“. იყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ „სუს-ის თანამშრომლის“ მიერ გამოვლინდა საეჭვო ნიშნები, რომელიც იწვევდა აგრესიას.

ჯგუფის მიერ დაფიქსირდა:

- დაძაბული ჩაკეტილი ქცევა მთელი მოდელირებული სიტუაციის განმავლობაში;
- აგრესიული ქცევის ნიშნები;
- ორ სხვა „მგზავრთან“ ფარული კონტაქტის არსებობა;
- დაძაბულობის გარკვეული გაძლიერება ბარგით იარაღის შესაძლო გადატანის თაობაზე;
- ცრუ ქცევის ნიშნების უქონლობა.

სიტუაციების მოდელირების საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ადამიანის მიერ მართლსაწინააღმდეგო საქმიანობასთან მისი პოტენციური კავშირის გაცნობიერება განაპირობებს ქცევის გარკვეული ფორმებისა და ემოციური მდგომარეობების, როგორც გარკვეულ საქმიანობაზე თანმხლები რეაქციის წარმოქმნას. მართლსაწინააღმდეგო განზრახვის რეალიზაციის დროს ხდება ქცევისა და ემოციური მდგომარეობების მოცემული ფორმების კანონზომიერი სიტუაციური დინამიკა პსპ-ების პროფილის თავისებურებებისა და სუს-ის თანამშრომლის მოქმედებების მიხედვით.

მიღებულ იქნა პსპ-ების გამოკვლეული პროფილების სავარაუდო ნიშნები. ასე, მაგალითად, პსპ-ების პროფილს „ნაწილობრივ- გულუბრუყვილო ტერორისტი“ შეესაბამება ისეთი ქცევის ფორმები და მდგომარეობები, როგორიცაა შფოთვა, შიში, ყალბი ქცევა, ტყუილი. პროფილს „გულუბრყვილო ტერორისტი“ არ გააჩნია გამოხატული ინდიკატორები, მაგრამ ნივთებში (ბარგში) უცხო საგნის აღმოჩენისას შესაძლოა გაკვირვების რეაქციის დაფიქსირება. პროფილის „ყალბი ტერორისტი“ ხასიათდება ძირითადად ისეთი ემოციური მდგომარეობებითა და ქცევის ფორმებით, როგორიცაა სტრესი, შიში, ყალბი ქცევა და მანიპულაცია. პროფილი „ტერორისტი“ ხასიათდება აგრესიული ქცევის გამოვლინებებით, საკმაოდ ძლიერი დაძაბულობის მდგომარეობით და ასევე სუს-ის თანამშრომელზე ზეწოლის მოხდენის

მცდელობებისადმი მიდრეკილებით, ამასთან, აღინიშნება ყალბი საქციელისა და მანიპულაციის არარსებობა.

შემოწმებაში ჩართული სუს-ის თანამშრომლების თვითმონიტორინგის შედეგების მიხედვით, რიგ შემთხვევაში მათთან აღინიშნებოდა ემოციური რეაქციები, გამოწვეული პსპ-ების ქცევისა და მდგომარეობის თავისებურებებით, რაც ადასტურებს სუს-ის თანამშრომლების მიერ საკუთარი მდგომარეობების მნიშვნელობას შემოწმების პროცედურების დროს.

ღონისძიების „სასწავლო (საკონტროლო) გატანის“ არსი მდგომარეობდა იმაში, რომ სპეციალური პირები (ავიაკომპანიის სუს-ის თანამშრომლები) ახორციელებენ აკრძალული საგნის და (ან) ნივთის სხეულით და (ან) ბარგით ან ნივთებში მოთავსებით გატანას. ამასთან, თანამშრომელი იღებს გარკვეულ ინსტრუქციას, როგორ მოიქცეს, რათა ეჭვი არ აღძრას სუს-ის თანამშრომელში ანუ ეცადოს არ გამოიყოს ქცევით სა-ს ობიექტის მგზავრებს (სტუმრებს) შორის, მოიქცეს მშვიდად და დამაჯერებლად. სუს-ის ცვლის თანამშრომლები არ იყვნენ ინფორმირებული „საკონტროლო გატანის“ განხორციელების თაობაზე.

გამოკვლეულ იქნა 5 „საკონტროლო გატანა“, რომელთაგან 3 შემთხვევაში გამოვლინდა გადასატანი აკრძალული საგნები და ნივთიერებები. გამოვლენილი სიტუაციების ანალიზის დროს დადგინდა, რომ სუს-ის თანამშრომლების მიერ წარმატებული აღმოჩენის 2 შემთხვევაში დაფიქსირდა სხვადასხვა გადახრა იმ პირთა ქცევაში, რომლებიც ახორციელებდნენ „საკონტროლო გატანას“. ასე, მაგალითად, აღინიშნა მცირე შებოჭილობა მოძრაობებში, მზერის გადატანა სუს-ის თანამშრომლისგან, დაძაბულობა, რიგ შემთხვევაში კი მცირე მოუსვენრობა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მათ ჰქონდათ განზრახვა დაჩქარებულად გაევლოთ სუს-ის კონტროლ-შემოწმების ღონისძიებები. მეტყველებაში შეინიშნებოდა შფოთვისა და არადამაჯერებლობის ნიშნები, კერძოდ, პაუზა პასუხის გაცემისას, ლუღლუღი, ხმის უსაფუძვლო აწევა/დაწევა. ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა სუს-ის თანამშრომლების მოტყუების მცდელობის ნიშნები.

„საკონტროლო გატანის“ გამოვლებაში მონაწილე „სუს-ის თანამშრომლები“ აღნიშნავდნენ, რომ მოცემული პირები რაღაც რთულად გასაცნობიერებელი სახით იპყრობდნენ მათ ყურადღებას, რაც შეიძლება ჩაითვალოს პროფესიული ინტუიციის

გამოვლინებად. შინაგანი შეგრძნების ანალიზის დროს, რომელიც წარმოიქმნა მოცემულ პირებთან ურთიერთქმედების დროს, რიგ შემთხვევაში ისინი აღნიშნავდნენ, რომ განიცდიდნენ გარკვეულ შფოთვასა და დისკომფორტს.

„საკონტროლო გატანის“ განმახორციელებლი თანამშრომლების შინაგანი მდგომარეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ „დავალების“ მიღების დროს ისინი განიცდიდნენ დაძაბულობის დისკომფორტულ შეგრძნებებს, რაც საკმაოდ არსებითად იზრდებოდა „გადატანის“ განხორციელებისას. კერძოდ, მოცემული თანამშრომლები აღნიშნავდნენ მათში ისეთ ფიზიოლოგიურ მოვლენებს, როგორიცაა ხშირი გულისცემა, ოფლიანობა, მცირე კანკალი კიდურებში. მთლიანად მდგომარეობას ისინი ახასიათებდნენ, როგორც შფოთვითს და დისკომფორტულს. როგორც წესი, მიღებული განწყობა „მოიქეცი, როგორც ჩვეულებრივი მგზავრი“ განაპირობებდა კიდევ უფრო მეტი დაძაბულობის წარმოქმნას. თანამშრომლები აღნიშნავდნენ, რომ საკუთარი ქცევისა და გარე რეაქციების გაცნობიერებული კონტროლი მოითხოვდა საკმაოდ დიდ ენერგიას, რის შედეგადაც იქმნებოდა სურვილი სწრაფად დაესრულებინა მოცემული ღონისძიება. ასევე ყურადღება მიექცა იმას, რომ მიზანი არ გამოეწვია ეჭვი სუს-ის სამსახურებში და თავი მაქსიმალურად ბუნებრივად დაეჭირა, ბუნებრივად განაპირობებდა „დაძაბული და არაბუნებრივი ქცევის“ უკურეაქციას.

ამდენად. ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ადამიანში მართლსაწინააღმდეგო განზრახვის არსებობა კანონზომიერად იწვევს ემოციური ფონის ცვლილებას და ქცევის გარკვეული ფორმების წარმოქმნას, რომელთა გამოყენებაც შეიძლება პსპ-ების ნიშნების სახით. მართლსაწინააღმდეგო განზრახვის რეალიზაციის დროს ხდება ქცევის მოცემული ფორმებისა და ემოციური მდგომარეობების კანონზომიერი სიტუაციური დინამიკა პსპ-ების პროფილის თავისებურებებისა და სუს-ის თანამშრომლის მოქმედებების სახით. მოცემული ცვლილებები უმეტესად ხდება არაცნობიერად და მას გარკვეული დინამიკა გააჩნია. მოდელირების შედეგად მიღებულ იქნა პსპ-ების საკვლევი პროფილების სავარაუდო ნიშნები, რომლებიც ემთხვევაინ ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილი თეორიული კვლევის შედეგებს

და შეიძლება გამოყენებულ იქნენ სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიის ჩარჩოებში.

2.4. პოტენციურად საშიში პირების პროფილების იდენტიფიცირების, ზოგადი თვისებების ინფორმატიულობისა და მნიშვნელობის კვლევა.

პსპ-ების სხვადასხვა პროფილის თავისებურებები, იძლევიან რა ინდიკატორთა სისტემას, განსაზღვრავენ კონკრეტული პროფილის გამოვლენადობას. პსპ-ების პროფილების გამოვლენადობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც პსპ-ის გარკვეული პროფილის გამოვლენის შესაძლებლობა (სიმარტივე ან სირთულე) შემოწმების პროცედურების ჩარჩოებში იმ ფაქტორების სპეციფიკური შერწყმის გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრავენ უჩა-სთან კავშირის მქონე პირების ფსიქიკური აქტიურობის კანონზომიერებებს.

ნაშრომში განვიხილავ პსპ-ების პროფილებს არა მხოლოდ ინფორმირებულობის საფუძველზე, როგორც ეს ხდება „პროფაილინგის“ ტექნოლოგიაში, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების შერწყმის გათვალისწინებით, როგორიცაა მოტივაცია, ბრალეულობა, ძირითადი მიზნები და ასევე ობიექტზე უჩა-ს მომზადებისა და განხორციელების სიტუაციისა და ტერორისტული და კრიმინალური სტრუქტურების გათვლისწინებით. მოცემული ელემენტები განიხილება ფაქტორების სახით იმასთან დაკავშირებით, რომ მათი შერწყმა და გამოხატულება შეიძლება განსაზღვრავდეს პსპ-ების კონკრეტული პროფილის მდგომარეობების დინამიკასა და ქცევის თავისებურებებს შემოწმების დროს და თავისთავად, ნიშნების სისტემას.

პოტენციურად საშიში პირების ემოციური მდგომარეობის თავისებურებების განხილვის დროს სამოქალაქო ავიაციაზე უკანონო ზემოქმედების განხორციელების მცდელობისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს აეროპორტის კომპლექსში თავად სუს-ისა და პოლიციის მიერ განხორციელებული კონტროლის (შემოწმების) ღონისძიებების სიტუაცია. ასეთ შემთხვევაში რეაქციები, განსაკუთრებით ისეთი ემოციები, როგორიცაა შიში, სტრესი, შფოთვა გაძლიერდება და მას ექნება უფრო მკაფიო გარე გამოვლინებები.

შედეგად ისეთი დახასიათების კვლევის დროს, როგორიცაა სხვადასხვა პროფილის პსპ-ების პროფილირება გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორების გამოხატულება და შერწყმა:

- პოტენციურად საშიში პირის ინფორმირებულობა უჩა-ს მომზადებასა და განხორციელებაში მისი მონაწილეობის შესახებ და შესაბამისად, ცოდნა მართლსაწინაღმდეგო საქმიანობაში მისი ჩართულობის შესახებ;
- პოტენციურად საშიში პირის მიერ მისი ბრალეულობის გაცნობიერება;
- პოტენციურად საშიში პირის მოტივაციის სახე და დონე;
- დაგეგმილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიზნის დახასიათება;
- სუს-ისა და სხვა წარმომადგენლების მიერ განხორციელებული კონტროლის (შემოწმების) ღონისძიებების სიტუაცია.

აუცილებელია აღინიშნოს რამოდენიმე ნიუანსი, რომელიც უკავშირდება შემოწმებას „სუიციდური ტერორისტის“, „გულუბრყვილო ტერორისტის“ და „ტერორისტის“ პროფილებზე. კონტროლის (შემოწმების) ღონისძიებების გავლენა „სუიციდური ტერორისტის“ პროფილის წარმომადგენლებზე არსებითად არის დამოკიდებული მათი მომზადების დონეზე. გარდა ამისა, შემოწმების გავლენა და თავად სუს-ის თანამშრომლების მიერ მოცემული პროფილის წარმომადგენელთა გამოვლენის ფაქტმა შეიძლება მოახდინოს მათი გამოაშკარავების პროვოცირება. პსპ-ების მოცემული პროფილის განსაკუთრებულ საშიშროებაასთან და არსებულ სპეციფიკასთან დაკავშირებით მისი გამოვლენის თავისებურებები განხილულია მოცემული თავის ცალკე პარაგრაფში.

როგორც ჩვენს მიერ 1.3 ნაწილში იყო განხილული, რომ „გულუბრყვილო ტერორისტის“ პროფილის ტერორისტულ საქმიანობაში ჩართვის საფუძველში

შეიძლება ჩაიდოს პირადი ურთიერთობები, სიყვარული და ა.შ. ამ შემთხვევაში მოცემული პროფილის პირებს შეიძლება ჰქონდეთ მეტ-ნაკლებად გამოხატული მიზნები და მოტივაცია, მაგალითად, რაიმე კანონსაწინააღმდეგოს გადატანის, „ყველაფრის გაკეთება საყვარელი ადამიანისთვის, მაგრამ ეს მიზნები და მოტივაცია პირდაპირ არ იქნება კავშირში უჩა-ს განხორციელებასთან, რაც აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მოცემული პროფილის იდენტიფიცირების დროს.

კვლევის მიმდინარეობის ფარგლებში ჩატარებული მოდელირებიდან ანალიზის შედეგად „ტერორისტის“ პროფილს უკავშირდებოდა რამდენადმე წინააღმდეგობრივი სიტუაცია, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ერთის მხრივ, მას გააჩნია გამოხატული მოტივაცია და მიზნები, შესაბამისად, გამოხატული თავისებურებები ქცევასა და ემოციურ მდგომარეობებში, ხოლო მეორეს მხრივ - მას ნაკლებად ეხება კონტროლის (შემოწმების) ღონისძიებები. მოცემული საკითხი ჩვენ დავაზუსტეთ მოდელირების დრო, რომლის შედეგადაც შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოცემული პროფილისთვის შეიძლება სახასიათო იყოს ნებელობითი თვისებების არსებობა, რაც მიზნებისა და მოტივაციის გამოხატულებასთან ერთად განაპირობებს მობილიზებასა და კონცენტრირებას შემოწმების დროს. გარდა ამისა, მოცემული პროფილის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ კარგად არის მომზადებული უჩა-ს განხორციელების მიმართ, რამაც ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს რეაქციების სუსტ გამოხატულებას შემოწმების პროცედურების დროს.

პოტენციურად საშიში პირების პროფილების განხილვის დროს უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პროფილების ზოგიერთ წარმომადგენელი არის მანიპულაციის ობიექტი ტერორისტული და კრიმინალური სტრუქტურების მხრიდან. მანიპულაცია, რომელიც განისაზღვრება, როგორც ადამიანების ფარული მართვა და შეიძლება ასევე აღმოჩნდეს გავლენა იმ პირთა ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაზე რომლებზეც ხდება მანიპულაციური ზეგავლენა. ფარული ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანების ქცევაში, შესაძლებელი იქნება გარკვეული შეფერხების, სქემატურობის, ემოციური რეაქციების სპექტრის შეზღუდულობა.

შესაძლებელია პროფილების წარმომადგენლებზე მანიპულაციური ზეგავლენის არსებობა და ხარისხი შესწავლილ იქნეს საექსპერტო შეფასებების მეშვეობით. ექსპერტთა სახით გამოვიდნენ სუს-ის თანამშრომლები -

პროფაილერები, რომლებიც ასევე გაეცნენ ჩვენს მიერ შემუშავებულ პსპ-ების პროფილებს, რომლებიც დაკავებული არიან პოტენციურდა საშიში პირების გამოვლენის პრობლემით. შეფასება ხორციელდებოდა ხუთქულიან სკალაზე: 0 - მანიპულაციური ზეგავლენის არარსებობა; 1- უმნიშვნელო მანიპულაციური ზემოქმედება; 2- მანიპულაციური ზემოქმედების საშუალო ხარისხი; 3- მანიპულაციური ზემოქმედების მაღალი ხარისხი; 4- მანიპულაციური ზემოქმედების ძალიან მაღალი ხარისხი. შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 9.

ცხრილი 9.

უჩა-ს მომზადების დროს სხვადასხვა პროფილის წარმომადგენლებზე მანიპულაციური ზემოქმედების ხარისხის საექსპერტო შეფასებების შედეგები

პროფილები	„გულუბრყვილო ტერორისტი“	„ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“	„ყალბი ტერორის-ტი“	„ტერორისტი“	„თვითმკვლელი-ტერორისტი“
მანიპულაციური ზემოქმედების ხარისხის შეფასების საშუალო მნიშვნელობები	3,8	3,2	2,6	1,2	3,2

უჩა-ს მომზადების დროს სხვადასხვა პროფილის წარმომადგენლებზე მანიპულაციური ზემოქმედების ხარისხის საექსპერტო შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ცხადია, რომ ექსპერტთა აზრით, ყველაზე მეტ მანიპულაციურ ზეგავლენას ახდენენ „გულუბრყვილო ტერორისტის“ პროფილზე, რომლის შეფასების საშუალო მნიშვნელობაც ახლოსაა შეფასებასთან „მანიპულაციური ზემოქმედების ძალიან მაღალი ხარისხი“. მეორე ადგილზეა პროფილები „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“ და „თვითმკვლელი-ტერორისტი“, რომელთა შეფასებების საშუალო მნიშვნელობა ახლოსაა შეფასებასთან „მანიპულაციური ზემოქმედების მაღალი ხარისხი“. მესამე ადგილზეა პროფილი „ყალბი ტერორისტი“, რომლის საშუალო შეფასება თითქმის საშულო ინტერვალშია

მანიპულაციური ზემოქმედების საშუალო და მაღალ ხარისხს შორის. მეოთხე ადგილზეა პროფილი „ტერორისტი“, რომლის საშუალო შეფასება ახლოსაა შეფასებასთან „უმნიშვნელო მანიპულაციური ზემოქმედება“.

შესაბამისად, მანიპულაციური ზემოქმდების ნიშნები შეიძლება იყოს პროფილებში „გულუბრყვილო ტერორისტი“, „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“, „თვითმკვლელი ტერორისტი“ და „ყალბი ტერორისტი“. ამავე დროს, ასეთი ნიშნები ნაკლებად დასაშვებია პროფილში „ტერორისტი“. მოცემულ ნიშნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია პროფილის „გულუბრყვილო ტერორისტი“ გამოსავლენად, რომელსაც მისი თავისებურებების გამო პრაქტიკულად არ გააჩნია სხვა ნიშნები.

პროფილს „არასუიციდური ტერორისტი“ გააჩნია რიგი თავისებურება, რომლებიც განაპირობებენ სახასიათო გამოვლინებებს და ამიტომაც შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კარგად გამოვლენადი ტიპი. რეაქციების საკმაოდ ფართო სპექტრი მონაწილეობს პროფილებში „ყალბი ტერორისტი“ და „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“, ამიტომაც მოცემულ პროფილებს ასევე გააჩნია საკმაოდ კარგი გამოვლენადობა. პროფილს „სუიციდური ტერორისტი“ გააჩნია რიგი სახასიათი გარე ნიშანი და პრინციპში, წარმოადგენს გამოვლენადს, მაგრამ აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს თვითაფეთქების შესაძლო საფრთხე შემოწმების პროცესში და განსაკუთრებით მისი გამოვლენის შედეგად.

პროფილს „გულუბრყვილო ტერორისტი“ შეიძლება არ ჰქონდეს არსებითი გადახრები ქცევაში, ამიტომაც ის განისაზღვრება, როგორც რთულად გამოვლენადი.

პსპ-ების გამოვლენის მეშვეობით უჩა-ს თავიდან აცილებისთვის, გამოვლენადობაში პროფილების არსებითი განსხვავების გარდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტული ნიშნების ინფორმატულობასა და მნიშვნელობას. ნიშნის ინფორმატიულობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მგზავრის (უჩა-ს სტუმრის) შესაძლო მონაწილეობის შესახებ ნიშანში შემავალი ინფორმაციის ხარისხი. ერთი სიტყვით, ნიშნის ინფორმატიულობა ნიშნავს იმას, რამდენად მაღალია იმის ალბათობა, რომ მოცემული ნიშნის მქონე მგზავრი/სტუმარი წარმოადგენს პოტენციურად საშიშ პირს.

იმის გათვალისწინებით, რომ პსპ-ების გამოვლენა ხორციელდება ინდიკატორთა საფუძველზე, კონკრეტული ნიშნების ინფორმატიულობა და მნიშვნელობა თამაშობს არსებით როლს, განსაკუთრებით პსპ-ების გამოვლენის თანამიმდევრობისთვის სამოქალაქო ავიაციის ობიექტების მგზავრი-სტუმრების ნაკადში. ერთი სიტყვით, მგზავრების/სტუმრების დიფერენციაციის პროცესი პსპ-ებად და „არა პსპე-ბად“ უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ნიშნის ინფორმატიულობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით.

ნიშნების ინფორმაციულობა, პირველ რიგში, უკავშირდება მათ სიხშირეობით მახასიათებლებს, კერძოდ, პსპ-ების პროფილებში ნიშნების გამოვლენის სიხშირეს. რაც უფრო მაღალია პსპ-ების სხვადასხვა პროფილში კონკრეტული ნიშნის შეხვედრის სიხშირე, მით მაღალია იმის ალბათობა, რომ მოცემული ნიშნის მქონე მგზავრი/სტუმარი განეკუთვნება პსპ-ს.

აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ნიშნის და შესაბამისად, ინფორმატიულობის გამოვლენის საკმაოდ მაღალი სიხშირის დროს, იმის ალბათობა, რომ მოცემული ნიშნის მქონე მგზავრი/სტუმარი განეკუთვნება პსპ-ს, არ შეიძლება იყოს ასპროცენტიანი ან თუ ვისაუბრებთ ალბათობის თეორიის კატეგორიებით, ის არ შეიძლება უდრიდეს ერთს. ამის შედეგად, როგორც აღწერილია მე-3 თავში, რომელიც ეძღვნებოდა პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიებს, არასდროს არ შეიძლება გაკეთდეს საბოლოო დასკვნები მხოლოდ ერთი ინდიკატორის საფუძველზე, აუცილებელია მათი სისტემურად გაანალიზება, მათ შორის, ერთმანეთთან შეჯერება. ამიტომაც, ნიშნების ინფორმატიულობა მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს სწორეს მგზავრების/სტუმრების პსპ-ებად და „არა პსპ-ებად“ თავდაპირველი დიფერენცირების დროს და არა განვიხილოთ ისინი, როგორც გამონაკლისი საფუძველი კონკრეტული პირის პსპ-ისადმი მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. პსპ-ების გამოვლენის თვალსაზრისით და პსპ-ების პროფილის განსაზღვრისთვის.

შესასწავლი პრობლემის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე საინტერესოა სუს-ის თანამშრომლების წარმოდგენები ნიშნების ინფრომატიულობის შესახებ. ამ მიზნით გამოკითხვა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სუს-ის 25 თანამშრომელი. გამოკითხულებს სთავაზობდნენ პასუხის გაცემას კითხვაზე:

„გთხოვთ, დაასახელეთ მგზავრის (სტუმრის) 5 სახის ემოციური მდგომარეობა და ქცევის ფორმა, რომელიც თქვენი აზრით, ადასტურებს მათ კავშირს უჩა-თან“.

მიღებული პასუხებიდან პსპ-ების ნიშნების სიხშირეთა განაწილება წარმოდგენილია ცხრილში 11.

როგორც ჩანს ცხრილიდან სუს-ის თანამშრომელთა პასუხებში ყველაზე ხშირად გვხვდება და შესაბამისად, გამოკითხულთა უმრავლესობის თვალსაზრისით ყველაზე ინფორმატიულია სტრესი (fა = 67, fფ = 0,27) , მეორე ადგილზეა შფოთვა (fა = 52, fფ = 0,2), შემდეგ მოდის აგრესია (fა = 52, fფ = 0,2) და შიში (fა = 36, fფ = 0,14). არსებითად თითქმის ორჯერ ნაკლებია ისეთი სიხშიროვანი მახასიათებლები, როგორიცაა ტყუილი (fა = 19, fფ = 0,08) და ალკოჰოლური თრობა (fა = 16, fფ=0,06). ყველაზე იშვითად პასუხებში გვხვდება ისეთი ნიშნები, როგორიცაა მანიპულაცია, უჩვეულო ქცევა და ემოციური გადახრები.

ცხრილი 11

პსპ-ების ნიშნების სიხშირეთა განაწილება სუს-ის თანამშრომელთა წარმოდგენებში

N პ/პ	ნიშნები	Fა (აბსოლუტური სიხშირე)	F ფ(ფარდობითი სიხშირე)
1	სტრესი	67	0.27
2	შფოთვა	52	0.2
3	აგრესია	43	0.17
4	შიში	36	0.14
5	ტყუილი	19	0.08
6	ალკოჰოლური თრობა	16	0.06
7	მანიპულაცია	9	0.04
8	უჩვეულო ქცევა	6	0.02
9	ფსიქიკური გადახრები	2	0.01

პსპ-ების პროფილებში და სუს-ის თანამშრომელთა წარმოდგენებში ნიშნების სიხშირეთა განაწილების შესახებ მონაცემების შეჯერება გვიჩვენებს, რომ ნიშნების ინფორმატიულობის შესახებ საკმაოდ ადექვატურ წარმოდგენებთან ერთად არსებობს რიგი პრობლემური მომენტებიც. ასე, მაგალითად, წარმოდგენები „სტრესის“ ნიშნის

მეტი ინფორმატიულობის და ასევე ისეთი ნიშნების მაღალი ინფორმატიულობის შესახებ, როგორიცაა „შიში“ და „შფოთვა“ მთლიანობაში პსპ-ების პროფილების თავისებურებების ადექვატურია. ამავე დროს, პროფილების მახასიათებლებში სტრესის ფარდობითი სიხშირე შეადგენს 0,15, ხოლო სუს-ის თანამშრომლების წარმოდგენებში ის შეადგენს 0.27 ანუ თითქმის ორჯერ მეტია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მთლიანობაში სუს-ის თანამშრომლები სტრესის ინფორმატიულობის შეფასებისას აჭარბებენ.

სუს-ის თანამშრომელთა პასუხებში „სტრესის“ ნიშნის ყველაზე მეტი სიხშირე გამოხატავს გავრცელებულ აზრს სტრესული მდგომარეობის და მგზავრის (სტუმრის) პოტენციური საფრთხის კავშირის შესახებ. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი მდგომარეობები, როგორიცაა „სტრესი“ და „შფოთვა“ საკმაოდ ხშირად გვხვდება ჩვეულებრივ მგზავრებში/სტუმრებში. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს რიგ მიზეზს, მაგალითად, ფრენის შიშს (აეროფობია), რეისზე დაგვაინების შიშს და ა.შ. მოცემულ მდგომარეობებს გააჩნია სახასიათო გარეგნული ნიშნები და საკმაოდ კარგად ექცევიან სუს-ის თანამშრომელთა ეჭვ ქვეშ.

შიშის სიხშირე პროფილებსა და წარმოდგენებში დაახლოებით ერთნაირია, შესაბამისად, 0,15 და 0,14, ხოლო შფოთვის სიხშირე სუს-ის წარმოდგენებში =0,2, მაშინ როცა პროფილებში ის შეადგენს 0,1, რაც ასევე ადასტურებს მოცემული ნიშნის მომატებულ ინფორმატიულობას სუს-ის თანამშრომელში.

აგრესიის სიხშირეთა შეჯერება ასევე იძლევა საშუალებას ვისაუბროთ მოცემული ნიშნის ინფორმატიულობის მომატებას დაახლოებით სამჯერ სუს-ის წარმოდგენებში. მანიპულაციის ინფორმაციულობა პირიქით არაა საკმაოდ შეფასებული სუს-ის თანამშრომლების მიერ. მოცემული ნიშნის ფარდობითი სიხშირე პროფილებსა და წარმოდგენებში შესაბამისად შეადგენს 0,1 და 0,4. ეს შეიძლება აიხსნას მგზავრებს შორის აგრესიული ქცევის საკმაოდ ფართო გავრცელებით და აგრესიის საკმაოდ თვალსაჩინო გარე გამოვლინებებით, მაგრამ ასევე აუცილებელია აღინიშნოს, რომ აგრესია ყოველთვის როდია განპირობებული უჩა-ს მომზადებით (განხორციელებით). ასე, მაგალითად, ბევრი მგზავრი გამოხატავს აგრესიულ პროტესტს შემოწმების გამკაცრებული ზომების შემოღებაზე. აგრესია

ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს ალკოჰოლური თრობის მდგომარეობას, მათ შორის, ფრენის შიშის ფონზეც.

ნიშნების მნიშვნელობის კვლევა ხორციელდებოდა უჩა-ს სხვადასხვა სახესთან იმ პროფილების კავშირის ანალიზის საფუძველზე, რომელთაც ის მიეკუთვნებოდა.

სხვადასხვა სახის უჩა-ს საფრთხის ხარისხი და მათთან პსპ-ების სხვადასხვა პროფილის კავშირი განხილულ იქნა პარაგრაფში 2.2. მოცემულ პარაგრაფში წარმოდგენილი შედეგების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს პსპ-ების პროფილის ნიშნების მნიშვნელობა. სხვადასხვა პროფილის პსპ-ის ნიშნები და მათი მნიშვნელობა, რაც განპირობებულია უჩა-ს საფრთხეების საშიშროების ხარისხით (რანგით), რომელთანაც შეიძლება კავშირში იყოს კონკრეტული პროფილი, წარმოდგენილია ცხრილში 12.

ცხრილში წარმოდგენილია სხვადასხვა პროფილის მთავარი ნიშნების შეფასება, რომელიც განხორციელდა მოცემული პროფილების საფრთხის შესაბამისად. შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ნომინაციური სკალა, რომლის საფუძველზეც ნიშნები განაწილებულია სამ ჯგუფად, რომელიც შეესაბამება მნიშვნელობის სხვადასხვა დონეს. ყველაზე მაღალი მნიშვნელობის ჯგუფში შედის პროფილის „სუიციდური ტერორისტი“ ნიშნები. საკმაოდ მაღალი მნიშვნელობის ჯგუფში შევიდა პროფილების „ყალბი ტერორისტი“ , „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“, „გულუბრყვილო ტერორისტი“ ნიშნები. მაღალი მნიშვნელობის ნიშნების ჯგუფში შევიდა პროფილის „ტერორისტი“ ნიშნებიც.

ცხრილი 12

პსპ-ების სხვადასხვა პროფილის ნიშნების მნიშვნელობა

უჩა-ს საფრთხის რანგი	პსპ-ების პროფილი	პსპ-ების პროფილის მთავარი ნიშნები	ნიშნების მნიშვნელობა
1 და მე-2	„სუიციდური ტერორისტი“	განყენებულობა, კონცენტრაცია, არადამაჯერებლობა, არალოგიკური ქცევა, უცნაური მანიპულაცია,	უკიდურესად მაღალი („წითელი ნიშნები“)

		ნარკოტიკული თრობა	
მე-3 და მე-5	„ყალბი ტერორისტი“ „ნაწილობრივ	სტრესი, შიში, შფოთვა, მანიპულაცია	საკმაოდ მაღალი („ფორთოხლისფერი ნიშნები“)
	გულუბრყვილო ტერორისტი“	შიში, შფოთვა, ყალბი ქცევა, მანიპულაცია	
	„გულუბრყვილო ტერორისტი“	გამოხატული ნიშნების გარეშე	
მე-4	„ტერორისტი“	აგრესია, ფსიქიკური გადახრრები, ალკოჰოლური თრობა	მაღალი („ყვითელი ნიშნები“)

იმასთან დაკავშირებით, რომ ნიშნების ნაწილი მეორდება სხვადასხვა პროფილში, მათი მნიშვნელობა ფასდებოდა საფრთხის უფრო მაღალი ხარისხის პროფილთან კუთვნილების საფუძველზე. ასე, მაგალითა, ნარკოტიკული თრობა შედის პროფილებში „სუიციდური ტერორისტი“ და „ტერორისტი“, მაგრამ რამდენადაც პროფილი „სუიციდური ტერორისტი“ წარმოადგენს ყველაზე საშიშს, მოცემული ნიშანი შეფასდა, როგორც უკიდურესად მაღალი მნიშვნელობის მქონე სწორედ ამ პროფილთან კავშირის საფუძველზე. ანალოგიურად, ნიშანი „სტრესი“, რომელიც შედის პროფილებში „ტერორისტი“ და „ყალბი ტერორისტი“, შეფასდა, როგორც საკმაოდ მაღალი მნიშვნელობის მქონე სწორედ პროფილთან „ყალბი ტერორისტი“ კავშირის საფუძველზე.

სუს-ის თანამშრომლების პრაქტიკული მუშაობის კომფორტულობისთვის მიზანშეწონილია ნიშნებს მიეცეს პირობითი სახელწოდებები, რომლებიც ასახავენ მათ მნიშვნელობას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად: უკიდურესად მაღალი მნიშვნელობის მქონე ნიშნები - „წითელი ნიშნები“, საკმაოდ მაღალი მნიშვნელობის ნიშნები - „ნარინჯისფერი ნიშნები“, მაღალი მნიშვნელობის ნიშნები - „ყვითელი ნიშნები“. შესაბამისად, მგზავრების ნაკადში პსპ-ების გამოვლენის პროცესში სუს-ის

თანამშრომლებმა თანამიმდევრულად უნდა განახორციელონ თავიდან „წითელი“, შემდეგ - „ნარინჯისფერი“ და „ყვითელი“ ნიშნების ძიება[45].

ამდენად, მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. პსპ-ების სხვადასხვა პროფილს გააჩნია რა სხვადსხვა ფაქტორების სპეციფიკური შერწყმა, რომლებიც განსაზღვრავენ ემოციური აქტიურობის კანონზომიერებებს და შესაბამისად, ნიშნების სისტემას, ახასიათებს სხვადასხვაგვარი გამოვლენადობა. გამოვლენადს, მათი თავისებურებებისა და შემოწმების პროცედურების სპეციფიკის ძალით, შეიძლება განვაკუთვნოთ პროფილები „არასუიციდური ტერორისტი“, „ყალბი ტერორისტი“, „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“ და „სუიციდური ტერორისტი“. პროფილი „გულუბრყვილო ტერორისტი“ ნიშნების შესაძლო უქონლობის ან სუსტი გამოხატულების გათვალისწინებით წარმოადგენს რთულად გამოვლენადს.
2. პსპ-ების გამოვლენის მეშვეობით უჩას თავიდან აცილებისთვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია ასევე ნიშნების ინფორმატიულობასა და მნიშვნელობას. ამასთან, ინფორმატიულობა ასახავს ნიშანში არსებულ ინფორმაციას უჩა-თან მგზავრის/სტუმრის შესაძლო კავშირის თაობაზე, ხოლო მნიშვნელოვნობა - ნიშნის მნიშვნელობას სხვადასხვა ხარისხის საშიშროების უჩა-ს საფრთხის თავიდან აცილების კუთხით. სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების გამოვლენის დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ნიშნების თვისებები, პრიორიტეტი მიენიჭება რა მათ მნიშვნელოვნობას და ასევე ადექვატური წარმოდგენების ქონას პსპ-ების პროფილის ნიშნებისა და მათი ინფორმატიულობის სისტემის შესახებ.

2.5.სუიციდალური ტერორისტების, როგორც პოტენციურად საშიში პირების ყველაზე საშიში პროფილის, გამოვლენის თვისებების კვლევა

[45] Bart Elias. Airport and Aviation Security. ISBN 9781420070293. 439pp. U.S. 2009.

სამოქალაქო ავიაციის ობიექტები წარმოადგენენ რა განსაკუთრებით მოწყვლადს ტერორისტული საფრთხის თვალსაზრისით, შესაბამისად იმყოფებიან სუიციდური ტერაქტების განხორციელების განსაკუთრებული რისკის ზონაში ანუ ტერაქტების, რომლებშიც ტერორისტ-თვითმკვლელები მონაწილეობენ. სუიციდური ტერორისტების გამოვლენის თავისებურებები, პირველ რიგში, უკავშირდება მათი პროფილის დახასიათებასა და მგზავრებისთვის, სტუმრებისა და სუს-ის თანამშრომლებისთვის საფრთხის ხარისხს.

პროფილის „სუიციდური ტერორისტი“ განეკუთვნება პოტენციურად საშიში, ინფორმირებული მგზავრებისა და სტუმრების ჯგუფს. მოცემული პირები წარმოადგენენ განსაკუთრებულ საფრთხეს სამოქალაქო ავიაციის ობიექტებისთვის მყისიერი თვითაფეთქების განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ამ პროფილის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს ინფორმირებულობა, დანაშაულის გრძნობის უქონლობა, მოტივაციური სფეროს დეფორმირებულობა და მანიპულაციური ზემოქმედების არსებობა ტერორისტული სტრუქტურების მხრიდან.

„სუიციდური ტერორისტის“ პროფილი განხილული იქნება თვითმკვლელი ტერორისტების მონაწილეობით წარმოებული ტერაქტებისა და მათი განხორციელების მცდელობის შესახებ არსებული ინფორმაციის, ტერორიზმის პრობლემებზე ნაშრომების, დოკუმენტების, ვიდეოჩანაწერების, ბიოგრაფიული მეთოდის ანალიზის საფუძველზე.

სუიციდური ტერორისტის პროფილში მთავარი აქცენტი გაკეთდა მის შესაძლო ემოციურ მდგომარეობასა და ქცევის შესაძლო ფორმებზე ტერაქტის განხორციელების წინ. განსახილველი პროფილი ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს შესაძლო ქცევისა და ემოციური მდგომარეობის პროგნოზის თვალსაზრისით, როგორიცაა:

- ფორმალურ-ბიოგრაფიული მახასიათებლები;
- სოციალური მახასიათებლები;
- მოტივაციის მახასიათებლები;
- ტერორიზმში ჩართვის ხერხების მახასიათებლები;

- მომავალი თვითმკვლელის მომზადების მახასიათებლები;
- და ხარისხის თავისებურებები.

მომხდარი ტერაქტების ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები შემსრულებლების რიგი ფორმალურ-ბიოგრაფიული და სოციალური მახასიათებლების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში 14.

ფორმალურ-ბიოგრაფიული მახასიათებლები ძირითადად განპირობებულია მომავალი თვითმკვლელების გადაბირების კონტენტის თავისებურებებით. სუიციდური ტერორისტების საშუალო ასაკი, რომლებმაც განახორციელეს ტერაქტი ჩვენი მონაცემებით შეადგენს დაახლოებით 24 წელს. გარკვეული მონაცემებით, ასაკობრივი დიაპაზონი სუიციდური ტერაქტების განსახორციელებლად მამაკაცებისთვის შეადგენს 18-30 წელს ანუ ესენი არიან ყველაზე ქმედუნარიანი, ფიზიკური და გონებრივი კუთხით აქტიური ადამიანები. ჩვენი მონაცემებით ქალებისთვის ეს დიაპაზონი რამდენადმე უფრო ფართოა და შეადგენს 17-31 წელს. ეს ასაკი ხასიათდება შთაგონებისადმი ნაკლები მდგრადობით, უფრო ძლიერი ემოციურობითა და პირადი ურთიერთობების მნიშვნელობით.

სუიციდურ აქტებში მონაწილეობისთვის ტერორისტული სტრუქტურების მიერ ირჩევა სპეციალური კონტინგენტი, რომელიც წარმოადგენს „მისაწვდომს“ მომავალი თვითმკვლელების მომზადებისთვის. არსებული მონაცემებისა და ჩვენს მიერ გამოყენებული მიდგომის ლოგიკის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს რისკის შემდეგი პოტენციური ჯგუფები;

ცხრილი 14.
თვითმკვლელი-ტერორისტების ფორმალურ-ბიოგრაფიული და სოციალური მახასიათებლები

საშუალო ასაკი	დაახლოებით 24 წელი
იზრდებოდა მშობლების გარეშე ან არასრულ ოჯახში	დაახლოებით 43%
მათგან იზრდებოდა უდედოდ	დაახლოებით 67%
წარმოადგენდნენ უშფ-ს დაღუპული წევრების ნათესავებს	დაახლოებით 57%

განიცდიდნენ ძლიერ მატერიალურ სირთულეებს	დაახლოებით 14%
ჰქონდათ საშუალო სოციალური სტატუსი ჰქონდათ საშუალოზე დაბალი სოციალური სტატუსი	დაახლოებით 71% დაახლოებით 14%
იმყოფებოდა მძიმე (კრიზისულ) ცხოვრებისეულ სიტუაციაში	დაახლოებით 71%
ქალების მიერ ჩადენილი სუიციდური ტერაქტების პროცენტი	71%
ტერაქტებისთვის გამოყენებული ქალების ასაკობრივი დიაპაზონი	17-31 წელი

განსახორციელებლად:

- პირები, რომლებიც განიცდიან მატერიალურ და სხვა სირთულეებს, მაგალითად, სრულ მატერიალურ დამოკიდებულებაში ჩავარდნილი ადამიანები;
- პირები მძიმე კრიზისულ სიტუაციაში ცხოვრებაში, რომლებიც იმყოფებიან ძლიერ დეპრესიაში;
- ახალგაზრდა გოგონები არასრული ოჯახებიდან დაბალი მატერიალური უზრუნველყოფით;
- ქრონიკულად დაავადებული პირები, მძიმე სენის მქონე პირები;
- პირები ფსიქიკური გადახრებით, ხასიათის აქცენტუაციებით;
- ადამიანები პიროვნული და სოციალური დეფექტებით (რომლებმაც დაკარგეს სამუშაო, მშობლები, ოჯახი, ცხოვრების აზრი და ა.შ.);
- რელიგიური, იდეოლოგიური და სხვ. ფანატიკოსები, რომლებიც აქცენტირებულნი არიან „ურწმუნეობთან“ ბრძოლაზე, პოლიტიკურ ძალაუფლებაზე და ა.შ.;
- უკანონო შეიარაღებული ფორმირებების დაღუპულ წევრთა ნათესავები, რომელთაც სურთ შურისძიება გარდაცვლილთა სიკვდილისთვის;
- მოქმედი ტერორისტული დაჯგუფებების მონაწილეთა დები, ცოლები ან ხშირად საყვარლები, რომლებიც არ წარმოადგენენ მათი საერთო შვილების დედებს;

- შთაგონებული ადამიანები, რომლებიც მოექცნენ ტერორისტული ორგანიზაციების იდეოლოგების გავლენის ქვეშ, ადიდებენ და მითებით მოსავენ სუიციდურ აქტს, როგორც განსაკუთრებულ „გმირობას“.

ცხრილი 14-ის მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები ტერორისტი-თვითმკვლელების შესახებ, რომლებმაც განახორციელეს ტერაქტები ან ჰქონდათ მათი მცდელობა:

1. აშკარა მატერიალური სირთულეები განიცადეს - დაახლოებით 14%;
2. იმყოფებოდნენ მძიმე ცხოვრებისეულ კრიზისულ სიტუაციაში - დაახლოებით 71%;
3. იზრდებოდნენ მშობლების გარეშე ან არასრულ ოჯახებში - დაახლოებით 43%, ამასთან მათგან დაახლოებით 67% იზრდებოდა დედის გარეშე.
4. წარმოადგენდნენ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების დაღუპული მონაწილეების ნათესავებს - დაახლოებით 57%.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს თვითმკვლელი ტერორისტების სოციალური სტატუსის თავისებურებები. ზემოთ აღინიშნა, რომ პირთა მოცემულ კატეგორიას ძირითადად გააჩნია დაბალი ქონებრივი და საგანმანათლებლო სტატუსი. თვითმკვლელი ტერორისტების უდიდესი უმრავლესობა არიან ადამიანები, რომელთაც ან არ გააჩნიათ ფასეული ღირებულებები ან შეგნებულად მისი უარმყოფელები ამა თუ იმ ფორმით. მათთვის ცხოვრების წარსულ სტილზე და საკუთრებაზე უარი იწვევს საკუთარი არსებობის ფასეულობის დაქვეითებასაც. ამ პირებისთვის სიცოცხლე მის მიმზიდველობას კარგავს და მისი მსხვერპლად შეწირვა დასაშვებია რაიმე იდეის გამო.

ბოლო წლებში თვითმკვლელი ტერორისტების სოციალური სტატუსი და მატერიალური დონე მუდმივად მერყეობს. ესენი არიან მოსახლეობის უღარიბესი ფენიდან წამოსული უმუშევარი და განათლების არმქონე და განათლებული ადამიანებიც კარგად ანაზღაურებადი სამუშაოთი, მყარი სოციალური კავშირებით. დადგენილია, რომ აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილე ცხრამეტი ტერორისტი მიეკუთვნებოდა საზოგადოების საშუალო და მაღალ ფენებს. ყველა მათგანს ჰქონდა განათლება და მატერიალურადაც უზრუნველყოფილები იყვნენ. ერთ-ერთი ტერორისტი, რომელსაც სურდა ტერაქტის განხორციელება საჰაერო

ხომალდზე უ.ფ. აბდულმუთალაბი, აფრიკაში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის შვილია. დომოდედოვოს აეროპორტში აფეთქების მომწყობ ტერორისტ - თვითმკვლელ 20 წლის მ. ევლოევს ჰქონდა არასრული საშუალო განათლება და იყო სოფლის მასწავლებლების ოჯახიდან.

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალურ ფაქტორს გააჩნია დიდი მნიშვნელობა თვითმკვლელი ტერორისტების რიგების შესავსებად. თვითმკვლელად გახდომას ხშირად ხელს უწყობს არახელსაყრელი სოციალურ-ეკომონიკური პირობები (ცხოვრებისეული პერსპექტივების უქონლობა, სიღარიბე და ა.შ.). თვითმკვლელთა რიგების შევსებას ხელს უწყობს არახელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც (ცხოვრებისეული პერსპექტივების უქონლობა, ცხოვრების დაბალი დონე და ა.შ.)[46]

ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობა ხშირად ხდება გადამწყვეტი ფაქტორი ადამიანის მიერ სუიციდური ტერაქტის განხორციელების გადაწყვეტილების მიღებაში, რამდენადაც აქციის განხორციელების შემდეგ ნათესავები ხშირად ანაზღაურებას იღებენ.

გამოიყოფა სუიციდური ტერაქტების განხორციელებისკენ წაქეზების სხვა მოტივებიც. ძალიან ხშირად მომავალი თვითმკვლელი ტერორისტების გადაბირებისა და დამუშავებისთვის გამოიყენება არამართებული რელიგიური პროპაგანდა.

საკმაოდ ხშირად მომავალი თვითმკვლელის გადასაბირებლად ტერორისტული სტრუქტურების მიერ საკმაოდ აქტიურადაა გამოყენებული შურისძიების მოტივი გარდაცვლილი ნათესავის გამო.

იმ პირთა შორის, რომლებიც მზად არიან განახორციელონ სუიციდური ტერაქტი, გვხვდება თვითდამკვიდრების შემთხვევები, საყოველთაო ყურადღების მიპყრობის მცდელობებიც ესოდენ პარადოქსული ხერხით.

[46] John Horgan. The Psychology of Terrorism. 224pp. 2004 US

იმის გათვალისწინებით, რომ სუიციდური ტერაქტების დაახლოებით 70% ქალების მიერ[47], აუცილებელია ცალკე განვიხილოთ ქალი-თვითმკვლელების პროფილის თავისებურებები და პირველ რიგში, ემოციური სფეროსა და მოტივაციის სახასიათოები. ქალები ბუნებით უფრო ემოციურები არიან, მათში გაცილებით უფრო ძლიერაა გამოხატული ემპათიის (ემოციური თანაგრძნობის) გრძნობა, ხოლო აგრესიის დონე გაცილებით დაბალია. ქალების ემოციურ მოწყვლადობასთან დაკავშირებით აქციებისადმი მომზადების დროს მასზე ზემოქმედების მეთოდებს გააჩნია მაღალი შედეგიანობა. კვლევები გვიჩვენებს, რომ კაცებისგან განსხვავებით, ქალებს ნაკლებად აინტერესებთ პოლიტიკური, ნაციონალური და რელიგიური იდეალები, რომლისთვისაც კაცები იბრძვიან. ქალები უფრო ორიენტირებულნი არიან წარსულსა და აწმყოზე და არა მომავალზე, როგორც კაცები. ამიტომაც, ერთ-ერთ წამყვან მოტივს ხშირად წარმოადგენს ახლობელი ადამიანისთვის შურისძიების იდეა. ქმრის, ძმის, ვაჟიშვილის დაკარგვის შემდეგ ისინი ვერ ხედავენ შემდგომში ცხოვრების გაგრძელების აზრს. ქალებისთვის დამახასიათებელი გულჩვილობა, მიდრეკილება მძიმე სულიერი განცდებისკენ, დეპრესია, რომელიც განაპირობებს ცხოვრებისადმი ინტერესის დაკარგვას, ხშირად წარმოადგენს წარმატებული დამუშავების საფუძველს ტერორისტული ორგანიზაციების გადამბირებლების მხრიდან. ღრმა დეპრესიის პერიოდში გადატანილი ტრავმის (ბავშვის დაკარგვა, სასიყვარულო დრამა) შემდეგ ქალი მზადაა მსხვერპლად გაიღოს საკუთარი სიცოცხლე.

სუიციდური ქცევისკენ მიდრეკილნი არიან ფსიქიკურად დაავადებულები[48]. სუიციდს ჩვეულებრივ წინ უსწრებს პრესუიციდური პერიოდი - პასიური სუიციდური აზრებისა და სუიციდური განზრახვების წარმოქმნიდან მათი რეალიზაციის მცდელობამდე. ამ პერიოდში ხდება სახასიათო ცვლილებები ინტელექტუალურ და ემოციურ-ნებელობით სფეროში, ირღვევა პიროვნებათშორისი კავშირები, იცვლება ინფორმაციის აღქმისა და გადამუშავების პროცესები. კერძოდ, ხდება გარკვეული ინფორმაციის გაუცნობიერებელი უპირატესობა მეორის იგნორირების ხარჯზე (განსაკუთრებით სახასიათია დეპრესიული და შფოთვითი

[47] Wayne L. Davis, Robert E. Moldenhauer, Heather D. Davis. Terrorism, Homeland Security, and Risk Assessment Via Research Proposal (3rd. ed.) 2014 US
[48] https://www.ncjrs.gov/pdffiles1/nij/grants/208552.pdf

მდგომარეობებისთვის). ინფორმაციის აღქმის „მიკერძოებულობის“ მოვლენას ჩვეულებრივ თან ახლავს სუიციდურ რისკთან დაკავშირებული მდგომარეობა. პრესუიციდურ პერიოდში ნებისმიერი აღმგზნები მოვლენა, ინფორმაცია შეიძლება იქცეს სუიციდის რეალიზაციის ბიძგად[49].

ასეთ ადამიანებში ხშირად დარღვეულია თვითშენარჩუნების ინსტიქტი, დამუშავების პროცესში მხოლოდ სიკვდილისადმი პათოლოგიური სწრაფვა აქტუალიზდება. ტერაქტებისთვის განსახორციელებლად გამოყენებული სასიკვდილო სენის მქონე ადამიანები ასევე იმყოფებიან დეპრესიის მდგომარეობაში და ემოციურად გატეხილები არიან.

კვლევები გვიჩვენებს, რომ პოტენციური კონტიგენტი თვითმკვლელთა გადასაბირებლად ძირითადად ემთხვევა სუიციდური რისკის პირთა ჯგუფს, რომლებმაც სცადეს თვითმკვლელობა, არ იყვნენ რა კავშირში ტერორიზმთან. ამიტომაც, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თვითმკვლელები, ძირითადად ხდებიან ადამიანები, რომლებმაც რაიმე მიზეზით დაკარგეს ცხოვრების აზრი. სუიციდოლოგიის თანამედროვე კონცეფციების თანახმად, თვითმკვლელობა განიხილება, როგორც პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური დეზადაპტაციის შედეგი მის მიერ მიკროკონფლიქტების გადატანის პირობებში[50].

ასე, მაგალითად, 20 წლის ტერორისტი, რომელმაც ტერაქტი განახორციელა დომოდედოვოს აეროპორტში იმყოფებოდა კრიზისულ მდგომარეობაში 2010 წლის ზაფხულში ცოლთან დაშორების შემდეგ (ქორწინებამ სულ რაღაც რამოდენიმე თვეს გასტანა და მან მძიმედ გადაიტანა ცოლთან დაშორება). მისი თვითმკვლელეთა რიგებში ჩართვის დამატებით ფაქტორს წარმოადგენდა მისი დის ქმრის სიკვდილზე შურისძიების სურვილი, რომელიც წარმოადგენდა უკანონო შეიარაღებული ფორმირების აქტიურ წევრს.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ პოტენციური თვითმკვლელების მოტივაციის შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- რელიგიური და პოლიტიკური ფანატიზმი;

[49] Robert A. Pape. Dying to Win: The Strategic Logic of Suicide Terrorism. 368pp 2006 US
[50] Assaf Moghadam. Suicide Terrorism, Occupation, and the Globalization of Martyrdom: A Critique of Dying to Win. Journal Studies in Conflict & Terrorism 2006. Pages 707-729

- სიკვდილის შემდეგ სამოთხეში მოხვედრის სურვილი(ისლამის აღმსარებელი თვითმკვლელებისთვის);
- მძიმე მატერიალური მდგომარეობა (სოციალური პერსპექტივების უქონლობა, სიღარიბე და ა.შ.);
- შურისძიება დაღუპული ნათესავისთვის;
- ქალებისთვის - შურისძიება მოკლული ქმრის, საქმროს, საყვარელი მამაკაცის გამო;
- თვითდამკვიდრების სურვილი, საყოველთაო ყურადღების მიპყრობის მცდელობა;
- სიცოცხლის დასრულების უშუალო სურვილი.

ტერორისტული სტრუქტურების იდეოლოგების მიერ სუიციდური ტერაქტის განსახორციელებლად აუცილებელი მდგომარეობა ხასიათდება, როგორც აბსოლუტურად მშვიდი, ცხოვრებისგან განყენებული მიზანზე - ტერაქტის სისრულეში მოყვანაზე ძლიერი კონცენტრაციის დროს. ამიტომაც სიკვდილის შიშის არსებობა, დაგეგმილი აფეთქების შიში ფასდება, როგორც თვითმკვლელის დამუშვების დეფექტი. ასე, მაგალითად, ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასი“ შემდეგი პრინციპის პროპაგანდას ეწევა: „თუ გეშინია, არ გააკეთო, აკეთებ, ნუ გეშინია“[51].

ადამიანზე განხორციელებული ზემოქმედება მყარდება ფსიქოტროპული და ნარკოტიკული პრეპატარების გამოყენებით. მოცემული პრეპარატების გამოყენება ტერაქტის მომზადების მიზნით ამცირებს ადამიანში აღქმის კრიტიკულობასა და შფოთვის დონეს, ამაღლებს შთაგონებადობას. ზ/ა დომოდედოვოს ტერაქტის ჩადენის მომენტში თვითმკვლელის სისხლში აღმოჩენილ იქნა ნარკოტიკული ნივთიერებები (ჰაშიში, კოკაინი, მარიხუანა) და სხვა ფსიქოტროპული პრეპარატები.

პოტენციური თვითმკვლელის დამუშავების პროცესში არ გამოირიცხება ფიზიკური ზემოქმედების (ძალადობა, წამება, ცემა და ა.შ.) გამოყენებაც, რის გამოც ტერაქტის განხორციელების წინ თვითმკვლელი შეიძლება იყოს ძლიერ დათრგუნული და მორალურად გატეხილი.

[51] https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/teaching-terror-how-hamas-radicalizes-palestinian-society

ტერაქტების ორგანიზატორები თვითმკვლელების მომზადების დროს ასევე ითვალისწინებენ ეგზისტენციალურ ტენდენციებს ადამიანში საკუთარი სიკვდილის მიმართ გაუცნობიერებელი ცნობისმოყვარეობის კუთხით. ადამიანის ფსიქიკის ეს თავისებურება ასევე გამოიყენება მანიპულირების ფსიქოტექნოლოგიებში მომავალი თვითმკვლელის ცნობიერების დამუშავების დროს.

ამდენად, შეგვიძლია გამოვყოთ ტერორისტ-თვითმკვლელის ფორმირების ხერხების (მიდგომების) ძირითადი სახეები, რომელიც გამოიყენება ტერორისტული ორგანიზაციების მიერ:

- ინდივიდუალური ზემოქმედება;
- მასირებული რელიგიური დამუშავება;
- „მტრის“ ხატის ფორმირება;
- ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება;
- ფიზიკური ძალადობისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის მეთოდების გამოყენება.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ტერორისტული ორგანიზაციები სწორედ „თვითმკვლელი-ტერორისტის მოდელისკენ“ არჩევენ უპირატესობას, ტერორისტის დახასიათება შეიძლება ავიღოთ როგორც ადამიანის ემოციური მდგომარეობის საფუძველი ტერაქტის განხორციელების წინ. ამიტომაც, თვითმკვლელის პროფილში ჩართული იქნება ზ/აღნიშნული ემოციური მდგომარეობების ნიშნები, როგორც პროფილის მაიდენტიფიცირებელი. სუიციდური ტერორისტის პროფილში უნდა იქნეს და გათვალისწინებულია ადამიანზე გაწეული მანიპულაციის გარე ნიშნები.

უფრო დეტალურად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სუიციდური ტერორისტის პროფილის შემდეგი გარეგნული ნიშნები:

- არარსებული გაშორიშორებული მზერა;
- გაფართოებული თვალები, შუშის და დაუხამხამებელი მზერა (შეიძლება ჰგავდეს ნარკომანის მზერას);
- სიფერმკრთალე;
- ემოციების უქონლობა (ნიღბისებრი სახე);
- სახის კუნთების დაძაბულობა;

- ზედაპირული სუნთქვა;
- შენელებული რეაქციები (მათი უქონლობა) ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე;
- დაძაბული, მექანიკური, შეიძლება უცნაურად მწყობრი მოძრაობები;
- გარემო ვითარებასთან მიმართებაში ქცევის ზოგადი არაადექვატურობა (არაბუნებრივი პოზები, ირგვლივ მიმდინარე მოვლენებისგან განყენებულობა, კონცენტრაცია შინაგან მდგომარეობაზე);
- ვერბალური კონტაქტის დარღვევები (კითხვების გაუგებრობა, შენელებული რეაქცია მისაღებ ინფორმაციაზე, შეფერხებები პასუხებთან მიმართებაში, სიტყვების გამორჩენა, ნელი საუბარი, სირთულეები სიტყვების შერჩევისას და ა.შ.);
- რაიმე სიტყვების უხმო წარმოთქმა (მაგალითად, ლოცვის წარმოთქმა);
- კონცენტრაცია გარკვეულ მარშრუტზე, მოძრაობის მიმართულებაზე, ცუდი რეაქცია შესაძლო დაბრკოლებებზე თავის გზაზე;
- საერთო შენელებულობა, მოქმედებების, მოძრაობების სქემატურობა;
- არალოგიკური ქცევა, უცნაური მანიპულაციები (მაგალითად, სახასიათო „ფრთხილი“ დამოკიდებულება თაბაშირიანი ხელით ან ერთი ხელით მეორის მოულოდნელი მოსინჯვა).

როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლებელია ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენა ან პოტენციური თვითმკვლელის დამუშავების ნაკლოვანებების არსებობა. მოცემულ შემთხვევაში ადამიანი შეიძლება განიცდიდეს შიშის გრძნობას თვითმკვლელობის აქტის წინ და საკუთარ ქმედებებში დაურწმუნებლობის გრძნობას. შიშის გარეგნული სახასიათო ნიშნები განხილული იქნა პარაგრაფში 2.2.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ თვითმკვლელი-ტერორისტის პროფილი ფლობს რიგ სახასიათო თავისებურებას. მოცემულ პროფილს გააჩნია გამოვლენის მაღალი დონე პოტენციურად საშიში პირების სხვა განხილულ პროფილებთან შედარებით. თვითმკვლელში სწორედ გარკვეული ემოციური მდგომარეობებისა და ქცევის ფორმების ჩამოყალიბების აუცილებლობა, რაც საჭიროა სუიციდური ტერაქტის განსახორციელებლად, იქნება მათი არსებობის სავალდებულო ტენდენციის განმაპირობებელი თავად ტერაქტის მომზადებისა და განხორციელების

დროს. თვითმკვლელის მომზადების ხანგრძლიობა და საგულდაგულოობა ასევე იქნება გავლენის მქონე მოცემული ემოციური მდგომარეობებისა და ქცევის ფორმების გამოხატულების საკმაოდ მაღალ ხარისხზე.

ამ მდგომარეობებისა და ქცევის გარე გამოვლინებებს ასევე გააჩნია სახასიათო თავისებურებები თვითმკვლელის ჩამოყალიბების დროს, გარკვეული მეთოდებისა და ხერხების გამოყენების მიზანმიმართულობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული პრეპარატების გამოყენება განაპირობებს სრულიად ნათელი და სახასიათო გარეგნული ნიშნების არსებობას. ამიტომაც, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თვითმკვლელი-ტერორისტის პროფილი წარმოადგენს უფრო განჭვრეტადსა და ერთმნიშვნელოვანს მისი გამოვლენის თვალსაზრისით. ამ პროფილში, უფრო არ იქნება სხვა, ზემოთ განხილული პოტენციურად საშიში პირების პროფილებისთვის დამახასიათებელი ურთიერთგავლენისა და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი ფაქტორების კომპლექსი, რომლებიც განაპირობებენ სხვადასხვაგვარ ემოციებსა და ქცევის ფორმებს უჩა-ს მცდელობისა და განხორციელბის დროს.

თვითმკვლელის პროფილის გამოვლენის დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაში გარეგნული და სხვა საეჭვო ნიშნების არსებობაც, რომლებიც მიუთითებენ სუიციდური ტერაქტისადმი შესაძლო მომზადებას. იმასთან დაკავშირებით, რომ სუიციდური ტერაქტები, უმეტესწილად სრულდება თვითმკვლელის ქამრის გამოყენებით, უნდა იქნეს გათვალისწინებული გარეგნული ნიშნები, რომლებიც სახასიათოა ტანსაცმლის ქვეშ მისი არსებობისთვის, კერძოდ, ამას განეკუთვნება:

- თავისუფალი საფარველის სამოსი, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის ზომას (მაგალითად, რადემონიმე ზომით დიდი) და აქვს სიმრუდე, გაფართოება წელის არეში;
- ორსული ქალის იმიტაცია - გასქელება წელისა და მუცლის არეში ორსულობის სხვა სახასიათო ნიშნების გარეშე;
- შეუსაბამობა ფიგურაში - გამხდარი აღნაგობის დროს აშკარად გამოკვეთილი მუცელი;

- ხელის მუდმივად ჩადება გამოკვეთილი მუცლის ჯიბეში, რომელიც სქელდება წელის არეში;
- არასტანდარტული სამოსი, რომელიც არ შეესაბამება დღის დროს, ადგილსა და ამინდს და ა.შ.

ამიტომაც, თვითმკვლელი-ტერორისტის პროფილში უნდა იქნეს გათვალისწინებული ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაში გამოვლენილი სპეციფიკური გადახრების და აღმოჩენილი საეჭვო ნიშნების თანაფარდობა, რომლებიც მიუთითებენ ქამრის, როგორც პროფილის საიდენტიფიკაციო მახასიათებლის არსებობას სამოსის ქვეშ ასაფეთქებელი ნივთიერებებით.

სუიციდური ტერორისტის პროფილის დახასიათების გათვალისწინებისას შეიძლება გამოიყოს ქცევის შემდეგი პრინციპები და შესაბამისად, რეკომენდაციები სუს-ის თანამშრომლისთვის ეჭვის არსებობისას, რომ სა-ს ობიექტზე იმყოფება თვითმკვლელი-ტერორისტი.

1. ქცევაში განსაკუთრებული სიფრთხილის გამოვლენა:
    - აუცილებლია განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა დოკუმენტების შემოწმების დროს;
    - დაუშვებელია პოტენციური თვითმკვლელისადმი ზურგით შემობრუნება;
    - სატრანსპორტო საშუალების შემოწმების დროს აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ყველაზე საშიშ მომენტს წარმოადგენს სუს-ის თანამშრომლის თხოვნა, რომ გახსნას ავტომობილის საბარგული.
2. ქცევასა და მეტყველბაში პოტენციურად მაპროვოცირებელ მოქმედებებზე უარის თქმა (თავის არიდება):
    - რეკომენდირებულია მკვეთრი მოძრაობებისთვის, ხმამაღალი ბგერებისთვის, ყვირილისთვის და ა.შ. თავის არიდება, რამდენადაც ამას შეუძლია რეფლექტორულად მოახდინოს ტერაქტის დაუყოვნებლივი პროვოცირება.
3. ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელებაზე და ფიზიკური ძალის გამოყენებაზე სრული უარის თქმა:

- რეკომენდირებული არაა დიდხანს და გამჭოლად ყურება თვალებში სავარაუდო თვითმკვლელისთვის;
- შესაძლო კონტაქტების დროს რეკომენდირებული არაა კამათში შესვლა;
- არ უნდა გამოვლინდეს რაიმე სახით აგრესია.

4. საკუთარი ქცევისა და ემოციური მდგომარეობის, მეტყველების კონტროლი:
    - არ უნდა მოხდეს დაგეგმილი ტერაქტის მორალური შეფასება და თვითმკვლელის დარწმუნება მისი ქმედებების სისასტიკეში პოტენციურ მსხვერპლთან მიმართებაში;
    - არაა რეკომენდირებული საუბრის დაწყება აბსტრაქტულ თემებზე;
    - არ უნდა მოხდეს სარკაზმის და ღია უპატივცემულობის დემონსტრირება კონტაქტების დროს.
5. ქცევის სტაბილურობა (უცვლელობა):
    - რომელიმე პირთან მიმართებაში წარმოქმნილი ეჭვის დროს შეიძლება შენარჩუნდეს შინაგანი და გარეგნული სიმშვიდე და არანაირად არ უნა მოხდეს საკუთარი ქცევის შეცვლა მასთან კონტაქტის დროს.
6. შინაგანი მდგომარეობის ანალიზი (ემოციების თვითმონიტორინგი):
    - თვითმკვლელის სა-ს ობიექტზე ყოფნის ეჭვის გაჩენის დროს სუს-ის თანამშრომელში შინაგანი ემოციური ფონის ცვლილება შეიძლება შეფასდეს, როგორც ამ ფაქტის დამატებითი დასტური.
7. გარშემომყოფებზე დაკვირვება:
    - ობიექტზე მეორე თვითმკვლელის ან თანამზრახველის გამოვლენა - პრაქტიკა გვიჩვენებს სუიციდური ტერაქტების განხორციელების (მცდელობის) „წყვილობას“ და ასევე თანამზრახველის/თანამზრახველების არსებობას;
    - პოტენციური თვითმკლელის ქცევის ანალიზი ტერაქტზე შესაძლო უარის თქმის საგანზე (შიშის, არადამაჯერებლობის ნიშნები);
    - სა-ს ობიეტზე საეჭვო პირების აღმოჩენის დროს, პირველ რიგში, უნდა მოხდეს საეჭვო ქალების განიარაღება მომატებული საფრთხის ძალით, რომელიც მომდინარეობს ქალი-თვითმკვლელებისგან (აქცენტი კეთდება საეჭვო ქალებზე).
8. საექსპერტო ღონისძიებების მიღება:

- სამართალდამცავი ორგანოების და/ან სხვა სპეციალიზირებული სტრუქტურების თანამშრომელთა საგანგები რეაგირებისა და გამოძახების ორგანიზება;
- იმასთან დაკავშირებით, რომ თვითმკვლელს მისი თვიმთკვლელობისთვის მოსამზადებლად სჭირდება რაღაც დრო (ვთქვათ 30 წამი) სუს-ის თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა მიიღოს საგანგებო მოქმედებები.
- შეძლებისდაგვარად, ობიექტზე ადამიანების წვდომის დაუყოვნებლივი შეწყვეტა.

ქცევის რეკომენდაციები და მოცემული პრინციპები ობიექტზე თვითმკვლელის აღმოჩენისას შეადგენს სუს-ის თანამშრომლის ქცევის ზოგად მოდელს. ეს მოდელი შეიძლება შეივსოს და სახეცვლილება განიცადოს სუიციდური ტერორისტის პროფილური მახასიათებლების ცვლილების დროს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოცემულ მოდელში არაა ქცევაში მთავარი და მეორეხარისხოვანი პრინციპები. ეს პრინციპები განიხილება,როგორც თვითმკვლელ-ტერორისტთან უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების პოტენციური ზემოქმედების პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომის მცდელობა.

მთავარ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს მოცემულ ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის პრინციპებს, წარმოადგენს თვითმკვლელი-ტერორისტის პროფილის თავისებურებების ცოდნა და ასევე ასეთი სახის პოტენციურად საშიშ პირებთან ურთიერთქმედების შინაგანი მზადყოფნის ფორმირება.

ქცევის წარმოდგენილი პრინციპები შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისებურებების საფუძველზე პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის ტექნოლოგიის სტრუქტურული შემადგენელი. თვითმკვლელის გამოვლენა ხდება გარეგანი ნიშნების ექსპრეს-ანალიზის ბაზაზე და არა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტექნოლოგიების გამოყენების გზით სტანდარტული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. სა-ს ობიექტზე პოტენციური თვითმკვლელის აღმოჩენის დრო აუციელებლია აქცენტი უნდა გაკეთდეს სუს-ის პროფესიულ ქცევაზე მოცემული საგანგებო სიტუაციისთვის, როგორც შესაძლო გადამწყვეტ ფაქტორზე სუიციდური ტერაქტის თავიდან ასაცილებლად. შეიძლება ითქვას, რომ

მოცემულ შემთხვევაში სუს-ის თანამშრომლის პროფესიული ქცევა წარმოადგენს ერთადერთ შესაძლებლობას ტერაქტის თავიდან ასაცილებლად. რამდენადაც დრო გადაწყვეტილების მიღებასა და საგანგებო ზომების გამოყენებაზე შეზღუდულია, ამ სიტუაციაში გამოვლენის პროცესი მომენტალურად უნდა გადავიდეს ტერაქტის თავიდან აცილების პროცესში.

ზ/ა გამომდინარე, სუს-ის თანამშრომლების მიერ თვითმკვლელის გამოვლენის



ტექნოლოგიის ფორმულა შემდეგნაირი იქნება:

ამდენად, სუიციდური ტერორისტების გამოვლენის თავისებურებები, პირველ რიგში, უკავშირდება მათი პროფილის დახასიათებასა და საფრთხის მაღალ ხარისხს. შესაძლო ქცევისა და ემოციური მდგომარეობის პროგნოზის თვალსაზრისით თვითმკვლელი ტერორისტის პროფილი უნდა განვიხილოთ ისეთი ფაქტორების საფუძველზე, როგორიცაა ფორმალურ-ბიოგრაფიული მახასიათებლები, მოტივაციის და მომავალი თვითმკვლელის ტერორიზმში ჩართვის ხერხების, მომზადების მეთოდებისა და ხარისხის თავისებურებები. მოცემული პროფილის გამოვლენის დროს ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაში სხვა საეჭვო ნიშნების გათვალისწინებაც, რომლებიც მიუთითებენ სუიციდური ტერაქტისადმი შესაძლო მომზადებას.

მთლიანობაში შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თვითმკვლელის პროფილი გამოირჩევა ქცევისა და ემოციური მდგომარეობების გარკვეული ფორმების მნიშვნელოვანი გამოხატულებით ტერაქტის მომზადებისა და განხორციელების დროს, რის შედეგადაც მას გააჩნია გამოვლენის მაღალი დონე. სუიციდური ტერორისტის პროფილის საშიშროებასთან და სახასიათო თავისებურებებთან დაკავშირებით მისი გამოვლენის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ნიშნების გამოვლენის მოქმედებები, საფრთხის დადასტურების შემთხვევაში,

მომენტალურად უნდა გადავიდეს ტერაქტის (თავის აფეთქების) თავიდან აცილების მოქმედებებში. ამას ხელს უწყობს სუს-ის თანამშრომლების მზადყოფნა და ქცევის ჩამოყალიბებული პრინციპების რეალიზაცია სავარაუდო თვითმკვლელთან მიმართებაში, რომელიც მიზნად ისახავს ტერაქტის თავიდან აცილებას.

II თავის დასკვნითი ნაწილი

მეორე თავში გადმოცემული მასალების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ სუს-ის თანამშრომლების წარმოდგენების დონე პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ, დადებითად აისახება მათი პროფესიული საქმიანობის ეფექტურობაზე, დამტკიცებულია.
2. პსპ-ების გამოვლენის თაობაზე სუს-ის საქმიანობაში პრიორიტეტების რეალიზაცია, რაც უკავშირდება უჩა-ს სხვადასხვა სახის საშიშროების განსხვავებულ ხარისხს, შეიძლება ეფუძნებოდეს პსპ-ის სხვადასხვა პროფილის არსებულ კავშირს უჩა-ს საფრთხის სხვადასხვა სახესთან, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეული სახის უჩა ხორციელდება პსპ-ების გარკვეული პროფილების მიერ. ამასთან დაკავშირებით, პსპ-ების პროფილის მთავარი ნიშნების გამოვლენა, რომლებიც წარმოადგენენ ყველაზე საშიში უჩა-ს შესაძლო შემსრულებლებს, წარმოადგენს საფუძველს სუს-ის საქმიანობაში პრიორიტეტების დასალაგებლად საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დროს.
3. ადამიანში მართლსაწინააღმდეგო განზრახვის არსებობა კანონზომიერად იწვევს ემოციური ფონის ცვლილებას და ქცევის გარკვეული ფორმების წარმოქმნას, რომელთა გამოყენებაც შეიძლება პსპ-ების პროფილების ინდიკატორების სახით. მართლსაწინააღმდეგო განზრახვის რეალიზაციის დროს ხდება ქცევისა და ემოციური მდგომარეობების მოცემული ფორმების

კანონზომიერი სიტუაციური დინამიკა პსპ-ის პროფილის თავისებურებებისა და სუს-ის თანამშრომლის მოქმედებების მიხედვით.

4. პსპ-ების გამოვლენის დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს პროფილების გამოვლენადობის ხარისხი, რომელიც იმ ფაქტორების სპეციფიკური შერწყმის ხარჯზე, რომლებიც განსაზღვრავენ არავერბალური აქტიურობის კანონზომიერებებსა და შესაბამისად, ინდიკატორთა სისტემას, განსხვავებულ სხვადასხვა პროფილში. თავისებურებებისა და შემოწმების პროცედურების სპეციფიკის ძალით გამოვლენადს წარმოადგენს პროფილები „არასუიციდური ტერორისტი“, „ყალბი ტერორისტი“, „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“ და „სუიციდური ტერორისტი“, ხოლო პროფილი „გულუბრყვილო ტერორისტი“, წარმოადგენს რთულად გამოვლენადს.
5. პსპ-ების გამოსავლენად დიდი მნიშვნელობა გააჩნია ინდიკატორთა მნიშვნელობასა და ინფორმატიულობას. სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების სხვადასხვა პროფილის გამოვლენის დროს მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ინდიკატორის მოცემული თვისებები, პრიორიტეტი ენიჭება რა მათ მნიშვნელობას და ასევე ადეკვატური წარმოდგენების ქონას პსპ-ის პროფილის ინდიკატორთა სისტემის და მათი ინფორმატიულობის შესახებ.
6. სუიციდური ტერორისტების გამოვლენის თავისებურებები, პირველ რიგში, უკავშირდება მათი პროფილის სპეციფიკას და საშიშროების მაღალ ხარისხს, რაც განპირობებულია თავის აფეთქების შესაძლებლობით აღმოჩენის პროცესში და შედეგად. მოცემული პროფილის გამოვლენის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ნიშნების გამოვლენის მოქმედებები, საფრთხის დამტკიცების შემთხვევაში, მომენტალურად უნდა გადავიდეს ტერაქტის (თავის აფეთქების) თავიდან აცილების მოქმედებებში. ამას ხელს უწყობს სუს-ის თანამშრომლების მზაობა და მოცემულ პარაგრაფში ჩამოყალიბებული პრინციპების რეალიზაცია.

თავი 3. საავიაციო უსაფრთხოების(უშიშროების) სამსახურის თანამშრომლების მიერ კომპლექსური მეთოდების საფუძველზე პოტენციურად საშიში პირების იდენტიფიცირების ეფექტურობის ამაღლება

3.1. საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების იდენტიფიცირების კომპლექსური ტექნოლოგია

ზ/ა კვლევის შედეგები ადასტურებს პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის ტექნოლოგიის შემუშავების აუცილებლობას საავიაციო უშიშროების სამსახურის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ჩარჩოებში. მოცემული ტექნოლოგია უნდა ითვალისწინებდეს პსპ-ების სხვადასხვა პროფილის ნიშნების კომპლექსს, თავისებურებებს და ეყრდნობოდეს მგზავრებისა და სტუმრების ქცევის კომპლექსურ ანალიზს.

ზოგადად პსპ-ების გამოვლენის ლოგიკური სქემა მგზავრებისა და სტუმრების ქცევის ანალიზის საფუძველზე, უჩა-ს საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით (ნახ.7).



ნახ.7. პსპ-ების გამოვლენის ზოგადი ლოგიკური სქემა

კვლევის მიზნისა და საგნის თვალსაზრისით პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის ტექნოლოგია შეიძლება შეფასდეს, როგორც პსპ-ების სხვადასხვა ტიპის

თავისებურების გათვალისწინების შემცველი ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა, რაც შესაძლებელს ხდის უჩა-თან სამოქალაქო ავიაციის ობიექტის მგზავრებისა და სტუმრების შესაძლო კავშირის ინდეტიფიკაციას. შესაბამისად, ტექნოლოგია მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს:

1. ნიშნების გამოვლენის ხერხები;
2. ნიშნების ანალიზის ხერხები.

ამასთან, ნიშნების, როგორც გამოვლენის, ასევე ანალიზის ხერხები და საშუალებები უნდა ეფუძნებოდეს პსპ-ების პროფილების მახასიათებლებს, რომლებიც ასახავენ პსპ-ების თავისებურებების სისტემას, ითვალისწინებდეს შემოწმების პროცედურების ტექნოლოგიურ სპეციფიკას და სუს-ის თანამშრომლების პროფესიულ საქმიანობას და ასევე რეალიზებული იქნეს ურთიერთდაკავშირებულად.

პსპ-ების ნიშნების გამოვლენის მეთოდები უნდა იყოს სუს-ის ტექნოლოგიური პროცესების ადეკვატური და მთლიანად უზრუნველყოფდეს ნიშნის გამოვლენას. აქედან გამომდინარე შეიძლება ჩაითვალოს, რომ პსპ-ების ნიშნების გამოვლენა სუს-ის თანამშრომლების მიერ მიზანშეწონილია განხორციელდეს დაკვირვების, საუბრისა და შინაგანი მდგომარეობის თვითმონიტორინგის მეშვეობით.

საგნის შესახებ ცნობების მიღების სხვადასხვა ხერხს შორის დაკვირვება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მარტივ და მისაწვდომ მეთოდს, რომელიც საშუალებას იძლევა შევაღწიოთ მოვლენის არსში მისი გარე გამოვლინებების ინტერპრეტაციის გზით. პსპ-ების ნიშნების გამოვლენის დროს, დაკვირვება წარმოადგენს ძირითად მეთოდს, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ აუცილებელი პირველადი ინფორმაცია. მოცემულ შემთხვევაში დაკვირვების საგანს წარმოადგენს ყველა გარე გამოვლინება, რომელსაც აქვს უშუალო კავშირის შინაგან ემოციურ პროცესებთან ანუ ხილული ინფორმაცია ინტერესის ქვეშ მყოფ სუბიექტზე - ქცევა, მდგომარეობა, მეტყველება, მანერები, გარეგნობა(სახე), სხეულის აღნაგობა, სამოსი, აქსესუარები და ა.შ.

დაკვირვების პროცესისთვის მნიშვნელოვანია ყურადღების ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ყურადღების კონცენტრაცია, ყურადღების მოცულობა,

ყურადღების გადატანა, ყურადღების გადართვა, ყურადღების განაწილება და ყურადღების სიმტკიცე, რომელიც ექვემდებარება ფორმირებასა და განვითარებას.

გარკვეულ ობიექტზე დაკვირვებისას ძალიან მნიშვნელოვანია აღქმის ისეთი თვისება, როგორიცაა არჩევითობა - ცნობიერებაში მხოლოდ მნიშვნელოვანი ზეგავლენების გამოყოფა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადამიანის მიერ ადამიანის აღქმის დროს ირთვება ემოციური კომპონენტი, რომელიც განაპირობებს ისეთი მექანიზმების მოქმედებას, როგორიცაა „გაიგივება“, „სტერეოტიპიზაცია“, „ჰალო-ეფექტი“, „შემწყნარებლობის ეფექტი“ და ა.შ.

გარკვეული მოთხოვნების წაყენება ხდება დამკვირვებლის(პროფაილერის) მიმართ, ის უნდა იმყოფებოდეს ოპტიმალურ ემოციურ მდგომარეობაში, ცდილობდეს ყურადღების გადატანას სხვადასხვაგვარ დაბრკოლებაზე (ხმაური, უცხო საუბრები, გარშემომყოფთა განწყობა).

დაკვირვების შედეგიანობის ასამაღლებლად აუცილებელია სწორად იქნეს შერჩეული მისი სახე გარემოებების, გადასაწყვეტი ამოცანების მიხედვით და ა.შ.

დაკვირვება შეიძლება დაიყოს (ინტერესის ქვეშ მყოფ პირებთან კონტაქტის არსებობის მიხედვით) „ჩართულად“ და „დისტანტურად“. ჩართული - პროფაილერი იმყოფება ჯგუფის შემადგენლობაში, რომელშიც შეიძლება იყოს ეჭვმიტანილი; დისტანტური - პროფაილერი იმყოფება ინტერესის ობიექტების ჯგუფის გარეთ. დაკვირვება შეიძლება იყოს აშკარად დემონსტრაციული ან/და არა აშკარა, შენიღბული.

სიტუაციის მიხედვით და უსაფრთხოების სისტემების მიმართ დამნაშავეთა სიფრთხილის გათვალისწინებით, დაკვრივება, შეძლებისდაგვარად ფარულად უნდა ხორციელდებოდეს. ასე პოტენციურმა ტერორისტმა (განსაკუთრებით სუიციდურმა ტერორისტმა) დაკვირვების შემჩნევის შემდეგ შეიძლება სცადოს გარშემომყოფებისთვის საშიში, გადამწყვეტი მოქმედებები.

დაკვირვების დროს ყველა გარეგნული ნიშანი უნდა იქნეს განხილული კომპლექსურად და ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყველა დეტალი გარეგნობასა და ქცევაში შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი პსპ-ების გამოვლენის თვალსაზრისით. და რაც უფრო ზუსტად იქნება დიაგნოსტირებული გარე

ინფორმაცია, მით უფრო მართებული შეიძლება აღმოჩნდეს გაკეთებული პროგნოზი გარკვეული მგზავრის (სტუმრის) პოტენციურ საფრთხესთან დაკავშირებით.

დაკვირვების აღნიშნული თავისებურებები და მახასიათებლები უნდა იყოს გათვალისწინებული სუს-ის ტექნოლოგიურ პროცესებში პსპ-ების ნიშნების გამოსავლენად დაკვირვების მეთოდის დანერგვის დროს.

დაკვირვების მეშვეობით პსპ-ების ნიშნების გამოვლენის დროს შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები:

- მგზავრის (სტუმრის) გარეგნული იერის გაანალიზება;
- მიღებული „პირველი შთაბეჭდილების“ შეფასება;
- ქცევაში გადახრების გამოვლენა;
- მგზავრის (სტუმრის) ემოციური მდგომარეობის გაანალიზება;
- გარეგნული იერის (სამოსი, ფეხსაცმელი, ბარგი, ნივთები, ვარცხნილობა და ა.შ.) შეჯერება ქცევასთან და ემოციურ მდგომარეობასთან;
- მგზავრის (სტუმრის) გარეგნობისა და ქცევის გაანალიზება ალკოჰოლური, ნარკოტიკული თრობის არსებობის, ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღების საგანზე.

პსპ-ების გამოვლენის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სა-ს ობიექტების მგზავრებთან (სტუმრებთან) სუს-ის თანამშრომლების ურთიერთობის შესაძლებლობას. ასეთი ურთიერთობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ადამიანის პოტენციური საშიშროების ინდეტიფიკაციის თვალსაზრისით მიღებული ვერბალური და არავერბალური ინფორმაცია. ამასთან, პსპ-ების გამოსავლენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამოკითხვისა და საუბრის. ურთიერთობის პროცესში აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია ტყუილის გამოვლენისა და მანიპულაციის მეთოდების გამოყენება. ამ მეთოდიკების პრაქტიკული გამოყენების კრიტერიუმი იქნება სუს-ის თანამშრომლისადმი პრაქტიკული დახმარება პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის დროს.

პსპ-ების გამოსავლენად გამოკითხვისა და საუბრის მეთოდის გამოყენების დროს პირობითად შეიძლება გამოიყოს რიგი სტრუქტურული კომპონენტი:

1. ადამიანის შესახებ წინასწარი ინფორმაციის მიღება (დაკვირვების დახმარებით).
2. შესვლა ვერბალურ კონტაქტში.
3. პირველადი კონტაქტის დამყარება.
4. ურთიერთობისა და გავლენის ტექნიკის გამოყენება.

ეს დაყოფა ატარებს წმინდა პირობით ხასიათს, რამდენადაც მოცემული კომპონენტები წარმოადგენენ ერთიან ურთიერთდაკავშირებულ პროცესს. პსპ-ების ნიშნების გამოვლენის თვალსაზრისით უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგზავრებთან (სტუმრებთან) ურთიერთობის დროს მათი პოტენციური საშიშროების გამოვლენის საგანზე აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანებში შეიძლება წარმოიქმნას დისკომფორტი სუს-თან კონტაქტის დროს, რაც გამოიხატება დაძაბულობის, არადამაჯერებლობის, ღელვის მდგომარეობაში.

პსპ-ების გამოსავლენად სუს-ის ტექნოლოგიურ პროცესებში შეიძლება რამოდენიმე სახის გამოკითხვის გამოყენება.

გამოკითხვა გამოვლენილ საეჭვო მომენტზე ქცევაში (გარეგნობაში) და სხვა საეჭვო ნიშნებზე, რომელიც დაუფიქსირდა მგზავრს (სტუმარს). მოცემული გამოკითხვა გამოიყენება პროფაილინგის ტექნოლოგიაში პსპ-ების გამოსავლენად, დაფიქსირებული საეჭვო ნიშნების დროს ხდება გამოკითხვა ნიშნის ნეგატიური მნიშვნელობის დასადასტურებლად ან უარსაყოფად. მოცემულ კითხვაზე პასუხის თანხმლები სახასაიათო გადახრები ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაში (შფოთვა, ყალბი ქცევა) შეიძლება შეფასდეს, როგორც ნიშნის ნეგატიური მნიშვნელობის დადასტურება.

სუს-ის ტექნოლოგიური პროცესების ჩარჩოებში, მაგალითად, მგზავრის (სტუმრის) ბარგის (ნივთების) ჰაიმანზე შემოწმების დროს საეჭვო საგნის (ნივთიერების) აღმოჩენისას, უნდა მოხდეს დაინტერესება მოცემული საგნის (ნივთიერების) დანიშნულებითა და გადაზიდვის მიზეზით. პსპ-ების ნიშნების გამოჩენა გამოკითხვის დროს ასევე წარმოადგენს მინიშნებას ამ საგნების გადატანის შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ხასიათზე.

პროფილის „არაინფორმირებული გულუბრყვილო ტერორისტები“ გამოსავლენად, პროფაილინგის ტექნოლოგიის შესაბამისად უნდა გამოვიყენოთ ე.წ. გამოკითხვა ბარგის თაობაზე, რომელიც ფუძემდებლური პრინციპების დაცვის დროს, საშუალებას იძლევა საკმაოდ მაღალი ალბათობით გამოვლინდეს პსპ-ების მოცემული კატეგორია. პსპ-ების დაფიქსირებული ნიშნები „ბარგის თაობაზე“ კითხვაზე პასუხის გაცემისას, მაგალითად, ტყუილის ნიშნების არსებობა ადამიანში ბარგის დამოუკიდებელი შეფუთვის თაობაზე დადებითი დასტურის დროს, მიუთითებს მოცემული პირის შესაძლო ჩართულობას უჩა-ს მომზადებაში (განხორციელებაში).

საუბრის მეთოდი ასევე გამოიყენება მგზავრში (სტუმარში) საეჭვო ნიშნების დაფიქსირების შემთხვევაში ან/და მგზავრებისა და სტუმრების შერჩევითი შემოწმების დროს. საუბარი, წარმოადგენს რა უფრო „რბილ“ და ფართო მეთოდს, ვიდრე გამოკითხვა, შეიძლება სიტუაციურად გამოიყენებოდეს აეროპორტის კომპლექსის ტერიტორიაზე მგზავრების (სტუმრების) ქცევასა და გარეგნულ იერზე დაკვირვების (ვიდეოდაკვირვების) დროს. საუბარი საშუალებას იძლევა საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში მოხდეს დაკვირვება მგზავრის (სტუმრის) რეაქციის დინამიკაზე სხვადასხვა კითხვაზე პასუხების გაცემისას და შესაბამისად, გამოვლინდეს პსპ-ების ნიშნები.

პსპ-ების ნიშნების გამოვლენის მეთოდებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სუს-ის თანამშრომლების ემოციური მდგომარეობის თვითმონიტორინგის მეთოდს. ურთიერთობისა და დაკვირვების პროცესს თან ახლავს ურთიერთობაში მყოფ პარნტიორზე ემოციური რეაგირების ჩართვა. ადამიანების მიერ ერთმანეთის ურთიერთაღქმა აუცილებლად გამოიხატება მათი ემოციური მდგომარეობის დინამიკაში და ხშირად სახასიათო ცვლილებებში მათ ქცევაში. ამიტომაც, სუს-ის თანამშრომლებში პსპ-ების კონტაქტების დროს რეფლექტორულად შეიძლება წარმოიქმნას ცვლილებები მათ ემოციურ ფონში.

სუს-ის თანამშრომელში მგზავრთან და სტუმართან კონტაქტის დროს მოცემული სახასიათო ემოციური მდგომარეობების წარმოქმნა წარმოადგენს პსპ-ების გამოვლენის პროცესში უკუკავშირის შიდა ფაქტორს. ქვემოთ წარმოდგენილია

პსპ-ების ნიშნებზე ზოგიერთი სახასიათო რეაქცია, რომლებიც შეიძლება რეფლექტორულად თან ახლდეს სუს-ის თანამშრომლის კონტაქტს პსპ-თან.

ასე, მაგალითად, აგრესია, როგორც წესი, პროვოცირებას უკეთებს ძალის საპასუხო გამოყენებას. შესაბამისად, აგრესიულად განწყობილ ადამიანებთან კონტაქტის დროს, როგორც საპასუხო რეაქცია შეიძლება სახეზე იყოს გაბრაზების, გაღიზიანების, უკმაყოფილების შეგრძნება.

სტრესი ორგანიზმში იწვევს გარკვეულ ცვლილებებს, რომლებიც განაპირობებენ ადამიანისთვის დამახასიათებელ მდგომარეობასაც. ადამიანები ძლიერი სტრესის მდგომარეობაში არაცნობიერად სიგნალს აძლევენ გარე სამყაროს მათთან მიმდინარე ცვლილებებზე და როგორც წესი, ამ მომენტში გამოიყურებიან არამიმზიდველად გარშემომყოფებისთვის. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოულოდნელად წარმოქმნილი მოწყვეტის, გადაღლილობის გრძნობა წარმოადგენს სტრესის მდგომარეობაში მყოფ პირთან კონტაქტის ნიშნებს.

მოტყუების, ყალბი ქცევის შემთხვევაში, კონტაქტის დროს შეიძლება შეინიშნებოდეს ისეთი ემოციური რეაქციები, როგორიცაა უხერხულობის, დაძაბულობის, შინაგანი წინააღმდეგობის, სიფრთხილის გრძნობები, რამდენადაც სიცრუე (სიცრუის წყაროს მხრიდან) წარმოადგენს არაბუნებრივ მდგომარეობას ადამიანისთვის. მატყუარა ადამიანმა პარტნიორში შეიძლება გამოიწვიოს გაღიზიანების რეაქციები, მიუღებლობა და ა.შ.

გაწეული მანიპულაციის მცდელობა შეიძლება იწვევდეს შემდეგი მდგომარეობების შეგრძნებებს სუს-ის თანამშრომელში. მათ განეკუთვნება კონტაქტის დროს უხერხულობის, დაძაბულობის, შინაგანი წინააღმდეგობის (დამორჩილების სურვილის არქონა) ან ბრალეულობის სპონტანური (თვითნებური) შეგრძნება, საკუთარი ქმედბების სისწორეში ეჭვის შეტანის გრძნობა, ემოციების დისბალანსის შეგრძნება (ემოციური მდგომარეობის შინაგანი წინააღმდეგობა), ემოციების არაადექვატურობა და ა.შ.

სუიციდური ტერაქტის წინ ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე რეაქცია ასევე არის სახასიათო თავისებურებების შემცველი. ადამიანის ემოციური ფონი, რომელიც სულ რაღაც რამოდენიმე წუთში უნდა გამოეთხოვოს სიცოცხელს, ძლიერ იქნება

დეფორმირებული. რა მომზადებაც არ უნდა ჰქონდეს ამ მოქმედებისადმი ტერორისტ-თვითმკვლელს, მოცემული მდგომარეობა წარმოადგენს ცოცხალი არსების ბუნების საპირისპიროს. ამიტომაც, სუიციდური ტერაქტის განმახორციელებელ პირთან ნებისმიერი კონტაქტის დროს, შეიძლება წარმოიქმნას ბუნდოვანი შფოთვის, დარდის, გამოუვალობის შეგრძნება ან მოწყვეტის ანტაგონისტური (ნეგატიური) რეაქციები.

განხილული მეთოდების გამოყენების მეშვეობით გამოვლენილი პსპ-ების ნიშნები აუცილებელია გაანალიზებულ იქნეს მგზავრის (სტუმრის) სა-ს ობიექტზე უჩა-ს მომზადების (განხორციელების) საფრთხესთან კავშირის დადგენის მიზნით. ნიშნების ანალიზის ხერხები მოიცავს:

1. პრიორიტეტული ნიშნების განსაზღვრას პსპ-ების ტიპების საფრთხის ხარისხის შესაბამისად.
2. გამოვლენილი ნიშნის შეჯერება პსპ-ების გამოვლენის პროცესის მნიშვნელოვან სხვა ნიშნებთან, რომელიც გამოვლინდა უსაფრთხოების სისტემაში.
3. ინდიკატორთა ერთმანეთთან შეჯერება.
4. კავშირების დადგენა ნიშნების დინამიკასა და შემოწმების პროცედურის სიტუაციებს შორის.
5. ნიშნების პარამეტრების (სიმყარის, გამოხატულების, შეხვედრის სიხშირის) შეფასება.

ინდიკატორთა ანალიზის საწყის პირობას წარმოადგენს პრიორიტეტული ინდიკატორების განსაზღვრა პსპ-ების სხვადასხვა პროფილის საფრთხის ხარისხის შესაბამისად სუს-ის ტექნოლოგიური პროცესების ჩარჩოებში. მოცემული განსაზღვრა ხორციელდება უჩა-ს, როგორც მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებისა და საპროფილო მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე. მოცემული ნიშნების რანჟირება უჩა-ს საფრთხესთან მათი შეჯერების მიხედვით, სა-ს ობიექტისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენების (სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხე, მატერიალური ზიანი) ხარისხის გათვალისწინებით წარმოდგენილია მე-2 თავში. რანჟირების შედეგების შესაბამისად პრიორიტეტულ ნიშნებს განეკუთვნება სუიციდური ტერორისტის ქცევისა და ემოციური მდგომარეობის თავისებურებების გარე გამოვლინებები, როგორიცაა პსპ-ების ტიპი, რომელიც წარმოადგენს

განსაკუთრებულ საფრთხეს სა-ს ობიექტისთვის (პროფილი „სუიციდური ტერორისტი“). პრიორიტეტულ ნიშნებს ასევე განეკუთვნება ნიშნები, რომლებიც ახდენენ „ტერორისტის“ პროფილის იდენტიფიკაციას, რამდენადაც მოცემული პროფილის პირები პოტენციურად მზად არიან ძალისმიერი მოქმედებებისკენ იარაღის გამოყენებით.

შესაბამისად, სუს-ის ტექნოლოგიური პროცესების ჩარჩოებში კონტროლისა და შემოწმების ღონისძიებების ჩატარებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს პსპ-ების მოცემული ნიშნების გარე გამოვლინებებზე, რომლებიც შეესაბამებიან უჩა-ს განსახილველ საფრთხეებს. ამასთან, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული პსპ-ების სხვა ნიშნების გამოვლენის მნიშვნელობაც, რაც განპირობებულია საფრთხეების დონით, ორიენტირება უნდა მოხდეს პრიორიტეტების დალაგებისას სუს-ის ყველა მონაკვეთზე (პოსტზე) შემოწმების, კონტროლისა და დაკვირვების დროს. მაგალითად, აეროპორტის კომპლექსში შესვლისას - სუიციდური ტერაქტის საფრთხის მთავარი პრიორიტეტი და შესაბამისად, სუიციდური ტერორისტების ნიშნების გამოვლენა.

მნიშვნელოვანია პსპ-ების გამოვლენილი ნიშნები შევაჯეროთ სხვა საეჭვო ნიშნებთან, რაც ასევე მიუთითებს გარკვეული პირის პოტენციურ კავშირს უჩა-ს მომზადებასთან (განხორციელებასთან). მოცემული საეჭვო ნიშნები ზემოთ აღიწერა ნაშრომში უჩა-ს განხორციელების მცდელობის ანალიზის დროს, ხოლო პსპ-ების ნიშნების შესაძლო კავშირი გარკვეულ საეჭვო ნიშნებთან უსაფრთხოების სისტემაში წარმოდგენილია ნაშრომის მე-2 თავში. ასეთი ნიშნები შეიძლება კავშირში იყოს გარეგნობასთან, ბარგთან, ნივთებთან, რომელიც თან აქვს მგზავრს ანუ აუცილებელია გარეგნობის, ქცევისა და ემოციური მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი. ასე, მაგალითად, პსპ-ების გამოვლენილი ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ სა-ს ობიექტზე სუციდური ტერაქტის მომზადებასთან შესაძლო კავშირს, შეიძლება შეერწყას სამოსში ისეთ თავისებურებებს, როგორიცაა თავისუფალი სტილის მუქი სამოსი, შესაძლოა, არასეზონურიც და ნივთების (ბარგის) უქონლობა. ასეთი ნიშნების შერწყმა მიუთითებს იმის მაღალ ალბათობას, რომ მოცემული პირი წარმოადგენს საფრთხის შემცველ.

პსპ-ების ნიშნის გამოხატულების მაღალი ხარისხი უსაფრთხოების სისტემაში სხვა საეჭვო ნიშნების არსებობის დროს ადასტურებს მოცემული მგზავრის (სტუმრის) საშიშროებას. ასე, მაგალითად, ისეთი საეჭვო ნიშანი, როგორიცაა „დოკუმენტების შემოწმების პუნქტის სწრაფად გავლის მცდელობა“ და ამასთან, პსპ-ების დაფიქსირებული ნიშნები (შფოთვა, აგრესია, სტრესი და ყალბი ქცევა) კომპლექსში მიუთითებს მგზავრის (სტუმრის) პოტენციურ საშიშროებას. მოცემული ანალიზი და სხვა საეჭვო ნიშნების განხილვა წარმოადგენს საფუძველს მგზავრის (სტუმრის) პსპ-ის პროფილისადმი კუთვნილებას.

გარდა იმისა, რომ რიგი ნიშნის არსებობა თავისთავად ზრდის უჩა-თან კონკრეტული პირის კავშირის ალბათობას, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ მათ შერწყმას. პსპ-ების სხვადასხვა ტიპში ნიშნების შესაძლო შერწყმის ვარიანტები წარმოდგენილია მათი პროფილების მახასიათებლებში, რომელიც განხილულია მოცემული ნაშრომის პარაგრაფში 1.3. დაკვირვებადი ნიშნების ნიშნების შერწყმის ვარიანტთან შეთავსების შესაბამისად გარკვეულ პროფილში ხდება ვარაუდის წარმოყენება იმის შესახებ, რომ მგზავრი (სტუმარი) წარმოადგენს მოცემული პროფილის პსპ-ს და ხორციელდება ამ პროფილის შესაბამისი დამატებითი ნიშნების ძიება.

სადისერტაციო კვლევის პირველ თავში განხილული უჩა-თან კავშირის მქონე პირების ქცევისა და ემოციური მდგომარეობების დეტერმინაციის კანონზომიერებები განსაზღვრავენ არა მხოლოდ ნიშნების კომპლექსს, არამედ სხვადასხვა სიტუაციაში მათი დინამიკის კანონზომიერებებასაც. ნიშნების დინამიკასა და შემოწმების პროცედურის სიტუაციებს შორის კავშირის დადგენა ხორციელდება პროფილების მახასიათებლების საფუძველზე და მოიცავს გამოვლენილი ნიშნის პარამეტრების ცვლილების ანალიზს, გარკვეული დამატებითი ნიშნების და მათი შერწყმის გარკვეული ვარიანტების წარმოქმნას შემოწმების განსხვავებულ სიტუაციაში.

ნიშნების მატება, რაიმე მდგომარეობის ან/და ქცევის სახასიათო ცვლილება საკონტროლო ღონისძიებების დროს ან/და სუს-თან კონტაქტის დროს წარმოადგენს პსპ-ის დადებით სახასიათო ნიშანს მისი პოტენციური საფრთხის კუთხით. პსპ-ის ნიშნის გამოხატული ცვლილება მგზავრის (სტუმრის) მიერ კონტროლისა და შემოწმების ღონისძიებების გავლისას, მაგალითად მოდუნების რეაქციის დადგომა

და ა.შ. ასევე წარმოადგენს პსპ-ის დინამიკის დადებით მაჩვენებელს. შესაბამისად, პსპ-ის ნიშნის უარყოფითი დახასიათება გამოიხატება მისი დინამიკის არარსებობაში ან/და ნიშნის გამოხატულების შემცირებაში.

უჩა-თან კავშირის გამოსავლენად ინტერესს წარმოადგენს არა მხოლოდ ნიშნების დინამიკა, არამედ მათი სიმტკიცე და გამოხატულებაც. ამიტომაც, ანალიზი მოიცავს მოცემული პარამეტრების შეფასებას, რომელიც ასევე ხორციელდება პსპ-ების პროფილების მახასიათებლების საფუძველზე.

სიმტკიცე შეიძლება აღიწეროს, როგორც ნიშნის მუდმივობა სიტუაციის ცვლილებისა და დროის მიუხედავად. თუ ნიშანი ფიქსირდება დაკვირვების დროს, მისი მახასიათებლები არ იცვლება მგზავრის (სტუმრის) აეროპორტის ტერიტორიაზე ყოფნის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე და არ ექვემდებარება კონტროლისა და შემოწმების ფაქტორის გავლენას, შეიძლება დადგინდეს უარყოფითი მნიშვნელობა გარკვეული პირის პოტენციური საფრთხის თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, ფრენის შიში, რომელიც ბევრ მგზავრს ახასიათებს, სტაბილური გამოხატულების მქონე იქნება სა-ს ობიექტზე ყოფნის მანძილზე და შეიძლება საკმაოდ მარტივად იქნეს ინდეტიფიცირებული მგზავრთან საუბრის დროს.

პსპ-ის ნიშნის გამოხატულება განიხილება, როგორც ნიშნის სიაშკარავე, რომელიც შეესაბამება პსპ-ის რომელიმე პროფილს. პროფილის მახასიათებლების სრული მოცულობით (მათი გამოხატულება გარე გამოვლინებებით) არსებობისას და მათი ერთმანეთთან ლოგიკურად შერწყმისას შეიძლება ვისაუბროთ პსპ-ის ნიშნის დადებით მახასიათებელზე. ასე, მაგალითად, თუ პსპ-ის პროფილში „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“ სუს-ის თანამშრომლებთან კონტაქტის დროს, სიცრუისა და ტყუილის ნიშნების გამოვლენისას, ასევე შეინიშნება სტრესის მკვეთრად გამოხატული გარეგნული ნიშნები, შფოთვა და სხვა შეიძლება ვისაუბროთ პსპ-ის ნიშნის დადებით გამოხატულებაზე.

დიდი მნიშვნელობა გააჩნია ნიშნის შეფასებას პსპ-ის პროფილებში მისი გამოვლენის სიხშირის თვალსაზრისით. შეფასების დროს აუცილებელია გამოვიყენოთ მე-2 თავში წარმოდგენილი კვლევის შედეგები. ასე, მაგალითად, პსპ-ის ისეთი ნიშანი, როგორიცაა სტრესული მდგომარეობა წარმოადგენს სახასიათოს,

როგორც პსპ-ის მრავალი პროფილისთვის, ასევე სამოქალაქო ავიაციის ობიექტის ბევრი მგზავრისთვის (სტუმრისთვის), რომელიც არ განეკუთვნება პსპ-ს. ამიტომაც, ტექნოლოგიური პროცესების ჩარჩოებში აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ეს არის პსპ-ის ყველაზე ხშირად გამოვლენადი ნიშანი და შესაბამისად, ყველაზე ინფორმატიულიც, მაგრამ ის, ამავდროულად, არ წარმოადგენს „საფრთხის“ მაჩვენებელს და შესაბამისად, არაა ყველაზე მნიშვნელოვანი. მოცემული და სტრესი, აგრესიისა და შფოთვის ნიშნების გამოვლენა მათი ფიქსაციის დროს ექვემდებარება შემოწმებას პროფილის მახასიათებლების მიხედვით ან/და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა ხერხების მეშვეობით უჩა-თან მგზავრის (სტუმრის) კავშირის დასადგენად.

პსპ-ების ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის განხილული მეთოდები უნდა გამოვიყენოთ კომპლექსურად, როგორც სამოაქლაქო ავიაციის ობიექტის მგზავრებსა და სტუმრებს შორის პსპ-ების გამოვლენის მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემვსები ხერხები. სუს-ის თანამშრომლები დაკვირვების, გამოკითხვის, საუბრისა და შინაგანი მდგომარეობის თვითმონიტორინგის მეთოდების მეშვეობით აფიქსირებენ პსპ-ების სახასიათო ვერბალურ და არავერბალურ ნიშნებს მგზავრებსა და სტუმრებს შორის, აანალიზებენ მათ და ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, აყალიბებენ ვარაუდს პსპ-ის გაკრვეული პროფილისადმი კუთვნილების შესახებ. მოცემული ინფორმაცია ეხება სხვა საეჭვო ნიშნებსაც, რაც საშუალებას იძლევა დადასტურდეს პროფილი და განისაზღვროს უჩა-ს კონკრეტული საფრთხე.

მაგალითად, მგზავრში (სტუმარში) სიცრუის, შფოთვითი ქცევის აღმოჩენილი ნიშნები და ისეთი გადახრები ქცევაში, როგორიცაა უცნაური, საკმაოდ ფრთხილი დამოკიდებულება ბარგთან (ნივთებთან) იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა, მოცემულ პირს გადააქვს აკრძალული საგნები და ნივთიერებები. ამ მგზავრის (სტუმრის) პროფილი განისაზღვრება, როგორც „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“. გამოვლენილი საეჭვო ნიშნების თაობაზე დაზუსტების კითხვების დასმისას შეიძლება განისაზღვროს მოცემული პირის პოტენციური საფრთხე. ამ მგზავრის (სტუმრის) დადასტურებული პროფილის დროს არსებობს შესაძლებლობა დადგინდეს მისი კონრეტული კავშირი უჩა-ს საფრთხესთან ან მოხდეს საფრთხის იდენტიფიკაცია. მოყვანილ მაგალითში ესაა

საჰაერო ხომალდის აფეთქების საფრთხე მგზავრის (სტუმრის) ბარგში (ნივთში) ჩადებული ასაფეთქებელი მოწყობილობის(ამ) მეშვეობით ან/და აკრძალული საგნების, მაგალითად, იარაღის გადატანა.

იმ შემთხვევაში, როცა სუს-ის თანამშრომელს არ გააჩნია შესაძლებლობა პსპ-ების გამოვლენილი ნიშანი შეაჯეროს სხვა საეჭვო ნიშნებთან, შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს გამოკითხვა (საუბარი) გამოვლენილი გადახრების თაობაზე. მაგალითად, მგზავრზე (სტუმარზე) მოსაცდელ დარბაზში დაკვირვებისას ყურადღებას იქცევს ადამიანი ქცევაში ძლიერი შფოთვის აშკარა ნიშნებით. ამასთან, უნდა გამოვლინდეს მისი ემოციური მდგომარეობის მიზეზი ურთიერთობის სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, მაგალითად, ესაა ვერბალური მიდგომა პარტნიორთან ურთიერთობის დროს[52]. აღნიშნული ხერხი (საუბარი+ურთიერთობის ტექნიკა) საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამ მგზავრის (სტუმრის) პროფილი.

ზოგიერთ სიტუაციაში, როცა მგზავრს (სტუმარს) არ გააჩნია აშკარა დამახასიათებელი საეჭვო ნიშნები ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაში, თვითმონიტორინგის მეთოდი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მისი ჭეშმარიტი საფრთხე. ამასთან, სუს-ის თანამშრომლისათვის რეკომენდირებულია შემდეგი სახის კითხვების დასმა საკუთარი თავისთვის:

a. რატომ არის ეს ადამიანი უსიამოვნო ჩემთვის?
b. რატომ იწვევს მასთან საუბარი დაღლილობისა და შინაგანი სიცარიელის გრძნობას?
c. საიდან გაჩნდა ეს შიშისა და პანიკის გრძნობა, როცა ყველაფერი ჩვეულებრივ მიდის?
d. რატომ მიძნელდება ესე ყურადღების კონცენტრაცია ამ ადამიანთან ურთიერთობის დროს?
e. და ა.შ.

განხილული მიდგომა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სუს-ის თანამშრომლების მიერ მგზავრის (სტუმრის) პოტენციური საფრთხის განსაზღვრის სქემის საფუძველი (ნახ.8).

[52] Olga Mironenko Enerstvedt. Aviation Security, Privacy, Data Protection and Other Human Rights: Technologies and Legal Principles. ISBN: 978-3-319-58139-2. 453pp. Springer International Publishing AG 2017

რამდენადაც ურთიერთქმედებისას ინფორმაციის 60% მიიღება არავერბალური არხებით (მზერა, მიმიკა, ჟესტები და ა.შ.) ადამიანის შინაგანი მდგომარეობის განსაზღვრის დროს განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს სწორედ გარე, არავერბალური ნიშნებზე.

რეაქციების გარე გამოვლინებები (მათი ძალა, გამოხატულება) დამოკიდებული იქნება ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, მაგალითად, ტემპერამენტზე, ეროვნულ თავისებურებებზე, რელიგიურ განსხვავებებზე და ა.შ.



ნახ.8. სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების გამოვლენის ზოგადი სქემა

გადახრებმა, ხასიათის აქცენტუაციებმა შეიძლება არსებითად სახე შეუცვალოს ემოციურ რეაქციებს სიტუაციაზე. როგორც წესი, არამდგრადი ადამიანები არ განიცდიან არანაირ ნეგატიურ ემოციებს მოტყუების დროს. ისეთი მგდომარეობები, როგორიცაა შიში, შფოთვა, სტრესი შეიძლება იყოს მსგავსი გარე გამოვლინების (მაგალითად, კანის ფერის ცვლილება) მქონე; შესაბამისად, მოცემული მდგომარეობების დიაგნოსტირება ხდება ნიშნების ერთობლიობით.

ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობა, ძლიერმოქმედი ფსიპოტროპული საშუალებების გამოყენება შეიძლება არსებითად ცვლიდეს ემოციური რეაგირების მიმდინარეობას. კერძოდ, ალკოჰოლის ზემოქმედება ამცირებს შიშის დონეს, ხოლო

ფსიქოტროპული პრეპარატები აქვეითებენ აქტიურობის დონეს - ადამიანი ხდება არააემოციური და მოდუნებული.

არსებობს გენდერული განსხვავებებიც ემოციების გარე გამოვლინებებში, ასე რომ ქალებში ემოციები უფრო გამოხატულია და შესაბამისად, უკეთ იკითხება. მაგალითად, აგრესიის გამოვლენისკენ უფრო მიდრეკილნი არიან მამაკაცები, შესაბამისად, უფრო დამახასიათებელია გარე გამოვლინებები.

ემოციური მდგომარეობის გამოვლენის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ დინამიკური ცვლილებები ანუ რაიმე რეაქციის წარმოქმნა გარკვეულ სიტუაციაზე, მაგალითად, უსაფრთხოების თანამშრომლის დამატებით, დაზუსტებით კითხვებზე. აქ, სახასიათოა რაიმე ცვლილებები თვალების ჩვეულებრივ რეაგირებაში, კერძოდ, გუგის წამიერი რეაქცია. მაგალითად, მგზავრის (სტუმრის) ბარგში (ნივთებში) საეჭვო საგნის აღმოჩენისას, სუს-ის თანამშრომელი შეიძლება დაინტერესდეს მისი გადაზიდვის მიზნებით. ადამიანში მოცემული კითხვის დასმისას გუგას მყისიერი გაფართოება მიუთითებს მომატებული ემოციური რეაქციის არსებობას მოცემულ თემასთან დაკავშირებით.

ზოგჯერ რთული ხდება მკაფიოდ განსაზღვრო, რა ხდება ადამიანთან მოცემულ მომენტში, კერძოდ, განიცდის ის ძლიერ სტრესს თუ შიში, რამდენადაც აღინიშნება მსგავსი გარე გამოვლინებები, რომელთა იდენტიფიკაციაც ძნელია. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ძლიერმა შიშმა (მაგალითად, მხილების შიში) შეიძლება გამოიწვიოს სტრესული რეაქციაც, მოტყუების დროს ადამიანი შეიძლება ძალიან ღელავდეს და ასევე განიცდიდეს შიშს. ამიტომაც, აქ მნიშვნელოვანია დავაფიქსიროთ არა ერთეული გარე გამოვლინებები, რომლებიც მიუთითებენ გარკვეულ ემოციურ მდგომარეობაზე (ქცევის ფორმაზე), არამედ ზოგადი ცვლილებები ემოციურ სტატუსში, რომელიც შესაძლოა იყოს უჩა-თან მგზავრის (სტუმრის) კავშირის დასტური.

აუცილებელია კომპლექსური მიდგომა პსპ-ების ნიშნების გარე გამოვლინებების განსაზღვრის მიმართ. არაა რეკომენდირებული ნაჩქარევი დასკვნების გაკეთება დაფიქსირებული ერთი გარე ნიშნის საფუძველზე, რაოდენ დამაჯერებელიც არ უნდა იყოს ის, მაგალითად, მოულოდნელი კანკალი ხელებში. ადამიანში გამოვლენილი ვერბალური (არავერბალური) სიგნალების განხილვის

დროს უნდა შეფასდეს ნიშნების ჯგუფი, რომლებიც შეიძლება მიუთითებდნენ ერთ მიმართულებაზე, მაგალითად, შიშის ან აგრესიის ემოციის არსებობა და ა.შ.

დაფიქსირებული ნიშნები ფასდება სიტუაციის კონტექსტში და სუს-ის ძირითადი ამოცანის - პსპ-ების გამოვლენის ჩარჩოებში. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მნიშვნელობა გააჩნია არა თავად გამოვლენილ გარე ნიშანს, არამედ მის შესაძლო პოტენციურად საშიშ მნიშვნელობას ანუ მის კავშირს უჩა-ს საფრთხესთან.

სუს-ის პროფესიული საქმიანობის ტექნოლოგიურ პროცესებში პსპ-ების ნიშნების კომპლექსურ ანალიზზე დაფუძნებული ტექნოლოგიის დანერგვის დროს ასევე უნდა გავითვალისწინოთ პსპ-ების ნიშნების გამოვლენის შესაძლებლობის თანაფარდობა ძირითად ღონისძიებებთან, რომლებშიც ჩართულები არიან სუს-ის თანამშრომლები. ასე, მაგალითად, თუ სუს-ის თანამშრომლის ძირითადი ფუნქცია არის დაკვირვება, აქცენტი უნდა გაკეთდეს პსპ-ების იმ ნიშნების აღმოჩენაზე, რომლებიც ახდენენ პსპ-ების პროფილის იდენტიფიკაციას, რომელიც გამოვლენილია გარე ნიშნების მიხედვით, მაგალითად, ტერორისტ-თვითმკვლელის. იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა მგზავრის (სტუმრის) დოკუმენტების და/ან საგნების ჯეროვანი შესწავლა, პსპ-ების ნიშნები იქნება უფრო გამოვლენადი კონტროლისა და შემოწმების ღონისძიებების დროს, მაგალითად, შემოწმების პუნქტებში.

პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის ზოგადი პრინციპები პროფილირების ტექნოლოგიის საფუძველზე მდგომარეობს შემდეგში:

1. ნიშნების დიაგნოსტიკა უნდა მოხდეს სა-ს ობიექტზე სუო-ს ჩარჩოებში პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის ღონისძიებების სისტემაში.
2. მგზავრებში (სტუმრებში) ნიშნების გამოვლენა და ანალიზი აუცილებელია განხორციელდეს სუს-ის საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესებისა და უსაფრთხოების თანამშრომლის მიერ წარმოებულ მოქმედებებთან - შემოწმება, დოკუმენტების შემოწმება, ბარგის, ხელბარგის დათვალიერება და ა.შ.- მჭიდრო ურთიერთკავშირის ჩარჩოებში.
3. პსპ-ის დაფიქსირებული ნიშანი უნდა განვიხილოთ, როგორც საეჭვო ნიშანი სუო-ს სისტემაში, რომელიც მიუთიუთებს მოცემულ პირთან უსაფრთხოების დამატებითი ზომების გამოყენების აუცილებლობას.

4. უსაფრთხოების თანამშრომლის მიერ წარმოებულ მოქმედებებზე პასუხად გარკვეული ემოციური მდგომარეობის სიმპტომების ზრდა (ნიშნის გამოხატულება), მაგალითად, სტრესის აშკარა გაძლიერება მგზავრის მიერ შემოწმების პროცედურის გავლის დროს, ზრდის მოცემული რეაქციის პრაქტიკულ მნიშვნელობას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
5. გამოვლენილი ნიშნები არ წარმოადგენს დაგეგმილ უჩა-თან მგზავრის (სტუმრის) კავშირის პირდაპირ (ან ერთადერთ) დასტურს.
6. ნიშნების გამოვლენა და ანალიზი აუცილებელია მოხდეს პსპ-ების პროფილების მახასიათებლების საფუძველზე.
7. პსპ-ების აღმოჩენილი ნიშანი განიხილება, როგორც ინფორმაცია, რომელიც ალბათობით ახდენს პსპ-ის გარკვეული პროფილის იდენტიფიკაციას, რაც წარმოადგენს საფუძველს სუს-ის თანამშრომლის შემდგომი მიზანმიმართული მოქმედებებისთვის მისი პოტენციური საშიშროების დასადგენად.
8. პსპ-ების გამოვლენილი ნიშნები არ წარმოადგენს დაგეგმილ უჩა-თან მგზავრის (სტუმრის) კავშირის პირდაპირ (ან ერთადერთ) დასტურს. დასკვნა მგზავრის (სტუმრის) რეალური საშიშროების შესახებ კეთდება მისი კომპლექსური შემოწმების საფუძველზე.

ამდენად, შემუშავებული ტექნოლოგია ითვალისწინებს პსპ-ების სხვადასხვა ტიპების თავისებურებებს, აღწერს რა საქმიანობის ხერხების, მეთოდებისა და ტექნიკის თავისებურებებსა და ა.შ. პასუხობს რა კითხვაზე „როგორ გამოვლინდეს პსპ-ების სხვადასხვა პროფილი?“ ეს მიიღწევა იმის წყალობით, რომ ის ეფუძნება საქმიანობის საგნის სპეციფიკას („რა გამოვლინდეს“?), რომელთაც, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს პსპ-ების სხვადასხვა პროფილის ნიშნების გამოვლენა. აქედან გამომდიანრე, პსპ-ების გამოვლენის კომპლექსური ტექნოლოგიის ლოგიკა გამოიყურება შემდეგი სახით:



ამასთან, ნიშნების ანალიზის კოგნიტური სქემები იგება პროფილების მახასიათებლებისა და ნიშნების წარმოქმნისა და განვითარების (გენეზისის) პროცესის ცოდნის საფუძველზე.

სუს-ის თანამშრომლის მიერ პსპ-ების პროფილებში ნიშნების წარმოქმნისა და მათი ურთიერთკავშირის მიზეზობრიობის გაცნობიერება აფართოებს საკუთარი საქმიანობის საგნის პროფესიული აღქმის საზღვრებს და საშუალებას იძლევა სისტემურად მოხდეს იმ ნიშნების გაანალიზება, რომლებიც მაღალი ხარისხის ალბათობით ახდენენ სამოქალაქო ავიაციის ობიექტზე უჩა-ს განხორციელების საფრთხეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმასთან დაკავშირებით, რომ სუს-ის პრაქტიკული საქმიანობისთვის რთულია უჩა-თან კავშირის მქონე პირთა ქცევისა და ამოციური მდგომარეობის გარე ვერბალური და არავერბალური გამოვლინებების ამომწურავი სიის შედგენა. ამ პრობლემას წყვეტს იმ ნიშნების მიზეზობრიობისა და სისტემური კავშირის გაგება, რომლის საფუძველზეც ჩნდება მგზავრის (სტუმრის), როგორც პსპ-ის გარკვეული ტიპის სწრაფი კვალიფიცირების შესაძლებლობა.

3.2. სუს-ის თანამშრომელთა პროფესიულ საქმიანობაში პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის კომპლექსური ტექნოლოგიის გამოყენების ეფექტურობის კვლევა

წინამორბედ პარაგრაფში გადმოცემულ იქნა პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიის საფუძვლები. სუს-ის თანამშრომლების საქმიანობის ეფექტურობაზე შემუშავებული ტექნოლოგიის გავლენის განსაზღვრის მიზნით ჩატარდა ფორმირებადი ექსპერიმენტი. ექსპერიმენტი ტარდებოდა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ საერთაშორისო საავიაციო ტრენინგ ცენტრში. ექსპერიმენტულ შერჩევას შეადგენდა სუს-ის 25 თანამშრომელი, რომელიც გადიოდა სწავლებას კვალიფიკაციის ამაღლების ჩარჩოებში.

ექსპერიმენტული გეგმის სახით გამოიყენებოდა ექსპერიმენტული გეგმა ერთი ჯგუფისთვის წინასწარი და საბოლოო ტესტირებით:

დამოუკიდებელი ცვლადის სახით გამოდიოდა პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგია. დამოკიდებული ცვლადის სახით გამოდიოდა სუს-ის თანამშრომლის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობა პსპ-ების გამოვლენის მხრივ.

ექსპერიმენტული კვლევა მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

1. სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიის სწავლების პროგრამის შემუშავება.
2. სუს-ის თანამშრომლის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის შეფასება პსპ-ების გამოვლენის კუთხით.
3. დამოუკიდებელი ცვლადის ზემოქმედება საექსპერიმენტო ჯგუფზე - სუს-ის თანამშრომლებისთვის პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიის სწავლება და მისი გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში.
4. დამოკიდებული ცვლადის დონის ჯამური გაზომვა - სუს-ის თანამშრომლის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის შეფასება პსპ-ების გამოვლენის თაობაზე.
5. დამოკიდებული ცვლადის დონეების განსხვავების მნიშვნელობის შეფასება წინასწარი და ჯამური გაზომვის შედეგების მიხედვით.

პირველ ეტაპზე ხორციელდებოდა პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიის სწავლების პროგრამის შემუშავება. პროგრამა ორიენტირებულია სუს-ის თანამშრომელთა სწავლებაზე და იგებოდა სუს-ის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით. პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს მსმენელების მიერ პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ გამოყენებითი ცოდნის დაუფლება, რაც მოიცავს წარმოდგენებს პსპ-ების ნიშნების გენეზისისა და სისტემის შესახებ და ასევე იმ უნარებისა და ჩვევების კომპლექსის დაუფლებას, რაც აუცილებელია შემუშავებული ტექნოლოგიის მეშვეობით სამუშაოდ.

პროგრამა გათვლილია 10 სასწავლო საათზე და მოიცავს სალექციო სწავლებას, სემინარებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს აუდიტორიაში და სამუშაო ადგილას.

პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიის თავისებურებებიდან გამომდინარე პროგრამის შინაარსში აქცენტი კეთდება შემდეგ საკითხებზე:

- უჩა-ს საფრთხის ანალიზი სა-ს ობიექტებისთვის;
- პროფაილინგი, როგორც სა-ს ობიექტებზე პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგია;
- პსპ-ების პროფილების დახასიათება და მათი გამოვლენის თავისებურებები;
- ტერორისტი-თვითმკვლელის პროფილის დახასიათება, როგორც პსპ-ის ყველაზე საშიში კატეგორიის და მისი გამოვლენის თავისებურებები;
- დაკვირვების, გამოკითხვის, საუბრისა და თვითმონიტორინგის მეთოდების გამოყენების დახასიათება პსპ-ების გამოსავლენად;
- ტყუილისა და სიცრუის ტექნიკა, გამოვლენის პრაქტიკული მეთოდები.
- პსპ-ების ნიშნების ანალიზის ხერხები;
- სუს-ის ღონისძიებებში პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიის გამოყენება.

პსპ-ების გამოვლენის თაობაზე სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის შეფასება ხორციელდებოდა ექსპერტთა გამოკითხვის მეშვეობით თეორიულ მოდელში გამოყოფილი კრიტერიუმების საფუძველზე. ექსპერტთა სახით გამოდიოდნენ სუს-ის თანამშრომლეთა უშუალო უფროსები, რომლებიც შედიოდნენ ექსპერიმენტულ ჯგუფში - შემოწმების ჯგუფის ხელმძღვანელები.

ექსპერტებს სთავაზობდნენ პსპ-ების გამოვლენის თაობაზე თავიანთი თანამშრომლების საქმიანობის ეფექტურობის თითოეულ კრიტერიუმზე შეფასებას ხუთქულიანი სკალის მიხედვით. საექსპერტო გამოკითხვის ჩასატარებლად შემუშავებულ იქნა სუს-ის თანამშრომელთა პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის შეფასების ანკეტა პსპ-ების გამოვლენის თაობაზე (დანართი 4).

მესამე ეტაპზე ხორციელდებოდა ექსპერიმენტულ ჯგუფში შემავალი სუს-ის თანამშრომლებისთვის პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიის სწავლება, რის შემდეგაც ისინი მას იყენებდნენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში. სწავლება ტარდებოდა შემუშავებული პროგრამის მიხედვით საერთაშორისო საავიაციო ტრენინგ ცენტრის ბაზაზე. პროგრამის გავლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სუს-ის თანამშრომლებში პსპ-ების გამოვლენის ჩვევების ჩამოყალიბებას სახასიათო გარე ნიშნების მიხედვით პსპ-ების ნიშნებს, პროფილებს და უჩა-ს სხვადასხვა სახეს შორის სისტემური კავშირისა და ასევე უჩა-თან გარკვეულწილად კავშირის მქონე პირთა მოქმედების კანონზომიერებების განხილვის ბაზაზე. მოცემული აქცენტები სწავლებაში, პირველ რიგში, უკავშირდება პსპ-ების გამოვლენის თავისებურებებისადმი ჩვენს მიერ რეალიზებულ მიდგომას და მეორე, სუს-ის მრავალ თანამშრომელში შესაბამისი წარმოდგენების არასაკმარის დონეს, რაც აჩვენა აღნიშნული ექსპერიმენტის ფარგლებში ჩატარებულმა გამოკითხვის შედეგებმა.

პროგრამა იგებოდა ისე, რომ საკვანძო თემების, კერძოდ, „პსპ-ების პროფილის“ და „პსპ-ების პროფილი“ შესწავლის შემდეგ, ტარდებოდა პრაქტიკული მეცადინეობები აუდიტორიასა და სამუშაო ადგილზე. აუდიტორიაში მეცადინეობებისთვის მოდელირებული იყო სიტუაცია „პსპ-ის ყოფნა ობიექტზე“ და გამოვლენილი ნიშნების (ქცევა,ემოციური მდგომარეობა და სხვა ნიშნები სუო-ს სისტემაში) მიხედვით შემოთავაზებული იყო მოცემული მგზავრის (სტუმრის) პროფილის განსაზღვრა. პოტენციურად საშიში პირების როლი ერგებოდა ან რომელიმე მოსწავლეს ჯგუფში, ან მასწავლებელს ან სპეციალურად მომზადებულ პირს (მაგალითად, ავიაკომპანიის თანამშრომელს). შემდეგ ირჩეოდა „სუს-ის თანამშრომელი“ და (ან) „პსპ-ის გამოვლენაში“ მონაწილეობდა მთელი ჯგუფი. 5-7 წუთის განმავლობაში უნდა დაესვათ გარკვეული კითხვები და დაკვირვება მომხდარიყო „მგზავრზე (სტუმარზე)“. გამოვლენილი ნიშნებისა და მიღებული

ინფორმაციის შეკრების საფუძველზე ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება მგზავრის (სტუმრის) დახასიათების შესახებ. მოცემული გადაწყვეტილება უნდა დასაბუთებულიყო ლოგიკურად ანუ ნაჩვენები ყოფილიყო როგორ ხორციელდებოდა მგზავრის პოტენციური საშიშროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მგზავრის (სტუმრის) ცნობა უსაფრთხოდ ასევე მოითხოვდა ფაქტიურ და ლოგიკურ დასაბუთებას.

მონაწილეებს პრაქტიკული მეცადინეობების ჩარჩოებში სთავაზობდნენ დაკვირვებას მზგავრებზე (სტუმრებზე), რომლებიც გადიოდნენ შემოწმებას და (ან) იმყოფებოდნენ მოსაცდელ დარბაზებში, თავის მხრივ, ელოდნენ რა თავიანთ რიგს სუს-ის მიერ ჩატარებულ კონტროლისა და შემოწმების ღონისძიებებზე. ჯგუფს ნიშნების გამოვლენილი სახასიათო გარე გამოვლინებების საფუძველზე უნდა განესაზღვრა პოტენციურად საშიში პირები მგზავრებს (სტუმრებს) შორის და აუცილებლობის დროს (სიტუაციურად) შემოთავაზებული იყო გამოკითხვის ან საუბრის ჩატარება ადამიანთან, რომელმაც ეჭვი გამოიწვია. „გულუბრყვილო ტერორისტის“ პროფილის გამოვლენის პრაქტიკული ჩვევის შემუშავების მიზნით შერჩევითად ხდებოდა გამოკითხვა „ბარგზე“ პსპ-ის ნიშნებზე აქცენტით კითხვების დასმის დროს.

მეცადინეობებზე ასევე გამოიყენებოდა ვიდეოდაკვირვების ჩანაწერები მგზავრზე (სტუმარზე) აეროპორტების მოსაცდელ დარბაზებში პსპ-ების ნიშნების გამოვლენის და სიტუაციის კომპლექსური ანალიზის მიზნით.

პრაქტიკულ მეცადინეობებსა და სემინარებზე ნაჩვენები იყო სპეციალური ფილმი-თამაშები პროფაილინგის შესასწავლად, სადაც აქცენტი კეთდებოდა პსპ-ების ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაზე.

სა-ს ობიექტებზე ტერორისტი-თვითმკვლელის გამოვლენის თაობაზე პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების ობიექტურ სირთულეებთან დაკავშირებით ჯგუფს სთავაზობდნენ შემდეგ დავალებას აუდიტორიაში. აუცილებელი იყო ტერორისტ-თვითმკვლელის პროფილური 5 მახასიათებლის დაწერა და პროფილში მათი არსებობის წინაპირობის დასაბუთება. ამ პრაქტიკული მეცადინეობის შედეგები განიხილებოდა ჯგუფში მოცემული მნიშვნელოვანი თემის ათვისებაში შესაძლო გაუგებრობების აღმოფხვრის მიზნით.

აუდიტორიაში „სამუშაო ადგილას“ პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების შემდეგ ხდებოდა მოცემული მეცადინეობის განხილვა. ჯგუფს სთავაზობდნენ შემდეგ საკითხებს:

- „აღწერეთ მგზავრზე (სტუმარზე) თქვენი დაკვირვების ალგორითმი“;
- „ქცევისა და ემოციური მდგომარეობის რა თავისებურებებს მიაქციეთ ყურადღება?“
- „პსპ-ების რა ნიშნები იმყოფებოდა თქვენი ყურადღების ცენტრში მგზავრებზე (სტუმრებზე) დაკვირვების დროს?“
- „მგზავრების (სტუმრების) გარეგნული იერის რა თავისებურებებმა მიიპყრო თქვენი ყურადღება და რატომ?“
- „როგორ აფასებთ მგზავრის (სტუმრის) ქცევისა და ემოციური მდგომარეობის დინამიკას შემოწმების გავლის პროცესში?“
- „როგორ აფასებთ თქვენს შინაგან მდგომარეობას მგზავრებზე (სტუმრებზე) დაკვირვების დროს?“
- „თქვენ მიერ რა საეჭვო ნიშნები გამოვლინდა სუო-ს სისტემაში და როგორ განეკუთვნება ის პსპ-ების ნიშნებს?“
- „პსპ-ების რომელი პროფილები გამოვლინდა და რა საფუძველზე?“

ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობების შედეგად მონაწილეთა მიერ გამოვლინდა შემდეგი სიტუაციები, რომელიც ხასიათდება, როგორც დარღვევები და ნორმისგან გადახრა:

- საპასპორტო რეჟიმის დარღვევა;
- მგზავრის (სტუმრის) ბარგსა და ნივთებში საჰაერო ტრანსპორტით გადასაზიდად აკრძალული საგნების (ნივთიერებების) აღმოჩენა;
- სუო-ს სისტემაში საეჭვო ნიშნების აღმოჩენა პსპ-ების ნიშნების ფიქსაციის საფუძველზე (მაგალითად, შფოთვის ნიშნების მიხედვით გამოვლინდა გადაფრენის არალოგიკური მარშრუტი);
- პირები ალკოჰოლური (ნარკოტიკული) თრობის მდგომარეობაში;
- პირები, რომლებიც კვალიფიცირებული არიან, როგორც პსპ-ები სუო-ს სისტემაში დაფიქსირებული ნიშნების მიხედვით, რომელთა მიმართაც

გამოყენებულ იქნა შემოწმების დამატებითი ზომები რეისისა და მგზავრებისთვის მათი ჭეშმარიტი საფრთხის განსაზღვრის მიზნით;

- მგზავრები (სტუმრები) ნორმისგან გადახრილი ქცევით აეროპორტის კომპლექსში;
- მგზავრები (სტუმრები), რომელთაც აღენიშნებათ გარკვეული ნიშნები, რომლებიც ახდენენ „თვითმკვლელი-ტერორისტის“ პროფილის იდენტიფიკაციას.

მოცემული სიტუაციები და პსპ-ები გამოვლინდა პროფილირების ტექნოლოგიის გამოყენების საფუძველზე. მგზავრებსა და სტუმრებზე დაკვირვების საფუძველში იმყოფებოდნენ პსპ-ების ნიშნები, რომლებიც ინტერპრეტირებულ იქნეს პსპ-ებს შესაძლო პროფილების შესაბამისად.

მგზავრებში (სტუმრებში) პსპ-ების დაფიქსირებული ნიშნებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განხილულ იქნა პსპ-ების პროფილების სხვადასხვა ვარიანტი და შესაბამისად, საფრთხის ვარიანტები, რომელსაც მოცემული პირები შეიძლება წარმოადგენდეს სა-ს ობიექტისთვის.

პროგრამის რეალიზაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაწილეებში ანალიზის სქემის ფორმირებას, რომელიც ეფუძნება უჩა-თან კავშირში მყოფი პირების საქმიანობის კანონზომიერებებს, პსპ-ების ნიშნებს, პსპ-ების პროფილებსა და სა-ს ობიექტისთვის საფრთხის სახეს შორის თანამიმდევრულ ლოგიკურ კავშირს. ამ მიზნით, პსპ-ების გამოვლენილი ნიშნების მიხედვით, მონაწილეებს სთავაზობდნენ შესაძლო საფრთხის განსაზღვრას სა-ს ობიექტისთვის და საკუთარი აზრის დასაბუთებას. მოცემული თემის ჩარჩოებში ასევე მოცემული იყო შესაძლო ლოგიკური ჯაჭვის გავლების წერილობითი დავალება უჩა-თან კავშირში მყოფი პირის მოქმედების კანონზომიერებებიდან უჩა-ს საფრთხემდე. მაგალითად, გარეგნული გამოვლინებები, „სიფერმკრთალე, დაძაბული მოძრაობები, მზერის გადატანა“ - შფოთვის, სტრესის ნიშანი - პროფილი „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“ - ბარგში (ნივთებში) საშიში საგნების შესაძლო გატანა - უჩა-ს საფრთხე „საჰაერო ხომალდის ჰაერში აფეთქება“.

პროგრამის ძირითადი ამოცანების სახით, რომელთა გადაწყვეტაც განიხილებოდა, როგორც მისი პრაქტიკული გამოყენების ეფექტურობის საკვანძო პირობა, გამოდიოდა შემდეგი დებულებები:

1. დაკვირვება მგზავრებზე (სტუმრებზე) უნდა მოხდეს გააზრებულად და სტრუქტურირებულად ანუ მონაწილეთა ყურადღება ფიქსირდებოდა პსპ-ების ნიშნებსა და მათ გამოყენებაზე პსპ-ების პროფილის იდენტიფიკაციისთვის ან სუო-ს წესების დარღვევის პოტენციური საშიშროების შესახებ დასკვნის გაკეთებისთვის.
2. პსპ-ების გამოვლენილი ნიშნების დროს ავტომატურად ტარდებოდა პსპ-ების პროფილის შესაძლო იდენტიფიკაცია.
3. პსპ-ების გამოვლენილი ნიშნები და საეჭვო ნიშნები სუო-ს სისტემაში ინტერპრეტირებულ იყო მგზავრის (სტუმრის) პოტენციური საფრთხის განსაზღვრის ერთიან კონცეფციაში.
4. პსპ-ების გამოვლენილი ნიშნების საფუძველზე ანალიტიკურად იგებოდა პროგნოზი სა-ს ობიექტისთვის შესაძლო საფრთხესთან მოცემული პირის კავშირთან დაკავშირებით.

პროგრამის გავლის შედეგები ადასტურებენ მისი გამოყენების შესაძლებლობას სუს-ის თანაშრომლების მიერ პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიის სწავლისთვის, მათ შორის, სპეციალური განათლების არქმონეთათვის. სწავლების პროცესში მსმენელებმა დემონსტირება გაუკეთეს მაღალ შემეცნებით აქტიურობას და მასალის ათვისების კარგ ხარისხს. ჯამური და შუალედური კონტროლის შედეგების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა ცოდნის ჩამოყალიბების საკმაოდ მაღალი დონის შესახებ, მათ შორისაა, წარმოდგენების სისტემა პსპ-ების თავისებურებებისა და აუცილებელი პრაქტიკული ჩვევების შესახებ.

ცოდნის ხარისხის კონტროლისთვის გამოიყენებოდა წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა დასამუშავებელი თემების ძირითადი საკითხების თაობაზე. დავალებები ასევე მოიცავდა კითხვებს, რომელიც გამოიყენებოდა პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ წარმოდგენების დონის შეფასებისთვის, რომელიც ჩატარდა აღნიშნული ექსპერიმენტის ჩარჩოებში. პსპ-ების გამოვლენის ჩამოყალიბებული ჩვევების კონტროლის ფარგლებში შემოთავაზებული იყო საშინაო

დავალებები თემაზე „თვითანგარიში "სამუშაო ადგილას" მგზავრებზე (სტუმრებზე) განხორციელებული დაკვირვებების შესახებ". თვითანგარიშის მონაცემებიდან გამოიყო შემდეგი მონაცემები:

- მზგავრებზე (სტუმრებზე) დაკვირვების პროცესი გამარტივდა;
- დაკვირვების დროს ყოველთვის იყო მიზანი - პსპ-ების გამოვლენა;
- მგზავრების (სტუმრების) ქცევა და ემოციური მდგომარეობა გაანალიზებული იყო პსპ-ების ნიშნების გამოვლენის საგანზე;
- გამოვლინდა უშუალო ინტერესი პსპ-ების გამოვლენის მიმართ;
- მგზავრების (სტუმრების) ანალიზი ხდებოდა ინტუიციური პროცესების ჩართვით;
- წარმოიქმნა კომპლექსური მიდგომა მიღებული ინფორმაციის მიმართ;
- მგზავრებისა და სტუმრების ქცევა და ემოციური მდგომარეობა გააზრებულად იქნა აღქმული;
- მგზავრების ქცევასა და ემოციურ მდგომარეობაში იდენტიფიცირებულ იქნა მათი პოტენციური საშიშროება;
- გაიზარდა საკუთარი თავის პროფესიული დამაჯერებელობა;
- შემცირდა დრო მგზავრის (სტუმრის) პოტენციურ საშიშროებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;
- პსპ-ების ისეთი საშიში კატეგორიის გამოვლენა, როგორიცაა თვითმკვლელი-ტერორისტი უმეტესწილად წარმოდგენილ იქნა, როგორც პრაქტიკულად გადასაწყვეტი ამოცანა.

სასწავლო ჯგუფებში ასევე ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობები აუდიტორიაში თემებზე „კომუნიკაბელურობის, დაკვირვებულობის დიაგნოსტიკა და განვითარება", „სიცრუისა და ტყუილის დიაგნოსტიკა", „პსპ-ების გამოვლენა სუს-ის ძირითადი საქმიანობის ჩარჩოებში".

მეოთხე ეტაპზე განხორციელდა ექსპერიმენტული ჯგუფის წევრების, სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების გამოვლენის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის განმეორებითი შეფასება. დამოკიდებული ცვლადის დონის შედეგობრივი გაზომვა ჩატარდა პროგრამის დასრულებიდან ორი თვის შემდეგ. პსპ-ების გამოვლენის თაობაზე სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის

ეფექტურობის შეფასება ასევე ხორციელდებოდა ექსპერტების გამოკითხვის მეშვეობით და გამოყოფილი კრიტერიუმების საფუძველზე. მიღებული მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილში 16.

მეხუთე ეტაპზე ტარდებოდა პსპ-ების გამოვლენის თაობაზე პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის წინასწარ და შედეგობრივ შეფასებებში განსხვავებათა მნიშვნელობის გამოანგარიშება. საქმიანობის ეფექტურობის ყველა კრიტერიუმის მიხედვით განსხვავებების მნიშვნელობის გამოსათვლელად გამოიყენებოდა T-ვილკოკსონის სტატისტიკური კრიტერიუმი[531]. სტატისტიკური კრიტერიუმის არჩევა განისაზღვრება იმით, რომ T- ვილკოკსონის კრიტერიუმი წარმოადგენს სტუდენტის კრიტერიუმის ყველაზე მგრძნობიარე არაპარამეტრულ ანალოგს დამოკიდებული შერჩევისთვის. მიღებული შედეგები მოყვანილია ცხრილში 16.

მნიშვნელობების ანალიზი საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ პროფილირების ტექნოლოგიის გამოყენების შემდეგ სუს-ის თანამშრომლების საქმიანობის ეფექტურობის საექსპერტო შეფასება პსპ-ების გამოვლენის თაობაზე ნიშნადია ($p \leq 0,05$) მაღლა ისეთ კრიტერიუმების მიხედვით, როგორიცაა: პსპ-ების ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისწრაფე მგზავრებში /სტუმრებში, ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისრულე, რთული სიტუაციების გადაწყვეტის სისწრაფე მგზავრებთან/სტუმრებთან მუშაობის დროს. ყველაზე ნიშნადი ($p \leq 0,01$) მეტია ისეთი კრიტერიუმების შეფასება, როგორიცაა: მგზავრის/სტუმრის პოტენციური საშიშროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე, ნიშნების იდენტიფიკაციის სიზუსტე შემოწმების დროს და პსპ-ების იდენტიფიკაციის სიზუსტე აღმოჩენილი გარე ნიშნების მიხედვით. კრიტერიუმის მიხედვით „უკონფლიქტობის დონე მგზავრებთან/სტუმრებთან მუშაობის დროს“ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ არსებობს, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ სწავლების პროგრამა და ტექნოლოგია არ მოიცავს შესაბამის ხერხებსა და ტექნიკას. ამავე დროს, მოცემული კრიტერიუმის მნიშვნელობის გათვალისწინებით, როგორც სუს-ის თანამშრომლებისთვის, ასევე მგზავრებისთვის/სტუმრებისთვის, ტექნოლოგიაში კონფლიქტების გადაწყვეტისა და პროფილაქტიკის ხერხების ჩასმა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მისი სრულყოფის პერპსექტიული მიმართულება.

[53] Frank Wilcoxon, S. K. Katti, Roberta A. Wilcox. Critical Values and Probability Levels for the Wilcoxon Rank Sum Test and the Wilcoxon Signed Rank Test. 128pp 1963 US

საქმიანობის ეფექტურობის მნიშვნელოვანი მატება 7 კრიტერიუმიდან 6-ის მიხედვით, რაც შეადგენს ყველა კრიტერიუმის 85%-ზე მეტს, რომელიც გამოიყენებოდა საექსპერტო შეფასებაში, საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ შემუშავებული ტექნოლოგიის პოზიტიურ გავლენაზე სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობაზე პსპ-ების გამოვლენის თაობაზე.

ცხრილი 16

ექსპერიმენტული ჯგუფის წევრებში, პსპ-ების გამოვლენის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობაში განსხვავებებათა მნიშვნელობა ტექნოლოგიის გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ

N პ/პ	პსპ-ების გამოვლენის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის კრიტერიუმები	**T** - ვილკოკსონის კრიტერიუმის მნიშვნელობები	**p** -მნიშვნელობის დონე
1	მგზავრებში/სტუმრებში პსპ-ების ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისწრაფე	134	$p \leq 0,05$
2	მგზავრის/სტუმრის პოტენციური საფრთხის შესახებ გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე	105	$p \leq 0,01$
3	ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისრულე	132	$p \leq 0,05$
4	უკონფლიქტობის დონე მზგავრებთან/სტუმრებთან მუშაობის დროს	148	$p \geq 0,05$
5	მგზავრებთან/სტუმრებთან მუშაობის დროს რთული სიტუაციების გადაწყვეტის სისწრაფე	136	$p \geq 0,05$
6	ნიშნების იდენფიტიკაციის სიზუსტე შემოწმების წარმოებისას	109	$p \leq 0,01$
7	პსპ-ების იდენტიფიკაციის სიზუსტე გამოვლენილი გარე ნიშნების მიხედვით	108	$p \leq 0,01$

ამდენად, ჩატარებული ფორმირებული ექსპერიმენტის შედეგების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. დადასტურებულია ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ კომპლექსური ტექნოლოგიის გამოყენება, პსპ-ების სხვადასხვა პროფილის გამოვლენის თავისებურებების გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სუს-ის თანამშრომელთა პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე პსპ-ების გამოვლენის კუთხით.
2. სუს-ის თანამშრომელთათვის პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიის სწავლების საშუალების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემუშავებული სასწავლო პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა მოკლე დროში უზრუნველყოს მსმენელები, მათ შორის სპეციალური განათლების არ მქონენი, აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ჩვევების კომპლექსით.

3.3. საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა კომპეტენტურობის პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებები და ელემენტები, განპირობებული პოტენციურად საშიში პირების გამოვლენაზე ორიენტირებული ტექნოლოგიების სპეციფიკით.

ნაშრომში შემოთავაზებული მოდელის შესაბამისად, საავიაციო უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის ეფექტურობის პირობების სახით განიხილება პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებები და ასევე ცოდნა, უნარები და ჩვევები, რაც განპირობებულია პოტენციურად საშიში პირების სხვადასხვა ტიპის გამოვლენის სპეციფიკით.

პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებები წარმოადგენს ადამიანის თვისებებს, რომელიც აუცილებელია მოცემული შრომითი საქმიანობის წარმატებული შესრულებისთვის.

კვლევის ჩარჩოებში ჩვენ განვიხილავთ საავიაციო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისთვის აუცილებელ თვისებებს პოტენციურად საშიში პირების

წარმატებული გამოვლენისთვის ორიენტირებული ტექნოლოგიების საფუძველზე. ასეთი სახის საბაზო ტექნოლოგიის სახით განიხილება „პროფაილინგი“.

პროფაილერის სახით წარმატებული მუშაობისთვის აუცილებელი არავერბალური თვისებების აღწერა ხორციელდებოდა ჩვენს მიერ პროფაილერის პროფესიული საქმიანობის ძირითადი შინაარისა და სუს-ის მმართველი შემადგენლობის წარმომადგენელთა საექპსერტო გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე.

საქმიანობის თეორიის თვალსაზრისით, პროფესიული საქმიანობის ძირითადი შემადგენლები კანონზომიერად განაპირობებენ თანამშრომლის - პროფაილერის ეტალონურ თვისებებს.

სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე პროფაილერის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე მისი ძირითადი შემადგენლების სახით, რომლებიც განსაზღვრავენ თვისებების ნაკრებს, რაც აუცილებელია მისი წარმატებული შესრულებისთვის, შეიძლება გამოიყოს: მუშაობა ადამიანებთან და მუშაობა დოკუმენტებთან.

ადამიანებთან მუშაობა, პირველ რიგში, გულისხმობს კომუნიკაბელურობის არსებობას, რომელიც განიხილება, როგორც მზადყოფნა და უნარი ადვილად დაადგინოს, დაიცვას და შეინარჩუნოს პოზიტიური კონტაქტები გარშემომყოფებთან ურთიერთობასა და ურთიერთქმედებაში.

ის, პირველ რიგში, გულისხმობა პირად მომხიბვლელობას, ადამიანთან კონტაქტის სწრაფად დამყარების უნარს, საუბრის წარმართვას, სწორი გამოსავლის პოვნას კონფლიქტურ და არასტანდარტულ სიტუაციებში.

სუს-ის თანამშრომლისთვის კომუნკიკაციური ხერხების (უნარების) ფლობა აუცილებელია შემდეგი მიზნებისთვის:

- მგზავრებთან (სტუმრებთან) უშუალო ურთიერთობა;
- მზგავრის (სტუმრის) უჩა-თან პოტენციური კავშირის გამოვლენა;
- კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილება ან გადაწყვეტა;
- კრიზისული (ექსტრემალური) სიტუაციების დარეგულირება;

შეიძლება გამოიყოს ძირითადი კომუნიკაციური ჩვევები (უნარები), რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტურ ურთიერთქმედებას:

- ურთიერთობის ვერბალური და არავერბალური საშუალებების სწორად გამოყენება;
- კონტაქტის დამყარების ტექნიკების ფლობა;
- ეფექტური ურთიერთქმედება სხვადასხვა ტიპის თანამოსაუბრესთან;
- თანამოსაუბრის ნდობის ფორმირება;
- საკუთარი თავის რწმენის განვითარება;
- „არას“ თქმის უნარი;
- კონფლიქტიდან გამოსვლის სტრატეგიების ფლობა;
- მანიპულაციისადმი დაპირისპირების ჩვევები და ა.შ.

ურთიერთობის პროცესში უკიდურესად მნიშვნელოვანია გამართული მეტყველება, მკაფიო დიქცია და არავერბალური კომუნიკაციის საშუალებების ეფქტური გამოყენება. პროფაილერი, რასაკვირველია, უნდა იყოს თავაზიანი და კორექტული მგზავრებთან, ქმნიდეს მშვიდი და საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანის შთაბეჭდილებას, შეეძლოს საკუთარი თავის ფლობა.

უნდა აღინიშნოს, როგორც ხელსაყრელი ფაქტორი ადამიანში ისეთი კომუნიკაციური თვისებების არსებობა, როგორიცაა კონტაქტურობა, სხვებთან ურთიერთობის განწყობა, ურთიერთქმედების მზადყოფნა და ა.შ. სიცრუის დიაგნოსტირების დროს.

პროფაილერის პროფესიული საქმიანობა ხშირად უკავშირდება საგანგებო სტრესულ სიტუაციებს. ობიექტზე დამნაშავისა და ტერორისტის (განსაკუთრებით, ტერორისტ-თვითმკვლელის) ყოფნის პოტენციური შესაძლებლობა წარმოადგენს სტრესოგენულ სიტუაციას. გარდა ამისა, პროფაილერის მუშაობა ძალიან ინტენსიურია, აეროპორტში თითო მგზავრს ეთმობა ძალიან მცირე დრო, ამიტომაც საჭიროა დროის დეფიციტის პირობებში, ხოლო ზოგჯერ ნერვულ დაძაბულ ვითარებაში, მაგალითად რეისების გაუქმებასთან დაკავშირებულ სიტუაციებში ეფექტური ფუნქციონირების უნარი.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან თვისებებს წარმოადგენს სტრესმედეგობა, ემოციური სიმტკიცე, რაც უზრუნველყოფს ნათელ გონებას, ნებელობით კონტროლსა და აღქმის მკაფიოობას. სუს-ის თანამშრომელი, რომელმაც თუნდა წამიერად დაკარგა საკუთარი თავის ფლობა, შესაძლოა, ვერ მოახერხოს მაქსიმალური ხელშეწყობის გაწევა უჩა-ს თავიდან აცილებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ადამიანისთვის სტრესული სიტუაციები არ გადის უკვალოდ და ის შეიძლება გახდეს ზოგიერთი სომატური დაავადების წარმოქმნის მიზეზი. ძლიერმა სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს აღქმის დამახინჯება. სტრესის სიტუაციაში წარმოქმნილმა საშიშროების გრძნობამ შეიძლება ადამიანი უმოქმედობამდე მიიყვანოს.

კონფლიქტური არასტანდარტული სიტუაციების წარმოქმნა მგზავრებთან ურთიერთობის დროს ასევე მოითხოვს პროფაილერისგან არა მხოლოდ ემოციურ სიმტკიცეს, არამედ ამტანობასაც, გაწონასწორებულობასაც, უნარსაც არ მოიექცეს სხვა ადამიანების ნეგატიური ზემოქმედების ქვეშ. მგზავრებთან კონტაქტის დროს, რომლებიც განწყობილნი არიან აგრესიულად, აუცილებელია ხასიათის სიმტკიცის, სიჯიუტის და სხვა ნებელობითი თვისებების გამოვლენა.

მგზავრების გამოკითხვის პროცესში საჭიროა არა იმდენად კარგი მეხსიერება, მოცემულ შემთხვევაში ეს არაა ესოდენ არსებითი, რამდენადაც გამოკითხვა არ გულისხმობს კითხვების დიდ რაოდენობას, რამდენადაც რეაქციის სისწრაფე და სიზუსტე.

იმდენად რამდენადაც დამნაშავეებმა (ტერორისტებმა) შეიძლება ურთიერთობის დროს რაიმე სახით ზემოქმედება განახორციელონ, პროფაილერს სჭირდება კარგად განვითარებული ინტუიციის ქონა და ასევე მაღალი სიმტკიცის ქონა ფარული და ღია ზემოქმედების მიმართ და არაკომფორტულობის გარკვეული დონე.

ინტუიციის არსებობა, რომელიც დამოკიდებულია მუშაობის გამოცდილებაზე, წინასწარ განწყობაზე და მის მიმართ ინტერესზე, ასევე აძლევს შესაძლებლობას პროფაილერს მიიღოს სწორი გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში. ძალიან სასარგებლო თვისებას პროფაილერის მუშაობისთვის წარმოადგენს

მიმდინარე მოვლენის არსში სწრაფი შესვლის და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების უნარი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

აუცილებელია საგულდაგულოდ დაფიქსირდეს მგზავრებისა და სტუმრების ქცევის ყველა უმცირესი ნიუანსიც, რისთვისაც აუციელებლია დაკვირვებულობის თვისება. დაკვირვებულობის თვისება უშუალოდ უკავშირდება ყურადღებას. ამიტომაც, ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა მაღალი კონცენტრაცია და ყურადღების სიმტკიცე, წარმოადგენენ პროფესიულად მნიშვნელოვან თვისებებს.

დაკვირვებულობის დონე დამოკიდებულია მხედველობითი ანალიზატორის კარგ განვითარებასა და მის მაღალ მგრძნობელობაზე. დაკვირვებულობის თვისება უშუალოდ უკავშირდება მეხსიერებას, აზროვნებას, მიმართულობას, ემპათიას (თანაგანცდას) და ა.შ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პროფესიული გამოცდილება და ინტერესები ასევე ახდენენ დიდ გავლენას დაკვირვებულობაზე.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს დაკვირვებულობისა და პროგნოზირების კავშირი, რამდენადაც დადგენილია, რომ სხვა ადამიანთან მიმართებაში წარმატებული პროგნოზირების შედეგები დამოკიდებულია კარგად განვითარებულ დაკვირვებულობასა და დაკვირვების შედეგების განზოგადებაზე, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს პროგნოზის ასაგებად[54].

ამდენად, რამდენადაც პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის პროცესი ეყრდნობა დაკვირვების, საუბრისა და გამოკითხვის მეთოდებს, ისეთი თვისებები, როგორიცაა „დაკვირვებულობა“ და „კომუნიკაბელურობა“ შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად პროფესიული კუთხით.

პროფაილერის მუშაობა თეორიული კონცეფციის თანახმად ეყრდნობა ჯანსაღ აზრს ანუ რაციონალურ და მიუკერძოებელ მიდგომას არსებული ფაქტების ანალიზის მიმართ. ამიტომაც, პროფაილერი უნდა გამოირჩეოდეს რეალიზმითა და მკაფიო აზროვნებით, ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციიდან ლოგიკურად სწორი დასკვნების გაკეთების უნარით.

პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის პროცესი პროფესიული სიტუაციების მრავალფეროვნების გათვალისწინებით შეუძლებელია სრულად იქნეს

[54] Nathan J. Gordon, William L. Fleisher. Effective Interviewing and Interrogation Techniques. 400pp. 2010 US

ალგორითმიზებული. სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის დროს შეიძლება წარმოიქმნას პრობლემური სიტუაციები, რომელთა გადასაწყვეტადაც აუცილებელი იქნება მოქმედებების ეფექტური ვარიანტების დამოუკიდებლად ძიება. ეს განსაზღვრავს შემოქმედების როლს, რომლის მეშვეობითაც ეფექტურად წყდება პროფესიულ საქმიანობაში წარმოქმნილი წინააღმდეგობები. ამიტომაც, პროფაილერისთვის მნიშვნელოვანია შემოქმედებითი უნარის გარკვეული დონეც და დროულად და ადექვატურად მათი პროფესიულ საქმიანობაში მისი ეფექტურობის მიზნით გამოვლენის უნარიც. პროფესიულად დასაბუთებული შემოქმედება ხელს შეუწყობს არა მხოლოდ პროფაილერის პროფესიულ მოქნილობას, არამედ მისი პროფესიული ოსტატობის განვითარებასაც.

პროფაილერის საქმიანობა ასევე უშუალოდ უკავშირდება დოკუმენტების შემოწმებას. ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, ისეთი პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებები, როგორიცაა ყურადღება, ტექსტზე კონცენტრირების უნარი, გარე გამაღიზიანებლებზე გადაურთველობა. ყალბი დოკუმენტების განსაზღვრისთვის პროფაილერს სჭირდება, სპეციალური ცოდნა, კარგად განვითარებული მეხსიერება, განსაკუთრებით მხედველობითი და ანალიტიკური უნარების არსებობა.

შესაძლებელია გამოიყოს რიგი პარამეტრი, რომელიც იქნება პროფესიული გამოსადეგობის საფუძველი პროფაილერის მუშაობისთვის. პირველ რიგში, შესასრულებელი სამუშაოს საგანგებო პასუხისმგებლობისა (პროფაილერს არა აქვს შეცდომის უფლება) და ნერვული გადატვირთვის შესაძლებლობის გათვალისწინებით, აუცილებელია გამოიყოს ისეთი თვისებები, როგორიცაა ნერვული სისტემის სიმტკიცე. მიდრეკილება მომატებული შფოთვის მიმართ, ეჭვნეულობა ასევე აფერხებს არსებითად პროფაილერის მუშაობას. მუშაობა სამგზავრო დოკუმენტებთან მოითხოვს კარგ მხედველობას. სმენა ბუნებრივია ასევე უნდა იყოს პათოლოგიის გარეშე, რამდენადაც გამოკითხვის დროს საჭიროა კარგად აღიქვა ის, თუ რას პასუხობს ადამიანი.

შინაგანი დისციპლინირებულობის არსებობა, რომელიც უნდა აისახოს სამუშაოსადმი მიდგომაზე, დაწყებული გარეგნობიდან, სამუშაოზე ზუსტად გამოცხადებიდან და თანამდებობრივი ინსტრუქციების გადაუხრელი დაცვით

დამთავრებული, ასევე აუცილებელია ეფექტური მუშაობისთვის. ეს ეხება მაღალ თვითკონტროლს, თვითორგანიზებასა და პასუხისმგებლობის გრძნობას. ადამიანი ასეთი თვისებების გარეშე არა მხოლოდ სწორად არ აორგანიზებს თავის საქმიანობას, არამედ გარშემომყოფებზე ქმნის შესაბამის შთაბეჭდილებასაც.

შეიძლება დავამატოთ ისეთი მახასიათებლებიც, როგორიცაა სიფრთხილე, სამსახურებრივი ინფორმაციის შენახვის, მუშაობის დროს გარე გამაღიზიანებლებზე გადაურთველობის უნარი.

„პროფაილერის“ პროფესიის თეორიული მოდელის შემუშავების მიზნით ჩატარდა სუს-ის ხელმძღვანელი და საშუალო რგოლის წარმომადგენლების ანკეტირება მოცემულ პრობლემატიკაზე. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ინფორმაციის მიღება პროფაილერის ეტალონური თვისებების შესახებ სუს-ის საქმიანობის სტრუქტურაში გამოკითხულთა აღნიშნული კონტინგენტის პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 6 ადამიანმა 5 წელზე მეტი მუშაობის საშუალო სამუშაო სტაჟით. ანკეტირების მონაწილეებს შესთავაზეს პასუხების გაცემა კითხვებზე, რომელიც ეხებოდა ისეთ თვისებებს, რომელიც მნიშვნელოვანი იყო პროფაილერის პროფესიისთვის (დანართი 5).

ანკეტის კითხვები მოიცავდა ორ ბლოკს, რომელთაგან პირველი ეხებოდა ზოგად წარმოდგენებს პროფაილერის პროფესიის შესახებ, მეორე კი უკავშირდებოდა პიროვნულ მახასიათებლებს, რომელიც უნდა ჰქონოდა პროფაილერის თანამდებობაზე მისაღებ კანდიდატს.

პირველ რიგში, გვაინტერესებდა, თვლიდნენ თუ არა გამოკითხვის მონაწილეები პროფაილინგისა და სხვა ორიენტირებული მეთოდების შემოღებას ტერაქტების თავიდან აცილების ეფექტურ ზომად, რამდენადაც წინააღმდეგ შემთხვევაში, ანკეტებიდან მიღებული ინფორმაცია არ იქნებოდა პრაქტიკული ინტერესის მქონე. მოცემულ კითხვაზე გამოკითხულთა 97,7% უპასუხა დადებითად, რაც ადასტურებს თემის აქტუალობას.

შემდეგ ჩვენ ვცდილობდით გაგვერკვია, სუს-ის ხელმძღვანელთა აზრით, უშუალოდ ვის უნდა ემუშავა პროფაილინგის მეთოდიკით (სუს-ის თანამშრომლები,

შსს- წარმომადგენლები ან სხვა, სპეციალურად მომზადებული პირები). პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 67% თვლის, რომ პროფაილერები უნდა შეირჩნენ სუს-ის თანამშრომელთა კონტინგენტიდან, 29,8% - სპეციალურად მომზადებული პირებისგან, 2,2% - შსს-ს წარმომადგენლებისგან. მნიშვნელოვან მახასიათებელს, უდაოდ, წარმოადგენდა განათლების დონე, რომელიც აუცილებელია პროფაილერის სახით მუშაობისთვის. გამოკითხულთა აზრით, 60,9% თვლის, რომ პროფაილერს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, 27,5% თვლის, რომ საკმარისია საშუალო განათლება.

ანკეტის მონაწილეთა პასუხები პროფაილერის ასაკობრივი მახასიათებლების შესახებ ადასტურებს იმას, რომ პროფაილერის მუშაობა მოითხოვს ცხოვრებისეულ და პროფესიულ გამოცდილებას. მოცემული აზრი სრულიად ლოგიკურია, რამდენადაც პროფესიული გამოცდილების არსებობა უსაფრთხოების თანამშრომელში საშუალებას იძლევა უფრო სწრაფად და მკაფიოდ მოხდეს გარე ფაქტორების დიაგნოსტირება, რომლებიც მიუთითებენ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების მომზადებაზე. გამოცდილებასთან ერთად მოდის ინტუიცია მუშაობაში, რაც უზრუნველყოფს ყველაზე სწორი გადაწყვეტილების არჩევას რაიმე სახის არაერთმნიშვნელოვან (შესაძლოა, კრიტიკულ) სიტუაციაში. დაკვირვების დროს პროფესიული გამოცდილების არსებობა ხელს უწყობს გარემოს სინამდვილის აღქმისა და შეფასების მაღალ ადექვატურობას. როგორც, ეტალონური ასაკი პროფაილერის სახით მუშაობისთვის გამოკითხულთა 56% აღნიშნა ასაკობრივი შუალედი 30-40 წელი.

გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, სქესობრივი კუთვნილება პროფაილერისთვის მნიშვნელობის მქონე არაა, ამას ადსტურებს 87,3%.

იმისათვის, რომ წარმოგვედგინა, პიროვნების რა თვისებები არის პროფესიულად მნიშვნელოვანი პროფაილერის მუშაობისთვის, ანკეტაში შესაფასებლად წარმოდგენილია ათი მახასიათებელი ოთხქულიანი სისტემით (1 - სრულიად აუცილებელია, 2 - საკმაოდ სასურველია, 3- სასურველია, 4- სულერთია; თითოეული თვისება უნდა შეფასებულიყო ერთიდან ოთხამდე ქულით). მოცემულ შემთხვევაში, გამოკითხულები გამოდიოდნენ, როგორც ექპსერტები, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე განესაზღვრათ „იდეალურ“

პროფაილერში თითოეული თვისების არსებობის აუცილებლობა და გამოხატულების ხარისხი. შედეგების დამუშავებამ (თითოეულ თვისებაზე დასმული ქულის დაჯამება) გვიჩვენა, რომ სუს-ის ხელმძღვანელთა აზრით, პროფაილერის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს:

1. დაკვირვებულობა - 49 ქულა;
2. კომუნიკაბელურობა - 56 ქულა;
3. აღქმის სიზუსტე (მოძრაობის, ფორმის, ტექსტის აღქმა; მხედველობითი და სმენითი აღქმა) -58 ქულა;
4. პატიოსნება და დადებითი მოტივაცია პროფესიული საქმიანობის მიმართ - 71 ქულა;
5. სტრესმედეგობა - 73 ქულა.

ნაკლებად მნიშვნელოვანი თვისებები პროფაილერის სამუშაოსთვის გამოკითხვის მონაწილეებმა დაინახეს ისეთ თვისებაში, როგორიცაა „მიდრეკილება რისკის მიმართ“ -121 ქულა.

ანკეტაში ასევე შემოთავაზებული იყო პიროვნების იმ თვისებების აღნიშვნა, რომლებიც შეიძლება აუცილებელი ყოფოლიყო პროფაილერის ეფექტური მუშაობისთვის (შემოთავაზებულ ჩამონათვალში) ან ჩამონათვალში არსებული თვისებების დამატება. მიღებული პასუხების ანალიზმა აჩვენა, რომ ჩვენი ექსპერტთა ჯგუფის თვალსაზრისით, პროფაილერისთვის ასევე მნიშვნელოვანია თანამოსაუბრის კეთილად განწყობის უნარი, ასევე კარგი და გამართული მეტყველება, რაც წარმოადგენს კომუნიკაციურობის ელემენტებს. პროფაილერი, სუს-ის ხელმძღვანელთა აზრით, ასევე უნდა ფლობდეს მაღალ პროფესიონალიზმს, იყოს ფხიზელი, ჰქონდეს აუცილებელი სპეციალური ცოდნა, მაღალი ინტელექტი და ფართო თვალთახედვა. ხაზგასმული იყო უცხო ენების (სასაუბრო დონე) სასურველი ცოდნა და ასევე სამგზავრო დოკუმენტების კარგი ცოდნა და მათთან მუშაობის უნარი. ანკეტებში აღნიშნული იყო, რომ პროფაილერის მუშაობაში ძალიან გამოსადეგია კარგად განვითარებული ინტუიცია და ანალიტიკური აზროვნება, მიდრეკილება ადამიანის ქცევის, განსაკუთრებით მისი მოტივაციური შემადგენელის ანალიზის მიმართ. გამოიყო პიროვნების ისეთი თვისებები, რომელიც აუცილებელია მოცემული სპეციალობისთვის, კერძოდ, პატიოსნება, გულმოდგინეობა,

პატრიოტიზმი, პასუხისმგებლობა, დისციპლინირებულობა და საკუთარი თავის რწმენა.

ანკეტირების მიღებული შედეგების განზოგადებისას, შეიძლება აღვწეროთ პროფაილერისადმი წაყენებული ძირითადი პროფესიული მოთხოვნები:

1. კანდიდატების შერჩევა უნდა ჩატარდეს სუს-ის სამუშაო გამოცდილების მქონე 30-40 წლის ასაკის თანამშრომლებს შორის, რომელთაც სასურველია ჰქონდეთ უმაღლესი განათლება.
2. ჰქონდეს სპეციალური განათლება სამგზავრო დოკუმენტების და საჰაერო რეგულაციების შესახებ.
3. ეს უნდა იყოს მომწიფებული სოციალურად ადეკვატური ადამიანი, შესასრულებელ სამუშაოზე კარგად განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობით.
4. პროფაილერს უნდა ჰქონდეს კომუნიკაციური ჩვევები, იყოს დაკვირვებული, ჰქონდეს ემოციური სიმტკიცე, შეეძლოს კარგად აკონტროლოს თავისი ქცევა გარშემომყოფებთან მიმართებაში.

რამდენადაც, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა „დაკვირვებულობა“ და „კომუნიკაბელურობა“ ლიდერეობენ, მოცემული თვისებები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საბაზო საქმიანობის წარმატების თვალსაზრისით. პროფაილერის ეფექტური საქმიანობისთვის აუცილებელი თვისებების განხილვისას, მოცემული საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დადებითი პროფესიული მოტივაცია.

საქმიანობისადმი მოტივაციის ცნობილი ფაქტორების გათვალისწინებისას, როგორიცაა მატერიალური უზრუნველყოფის მოთხოვნა, კმაყოფილება შესასრულებელი სამუშაოსგან, თვითდამკვიდრების მოთხოვნა, სოციალური დაცულობა და ა.შ. აუცილებელია განსაკუთრებით გამოიყოს თანამშრომლის სწრაფვა იმუშაოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში და შეიტანოს თავისი წვლილი დანაშაულთან და ტერორიზმთან ბრძოლის საერთო საქმეში. ეს ფაქტორი შეიძლება განვიხილოთ, როგორც წამყვანი მოცემული საქმიანობის ეფექტურობის თვალსაზრისით. ასეთი სახის მოტივაცია განაპირობებს ინტერესს პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის პროცესის მიმართ და შესაბამისად, მაღალ შედეგებს

პროფაილინგის ჩატარებაში. დადებითი მოტივაცია საქმიანობის მიმართ იქნება საფუძველი უსაფრთხოების თანამშრომელში პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებების, მაგალითად, დაკვირვებულობის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის.

სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობაზე მოტივაციის გავლენის კვლევის მიზნით ჩატარდა ემპირიული კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სუს-ის 39 თანამშრომელმა, რომელთაგან 33 წარმოადგენდა შემოწმების ინსპექტორს, ხოლო 6 სუს-ის ხელმძღვანელ შემადგენლობას შეადგენდა და ისინი გამოდიოდნენ ექსპერტების სახით. პროფესიული მოტივაცია შეისწავლებოდა შემუშავებული ანკეტის (დანართი 5) მეშვეობით. საქმიანობის ეფექტურობა ფასდებოდა გამოვლენილი კრიტერიუმების მიხედვით ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე (დანართი 2). კავშირის ხასიათის ანალიზისთვის გამოიყენებოდა კორელაციური ანალიზი.

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ პროფესიული მოტივაციის ისეთი ფაქტორი, როგორიცაა „მატერიალური უზრუნველყოფა“ დადებითად კორელირებს ორ სხვა ფაქტორთან -„სოციალური დაცულობა“ და „სოციალური სტატუსი“ და პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის ისეთ კრიტერიუმთან, როგორიცაა „უკონფლიქტობის დონე მგზავრებთან/სტუმრებთან მუშაობის დროს“. ფაქტორის „გუნდში მუშაობა“ მნიშვნელობა დადებითად კორელირებს ფაქტორთან „სოციალური სტატუსი“ და უკონფლიქტობის დონესთან მგზავრებთან/სტუმრებთან მუშაობის დროს.

ფაქტორის „მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ მნიშვნელობა დადებითად კორელირებს ფაქტორთან კმაყოფილება შესასრულებელი სამუშაოსგან და ისეთ კრიტერიუმებთან, როგორიცაა „გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე მგზავრის/სტუმრის პოტენციურ საფრთხესთან დაკავშირებით“, „ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის სისრულე“, „უკონფლიქტობის დონე მგზავრებთან/სტუმრებთან მუშაობის დროს“, „რთული სიტუაციების გადაჭრის სისწრაფე მგზავრებთან/სტუმრებთან მუშაობის დროს“ და „ნიშნების იდენტიფიკაციის სიზუსტე შემოწმების წარმოებისას“ და ასევე კრიტერიუმთან „პსპ-ების ინდეტიფიკაციის სიზუსტე გამოვლენილ გარე ნიშნებთან დაკავშირებით“.

„თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის“ ფაქტორი დადებითად კორელირებს ფაქტორთან „კმაყოფილება შესასრულებელი სამუშაოსგან“. „სოციალური დაცულობის“ ფაქტორი დადებითად კორელირებს ფაქტორთან „სოციალური სტატუსი“ და კრიტერიუმთან „გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე მგზავრის/სტუმრის პოტენციურ საფრთხესთან დაკავშირებით“.

კორელაციური ანალიზის შედეგები ადასტურებენ მოტივაციური ფაქტორის - „მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ - პროფესიულ მნიშვნელობას. ამ ფაქტორს გააჩნია მნიშვნელოვანი კავშირი პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის 6 კრიტერიუმთან, რაც შეადგენს ყველა შეფასებითი კრიტერიუმის დაახლოებით 85%. პროფესიული საქმიანობის კრიტერიუმებს შორის მნიშვნელოვანი დადებითი ურთიერთკავშირის არსებობა შეიძლება აიხსნას, როგორც ცოდნის, უნარების, ჩვევების, ასევე პროფესიულად მნიშვნელოვანი იმ თვისებების სიახლოვითა და ურთიერთკავშირით, რომლებიც განსაზღვრავენ საქმიანობის ცალკეული შემადგენლების ეფექტურობას და შესაბამისად, მოცემული კრიტერიუმების გამოხატულებას.

3.4 რეკომენდაციები საავიაციო უსაფრთხოების სისტემაში დასაქმებულ პირთა კომპეტენციის ასამაღლებლად;

წარმოდგენილი მოდელის, პროფაილერის საქმიანობისა და გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ასევე გამოიყო ის საბაზო ცოდნა, უნარები, ჩვევები, რომელიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობისთვის შესაბამისად ორიენტირებული ტექნოლოგიების მეშვეობით პსპ-ების გამოვლენისთვის:

- პროფაილინგის ძირითადი თეორიული საკითხების ცოდნა;
- საავიაციო უშიშროების ნაციონალური/საერთაშორისო წესებისა და საავიაციო უშიშროების სტანდარტული პროცედურების ცოდნა;
- მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობების გარკვეული დონის არსებობა;
- სამგზავრო დოკუმენტების ცოდნა და მათი შემოწმების მეთოდიკის ფლობა;

- აკრძალული და საშიში საგნების ჩამონათვალის ცოდნა;
- პირადი (ინდივიდუალური) შემოწმების ჩატარების უნარი.

პროფაილინგის ჩასატარებლად სუს-ის თანამშრომელი უნდა ფლობდეს მოცემული პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ სპეციალურ ცოდნას. ასეთ ცოდნას შეიძლება განვაკუთვნოთ:

- თვითმკვლელი-ტერორისტის ემოციური მდგომარეობის თავისებურებები სუიციდური ტერაქტის განხორციელების წინ;
- სიცრუისა და ტყუილის ტექნიკა (სიცრუისა და ტყუილის გარე ნიშნები, ტყუილის გამოვლენის მეთოდები, ტყუილის განსაზღვრისადმი ადამიანის უნარი);
- ადამიანის მდგომარეობები, რაც მიუთითებს მართლსაწინააღმდეგო განზრახვის შესაძლო არსებობაზე (სტრესი, შიში, შფოთვა);
- კომუნიკაციური ხერხები და ტექნიკა;
- დაკვირვებულობის ამაღლების ხერხები;
- თვითრეგულაციის პრინციპები.

განხილული პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებები და ცოდნის, უნარებისა და ჩვევების კომპლექსი წარმოადგენს პსპ-ების გამოვლენის ეფექტურობის მნიშვნელოვან პირობებს ნებისმიერი შესაბამისად ორიენტირებული ტექნოლოგიების მეშვეობით, რამდენადაც ისინი გამოყოფილია პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის სპეციფიკის გათვალისწინებით. ეს ეხება ტექნოლოგიასაც „პროფაილინგი“ და ჩვენს მიერ შემუშავებული კომპლექსური ანალიზის ტექნოლოგიას, რომელიც აქცენტს აკეთებს გარე ნიშნებზე და მოიცავს დაკვირვებას, გამოკითხვას (საუბარს) და შინაგანი მდგომარეობის თვითმონიტორინგს მათი გამოვლენის ძირითადი ხერხების სახით.

სუს-ის თანამშრომლების პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებების განხილვის დროს ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ შესაბამისი სააგენტოების (სამინისტრო), სამოქალაქო ავიაციის დოკუმენტებში მოყვანილი მოთხოვნები სუს-ის თანამშრომლის მიმართ, რომლებიც გამოიყოფიან ამ თანამდებობაზე შერჩევისთვის. ასე, მაგალითად, გამოიყოფა ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა ასაკი არანაკლებ 18

წელი, მოქალაქეობის არსებობა, ნასამართლეობის და ნერვულ-ფსიქიკური დაავადებების უქონლობა და ა.შ[55].

კვლევის ფარგლებში ჩატარებული საქმიანობის ანალიზისა და საექსპერტო გამოკითხვის შედეგების თვალსაზრისით, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა პროფესიული გამოცდილების, საქმიანობისადმი დადებითი მოტივაციის და აუცილებელი პროფესიული ცოდნის არსებობა, მოცემული საქმიანობისთვის სავალდებულო ჩვევებისა და უნარების ჩამოყალიბება. ამასთან, აუცილებელია გავითვალისწინოთ ყველა ამ კატეგორიის სტრუქტურული ურთიერთკავშირი, რომლებიც შეადგენენ უწყვეტ ერთიანობას სუს-ის საქმიანობის შედეგიანობის კუთხით. ასე, მაგალითად, საქმიანობისადმი დაბალი მოტივაციის დროს შეუძლებელია დაფარული ინფორმაციის ეფექტური გამოვლენა ურთიერთობის ყველაზე თანამედროვე ტექნიკის აქტიური გამოყენების დროს.

1.5 მეთოდური რეკომენდაციები, ადამიანური ფაქტორების გათვალისწინებით უსაფრთხოების მართვის სისტემის საიმედოობის, ეფექტურობის და ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის წინააღმდეგ დროული რეაგირებისათვის;

საქმიანობის სუბიექტის გამოყოფილი თვისებებისა და მოთხოვნილი ცოდნის, უნარებისა და ჩვევების კომპლექსის პროფესიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომლებიც შეადგენენ პსპ-ებს გამოვლენის თაობაზე პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის მნიშვნელოვან პირობას, აუცილებელია ორი ძირითადი მიმართულების რეალიზაცია :

1. მოცემული თვისებების დიაგნოსტიკა სუს-ის თანამშრომლებსა და კანდიდატებში;
2. მოთხოვნილი თვისებების, ასევე ცოდნის, უნარებისა და ჩვევების მიზანმიმართული ფორმირება და განვითარება სუს-ის თანამშრომლებში.

[55] ტექნიკური რეგლამენტის „სამოქალაქო ავიაციის საავიაციო უშიშროების უზრუნველმყოფი პერსონალის შერჩევის, მიღების, მომზადების და სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების თაობაზე.

ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი მეთოდიკა, ტესტები და ასევე სავარჯიშოები, ტრენინგები და როლური თამაშები, მათ შორის, ჩემს მიერ სწავლების პროგრამაში წარმოდგენილი პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგია, რომელიც განხილული იყო მოცემული ნაშრომის პარაგრაფში 3.2. ცალკე, როგორც ეფექტური საქმიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორი, აუცილებელია გამოიყოს პროფესიული საქმიანობისადმი დადებითი მოტივაციის უზრუნველყოფის სამუშაოს გამოყოფა სუს-ის თანამშრომელში. მისი დონე უნდა იქნეს დიაგნოსტირებული სამუშაოზე აყვანის დროს და მუდმივად უნდა იყოს მონიტორინგის ქვეშ თანამშრომელთა ყოველდღიური საქმიანობის პროცესში. გარდა ამისა, აუცილებელია მისი ჩამოყალიბება და გაძლიერება, როგორც შრომითი მოტივაციის მოფიქრებული სისტემის ხარჯზე, რაც მოიცავს მატერიალურ და არამატერიალურ ასპექტებს - რაც რეალიზებულია მომზადების (გადამზადების) ფარგლებში - ფაქტიური მასალის დემონსტრაცია ჩატარებული ტერაქტების შესახებ, ფოტოსურათები, კინოფილები, მასალის ემოციური მიწოდება, აქცენტები გადმოსაცემ მასალაზე და ა.შ.

ამდენად, ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ჰიპოთეზა მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისადმი მოტივაციის დადებით გავლენის თაობაზე სუს-ის თანამშრომელთა პროფესიული საქმიანობის ეფექტურობაზე, დადასტურებულია. კვლევის შედეგად გამოიყო სუს-ის თანამშრომელთა პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებები და ასევე ცოდნის, უნარებისა და ჩვევების ერთობლიობა, რაც განპიორბებულია პსპ-ების გამოვლენის შესაბამისი ორიენტირებული ტექნოლოგიების სპეციფიკით. რამდენადაც საქმიანობის სუბიექტის მოცემული თვისებები და აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ჩვევების ერთობლიობა, გამოდის პსპ-ების გამოვლენის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის მნიშვნელოვან პირობად, აუცილებელია მათი დიაგნოსტირება და განვითარება სუს-ის თანამშრომლებსა და კანდიდატებში.

III თავის დასკვნითი ნაწილი

მესამე თავში წარმოდგენილი კვლევების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. პსპ-ების გამოვლენის შემუშავებული ტექნოლოგია წარმოადგენს პსპ-ების სხვადასხვა პროფილის თავისებურებების კომპლექსს და შემოწმების პროცედურების ტექნოლოგიურ სპეციფიკას, ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობას, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს სამოქალაქო ავიაციის მგზავრებისა და სტუმრების უკანონო ჩარევის აქტთან შესაძლო კავშირის იდენტიფიკაცია. ლოგიკური თანამიმდევრობა, რელიზებული ტექნოლოგიაში, მოიცავს ნიშნების ფიქსაციას, მათ ანალიზს, პსპ-ების პროფილისა და უჩა-ს საფრთხეების სახის განსაზღვრას, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს მისი თავიდან აცილება. პროფაილინგის ტექნოლოგიის გამოყენება ხელს უწყობს სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის თაობაზე სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე. სუს-ის თანამშრომლებისთვის პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიის სწვალების საშუალების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემუშავებული სასწავლო პროგრამა.
2. პსპ-ების სხვადასხვა პროფილის გამოვლენის სპეციფიკა განსაზღვრავს პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებების და ასევე ცოდნის, უნარებისა და ჩვევების ერთობლიობას, რაც აუცილებელია სუს-ის თანამშრომლებისთვის შესაბამისად ორიენტირებული ტექნოლოგიების მეშვეობით პსპ-ების გამოსავლენად. საბაზო, პროფესიულად მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს „დაკვირვებულობა“ და „კომუნიკაბელურობა“, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან გამოყენებულ მეთოდებს და ასევე „ემოციური სიმტკიცე“ და „ნებელობითი თვისებები“, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითკონტროლსა და კოგნიტური პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას დაძაბული, ინტენსიური საქმიანობისა და ზეწოლის პირობებში. სუს-ის თანამშრომლების საქმიანობის სპეციფიკა ასევე განაპირობებს საქმიანობისადმი გამოხატული დადებითი მოტივაციის, კერძოდ, თანამშრომლის სურვილის არსებობის აუცილებლობას,

იმუშაოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში და შეიტანოს თავისი წვლილი დამნაშავეობასთან და ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში.

3. რამდენადაც, პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებები და ასევე ცოდნა, უნარები და ჩვევები გამოდიან სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის პირობებად შესაბამისად ორიენტირებული ტექნოლოგიების გამოყენების დროს, აუცილებელია მოხდეს მათი დიაგნოსტირება და განვითარება. ამისათვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს კვლევისას შემუშავებული სუს-ის თანამშრომლის-პროფაილერის შესაბამისი მეთოდები, მეთოდიკა და სავარჯიშოები, მათ შორის შემუშავებულ სასწავლო პროგრამაში შემოთავაზებულებიც.

საბოლოო დასკვნა

პოტენციურად საშიში პირების გამოვლენა წარმოადგენს სუს-ის თანამშრომლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე უკანონო ჩარევის აქტების თავიდან აცილების კუთხით. ამჟამად, პოტენციურად საშიში პირების გამოვლენის მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, მათი უპირატესობების მიუხედავად, გააჩნია რიგი შეზღუდვა, მათ შორის, განპირობებული პსპ-ების სხვადასხვა პროფილის გამოვლენის თავისებურებების არასაკმარისი გათვალისწინებულობით.

რამდენადაც პსპ-ების გამოვლენა ხორციელდება მათი ინდიკატორების გამოვლენის საფუძველზე, რაც გამოდის სუს-ის საქმიანობის ძირითად საგნად, გამოვლენის თავისებურებები პირველ რიგში განისაზღვრება პსპ-ების სხვადასხვა პროფილის ნიშნებით. ნიშნების ერთობლიობას შორის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია არავერბალურ ნიშნებს, რომლებიც წარმოადგენენ პსპ-ების ქცევისა და ემოციური მდგომარეობების თავისებურებების შედეგს. შესაბამისად, პსპ-ების გამოვლენის ეფექტურობის ასამაღლებად, პირველ რიგში, აუცილებელია ამ ნიშნების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, რომელიც ეფუძნება პსპ-ების სხვადასხვა პროფილში მათი წარმოქმნის მიზეზებისა და თავისებურებების ანალიზს.

კვლევის მიდგომის ფარგლებში, რომელიც ეფუძნება მართლსაწინააღმდეგო საქმიანობასთან დაკავშირებული ადამიანის აქტიურობის კანონზომიერებების ანალიზს[56], მოცემული ნიშნები მთლიანობაში დეტერმინირებულია უჩა-ს ხასიათით, როგორც მართლსაწინააღმდეგო მოქმედების მიზნით და უჩა-ს მომზადებასა და განხორციელებაში ადამიანის ჩართულობის ხასიათით.

[56] https://www.iata.org/contentassets/3f795c1a0459484183b1231eb59ffaf1/harmonized_taxonomy.pdf

მოცემული მიდგომის რეალიზაციამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო პსპ-ების სხვადასხვა პროფილის ნიშნების სისტემა, რომელიც წარმოდგენილია ინტეგრალურ მახასიათებელში „პოტენციურად საშიში პირის პროფილი“. პსპ-ების პროფილი წარმოადგენს სხვა და სხვა კანონზომიერებებით განპირობებულ პირთა ქცევისა და ემოციური მდგომარეობის შესაძლო მოდელს, რაც გარკვეული სახით ჩართულია უჩა-ს მომზადებაში ან განხორციელებაში, რომელიც მოიცავს შესაბამისი ნიშნების სისტემას. პსპ-ების პროფილების კლასიფიკაციის ბაზაზე შემუშავებული „პროფაილინგის“ ტექნოლოგია, პროფილები „გულუბრყვილო ტერორისტი“, „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“, „ყალბი ტერორისტი“, „ტერორისტი (არასუიციდური), „სუიციდური ტერორისტი“, აღწერენ რა ქცევისა და ემოციური მდგომარეობის კანონზომიერებებს და ასევე თითოეული პროფილის ნიშნების სისტემას, არსებითად აფართოებენ და სისტემატიზირებას უწევენ წარმოდგენებს პსპ-ების თავისებურებებისა და ნიშნების შესახებ, რაც სუს-ის თანამშრომლებს საშუალებას აძლევს გათვალისწინებულ იქნეს მათი გამოვლენის თავისებურებები კონტროლისა და შემოწმების ღონისძიებების დროს.

სუს-ის თანამშრომლების მიერ ინდიკატორების საფუძველზე პსპ-ების სხვადასხვა პროფილის გამოვლენის თეორიული მოდელი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ ქვესისტემას, რომელიც ინტეგრირებას უწევს ნიშნების წარმოქმნისა და მათი გამოვლენის პროცესს და ასევე მოიცავს ეფექტურობის პირობებს. მოდელის ზოგადი ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ პსპ-ების გამოვლენა ხდება ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის პროცესის საფუძველზე, რომლის საფუძველშიც დევს მათი წარმოქმნის თავისებურებები პსპ-ების სხვადასხვა პროფილში.

გამოყენებული მიდგომის, თეორიული მოდელის სტრუქტურისა და ლოგიკის საფუძველზე სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების გამოვლენა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია სამოქალაქო ავიაციის ობიექტების მგზავრებისა და სტუმრების ემოციური და ქცევითი რეაქციების ფიქსაციასა და სისტემურ ანალიზზე იმ ნიშნების იდენტიფიკაციის მიზნით, რომლებიც ადასტურებენ უჩა-ს სხვადასხვა სახესთან შესაძლო კავშირს. შესაბამისად, პსპ-ების სხვადასხვა პროფილის გამოვლენის თავისებურებები წარმოადგენს სუს-ის თანამშრომლების კოგნიტური

მოქმედებების სპეციფიკას სამოქალაქო ავიაციის ობიექტების სტუმრებსა და მგზავრებში ქცევითი და ემოციური რეაქციების ელემენტების გამოვლენისა და ანალიზის თაობაზე, მათი თავისებურებებისა და შემოწმების პროცედურის სიტუაციის გათვალისწინებით.

ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სუს-ის თანამშრომლების წარმოდგენა პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ დადებით გავლენას ახდენს მათი პროფესიული საქმიანობის ეფექტურობაზე. თავად, სუს-ის თანამშრომლები ასევე მაღალ შეფასებას აძლევენ პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების მნიშვნელობას, მაგრამ მათი წარმოდგენები ამ თავისებურებების შესახებ მთლიანობაში ატარებს გამარტივებულ, არასისტემურ და სტერეოტიპულ ხასიათს. მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად სუს-ის თანამშრომლებს სჭირდებათ გამოყენებითი ცოდნა პსპ-ების გამოვლენის თავისებურებების შესახებ, რაც მოიცავს წარმოდგენებს პსპ-ების ნიშნების გენეზისისა და სისტემის შესახებ და ასევე მასზე დაფუძნებული ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პსპ-ების გამოვლენის თავისებურებებსა და სუს-ის საქმიანობის სპეციფიკას.

პსპ-ების გამოვლენის არსებით თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ პსპ-ების გამოვლენის ღონისძიებების დაგეგმვისა და რეალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს უჩა-ს ყველაზე საშიში სახეების თავიდან აცილების პრიორიტეტულობა, პროფილების გამოვლენადობა და ასევე ნიშნების ინფორმატიულობა და მნიშვნელობა.

ემპირიული კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სუს-ის საქმიანობაში პრიორიტეტების რეალიზაცია შეიძლება ეფუძნებოდეს პსპ-ების სხვადასხვა პროფილების არსებულ კავშირს უჩა-ს საფრთხეების განსხვავებულ სახესთან, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ უჩა-ს გარკვეული სახეები ხორციელდება პსპ-ების გარკვეული პროფილების მიერ. ამასთან დაკავშირებით, პსპ-ების პროფილების საკვანძო ნიშნების გამოვლენა, რომელიც წარმოადგენს უჩა-ს ყველაზე საშიში სახეების შესაძლო შემსრულებლებს, გამოდის საფუძველს პრიორიტეტების დასალაგებლად სუს-ის საქმიანობაში სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დროს.

პსპ-ების პროფილების გამოვლენადობა წარმოადგენს პსპ-ების გარკვეული პროფილის გამოვლენის შესაძლებლობას (სიმარტივეს ან სირთულეს) შემოწმების პროცედურების ფარგლებში, პროფილის მახასიათებლების სპეციფიკური შერწყმის გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრავენ ფსიქიკური აქტიურობის კანონზომიერებებს და შესაბამისად ნიშნების სისტემას. გამოვლენადს მათი თავისებურებებისა და შემოწმების პროცედურების სპეციფიკის ძალით განეკუთვნება პროფილები „არასუიციდური ტერორისტი“, „ყალბი ტერორისტი“, „ნაწილობრივ გულუბრყვილო ტერორისტი“ და „სუიციდური ტერორისტი“. პროფილი „გულუბრყვილო ტერორისტი“ ნიშნების სუსტი გამოხატულების ან შესაძლო არარსებოს გათვალისწინებით, რთულად გამოვლენადს წარმოადგენს და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას სუს-ის თანამშრომლების მხრიდან.

ნიშნის ინფორმატიულობა ასახავს მასში შემავალი ინფორმაციის ხარისხს უჩა-თან მგზავრის/სტუმრის შესაძლო კავშირის თაობაზე, ხოლო მნიშვნელობა - ნიშნის მნიშვნელოვნობას უჩა-ს საშიშროების სხვადასხვა ხარისხის საფრთხის თავიდან აცილების თვალსაზრისით. სუს-ის თანამშრომლების მიერ პსპ-ების გამოვლენის დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ნიშნების მოცემული თვისებები, უპირატესობა ენიჭება რა მათ მნიშვნელობას და ასევე ადეკვატური წარმოდგენების ქონას პსპ-ების პროფილების ნიშნების სისტემისა და მათი ინფორმატიულობის შესახებ.

პსპ-ების ყველაზე საშიშ პროფილს წარმოადგენს პროფილი „სუიციდური ტერორისტი“. სუიციდური ტერორისტების გამოვლენის თავისებურებები, პირველ რიგში, უკავშირდება მათი პროფილის სპეციფიკას და საშიშროების მაღალ ხარისხს, რაც განპიორბებულია თავის აფეთქების შესაძლებლობით აღმოჩენის პროცესში და შედეგად.

თვითმკვლელი-ტერორისტის პროფილი მიზანშეწონილია განხილულ იქნეს ისეთი ფაქტორების საფუძველზე, როგორიცაა ფორმალურ-ბიოგრაფიული მახასიათებლები, სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები, მოტივაციის თავისებურებები, ტერორისტულ საქმიანობაში ჩართვის ხერხები, მომავალი თვითმკვლელის მომზადების მეთოდები და ხარისხი. მოცემული ფაქტორების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიყოს პროფილის რიგი თავისებურება და

შესაბამისად, შესაძლო ნიშნების სისტემა, რაც მოიცავს თვითმკვლელი-ტერორისტის მომზადების დონით განპირობებული ფსიქიკური მდგომარეობების კომპლექსებს.

მოცემული პროფილის გამოვლენის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ნიშნების გამოვლენის მოქმედებები საფრთხის დამტკიცების შემთხვევაში, მომენტალურად უნდა გადავიდეს ტერაქტის (თავის აფეთქების) თავიდან აცილების მოქმედებებში. ამას ხელს უწყობს სუს-ის თანამშრომლების მზადყოფნა და ნაშრომში ჩამოყალიბებული პრინციპების რეალიზაცია.

კვლევის ფარგლებში შემუშავებული პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგია შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პსპ-ების სხვადასხვა ტიპის თავისებურების გამთვალისწინებელი ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის ხერხების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს უჩა-თან სამოქალაქო ავიაციის ობიექტების მგზავრებისა და სტუმრების შესაძლო კავშირის იდენტიფიკაცია. აქედან გამომდინარე, ტექნოლოგიის ორ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ნიშნების გამოვლენისა და ანალიზის ხერხები. მოცემული ხერხები ეფუძნებიან პსპ-ების პროფილების მახასიათებლებს, რომლებიც ასახავენ პსპ-ების თავისებურებების სისტემას, ითვალისწინებენ შემოწმების პროცედურების ტექნოლოგიურ სპეციფიკას და სუს-ის თანამშრომლების პროფესიულ საქმიანობას და მათი რეალიზება ხდება ურთიერთდაკავშირებულად.

სუს-ის თანამშრომლები, ტექნოლოგიის ფარგლებში, დაკვირვების, საუბრისა და შინაგანი მდგომარეობის თვითმონიტორინგის მეთოდების მეშვეობით აფიქსირებენ პსპ-ების სახასიათო ვერბალურ და არავერბალურ ნიშნებს მგზავრებში/სტუმრებში, ანალიზს უკეთებენ მათ და ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, აყენებენ ჰიპოთეზებს პსპ-ის გარკვეული პროფილისადმი კონკრეტული მგზავრის/სტუმრის კუთვნილების შესახებ. მოცემული ვარაუდი მოწმდება დამატებითი ნიშნების გამოვლენის და ასევე ზედაპირული ნიშნების სხვა საეჭვო ნიშნებთან შეჯერების გზით, რაც იძლევა საშუალებას ან დადასტურდეს საწყისი ვარაუდი და განისაზღვროს პსპ-ის პროფილი და უჩა-ს საფრთხე ან მოხდეს მისი უარყოფა.

ფორმირებული ექსპერიმენტის შედეგები ადასტურებენ წარმოდგენილი ტექნოლოგიის ეფექტურობას და ასევე მოცემული ტექნოლოგიის გამოყენების

შესაძლებლობას სუს-ის თანამშრომლებისთვის შემუშავებული სასწავლო პროგრამის სწავლებისთვის, მათ შორის, მათთვის, ვისაც არა აქვს სპეციალური განათლება. მოცემულ ტექნოლოგიაში რეალიზებული მიდგომის გათვალისწინებით, ის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა სუბიექტების მიერ, მათ შორის, ძალოვანი სტრუქტურების და ავიასაწარმოების (ავიაგადამზიდი და სხვა) მიერ ანალოგიური ამოცანების ეფექტური გადაწყვეტისთვის ნებისმიერ ობიექტზე ადამიანების დიდი ნაკადით და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების რისკით.

პსპ-ების სხვადასხვა პროფილის გამოვლენის თავისებურებები განსაზღვრავენ მოთხოვნებს სუს-ის თანამშრომლების სხვადასხვა სპეციალური კომპონენტების ელემენტებისა და პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებების მიმართ, რომლებიც გამოდიან სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის პირობებად ორიენტირებული ტექნოლოგიების გამოყენების დროს. საბაზო, პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებების სახით გამოდის ისეთი თვისებები, როგორიცაა „დაკვირვებულობა“ და „კომუნიკაბელურობა“, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან გამოყენებულ მეთოდებს და ასევე ემოციური მდგრადობა და ნებელობითი თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითკონტროლსა და კოგნიტური პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას დაძაბული, ინტენსიური საქმიანობისა და შესაბამისი ზეწოლის პირობებში.

სუს-ის თანამშრომლების საქმიანობის სპეციფიკა ასევე განაპირობებს საქმიანობისადმი გამოხატული დადებითი მოტივაციის, კერძოდ, თანამშრომლის სურვილის არსებობის აუცილებლობაში იმუშაოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში და შეიტანოს მისი წვლილი დამნაშავეობასთან და ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში. სუს-ის თანამშრომლების კომპეტენტურობა მოიცავს გამოყენებითი ზოგადი და სპეციალური ცოდნის, უნარებისა და ჩვევების კომპლექსს, რაც აუცილებელია პსპ-ების გამოსავლენად პროფილების თავისებურებებისა და შემოწმების პროცედურების სპეციფიკის გათვალისწინებით. პსპ-ების გამოვლენის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის მიზნით მოცემული თვისებები და ასევე კომპეტენტურობის ელემენტები სუს-ის თანამშრომლებში აუცილებელია დიაგნოსტირებულ და განვითარებულ იქნეს, რაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც

სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე პსპ-ების გამოვლენის საქმიანობისადმი სუს-ის თანამშრომლების მზადყოფნის ჩამოყალიბების ელემენტებად.

ამდენად, ჩატარებული კვლევა ადასტურებს წამოყენებულ ჰიპოთეზებს, საკვლევი ამოცანების დაყენების სისწორეს და დასაცავად გამოტანილი დებულებების დასაბუთებას. კვლევაში, პსპ-ების პროფილებს, მათ ნიშნებსა და უჩა-ს საფრთხის სახეებს შორის კავშირების ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია პსპ-ების სხვადასხვა პროფილის გამოვლენის თავისებურებები, რამაც მოგვცა საშუალება გამოგვევლინა სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების შესაძლებლობა.

რეკომენდაციები სადისერტაციო კვლევის შედეგების გამოყენების თაობაზე:

1. სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისთვის შემოწმების პროცესში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს პსპ-ების გამოვლენის შემუშავებული ტექნოლოგია.
2. საავიაციო უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით სუს-ის ხელმძღვანელობამ და სამოქალაქო ავიაციის ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილე სხვა სტრუქტურების თანამშრომლებმა უნდა განახორციელონ სამოქალაქო ავიაციის ობიექტებზე აქტუალური და პოტენციურად შესაძლო საფრთხის პრაქტიკული ანალიზი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება პსპ-ების პროფილების შემუშავება.
3. სუს-ის თანამშრომლების სწავლებისთვის, მათ შორის, მათთვის, ვისაც არ გააჩნია სპეციალური განათლება პსპ-ების გამოვლენის ტექნოლოგიის მიმართულებით, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ კვლევის ფარგლებში შემუშავებული სასწავლო პროგრამა.
4. სუს-ის თანამშრომლების პროფესიული შერჩევის პროცესში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს გამოყოფილი პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებები,

რომლებიც განპირობებულია პსპ-ების გამოვლენის ორიენტირებული ტექნოლოგიის სპეციფიკით.

5. სუს-ის ხელმძღვანელმა შემადგენლობამ მიზანშეწონილია შეიმუშაოს თანამშრომელთა სტიმულირების სისტემის ვარიანტები, რაც მოიცავს მატერიალური და არამატერიალური მოტივაციის ელემენტებს, რომლებიც ითვალისწინებენ პსპ-ების გამოვლენის საქმიანობის სპეციფიკასა და შედეგებს და უზრუნველყოფენ თანამშრომლებში მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული მოტივების განვითარებას.
6. პსპ-ების გამოვლენის თაობაზე სუს-ის თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის შეფასების დროს მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს მოცემულ ნაშრომში შემოთავაზებული შეფასების კრიტერიუმები.
7. თანამდებობის პირებსა და პედაგოგთა შემადგენლობას, რომელიც ახორციელებს სუს-ის თანამშრომელთა პროფესიულ მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას სასწავლო მეცადინეობების პროცესში, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს დისერტაციაში აღწერილი პსპ-ების პროფილების მახასიათებლები და მათი გამოვლენის თავისებურებები და ასევე პსპ-ების სხვადასხვა პროფილის მიერ უჩა-ს განხორციელების მოდელირების „სქემები“.

დანართები

დანართი 72 ფურცელი

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

1. სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №109 საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით შემოწმების, მათ შორის გაფრენისწინა შემოწმების წესი. 2017 წ.
2. ICAO. Doc 8973. Security Manual for Safeguarding Civil Aviation Against Acts of Unlawful Interference
3. IATA aviation security manual
4. ICAO aviation security manual
5. https://www.icao.int/Meetings/AMC/MA/Assembly%2035th%20Session/wp241_ru.pdf
6. Timothy M. Ravich, Esquire. AIRLINE PASSENGER PROFILING SYSTEMS AFTER 9/11: PERSONAL PRIVACY VERSUS NATIONAL SECURITY. 2005
7. Huseyin Cavusoglu, Young Kwark, Bin Mai, Srinivasan Raghunathan. Passenger Profiling and Screening for Aviation Security in the Presence of Strategic Attackers. 2012
8. The Passenger and Customer Profile (Chapter 4). Resource Manual for Airport In-Terminal Concessions. 258 pp. ISSN 1935-9802 Washington D.C. 2011
9. Эриашвили Н.Д., Аминов И.И., Волынский-Басманов Ю.М., Волынский В.Ю., Каменева М.Е. Профайлинг. Технологии предотвращения противоправных действий. 2-е изд. М., 2012.
10. https://www.iata.org/en/programs/security/
11. https://ec.europa.eu/transport/modes/air/security/aviation-security-policy_en
12. https://www.icao.int/Security/Pages/default.aspx
13. Lee, S., Huang, C., Nevatia, R.: Definition, Detection, and Evaluation of Meeting Events in Airport Surveillance Videos. USC at TRECVID (2008)
14. Robert W. Poole, Jr. Airport Security: Time for a New Model. Reason Foundation 2006

15. ARCO NPIA. Guidance on policing at airports. pp 40. 2011
16. Anna Esposito. Fundamentals of Verbal and Nonverbal Communication and the Biometric Issue. 357pp IOS Press, 2007
17. Timothy M. Ravich, AIRLINE PASSENGER PROFILING SYSTEMS AFTER 9/11: PERSONAL PRIVACY VERSUS NATIONAL SECURITY. Washington, D.C., March 6-8, 2005
18. ერიაშვილი; კამენევა; ვოლინსკი-ბასმანოვ; ვოლინსკი-ცვეტკოვ; ამინოვ. პროფაილინგი. ISBN: 9789941955327. სამართლიანი საქართველო 2018
19. Stanton Samenow. Inside the Criminal Mind. 368pp. 2014
20. Ray Bull, Claire Cooke, Ruth Hatcher. Criminal Psychology. 232pp. 2009
21. John H. Campbell, Don DeNevi. Profilers. 377pp 2010
22. UNITED NATIONS OFFICE ON DRUGS AND CRIME. Transport-related (civil aviation and maritime) Terrorism Offences. 151pp Viena 2014
23. Megan Moore. Psychological Theories of Crime and Delinquency. Journal of Human Behavior in the Social Environment, 226–239pp. USA University of California at Berkeley 2011
24. Joe Navarro, Toni Sciarra Poynter. Dangerous Personalities. 256pp USA 2018
25. Helen Hasan, Alanah Kazlauskas. Activity Theory: who is doing what, why and how. University of Wollongong, Australia 2014
26. Roy Hazelwood, Stephen G. Michaud. Dark Dreams. 288 pp. ISBN-10: 0312980116 Illustrated edition October 2002. US
27. John Douglas, Mark Olshaker. The Anatomy of Motive. 432 pp. ISBN-10: 0671023934 Reissue edition July, 2000 US
28. Robert Plutchik. Theories of Emotion. 2013 US
29. https://aviation-safety.net/wikibase/wiki.php?id=121937
30. http://avherald.com/h?article=43b7e3ef&opt=1
31. web.archive.org/web/20140221220737/http://www.ethiopianairlines.com/en/news/prarchive.aspx?id=502
32. https://edition.cnn.com/2016/03/29/europe/hijacked-egypt-air-jet/
33. https://www.airlive.net/breaking-hijacked-libyan-plane-lands-in-malta-hijackers-claiming-to-be-in-possession-of-hand-grenade/
34. http://www.globaltimes.cn/content/1097975.shtml
35. https://aviation-safety.net/database/record.php?id=20190224-0
36. https://scholarlycommons.law.case.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3070&context=caselrev
37. Louis B. Schlesinger. Psychiatric Aspects of Criminal Behavior: Collected Papers of Eugene Revitch. 280 pp. 2016 US
38. Louis B. Schlesinger. Explorations in Criminal Psychopathology. 375pp. 2007 US
39. Jeffrey Price, Jeffrey Forrest. Practical Aviation Security: Predicting and Preventing Future Threats. ISBN:978-0-12-391485-9 MA, US. December 2012.
40. http://www.orenipk.ru/kp/distant_vk/docs/2_1_1/inf/inf_form.html
41. https://core.ac.uk/download/pdf/268227746.pdf
42. Obrad Babic , Milica Kalic, Goran Pavkovic, Slavica Dozic & Mirjana Cangalovic. Heuristic approach to the airline schedule disturbances problem. Transportation Planning and Technology. 257-280 pp. 2010
43. Andrew R. Thomas. Aviation Security Management. 801pp. London 2008
44. Lee Baker. Beginner's Guide to Correlation Analysis. 45pp 2018 US

45. John Horgan. The Psychology of Terrorism. 224pp. 2004 US
46. Bart Elias. Airport and Aviation Security. ISBN 9781420070293. 439pp. U.S. 2009
47. Wayne L. Davis, Robert E. Moldenhauer, Heather D. Davis. Terrorism, Homeland Security, and Risk Assessment Via Research Proposal (3rd. ed.) 2014 US
48. https://www.ncjrs.gov/pdffiles1/nij/grants/208552.pdf
49. Robert A. Pape. Dying to Win: The Strategic Logic of Suicide Terrorism. 368pp 2006 US
50. Assaf Moghadam. Suicide Terrorism, Occupation, and the Globalization of Martyrdom: A Critique of Dying to Win. Journal Studies in Conflict & Terrorism 2006. Pages 707-729
51. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/teaching-terror-how-hamas-radicalizes-palestinian-society
52. Olga Mironenko Enerstvedt. Aviation Security, Privacy, Data Protection and Other Human Rights: Technologies and Legal Principles. ISBN: 978-3-319-58139-2. 453pp. Springer International Publishing AG 2017
53. Frank Wilcoxon, S. K. Katti, Roberta A. Wilcox. Critical Values and Probability Levels for the Wilcoxon Rank Sum Test and the Wilcoxon Signed Rank Test. 128pp 1963 US
54. Nathan J. Gordon, William L. Fleisher. Effective Interviewing and Interrogation Techniques. 400pp. 2010 US
55. ტექნიკური რეგლამენტის „სამოქალაქო ავიაციის საავიაციო უშიშროების უზრუნველმყოფი პერსონალის შერჩევის, მიღების, მომზადების და სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების თაობაზე.
56. https://www.iata.org/contentassets/3f795c1a0459484183b1231eb59ffaf1/harmonized_taxonomy.pdf